# ჩვენი მწერლობა

გამოდის თვეში ორჯერ პარასკეობით ფასი 1,50 ლარი 21 იანვარი 2011 №2(132)

1516
2011

შუღლიაშვილთა ოჯახი
ქარდა ქარდუხის რომანი
მანანა ჩიტიშვილის ლექსები
პაატა ჩხეიძე პოლ ელმერ მორზე
გოეთეს უკანასკნელი სიყვარული
ზურაბ მარშანიას პოლიტიკური ესეი
თემურ ნადარეიშვილის ჩანაწერები
იოსებ ჭუმბურიძე მაკა ჯოხაძეზე
ერიკ-ემანუელ შმიტის ნოველა
დილოგია: ძე შეცთომილი
ლუკა ბაქანიძის „მარი"



# წიგნის თარო






ფილოსოფია-სოციოლოგიის კლასიკური და თანამედროვე ტექსტები
III
კარლ შმიტი
ხმელეთი და ზღვა
მსოფლიო-ისტორიული განაზრება




ხულიო კორტასარი
კლასობანა


მაკამის ჟანრი არაბულ ლიტერატურაში
ნინო დოლიძე


საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი
დიმიტრი შველიძე
გიორგი მაფრინდაშვილი
გიორგი დეკანოზიშვილი-
მამულიშვილის დაბრუნება


ლაშა ბაქრაძე
გერმანულ-ქართული ურთიერთობები პირველი მსოფლიო ომის დროს

## შინაარსი


| | | |
|---|---|---|
| დიალოგი | 2 | **დილოგია: ძე შეცთომილი**<br>(ნანა გოგიას ესაუბრება როსტომ ჩხეიძე) |
| ელვარე და ლომფერი | 5 | მაია ჯალიაშვილი **დაფერფლილი ბარათების ექო**<br>(იოჰან ვოლფგანგ გოეთე და ულრიკე ფონ ლევეცოვი) |
| ჩვენი ყოფა. წუთისოფელი | 6 | ზურაბ მარშანია **დიპლომატიური მეგობრობა და მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია** |
| ექსპრეს-ინტერვიუ | 8 | კარლო ფაჩულია **„მადლი ჰქენი, ქვაზე დადე“**<br>(მოამზადა ნატა ვარადამ) |
| პროზა | 10 | ქარდა ქარდუხი **ძაფზე მოფარფატე სული** |
| პოეზია | 26 | მანანა ჩიტიშვილი **შენი გული მიპოვნია და სხვა ლექსები** |
| პოეტის ერთი ლექსი | 30 | ლუკა ბაქანიძე **„მარი“** |
| უცხოეთის ცხოვრებიდან | 32 | პაატა ჩხეიძე **მივიწყებული „რეაქციონერი“**<br>(პოლ ელმერ მორი) |
| ახალი რომანი | 35 | საბა სულხანიშვილი **მოლოდინი და... აჰა, რომანიც**<br>(ნათია მეგრელიშვილის დებიუტი) |
| რეპორტაჟი | 36 | რიტა ბაინდურაშვილი **სამყარო დაცარიელდა... ვინ მოკლა იგი?**<br>(ჟაკლინ სირაძის პიესა „ხელოვანის გზა“) |
| კრიტიკა | 38 | იოსებ ჭუმბურიძე **გადამრჩენელი**<br>(მაკა ჯოხაძის ესეების კრებული „სამოთხე უსიყვარულოდ“) |
| ახალი წიგნები | 42 | მარი წერეთელი **დროის ნიშნით**<br>(ელდარ იბერი, ნათია მჟავანაძე, ნანა ტალახაძე „საქართველოს რადიოს ისტორია“) |
| დაუვიწყარი სახელები | 45 | ნინო დეკანოიძე **შუღლიაშვილთა ოჯახი**<br>(დავით შუღლიაშვილის დაბადების 100 წლისთავი) |
| ლიტერატურული ცხოვრება | 46 | თეკლე ჯანელიძე **„ქართული მწერლობის“ პირველი ლაურეატები** |
| ფიქრები | 47 | თემურ ნადარეიშვილი **სულის ფოტოგრაფიები** |
| უცხოური ნოველა | 50 | ერიკ-ემანუელ შმიტი **მილარეპა** |
| ნაკვესები | 61 | **მახვილსიტყვაობის ნიმუშები** |
| მოზაიკა | 63 | **ზაჰესი და მცხეთის ჯვარი** |



ორკვირეული ჟურნალი
დამფუძნებელი „ილიონი“
მისამართი: თბილისი,
ჩუბინაშვილის №41
რედაქცია – (995 32) 96_20_62
რეკლამა – (995 93) 65_93_68
გავრცელება – (995 77) 11_24_30
ფაქსი: (995 32) 96_20_62
E_mail: info@mtserloba.ge

დაბეჭდილია სტამბაში "ომეგა თეგი" საქართველო, თბილისი, სარაჯიშვილის 17 ტელეფონი: +995 32 53 03 62
PRINTED BY "OMEGA TEGI" PRINT HOUSE TBILISI, GEORGIA, 17 SARAJISHVILI STREET TELEPHONE +995 32 53 03 62



მთავარი რედაქტორი – **როსტომ ჩხეიძე**
პროზის რედაქტორი – **ივანე ამირხანაშვილი**
პოეზიის რედაქტორი – **მაკა ჯოხაძე**
კრიტიკისა და თარგმანის რედაქტორი – **თამაზ ნატროშვილი**
მხატვრული რედაქტორი – **კარლო ფაჩულია** დიზაინერი – **მალხაზ იაშვილი**
სტილისტ-კორექტორი – **ნინო დეკანოიძე** დაკაბადონება – **თენგიზ რობიტაშვილი**
ოპერატორი – **თამარ ჩიხლაძე** სარეკლამო მენეჯერი – **ეკა ბუჯიაშვილი**
გავრცელების სამსახური – **ლევან კიკნაძე**


გარეკანზე: **რუსთაველის გამზირი, ლადო ჩაჩუას ფოტოეტიუდი**
**კარლო ფაჩულია, ჯემალ კასრაძის ფოტოეტიუდი**

**„ჩვენი მწერლობის“ მომდევნო ნომერი გამოვა 4 თებერვალს**

# დილოგია: ძე შეცთომილი

*

**ნანა გოგიას ესაუბრება როსტომ ჩხეიძე**

**— ბატონო როსტომ, ჩვენი ამ ახალი ლიტერატურული საუბრის მომზადებაზე რომ ვფიქრობდი, უეცრად გამახსენდა ერთი ექსპრომტი, რომელიც მწერალთა გაზეთის 60-იანი წლების ნომრების შესწავლისას შემხვდა. იმხანად „ცისკარსა“ და „მნათობში“ თითქმის ერთდროულად გამოქვეყნდა ოთარ ჩხეიძის ორი რომანი — „აღმართ-დაღმართი“ და „ლანდები“ — და მეგობრული შეხმიანებაც ამან გამოიწვია: „აღმართ-დაღმართ, ხევდახევ ვწერ რომანებს ხელდახელ“. როდესაც ბატონი ოთარის ოცდაოთხრომანიან მატიანე ქართლისას წარმოიდგენ, შესაძლოა კიდეც მოგეჩვენოს, ეს წიგნები მართლა ხელდახელაა დაწერილიო.**

— გარეგნულად მართლაც ხელდახელ იქმნებოდა, რაკილა უმეტესობა ორ-სამ თვეშია დაწერილი, თუმც თვითეული ეს ნიმუში დიდხანს მწიფდებოდა გონებაში, ვიდრე ფურცელზე გადაინაცვლებდა.

**— ბატონი ოთარის შესახებ თქვენთან ცალკე დიალოგი მაქვს გაზრახული, თუკი ოდესმე გავბედე ამ ურთულეს თემაზე ლიტერატურული საუბრის წამოწყება. ამჯერად კი ის იუმორისტული სტრიქონები იმიტომ მოვიხმე, რომ თქვენზეც ზედგამოჭრილია. ისე ზედიზედ ხვავდება თქვენი ბიოგრაფიული რომანები და მონოგრაფიები (წერილებისა და ესეების სერიაზე აღარაფერს ვამბობ), რომ თავისუფლად შეგიძლიათ გაიმეოროთ: წიგნებს მეც ვწერ ხელდახელო.**

— მართლა ხელდახელ არის თუ არა, ვერ გეტყვით. ვწერ, როგორც მეწერება, ეგაა და ეგ.

**— წიგნებზეც რომ აღარაფერი ითქვას, ჯერ დამთავრებულიც არ იყო „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე მხატვრულ-დოკუმენტური თხზულება „აღსარება გურამ დოჩანაშვილისა“, რომ „ქართულმა მწერლობამ“ დაიწყო ბეჭდვა მონოგრაფიისა „რეკვიემი სინანულისა (ირაკლი წერეთლის ბედისწერა)“. ლამის მართლა გვეგონოს, რომ როსტომ ჩხეიძე სულ ცოტა ორი პიროვნებაა, ის კი არა, სამი და ოთხიც.**

— თემას აწვდით ექსპრომტების, პოეტური იუმორესკების ოსტატებს.

**— ჩემი მისაწოდებელი რა სჭირთ. ისე მართლაც თემაა და არცთუ ურიგო.**

— თავიდან ისე შევთანხმდით, რომ „სინანულის რეკვიემის“ ირგვლივ გსურდათ ორიოდე შეკითხვის დასმა.

**— ასეც არის. ეს ცოტა სახალისო ექსპოზიცია თავისთავად გამოვიდა. თუ გნებავთ, გადავშალოთ.**

— იყოს, რას აშავებს.

**— კარლო ჩხეიძე და ირაკლი წერეთელი სიამის ტყუპებივით აღიქმებოდნენ პოლიტიკურ ასპარეზზე, მიუხედავად იმისა, რომ დიდხანს მოუწიათ ყოფნა სხვადასხვა არეალში, ვიდრე საბოლოოდ გადაეჯაჭვებოდა მათი სახელები ერთმანეთს.**

— გავლენით და პოპულარობით ყველა ქართველ პოლიტიკოსს რომ გადააჭარბებდნენ რუსეთის იმპერიაში, ეს აღმოჩნდებოდა მათი სულიერი სიახლოვის ერთ-ერთი მიზეზი, თორემ ეროვნული ინტერესები მათ სხვა თვისტომთაც არანაკლები ჟინით გადაეცვალათ ფსევდოკოსმოპოლიტურ მისწრაფებებზე და ამ მხრივ ეს ორნი არც განირჩეოდნენ სხვა სოციალ-დემოკრატთაგან.

**— ასეა თუ ისე, ნიშანდობლივია, რომ კარლო ჩხეიძეზე შექმნილი თქვენი მონოგრაფია არც დარჩა ფრთამოტეხილივით და გვერდით ამოუდგა ირაკლი წერეთელზე ამავე აგებულების თხზულება. ისე გამოვიდა, რომ რაღაც კანონზომიერება არ დარღვეულა.**

— არავითარ კანონზომიერებაზე არ მიფიქრია, როდესაც კარლო ჩხეიძეზე დავასრულე მხატვრულ-დოკუმენტური მოთხრობა.

**— თუ სულაც რომანი?**

— ჩვენში ძალიან ცდილობენ დააკნინონ რომანის ჟანრი და ასგვერდიანი და უფრო პატარა თხზულებანიც რომანებად გაასაღონ. მიკრო-რომანის ცნების შემოტანა-დამკვიდრებაც მოინდომეს ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქის კრიტიკოსებმა, ამჟამად კი ამ ლტოლვამ ახალი ძალით იფეთქა... თითქოს სასეირო და კურიოზული ვითარებანი აკლდეს ჩვენს ყოფას, ეს ფსევდოტერმინიც რომ არ მივუმატოთ. რომანს თავისი გარეგნული ფორმაც უნდა ჰქონდეს, თავისი ასპარეზი და, სულ ცოტა, ორას გვერდს უნდა აღემატებოდეს. ერთი სიტყვით, მოთხრობა და რომანი მაინც ნუღა აგვერევა ერთმანეთში.

**— მე არც მერევა, ეგ არის, მწერლები არ ყაბულდებიან მოთხრობის ავტორობას, წყინთ, ორმოცდაათ გვერდზე მეტი თუ აქვთ დაწერილი და შენ კი რომანისტად არ მონათლავ.**

— მე ნუ გამრევთ ამ ბუნების ადამიანებში. ისე ძალიან მიკვირს, ავტორთა წყენასა ან ეგებ აგრესიასაც რაიმე ანგარიშს თუ უწევს ვინმე. ჩემს გარშემო ასეთი არავინ მეგულება, რომ ლიტერატურის ინტერესებზე მაღლა ვინმეს გუნება-განწყობილება თუ პრეტენზიები დააყენოს. თუმც, მგონი, სხვაგან გაგვექცა სიტყვა. თუ გნებავთ ეს პასაჟი სულაც ამოშალეთ.

**— იყოს, რას აშავებს. იმას ბრძანებდით, არავითარ კანონზომიერებაზე არ მიფიქრიაო.**

— მე კი არ მიფიქრია, მაგრამ კანონზომიერება იმისაა, თვითონვე იჩინოს თავი... თორემ, დარწმუნებული ვიყავი, ირაკლი წერეთელზე სხვა არაფრის თქმა აღარ დამჭირდებოდა, გარდა იმისა, რაც იმ დოკუმენტურ მოთხრობაში დაიწერა, სიამის ტყუპთაგან მეორე გმირი, აბა, მთლად განზე ხომ არ დარჩებოდა თხრობისას. მის თანაბრად კი რანაირად წარმომესახა, როდესაც ირაკლი წერეთლის ბიოგრაფია თუ პიროვნული ხასიათი საგულისხმოსა და განსაკუთრებულს არაფერს გვამცნობდა.

**— კარლო ჩხეიძეს კი თვითმკვლელობამ უშველა,**

**1924 წლის აჯანყების მარცხით გამოწვეულმა ამ ჰეროიკულმა, თავგანწირულმა ნაბიჯმა, სულიერებისაგან დაცლილი მარქსისტი ერთბაშად ღრმა პიროვნებად რომ მოევლინა საზოგადოებას და მაგალითადაც შემორჩა შთამომავლობის ხსოვნას.**

— ირაკლი წერეთელი კი რა?.. მარქსისტი მარქსისტად დარჩა, ვინც ვერაფერი გაიგო ამქვეყნისა და ვერც საკუთარი ცოდვა გააცნობიერა სამშობლოს წინაშე, იმ სამშობლოსი, რომელიც არც არასოდეს ჰქონია მსოფლიო მოქალაქეობაზე მეოცნებეს.

**— და უეცრად გამოჩნდა რუსი პუბლიცისტისა და ემიგრანტის რომან გულის მოგონებანი ჩვენს სალიტერატურო ცხოვრებაში, მხატვრულ-დოკუმენტური ყაიდის სამტომეული, რომლის ერთ-ერთი კოლორიტული, გამოკვეთილი პერსონაჟიც ირაკლი წერეთელია. და მარჯვედაც გამოიყენა გივი გამრეკელმა სამტომეულის ეს ადგილები თავის ნარკვევში ამ პოლიტიკურ მოღვაწეზე.**



როსტომ ჩხეიძე

— სწორედ რომან გულმა უშველა მის სახელს იმ ცნობების შემონახვით, რაც სამუდამოდ დაფარული დარჩებოდა, რაკიღა სხვა დოკუმენტური წყარო არ მოგვეპოვება, თუ რაოდენ მწარედ ნანობდა ეს ერთ-ერთი გამოჩენილი პოლიტიკური მოღვაწე რევოლუციურ წარსულს, თავში ხელს იცემდა, ეს რა ჩავიდინეო, და გმობდა ყველა მარქსისტსა და რევოლუციონერს, ერთადერთ მართებულ გზად კი უკვე განვითარების ევოლუციურ გეზს აღიარებდა.

**— ეს სრულიად საპირისპირო სახეა იმისა, როგორც მანამდე ვიცნობდით ამ პიროვნების პოლიტიკურ და ფსიქოლოგიურ პორტრეტს.**

— დიახ, აშკარად მეორე პოლუსია.

**— თურმე ორ ადამიანს უცხოვრია ირაკლი წერეთლის არსებაში.**

— მართალს ბრძანებთ. სულიერი ჭიდილის, თვითგვემისა და მონანიების საუცხოო მაგალითი გვიძევს წინ მისი სულიერი გარდასახვის წყალობით, უკვე კარლო ჩხეიძესავით რომ ამოიმართება ნაცრისფერი გარემოდან და სრულ საშუალებას აძლევს მკვლევარსა თუ მწერალს, საგანგებოდ ჩაუკვირდეს მისი სულის ულრმეს შრეებს და მისი სულიერი ტრაგედია გულისშემძვრელ სურათად გამოკვეთოს.

**— ასე გადაიქცა ეს ორი სიამის ტყუპი ორი მონოგრაფიის გმირად თქვენს ხელში.**

— სხვათა შორის, თუ კარლო ჩხეიძემ თავისი პოლიტიკური მოღვაწეობის ადრეულ ხანაში წარმოთქვა სიტყვა ილია ჭავჭავაძის დაკრძალვაზე, ირაკლი წერეთელი სიცოცხლის მიმწუხრზე აპირებდა ილიას ღვაწლის გააზრებას — არა მარქსისტული, არამედ ეროვნული თვალთახედვით.

**— ამ მხრივაც აღმოაჩნდათ საერთო, არა?**

— დიახ. და თუ კარლო ჩხეიძის იმ ორატორული გამოსვლის ტექსტი ხელთ გვაქვს, ირაკლი წერეთლის განზრახვის თაობაზე მხოლოდ ვარაუდი შეგვიძლია. თუმც რომან გულის მემუარული ჩანაწერების შემდეგ დაბეჯითებით შეგვიძლია ვივარაუდოთ იმ დაუწერელი ნარკვევის შინაარსიც და კონცეფციაც.

**— განმსჭვალული ილიასადმი აპოლოგეტური დამოკიდებულებით.**

— მხოლოდ და მხოლოდ აპოლოგეტურით. შეგვიძლია ხელშესახებადაც წარმოვიდგინოთ ილიას აჩრდილის წინაშე დამხობილი კაცის სილუეტი, მონანიებად რომ ილვრება, ნეტა ადრევე შემესმინა შენი შეგონებანი და ჩემი ძალ-ღონე ეროვნული იდეალის დამკვიდრებისა და საქართველოს ეროვნული სახელმწიფოს ჩამოყალიბებისათვის გადამეგოო...

**— მითუმეტეს, როდესაც დიდი უნარი და ენერგია მოგდგამს და ბევრი რამის განსაზღვრაც შეგიძლია პოლიტიკურ სინამდვილეში.**

— ეს ორი სიამის ტყუპი არა ილიას წინააღმდეგ, არამედ — ილიას გვერდით!.. ეგებ მართლაც სულ სხვაგვარად შემოტრიალებულიყო ჩვენი ბედისწერა — სასიკეთოდ შემოგვბრუნებოდა.

**— თქვენი საყვარელი სიტყვა ახსენეთ — ბედისწერა, მძაფრი დრამატიზმით გაჟღენთილი.**

— საყვარელი რა — თვითონ ჩვენი რეალობა გვკარნახობს მეც და სხვათაც, ამ ფენომენს ყოველმხრივ და განუწყვეტლივ ვუტრიალოთ და მისი რაობისა და დანაშრევების ამოცნობა ვეცადოთ ცალკეულ პიროვნებათა თუ ერის ხასიათში. ეგაა, სხვანი რასაც გულისხმობენ, მე დაჟინებით ვიმეორებ სათაურიდან სათაურში.

**— ნიშანდობლივია „ჩვენი მწერლობის“ ერთ-ერთ, ჩემთვის განსაკუთრებით საყვარელ, რუბრიკას „ერი და ბედისწერა“ რომ ჰქვია. ახლახან ეს სახელწოდება გამოიყენეთ წიგნის სათაურადაც, ხუთ მონოგრაფიას რომ ამთლიანებს („გარნისის ველის საიდუმლო“, „ბახტრიონი: ლეგენდა და სინამდვილე“, „ორი დრო: ტრაგიზმი, მესიანიზმი, დემონიზმი“, „თვითმკვლელობა — გარდუვალი მოვალეობა“ და „გრიგოლ რობაქიძე და**

**ახალი მითოსი“). მათმა გაცნობამ — კარლო ჩხეიძეზე ხელმეორედ, რაკილა „ჩვენი მწერლობის“ ფურცლებზე უკვე იყო გამოქვეყნებული, სხვებისა კი პირველად — მაფიქრებინა, ნეტა ამ წიგნისათვის პირველი ტომი დაერქმია და ამ ყაიდის სხვა მონოგრაფიებიც ამავე სახელწოდების ქვეშ გაეერთიანებინა-მეთქი. მეორე ტომად. ასე მგონია, რომ თქვენს ნაწერებს ყველაზე მეტად ეს საერთო სათაური უხდება.**

— მართალს ბრძანებთ. და მეც რომ სწორედ ასე მგონია, ამიტომაც წარმომიდგება „ერი და ბედისწერა“ არა მარტოდენ ერთი წიგნისა თუ რამდენიმე ტომის ზოგად სახელწოდებად, არამედ ყველაფრისა, ყოველი სტრიქონის, რაც კი დამიწერია: ლიტერატურული თუ პოლიტიკური ესეების, სამეცნიერო თუ მხატვრულ-დოკუმენტური მონოგრაფიების, ბიოგრაფიული რომანების.

**— ისე გამოდის, რომ რაც დაგიწერიათ და რის შექმნასაც აპირებთ, ერთ მთლიან შენობად წარმოგიდგებათ, ქართული სულიერების, ჩვენი ერის დრამატული ბიოგრაფიის თავისებურ მოდელად.**

— ასეა, მართლაც ასე. და სწორედ ეს მრწამსი აკავშირებს ერთმანეთთან ჩემი თხზულებების, ერთი შეხედვით, დაშორებულ თემატიკას — იქით უძველესი ჟამი, ჩვენი ეროვნული ფესვების ჩხრეკა; აქეთ — თანამედროვე რეალობა, მისი შინაგანი აღნაგობის ამოცნობისა და სამომავლო გზების დასახვის ჟინი.

**— და ეს ყოველივე გააზრებული ლიტერატორისა და ისტორიკოსის თვალთახედვით. და კიდევ — კულტუროლოგის, და კიდევ — რელიგიის მკვლევარის. ამ მხრივ პავლე ინგოროყვასთან დიდ სულიერ ნათესაობას იჩენთ. ისეთი განცდა მიპყრობს, რომ „ერი და ბედისწერა“ უშუალო მემკვიდრეა „ქართული ცივილიზაციის ისტორიისა“. შემთხვევითი არ არის, რომ სტილის დახვეწილობაზეც ასე ზრუნავთ და სტილური არტისტიზმი თქვენი მეცნიერული ძიებების განუყოფელ ნაწილად გესახებათ.**

— გულწრფელად გითხრათ, ამაზე აქამდე არ მიფიქრია, ჩემი ნაწერები პავლე ინგოროყვას მონუმენტური ქმნილების უშუალო მემკვიდრე თუ შეიძლება ყოფილიყო. თანაც ეს სიტყვა — მემკვიდრე — ძალიან გადაჭარბებული მეჩვენება. ითქვას „გამოძახილი“, „შეხმიანება“ ან რაღაც ამგვარი, რათა უნებურად არ შევუთანაბროთ „ერი და ბედისწერა“ „ქართული ცივილიზაციის ისტორიას“. რაც შეეხება სულიერ ნათესაობას პავლე ინგოროყვასთან, ეს კი ისე აშკარაა, ჩემგან დამოწმება სრულიად ზედმეტია.

**— კვლავ „სინანულის რეკვიემს“ რომ მივუბრუნდეთ, აქაც რელიეფურად გაქვთ გამოკვეთილი ილია ჭავჭავაძის პორტრეტი. რაც მთავარია, ფილიგრანულადაა გაანალიზებული ილიას მსოფლმხედველობის გარდაქმნა დემოკრატობიდან კონსერვატორობისაკენ. რატომღაც ცდილობენ ილია გამოაცხადონ ლიბერალური და ეროვნული იდეების მომრიგებლად საკუთარ გონებაში.**

— რასაკვირველია, ყოვლად შეუძლებელია ამ ორი საპირისპირო პოლუსის შერიგება-დაახლოება. ილიამ ეს ორი მსოფლგანცდა კი არ მიუსადაგა ერთმანეთს, არამედ ჯერ ლიბერალურ დოქტრინას აჰყვა, მერე კი, მოჩვენებითი სიკეთის ქადაგებისაგან რომ გამოერკვა და მკვეთრადაც გაემიჯნა ლიბერალიზმს, მთელი არსებით ეროვნულ იდეალში ჩაეფლო და უარყო ყოველგვარი რევოლუციაც, რათა ერთადერთ და სწორ გეზად განვითარების ევოლუციური მსვლელობა დაესახა თვისტომთათვისაც და მთელი კაცობრიობისთვისაც.

**— ილიას აჩრდილის წინაშე მომნანიე კაცის სილუეტი რომ წარმოსახეთ, მე ძე შეცთომილის დაბრუნების სურათი დამიდგა თვალწინ. გავიფიქრე, რომ ჩვენს დროებაში ასე განმეორდა უძღები შვილის თვითგვემის ბიბლიური მოტივი.**

— ჯერ კარლო ჩხეიძემ გაიარა ძე შეცთომილის გზა.

**— კარლოც შეიძლება წარმოვიდგინოთ ილიას აჩრდილის წინაშე დაჩოქილი?**

— რატომაც არა. რაკილა ეროვნულმა ტკივილმა მოაკვლევინა თავი, მისი სიცოცხლის მიმწუხრი სიმბოლურად სწორედ ასე წარმოგვესახება — „კაცია-ადამიანის“ შემოქმედის წინაშე დგას მუხლმოყრილი და ინანიებს თავის განვლილ ცხოვრებას. და თუმც ილიას აჩრდილი აუცილებლად მიუტევებდა, კარლო ჩხეიძე მაინც ველარ გაუძლებდა სულიერ გვემას და გადადგამდა იმ ნაბიჯს, რაც მიხეილ ჯავახიშვილის თვალში მაშინვე შეიმოსებოდა მოწამებრივი შარავანდით.

**— თუ ირაკლი წერეთელი ასე მკაცრად არ გასწორებია საკუთარ თავს, თავისებური სიმბოლური აქტით მაინც დააგვირგვინა საკუთარი ბიოგრაფია — თავისი სხეულის კრემაცია რომ დატოვა ანდერძად.**

— ძალიან არ მეჭაშნიკებოდა, ამ მხრივ ირაკლი წერეთლის ცხოვრების უკანასკნელი აქტი მიხაკო წერეთლის ბიოგრაფიის ამავე სურათს რომ იმეორებდა. ისინი ხომ საპირისპირო პოლუსზე მდგარი პიროვნებანი იყვნენ... მაგრამ რომან გულის მემუარული ჩანაწერების გაცნობის შემდეგ აღარ მენანება მენშევიკთა ერთ-ერთი წინამძღოლისათვის ეს თავისებურად სიმბოლური ფინალი — თვითგვემით შეპყრობილი კაცი ყოველთვის თანაგრძნობას იწვევს და ამჯერადაც ფიქრობ: თუკი სულიერი ფერისცვალება განიცადა, თუკი მონანიებამ დაანახვა ჭეშმარიტება, დაე დაემგვანოს მისი ბიოგრაფიის უკანასკნელი აქტი მიხაკო წერეთლის, ამ დიდებული მოღვაწის, ცხოვრების დაბოლოებასო.

**— მაშ ისე გამოდის, რომ ირაკლი წერეთლის დაუწერელი ნარკვევი ილია ჭავჭავაძეზე არანაკლებ უნდა გვენანებოდეს, ვიდრე არჩილ ჯორჯაძის ის დაუწერელი მონოგრაფია ილიაზე, ეგებ სულაც ბიოგრაფიულ რომანადაც რომ გამოკვეთილიყო.**

— ასეც არის. გულსატკენია, რომ ორი კარგი თხზულება დაგვეკარგა, მაგრამ კარგია, რომ ცნობები მაინც შემოგვრჩა განზრახვათა არსებობის თაობაზე და შეგვიძლია მართებულად ამოვიცნოთ ორივეს შინაარსი, ამ ჩანაფიქრთა გადასახედიდან კი არაერთი გარემოება თუ დეტალი უფრო ღრმად და რელიეფურად დავინახოთ.

**— ისე რომან გულს რამხელა ამაგი მიუძღვის ირაკლი წერეთლის ხსოვნის გადასარჩენად.**

— ვინატრებდი, რომ ღმერთმა ყველას არგუნოს ასეთი თანამდგომი და მემუარისტი, მონანიების ჟინი ვისაც დარევს ხელს.

მაია ჯალიაშვილი

# დაფერფლილი ბარათების ექო




„მაგრამ სულ სხვაა სიყვარული უკანასკნელი...“ — გალაკტიონის ამ მშვენიერი სტრიქონის ერთი საუკეთესო დასტურია 74 წლის გოეთეს გამიჯნურება 19 წლის ქალწულთან, ულრიკე ფონ ლევეტცოვთან. წლების მდინარებაში ჩამყუდროვებულ პოეტს უცებ საოცარი ვნების ქარიშხალმა გადაუარა და მთლიანად შეძრა. გოეთეს ბიოგრაფოსებისთვის ეს შესანიშნავი მასალა აღმოჩნდა, მაგრამ მხოლოდ მარტინ ვალზერმა, თანამედროვე გერმანელმა მწერალმა, შეძლო ახალი ელფერით შეემოსა ამ უჩვეულო სიყვარულის ამბავი. მან რომანში „შეყვარებული კაცი“ გოეთეს პირადი მიმოწერა გააცოცხლა. არადა, რეალურად ამ ტრფობის ამსახველი არც ერთი ბარათი არ შემორჩენილა. ერთი უჩვეულო ფაქტიც შეეშველა მწერალს. რომანის წერისას იგი საგანგებოდ ჩავიდა მარიენბადში, რათა საკუთარი თვალით ეხილა ის შთამბეჭდავი გარემო, რომელიც ამ უჩვეულო სიყვარულის სცენად იქცა, სადაც სწორედ ულრიკეს შთაგონებით პოეტმა შექმნა ლექსი-შედევრი „მარიენბადის ელეგია“. აქ მარტინ ვალზერს მეგობარმა წიგნაკი აჩუქა, რომელშიც მოთხრობილი იყო ულრიკეს შესახებ, სხვა ცნობებთან ერთად ეწერა ასეთი გულისშემძვრელი ფაქტიც — უკვე ხანდაზმულ ულრიკეს სიკვდილის წინ მოუტანინებია ზარდახშა და უთხოვია, დაეწვათ იქ შენახული წერილები, ხოლო ფერფლი საფლავში ჩაეტანებინათ. ეს წერილები კი შეყვარებულ გოეთეს ეკუთვნოდა.

რა თქმა უნდა, არც კონსტანტინე გამსახურდიას აუვლია გვერდი გოეთეს ცხოვრების ამ შთამბეჭდავი ფურცლებისთვის და „გოეტეს ცხოვრების რომანში“ ამ სიყვარულის ისტორიაც ჩართო, რომელშიც ვკითხულობთ: „საღამოჟამს ულრიკე გატვრინული იჯდა ხანდახან ვაიმარელი ბრძენის გვერდით, ვარსკვლავებით მოჭედილ ცას შეჰხაროდა და გენიის სუნთქვა ახურებდა მის ახალგაზრდა გულს. წარმოსადგენია როგორი დიდის მწუხარებით შეიცნო გოეთემ ულრიკეს პირისპირ, რომ მისი წარმართული გული ველარ ფეთქდა ძველებურის ძლიერებით. მის მოგონებაში ირეოდნენ გადასულ მეგობრების, გულის მიჯნურების, განვლილი მწუხარების, შვების წუთები... როგორ უყვარდა მას: სიცოცხლე, სინათლე და პოეზია!... ეროსი ძალოვანი მონადირეა და გულებისადმი ამბოხის მომგვრელი. ულრიკემ შეაშფოთა უკანასკნელად შემოქმედების უხვი რთველით დახუნძლული გული მოხუცი პოეტისა... ო, რა სასტიკად შეარყევდა ალბათ მის გულს ძალოვანი მშვილდოსან ეროსსა და სიბრძნეს შორის ატეხილი ბრძოლის ასპარეზად ქცევა!“

მარტინ ვალზერის რომანში აღწერილია გოეთეს ცხოვრების მხოლოდ ეს ეპიზოდი — მოულოდნელი სიყვარულის აფეთქება და შემდეგ მინავლება. 74 წლის „მოხუცი“, ყველას გასაოცრად, შესანიშნავად გამოიყურება და სულაც არ გრძნობს ხანთა სიმრავლეს, როდესაც ულრიკე ლევეტცოვის, მწვანეთვალებიანი ზეციური ანგელოზისა თუ ტყის ნიმფას გვერდითაა, მის წკრიალა ხმას უსმენს. ამ სიყვარულმა უფრო მეტად გაამხნევა, გააახალგაზრდავა, მეცხრე ცაზე აიყვანა, გააძლიერა, მაგრამ საკმარისი გახდა ულრიკეს ერთი გახედვა სხვისკენ, თანატოლთან ტკბილი გასაუბრება, ცეკვა, რომ პოეტის ოცნება ქვიშის კოშკივით ჩამოიშალა. გაჩნდა მტანჯველი წუთები.

რომანში გოეთე „შეყვარებული კაცია“. სწორედაც, უბრალოდ, კაცი და არა მხოლოდ სათაყვანებელი გოეთე, „მყინვარივით მიუკარებელი“ (ილია ჭავჭავაძე), ღვთაებრივი შემოქმედი.

რომანში არაერთი დეტალია, რომლებიც ფსიქოლოგიური სიღრმით წარმოაჩენენ გოეთეს სულში მიმდინარე ბრძოლას: მას ერთი მხრივ აღარ შეუძლია ამ სიყვარულის გარეშე, მეორე მხრივ კი აძრწუნებს ასაკობრივი განსხვავება, გამუდმებული ეჭვები სტანჯავს, ერთ მშვენიერ საღამოს ულრიკეს აღტაცებით ნათქვამმა სამმა სიტყვამ: დღეს ლამაზად გამოიყურებითო, ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანოს. იგი ფიქრობს, რომ სხვა დღეებში ალბათ არ იწვევდა ულრიკეს აღტაცებას. წარმოგიდგენიათ უმწეო, ატირებული გოეთე?! მწერალი საუკეთესოდ წარმოაჩენს მას, როგორც ჩვეულებრივ ადამიანს. მან პოეტი თითქოს ოლიმპოს თვალშეუწვდომელი მწვერვალიდან ძირს ჩამოიყვანა, მაგრამ არა დასამცირებლად, არამედ იმ სიცივის, ყინულის დამსხვრევად, რომელიც მის შარავანდიან სახეს მიწას აშორებდა, შთამბეჭდავია სიყვარულის მზის სხივებით გამლღვარი სახე პოეტისა, ძარღვებში ცხელი სისხლით, სარკის წინ გაშიშვლებული, თავის მობერებულ სხეულს ვერშეგუებული. ასეთი გოეთე უცხოა მკითხველისთვის, არადა, ასეთი გოეთე კი არ კარგავს ბრწყინვალებას, უფრო ახლობელი, საყვარელი, სათუთი ხდება. მკითხველი მის მიმართ თანაგრძნობით იმსჭვალება, შეიძლება გაგიჩნდეს სურვილი, ხელი გაიწოდო, ცრემლები მოსწმინდო, მიეფერო აცახცახებულ მხრებზე და დაამშვიდო ყველაზე თბილი და ტკბილი სიტყვებით. მაგალითად, როცა გოეთე საკუთარ თავს ასე ელაპარაკება: „ტანჯვა ჭუჭყიანია. აბინძურებს ადამიანს. არანაირი გამწმენდი საშუალება არ არსებობს, სიკვდილის გარდა. შენ წერას აფარებ თავს... შენ ჯერ არასოდეს, არასოდეს გიტანჯია. აქამდე მუდამ სხვა იტანჯებოდა შენ გამო. ქალბატონი ბერლეფში. ოცგვერდიან წერილებს რომ გწერდა ოცი წლის განმავლობაში. და შენ არც კითხულობ მომაბეზრებელ, ტანჯვისგან განაწამები ქალის ამ წერილებს. მას კი მხოლოდ იმიტომ სურს სიცოცხლე, რომ შენ უყვარდე, და იმ წამს უცდის, რომ ერთხელ მაინც თანაუგრძნობ. თანაგრძნობა ზიზღის ტოლფასია. ახლა შეგიძლია ოცგვერდიანი წერილი მისწერო ულრიკე ფონ ლევეტცოვს და შეგიძლია დაემუქრო, რომ კიდევ მოელის ასეთი ოცგვერდიანი წერილები. ნაცვლად იმისა, რომ თავი მოიკლა, წერ და წერ“.

მარტინ ვალზერმა ეს შესანიშნავად შეძლო, გოეთე სხვანაირად შეგვაყვარა. სულისშემძვრელად წარმოაჩენს

მის სულიერ ობლობას, მარტოსულობას. იგი ამ რომანში ყველაზე მეტად ჰგავს თავისსავე გმირს — ვერტერს. აქ ლიტერატურა და ცხოვრება ერთმანეთს გადაეწნა, აქამდე პარალელურმა ხაზებმა ერთმანეთი სასწაულებრივად გადაკვეთეს და გოეთე გზაჯვარედინზე აღმოჩნდა.

გოეთე როკოკოა — ასე შეაფასა შვილმა სახელგანთქმული მამის ყავლგასულობა და სულაც არ დაფიქრებულა, როგორ დაუსერა გული მშობელს. გოეთე კი, კვლავ მშვენიერებით შთაგონებული და აღტაცებული, იწყებს რომანის წერას სახელწოდებით „შეყვარებული კაცი“, რომელშიც ულრიკესადმი მისი პირადი წერილებია ჩართული: „დღემდე არ ვიცოდი, რა იყო მოწყენა, ახლა კი, როცა ულრიკეს ვერ ვხედავ, ლამის მოწყენილობისაგან გავცოფდე. სამყაროს სურს გადარჩეს, ულრიკესნაირის სიყვარული უნდა ებოძოს ყველას. დღეები აბრეშუმივით ფაქიზი გახდა, სამყარო კი — თბილი ნიავივით. ჩიტებიც თითქოს მხოლოდ მის სახელს ჟღურტულებენ. იქნებ პლატონი მოგონებებს იმიტომ მიეცა, რომ მშვენიერი რამ დაკარგა ცხოვრებაში. მე კი მოგონებებს დავკარგავ, ალბათ, რადგან მშვენიერება ვიპოვე. როცა ულრიკეა ჩემ გვერდით, არც მომავალს აქვს მნიშვნელობა და აღარც წარსულს. ოცნებავ, დამიფარე უმწეობისაგან, დამიფარე. რა იოლია ყველაფერი, როცა მას ვხედავ. მისი მზერა მაძლევს გამძლეობას“.

საგულისხმოა, რომ რომანში არაჩვეულებრივად იხატება ახალგაზრდა ულრიკეს სახეც. იგი გოეთეზე შთაბეჭდილებას არა მხოლოდ სინორჩითა და სილამაზით ახდენს, არამედ რაღაც საოცარი ხიბლით, რომელიც მისი ჭკვიანი მზერიდან და საუბრიდან გამოსჭვივის. იგი სულაც არ უფრთხის გოეთეს წელთა სიმრავლეს და მზადაა ცოლად გაჰყვეს პოეტს, ოღონდ არა მხოლოდ იმიტომ, რომ ის ლეგენდაა, არამედ მისი სულის მონათესავეა.

ულმობელი ცხოვრება კი პოეტს გამუდმებით შეახსენებს თავს. ერთ ეპიზოდში გოეთე ულრიკესთან ერთად მოსეირნობს ხეივანში, უცებ რაღაცას გამოედება და წაიქცევა, რასაც, რა თქმა უნდა, ძალიან განიცდის. მწერალი კი გოეთეს ამ „უხერხული მდგომარეობიდან“ ძალიან ლამაზად, პოეტურად დააღწევინებს თავს, როცა ათქმევინებს: „გოეთე და ულრიკე იდგნენ ერთმანეთის პირისპირ. ულრიკე ისევ მის ჭრილობებს უყურებდა. სამოთხიდან გამორკვეული, — ჩაილაპარაკა გოეთემ, ჰო, სამოთხიდან გამოსვლისას დავვარდი. ულრიკე დაბნეული შეჰყურებდა. არ იცოდა, რა გაეკეთებინა“ და მერე: „არც არაფერი მომხდარა, მშობლიურმა მიწამ მაკოცა“.

„ჩემი ცხოვრება უფრო თეატრს ჰგავს, ვიდრე ნამდვილს“ — დაიჩივლა ერთხელ ულრიკესთან საუბარში პოეტმა და ისიც გაუმხილა, რომ მასთან ერთად ნამდვილ ცხოვრებას განიცდიდა.

შეუძლებელია აუღელვებლად წაიკითხო, როგორ ემზადება გოეთე საკარნავალო მეჯლისისთვის, ის და ულრიკე წინასწარ არაფერზე შეთანხმებულან, მაგრამ მოხდა საოცრება: ვერტერის სამოსში გამოწყობილმა გოეთემ უცებ: „ულრიკეს მოჰკრა თვალი. ჭექა-ქუხილის შემდეგ უცბად მზის მიერ მოფენილი ნათელი მის ნათელთან მოსატანიც არ იყო, ისე ასხივებდა თავის თეთრ კაბაში, მხრებზე ღია წითელი შარფი მოეხურა. მისი კაბის ჭრილი მოკრძალებული იყო, გვერდით მდგომი ქალბატონებისას სულ არ ჰგავდა. ეს იყო ულრიკე — ლოტე“.

შემოდგომის ფოთლების ჭკნობამ ამ მოულოდნელ სიყვარულსაც მოსტაცა ფერი. ლევეტცოვები მარიენბადიდან გაემგზავრნენ. ვალზერი ნიუანსურად აღწერს გოეთეს სასოწარკვეთილებას და საშინელი სიცივის შეგრძნებას, სწორედ ამ წუთებში მას გაუელვებს ფიქრი, რომ აუცილებელია მეათე მცნების დამატება: არ შეიყვარო! „უსიყვარულოდ, ე.ი. ტკივილის გარეშე!“ და უეცრად მან საოცარი სიმსუბუქე იგრძნო: „მთელი სამყარო მხოლოდ ის იყო თავად, სიმსუბუქით აღვსილი, ან იქნებ ღვთიურის შეგრძნებით. როგორც იქნა, დაიბრუნა დაკარგული წონასწორობა! ნუთუ ესაა სულ! — გაიფიქრა გოეთემ და ჩაეძინა“.

მკითხველი კი რომანს აღიქვამს, როგორც ულამაზეს სიზმარს.

ეს შესანიშნავი რომანი ქართველი მკითხველისთვის ხელმისაწვდომი გახადა ჩინებულმა მთარგმნელმა მაია მირიანაშვილმა, რომელიც თავისი ახალი თარგმანებით, დარწმუნებული ვარ, კიდევ არა ერთხელ გაგვახარებს.

ზურაბ მარშანია

# დიპლომატიური მეგობრობა

## და მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია

ალბათ უცნაურად მოეჩვენება მკითხველს ამ პატარა მონათხრობის სათაური, რომელიც ჩემი თითქმის ოცწლიანი დიპლომატიური კარიერის ორ სხვადასხვა, მაგრამ ერთ კონკრეტულ რაღაცასთან დაკავშირებულ ეპიზოდს ეხება.

აბა რას მიქვია დიპლომატიური მეგობრობაო? მეგობრობა ხომ მეგობრობაა, საერთაშორისო ასპარეზზე იქნება თუ ქვეყნის შიგნითო! ან ეს მექსიკის ინსტიტუციურ — რევოლუციური პარტია რაღა ჯანდაბააო. სად მექსიკა და სად საქართველოო, სამართლიანად გაიკვირვებს ბევრი.

თუმცა რაოდენ გასაოცარიც უნდა იყოს, მაინც შევეცდები დავარწმუნო მკითხველი, რომ დიპლომატიურ მეგობრობასა და ინსტიტუციურ-რევოლუციურ პარტიას შორის, ისევე როგორც მექსიკასა და საქართველოს შორის, რაღაც კავშირი უთუოდ არსებობს.

დავიწყებ იმით, რომ დიპლომატები მთელ მსოფლიოში არიან განთქმულნი თავიანთი მაღალინტელექტუალურობითა და ელიტური სულისკვეთებით, რაც თავისთავად გულისხმობს მათ წრეში განსაკუთრებით ძლიერად გამოხატული კოლეგიალობისა და კორპორატიული სოლიდარობის არსებობას.

შემთხვევითი არ არის, რომ არათუ ერთი, სხვადასხვა ქვეყნის დიპლომატებიც კი, ისე არიან შედუღაბებულნი თავიანთი პროფესიით, რომ მიუხედავად ერთი სახელმწიფოდან მეორეში გაუთავებელი გადაბარგებისა, მთელი ცხოვრება ინარჩუნებენ ერთმანეთთან თბილ და მეგობრულ ურთიერთობებს.

საზღვარგარეთ მყოფი დიპლომატები როგორც წესი ერთ, მეგობრულ ოჯახად ცხოვრობენ. არსებობს ლამაზი და კეთილშობილი ტრადიციაც — იმ კოლეგების საზეიმო და ერთობლივად გაცილება სამშობლოში, რომელთაც მივლინების ვადა უკვე ამოეწურათ.

დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები ჩვეულებრივ ყოველ წელიწადს იკრიბებიან ადგილსამყოფელი სახელმწიფოს მეთაურის რეზიდენციაში და იღებენ სამახსოვროდ კოლექტიურ ფოტოსურათს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირადად მე არაერთ ასეთ ფოტოსურათს ვინახავ სათუთად ჩემ ფოტოარქივში.

ყველა სახელმწიფოში არსებობს დიპლომატიური კორპუსის დუაიენი, ანუ არაოფიციალური ლიდერი (როგორც წესი ამ საპატიო თანამდებობაზე უცხო სახელმწიფოში ყველაზე ხანგრძლივად მომუშავე დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელს ირჩევენ), რომელიც არამარტო კოორდინაციას უწევს ერთობლივი, არაფორმალურ-მეგობრული ღონისძიებების ჩატარებას, არამედ ეხმარება კიდეც ყოფითი პრობლემების მოგვარებაში ამ ქვეყანაში აკრედიტებული უკლებლივ ყველა საელჩოს უცხოელ თანამშრომელს.

 აი ასეთია დიპლომატებს შორის არსებული მეგობრობის მსოფლიოში მიღებული და წარმატებით აპრობირებული პრაქტიკა.



2001 წელი, ლიტვაში აკრედიტებული დიპლომატიური მისიების ხელმძღვანელები ამ ქვეყნის პრეზიდენტთან ვალდას ადამკუსთან (ქვემოდან პირველ რიგში მარცხნიდან მეორე). ქვემოდან მეორე რიგში მარჯვნიდან მეორე — ზურაბ მარშანია, ხოლო ზემოდან პირველ რიგში მარჯვნიდან მეხუთე — აშშ-ს ელჩი ჯონ ტეფტი.

არც ჩვენი ქვეყანა უნდა იყოს წესით გამონაკლისი, ვინაიდან მოქმედ ქართველ დიპლომატებს შორის დღესაც კი შეიძლება გამოვარჩიოთ არაერთი უზადო პროფესიონალი და რაფინირებული ინტელექტუალი. თუმცა ყველასათვის გასაგებ მიზეზთა გამო ელიტარულ ქართველ დიპლომატთა რაოდენობა დღითიდღე ილევა შაგრენის ტყავის მსგავსად.

საქართველოს საგარეო-პოლიტიკურ სამსახურს ჩემი შრომითი საქმიანობის თითქმის ორი მესამედი შევალიე, აქედან თორმეტი წელი საზღვარგარეთ ვიმუშავე ჩვენი ქვეყნის ოთხი დიპლომატიური მისიის ხელმძღვანელად. როგორ შეიძლებოდა ორი ათეული წლის განმავლობაში კოლეგებს შორის თანამოაზრეები და მეგობრები არ გამეჩინა?

დავახლოვდი კიდეც ბევრთან. განსაკუთრებით თბილი ურთიერთობა კი ორ ქართველ კოლეგასთან ჩამომიყალიბდა. გულწრფელად მივიჩნევდი ორივეს არამარტო ერთგულ თანამებრძოლად ჩვენი სამშობლოსათვის ძალიან რთულ და უმრავლესობისათვის უხილავ დიპლომატიურ ბრძოლის ველზე, არამედ მეგობრადაც.

არცერთს მათგანს არ მოუცია ჩემთვის საფუძველი საპირისპირო მეფიქრა, მანამდე, სანამ ჩვენ შორის მურმანის ეკალივით არ გაიზარდა... დიახ, დიახ! არ გაგიკვირდეთ: მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია!

ეს პარტია შორეულ მექსიკაში 1929 წელს შეიქმნა. როგორც სახელწოდებიდან ჩანს, ის მექსიკური რევოლუციის ნაყოფია, რომელიც თავის მხრივ იყო ლოგიკური შედეგი იმ შიდა არეულობისა, რომელმაც მე-19 საუკუნის ბოლოს მოიცვა ეს ქვეყანა გენერალ პორფირიო დიასის მრავალწლიანი დიქტატურის დასრულების შემდეგ. სხვათა შორის სწორედ პორფირიო დიასს ეკუთვნის ცნობილი გამოთქმა: ეჰ საცოდავო მექსიკავ! რა შორსა ხარ ღვთისაგან და რა ახლოს — ამერიკის შეერთებულ შტატებთან!..

ისე, მექსიკის ცხონებულ დიქტატორს საიქიოდან ოკეანისა და კავკასიის ქედს მიღმა ცალი თვალით გადმოხედვა რომ შეეძლოს, ნამდვილად შეიცვლიდა აზრს გეოგრაფიული სიახლოვისთვის ესოდენ გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭების თაობაზე.

მექსიკისაგან განსხვავებით, ჩვენი ქვეყანა ღვთისგანაც და ამერიკის შეერთებული შტატებისგანაც ერთნაირად შორს არის, მაგრამ სულ არ შეუშლია ამას ხელი ჯორჯ ბუშ უმცროსისა და მისი ადმინისტრაციისათვის ზუსტად ისევე აერ-დაერიათ ვითარება საქართველოში, როგორც ოსტატურად ახერხებდნენ ამას მათი წინაპრები მეზობელ მექსიკაში.

ტერიტორიებიც რომ ერთი და იმავე ოდენობით დავკარგეთ! ტეხასი და კალიფორნია ხომ შეადგენდა, ამერიკელთა მიერ მათ გადაყლაპვამდე, მექსიკის ტერიტორიის ოც პროცენტზე მეტს, ზუსტად იმდენს, რამდენსაც აფხაზეთისა და სამაჩაბლოს ტერიტორია შეადგენდა საქართველოსთვის? ის არის მხოლოდ, რომ ჩვენსას ეს ავაზაკობა უფრო განაფულად — რუსეთის რეგვენი ხელისუფლების ხელებით გაკეთდა.

მექსიკის რევოლუცია განსაკუთრებული სისასტიკითა და უაზრობით გამოირჩეოდა. მისი აბსურდულობა იქამდეც კი მივიდა, რომ რევოლუციურმა ხელისუფლებამ სისხლისაგან დაცლილი ამ უზარმაზარი ქვეყნის გადარჩენის ყველაზე ეფექტურ გზად, არც მეტი და არც ნაკლები, ქრისტიანული რელიგიის დევნა და სამღვდელოების ფიზიკური განადგურება მიიჩნია!

საბედნიეროდ მექსიკელ ხალხს (ზოგიერთ სხვა ერისაგან განსხვავებით) ეყო ვაჟკაცობა, სწრაფად დაეღწია თავი როგორც რევოლუციური გონების დაბინდვისათვის, ასევე რევოლუციური ხელისუფლებისათვის. სახსოვრად შავბნელი პერიოდისაგან კი მექსიკელებს პარტიის სახელწოდებაღა დარჩათ. სწორედ იმ ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიისა, რომელიც 80 წლის განმავლობაში მართავდა მათ სახელმწიფოს!

მართალი გითხრათ, ძნელად მეჯერება, როგორ შეიძლება დემოკრატიულ ქვეყანაში ამდენ ხანს დარჩეს ხელისუფლების სათავეში ერთადერთი პარტია. ორი რამ შეიძლება ვივარაუდოთ მხოლოდ. ან მექსიკელი ერია ძალიან შორს არა მარტო ღვთისაგან, როგორც პორფირიო დიასი გვარწმუნებდა, არამედ გონიერებისგანაც, ან კიდევ, ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია ყოფილა საკმაოდ ორგანიზებული.

ამ უკანასკნელ ვარაუდს მართალი გითხრათ, საკმაოდ სკეპტიკურად ვუყურებდი, მაგრამ ცხოვრებამ საპირისპიროში დამარწმუნა.

ათიოდე წლის წინათ საზღვარგარეთ ვმუშაობდი და იშვიათად მიწევდა სამშობლოში ყოფნა. მით უფრო გამიხარდა ერთ ჩემ ქართველ კოლეგასა და მეგობართან (რომელიც დღესაც მოღვაწეობს დიპლომატიურ სარბიელზე ძალიან მაღალ თანამდებობაზე) თბილისში შეხვედრა და საუბარი, რომლის დროს რატომღაც მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია ვახსენე (ნამდვილად არ ვიცი, რასთან დაკავშირებით). რაოდენ დიდი იყო ჩემი გაკვირვება, როდესაც ჩემ თანამესაუბრეს ამის გაგონებაზე სახე შეეცვალა და გაფითრდა. რა მოგივიდა-მეთქი რომ ვკითხე, წაილუღლუღა მხოლოდ: ამ პარტიის სახელი პირველად გავიგე და ამიხსენი ერთი, რა არისო. როცა დეტალურად ავუხსენი, საუბარი შეწყვიტა, ცივად გამომემშვიდობა და მითხრა: იცოდე ფრთხილად იყავიო.

ნამდვილად არ მივაქცევდი ამ ეპიზოდს ყურადღებას, ჩემ მიერ მეგობრად ნაგულები კოლეგა ამის შემდეგ მტრად რომ არ გადამკიდებოდა. ხელიდან არ უშვებდა წლების განმავლობაში ეს კაცი შემთხვევას, ჩემთვის რომ არ ეკბინა. შეურაცხყოფას ვერ მაკადრებდა, მაგრამ ყოველთვის ცდილობდა ჩემ დისკრედიტაციას. ვერ ვხვდებოდი რატომ. რამდენჯერმე შევეკითხე კიდეც. პასუხს კი ვერ ვეღირსე. ყველაფერი იმით დასრულდა, რომ ამ პიროვნებამ, როგორც კი მას თანამდებობრივად ამის საშუალება მიეცა, ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის ხსენებიდან ზუსტად ექვსი წლის თავზე ყველაფერი იღონა იმისათვის, რომ დიპლომატიური სამსახურის მიღმა დავრჩენილიყავი. თუმცა მიუხედავად ამ მეგობრული ძალისხმევისა, მაინც შევრჩი ჩვენი ქვეყნის საგარეო-პოლიტიკურ უწყებას. საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მძიმე მოვალეობების შესრულებამ და 2008 წლის აგვისტომ დამავიწყა ჩემი უღირსი კოლეგაცა და მექსიკის ავადხსენებული ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიაც.

თურმე სულ ტყუილადაც! ეს მაშინ გამახსენდა, როდესაც სუფრაზე მოვხვდი ასევე მეგობრად ნაგულებ მეორე ქართველ კოლეგასთან. ოფიციალური სადილი იყო და ბევრს ვერ დავლევდით. გვერდი-გვერდ ვისხედით და ვსაუბრობდით ჩვენს სამშობლოზე. ჩემმა კოლეგამ საფუძვლიანი წუხილი გამოთქვა ავტორიტარული ტენდენციების მომძლავრების გამო საქართველოში. ნამდვილად არ იყო შესაფერისი მომენტი პოლიტიკური დისპუტის გასამართავად, მაგრამ მეგობარს კვერი მაინც დავუკარი და ერთი შევნიშნე მხოლოდ: იმედი მაქვს, ჩვენი სამშობლო მექსიკას არ დაემსგავსება, სადაც ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტია 80 წელი იყო ხელისუფლების სათავეშიო.

ჩემმა მეგობარმა (რომელიც დღესაც მაღალ დიპლომატიურ თანამდებობაზე მუშაობს საზღვარგარეთ) გამიღიმა და მითხრა: თურმე როგორი საინტერესო რაღაცეები გცოდნია, რაზედაც მე აზრზეც არ ვიყავიო.

კი გამიღიმა ტკბილად, მაგრამ იმავდროულად დეჟა-ვიუს შეგრძნებამ გამკრა მწარედ. ვიგრძენი, რომ იმ დაწყევლილი ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიის წყალობით კიდევ ერთი მტერი შევიძინე.

დიდი დრო არ გასულა ამ საუბრის მერე, რომ ამ პიროვნების აქტიური ძალისხმევით ჩემი თითქმის ოცწლიანი დიპლომატიური კარიერა ამჯერად უკვე საბოლოოდ დასრულდა.

კინაღამ დავიჯერე ამ პარტიის სახელთან დაკავშირებული მისტიკური ძალების არსებობა, მაგრამ საბოლოოდ ჩემში მაინც გონიერმა საწყისმა იმძლავრა და შევეცადე მომხდარისათვის რაციონალური ახსნა მომეძებნა.

ბევრი ვიფიქრე და ერთ დასკვნამდე მივედი.

მადლიერი უნდა ვიყო თურმე მექსიკის ინსტიტუციურ-რევოლუციური პარტიისა, ვინაიდან სწორედ მისი წყალობით გახდა ჩემთვის ნათელი, რომ როგორც დიპლომატიურ ავადმყოფობას არ აქვს არაფერი საერთო ნამდვილ ავადმყოფობასთან (დიპლომატიურ ავადმყოფობის ქვეშ გულისხმობენ ვითომდა შეუძლოდ ყოფნის მომიზეზებით ამა თუ იმ სახის პასუხისმგებლობისაგან თავიდან აცილების მცდელობას), ისე არ აქვს საქართველოში დიპლომატიურ მეგობრობას არაფერი საერთო ჭეშმარიტ მეგობრობასთან. ზოგიერთი ქართველი დიპლომატისათვის თანამემამულე-კოლეგებთან ურთიერთობებისას მთავარი ხომ ბოღმა, შური და გაუტანლობაა და არა მთელ მსოფლიოში დიპლომატებს შორის მიღებული ურთიერთპატივისცემა და მეგობრული თანადგომა.

შეიძლება ზოგიერთმა გამამტყუნოს კიდეც და კონსტანტინე გამსახურდიას „დიდოსტატის მარჯვენაც“ მოიშველიოს, სადაც რომანის ერთი პერსონაჟი ასე არიგებს ჭკუას მეორეს: ბრძენი უნდა იყო და შლეგად უნდა მოაჩვენო ყველას თავი.

არ ვიცი, მაგრამ ქართველ კოლეგებსა და თანამებრძოლებთან მეგობრული და გულახდილი საუბრისას ამ სრულიად გაუგებარი ვითომდა სიფრთხილის გამოჩენას ის არ აჯობებდა, დიპლომატიურ სამსახურში გაუნათლებელი მოხელეები რომ არ გვყავდნენ?

ნეტავ როდემდე გაგრძელდება ასე საქართველოში?

კარლო ფაჩულია

# „მადლი ჰქენი, ქვაზე დადე“

**— თქვენი აზრით რა არის უკიდურესი გაჭირვებული მდგომარეობა?**

— თავის მოკვლის სურვილი რომ გაგიჩნდება.

**— სად ისურვებდით ცხოვრებას?**

— ქუთაისში, თბილისში.

**— რა არის უმაღლესი ბედნიერება?**

— სულიერი სიმშვიდე, როდესაც დარწმუნებული ხარ რომ ახლობლები კარგად არიან და ქვეყანაც არ ინგრევა საბოლოოდ და შემოქმედების ხალისიც არაა დაკარგული, და რაც მთავარია როდესაც გრძნობ ადამიანებისგან სითბოს.

**— თქვენი საყვარელი ლიტერატურული პერსონაჟები?**

— ოთარაანთ ქვრივი, ანა ფრანკი, ოლღა ბებია.

**— თქვენი საყვარელი ისტორიული პერსონაჟი?**

— ბავშვობაში მიყვარდა გიორგი სააკაძე (ფილმის გამო). ახლა არც ვიცი.

**— თქვენი საყვარელი მხატვარი?**

— ნინო ზაალიშვილი

**— თქვენი საყვარელი კომპოზიტორები?**

— ზაქარია ფალიაშვილი, რევაზ ლაღიძე, ბიძინა კვერნაძე.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად მამაკაცში?**

— ულალატობას, გაჭირვებულის გვერდში დგომას.

**— რომელ თვისებებს აფასებთ ყველაზე მეტად ქალებში?**

— სიყვარულს, ერთგულებას.

**— რომელი ადამიანური სათნოებაა თქვენთვის უფრო მომხიბლავი?**

— შემწყნარებლობა.

**— თქვენი საყვარელი საქმიანობა?**

— მთავარი ხატვაა.

**— თქვენთვის ნაცნობი რომელი ადამიანი გინდოდათ ყოფილიყავით?**

— რაცა ვარ, ესა ვარ.

**— თქვენი ხასიათის მთავარი თვისება?**

— წინათ სიმშვიდე, თავშეკავება. ახლაც ვერ ვიტან ცეცხლზე ნავთის დასხმას, მაგრამ უფრო ემოციური გავხდი და ხანდახან ფეთქებადი.

**— რას აფასებთ ყველაზე მეტად მეგობრებში?**

— მეგობრის საკუთარ თავზე წინ დაყენებას.

**— თქვენი მთავარი ნაკლი?**

— ყველას მიმართ მიმტევებლობა. დასასჯელი უნდა დაისაჯოს.

**— თქვენი წარმოდგენა ბედნიერებაზე?**

— ჩემი ორი ძალიან ლამაზი შვილიშვილის — ბარბარეს და ქეთის — ბედნიერება, ახლობლების კარგად ყოფნა. შემოქმედებითი მუშაობის შესაძლებლობა.



კარლო ფაჩულია

**— რა იქნებოდა თქვენთვის ყველაზე დიდი უბედურება?**

— ახლობლების დაკარგვა. ძმათამკვლელი ომის განმეორება.

**— როგორი გინდოდათ რომ ყოფილიყავით?**

— უკეთესი იქნებოდა 1942 წელს მამაჩემი II მსოფლიო ომში არ დაღუპულიყო. გავიზარდე უმამოდ, რაც გულს მტკენდა. გარშემომყოფთ ყველას მამა ჰყავდა და მეც მინდოდა, რომ მყოლოდა. უმამობა რომ არა, ალბათ უფრო ლაღი და თავისუფალი, უკეთესი "ბიჭი" ვიქნებოდი.

**— თქვენი საყვარელი ფერი?**

— გამორჩეული არა მაქვს. ბევრი ფერი მომწონს. ყველა ფერი თავის ადგილზე ლამაზია.

**— ყვავილი, რომელიც ყველაზე მეტად გიყვართ?**

— ყველაზე მეტად მომწონს ყვავილი, რომლის სახელი არც ვიცი. ვისაც ვკითხე, არც იმათ იციან.

**— თქვენი საყვარელი ფრინველი?**

— ბეღურა. ყოველ დილით ჩემი ფანჯრის წინ ხის ტოტზე რომ ჩამოჯდება და ჭიკჭიკებს, ჩემს შვილიშვილ ბარბარეს ძალიან უხარია.

**— თქვენი საყვარელი მწერალი?**

— ნიკო ლორთქიფანიძე, დავით კლდიაშვილი, ალექსანდრე ყაზბეგი; XX საუკუნიდან ლევან გოთუა და ოთარ ჩხეიძე. უცხოელთაგან ჯერომ სელინჯერი.

**— თქვენი საყვარელი პოეტები?**

— "შოთა, ილია, აკაკი, ვაჟა და გალაკტიონი", ნიკოლოზ ბარათაშვილი, გიორგი ლეონიძე, ანა კალანდაძე.

**— საყვარელი ლიტერატურული გმირი ქალები?**

— ანა ფრანკი. ამ ერთდროულად რეალური და ლიტერატურული პერსონაჟის გახსენებაზე მძაფრი სიბრალული მიპყრობს.

**— საყვარელი გმირები რეალურ გარემოში?**

— ასეთები ბევრია: ილია, ექვთიმე თაყაიშვილი, პავლე ინგოროყვა...

**— საყვარელი გმირი ქალი ისტორიაში?**

— თამარ მეფე.

**— საყვარელი სახელები?**

— მარიამი, ბარბარე, ქეთევანი, ნინო, ირაკლი, მარიკა, ბაბო, ეგნატე (ამ სახელის ხსენებით, ასე მგონია, პატივს მივაგებ ბაბუაჩემის ეგნატე ფაჩულიას ხსოვნას, რომელიც დახვრიტეს 1924 წელს).

**— რას ვერ იტანთ ყველაზე მეტად?**

— ამბიციურობას, ყოყლოჩინობას.

**— ისტორიული პიროვნება, რომელმაც თქვენი ზიზღი დაიმსახურა?**

— ილიას მკვლელები. ვინც უდანაშაულო ადამიანების დასჯისა და დახვრეტის ბრძანებებს გასცემდა.

**— საომარი მოქმედება, თქვენი აზრით ღირსი მეტ-ნაკლები აღტაცებისა?**

— ადამიანების ხოცვით აღტაცება წარმოუდგენელია. ყველა ომი მეჯავრება. ვისთვის ზეიმად იქცევა, ვისთვის დაუსრულებელ გლოვის დღედ.

**— რეფორმა, რომელსაც თქვენ განსაკუთრებით უმაღლეს შეფასებას აძლევთ?**

— უსახლკაროების ბინებით (ეს იმედია მომავალში იქნება), მხატვრების სახელოსნოებით დაკმაყოფილება (ეს წარსულში იყო).

**— ნიჭი, რომელსაც გინდათ რომ ფლობდეთ?**

— რომელიც საერთოდ არ გამაჩნია — კომპიუტერთან მუშაობის.

**— როგორი გინდოდათ რომ მომკვდარიყავით?**

— არაფერი არ მქონდეს მოსანანიებელი.

**— თქვენი სულიერი მდგომარეობა ამჟამად?**

— აფორიაქებული. ტელევიზიაში ამდენი "ბრძენი" პოლიტიკოსის შემყურე. (გადავწყვიტე აღარ ვუყურო).

**— ქმედებანი, რომლებიც თქვენს შემწყნარებლობას იმსახურებენ?**

— უნებლიე დანაშაული.

**— თქვენი დევიზი?**

— "მადლი ჰქენი, ქვაზე დადე, გაიარე, წინ დაგხვდება".

**— თუკი ოდესმე შეხვდებოდით ღმერთს, რას ისურვებდით, რომ მას თქვენთვის ეთქვა?**

— თქმა არ მინდა, მხოლოდ მოწყალე მზერა.



ქარდა ქარდუხი

# ძაფზე მოფარფატე სული

***

გუდუნა სევდიანად მღერის, გულდაგულ დასრიალებენ მისი განაფული თითები სიმებზე. ეტყობა, საკუთარი გამოცდილებიდან დაასკვნეს, სულსაც ეამება სიმღერაო, აკი უბრალო მოკვდავთ გვსიამოვნებს... ხომ ამბობენ, სულს უხარია, ისე მღერისო ... მაგრამ სისულელეა ყველაფერი გონების რეალური გამოცდილებით მიეღოთ, მაშინ საოცრად უბრალო და მინიერი გამოდის სულის წამოყვანის რიტუალი. და საერთოდ ეს ჩვევა ნეტავ, პრიმიტიულობამდე დასული რწმენა იყო ჩემი პირველყოფილი წინაპრებისა თუ ამ პრიმიტიულობის იქით იდგა მისტიკური რამ სიღრმე, ვარსკვლავთა შორეული ციალივით?! ხომ მგონია, რომ მითაჟამიდან მოაქწამამდე იოტისოდენადაც არ შეცვლილა რამე ადამიანის სულისკნელში, ოდნავადაც არ გაზრდილა კაცის სული, თუკი არ დაკნინდა კიდეც! მაშ ჩვენც ხომ იგივე პრიმიტივები ვართ, განა მათზე მეტი გაგვეგება სულისა? ჩვენი წინაპრებივით ჩვენც არ გვჯერა და გვაძრწუნებს ძაღლის ყმუილი, ვითარცა უბედურების მომტანი. მამალი კისერს მაღლა სწევს და ბუმბული ექოჩრება — დაიყივლოს უნდა თითქოს, მაგრამ არა: შეშდება კარგა ხანს და გარინდული აჩერდება ღამეს სარკმლის მიღმა. მთვარისა ნაზიას ეჩურჩულება რაღაცას და მამლისკენ ანიშნებს. ან ეს საიდან მოიგონეს? როგორ სწამთ? პირველად მამალი გებულობს სხეულიდან სულის მოსალოდნელ ლტოლვას, ამიტომაც ეშინიათ მისი დღისეული ყივილისო. რატომ ირწმუნეს, რომ ფრინველს წამოყვებოდა სული? იმად ხომ არა, რომ ჩვენანდელებს სულები მაინც ბოროტ არსებებად მიაჩნდათ. ეშინოდათ? ეტყობა, ყველა ფიქრს იქითკენ მივყავართ, რომ უმწეობაზე, საკუთარ უსუსურობაზე ძრწოლამ და შიშმა შთააგონათ ეს საკრალური წესი, აი, თუ გინდა მიწიერი ახსნა ამ პრიმიტიულობისა, უხსოვარი, მისტერიების საუკუნეებიდან რომ შემოუნახავთ და სულის მოსაოხებლად თუ გასამხნევებლად ცხოვრების უდიდესი ნაწილი მიუწყავთ. უცებ მაჟრჟოლებს... ჰმ, ერთი გაჟრჟოლება და ამდენი ხნის წვალებით მოქუჩულ გულისთქმათა ნაყოფი უკვალოდ გამეფანტა, და ასეთ ძრწოლას მარადიულად განა გავუძლებდი?

***

მიუხედავად იმისა, რომ სხვებზე მეტად მე დამაბნია ნათიას ასე მოულოდნელად ჩამოსვლამ სოფლად ზამთრის არდედეგებზე, პირველად მაინც მე მომიწია მისთვის ხელის ჩამორთმევა და კოცნა; გაღიმებული იდგა კარებში, ფუმფულა პალტო თოვლის ფიფქებს დაეთრთვილა და ღია კარში, თოვლიანი ამინდის ფონზე უფრო ლამაზი მოჩანდა.

მეორე კურსზე იყო ნათია. კაი სამი თვე იქნებოდა რაც არ ჩამოსულიყო თბილისიდან და, რა თქმა უნდა, მეც არ მენახა. ცოტა არ იყოს მოვიწყინე, რადგან წუთი-წუთზე უნდა წავეყვანე დედას სკოლაში; დაწყებით ჯგუფში ვიყავი, საახალწლო ზეიმი იმართებოდა და მეც უნდა გამოვსულიყავი, რაღაც ერთი ციდა ლექსი მქონდა, თუმცა ისიც ძარღვებს მიშლიდა, საოცრად არ მინდოდა მისი წაკითხვა: წინასწარ მაკანკალებდა სცენაზე რომ წარმოვიდგენდი თავს, ასობით წყვილი თვალი რომ მომაჩერდებოდა. უკვე გამოცდილი მქონდა ერთხელ და ისეთმა შეგრძნებამ დამიარა მაშინ, თითქოს დასახვრეტად კედელს ვყოფილიყავი მიყრდნობილი. ისე კაცმა რომ თქვას, საიდან უნდა მცოდნოდა, დასახვრეტ კაცს როგორი შეგრძნება ჰქონდა, მაგრამ კინოში მქონდა ერთი ეპიზოდი ნანახი, მაშინ იმ კაცის ადგილზე ჩემი თავი წარმოვიდგინე და გამაჟრჟოლა, სწორედ ასევე დამემართა სცენაზე ყოფნისას, ამიტომაც მეზარებოდა სასწავლებელში წასვლა, თან სამი თვის უნახავი ნათიას დატოვება არ მინდოდა.

—დედა, მოიცა, მე წავიყვან ოდის,—უეცრად უთხრა ნათიამ დედას და მე სიხარულისაგან ავიწურე.

—რა გინდა, გოგო, ახლა იქ, დაღლილი ხარ, მოისვენე,—უთხრა მამამ.

—რამ დამღალა, მე წავიყვან: მაინტერესებს, როგორ გამოვა.

ნათიამ ჩემოდნიდან ახალი ჯინსები ამოიღო, ჩემთვის ნაყიდი. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა; მეშინოდა, სიზმარში არ ვყოფილიყავი. ნათიამ ჯინსები ჩამაცვა, თბილი ფეხსაცმლები მაგრად შემიკრა და მოკლე პალტო მომახურა, რომელიც შარვლის ჯიბეებამდე მწვდებოდა.

გარეთ ისევ ბარდნიდა. მე ერთი ხელი ნათიასთვის მქონდა ჩავლებული, მეორე ჯიბეში მედო. თოვლი ძალიან მიყვარდა და ახლაც ვერ მოვითმინე, კისერი მოვღრიცე და ცას მივაჩერდი: სახეზე თოვლის ფიფქები მომაწყდნენ და იძულებული გავხდი თვალები დამეხუჭა: თეთრი ბურუსის გარდა ვერაფრის დანახვა ვერ მოვასწარი.

—დაწიე, ბიჭო, თავი,—გაეღიმა ნათიას და ხელი ჩამომქაჩა. მე სწრაფად დავხარე თავი.

ქუჩაში ბიჭები იდგნენ. ორს მხარზე სანადირო თოფი ჰქონდა გადაკიდებული. ჩვენს დანახვაზე ყველანი გამოცოცხლდნენ.

—ვახ, ეს ვინ მოსულა!—წამოიძახა სიცილით ავთომ, ნუნუს მეუღლემ,—აბა, ჯარიმა თბილისელს!—ავთომ თოვლის მოზრდილი გუნდა აიღო და ისე მოიქნია, ვითომ ისროლა.

—ავთო, არ მესროლო!—წამოიძახა ნათიამ, სახე ხელებში ჩამალა და უკან შემობრუნდა ჩემკენ. ბიჭები ახარხარდნენ. მე გავბრაზდი და მივაძახე:

—ბოთე!—ბიჭები უფრო ახორხოცდნენ, ნათია გამიწყრა.

ავთომ ნათია სიხარულით გადაკოცნა და თავით მკერდზე მიიხუტა. შემდეგ გურამმა და ტარიელმა აკოცეს, ვარაზმა კი ხელი ჩამოართვა, თან მარცხენათი თოფი მიიმაგრა მხარზე.

—შენ რა ვაჟკაცი ხარ?!—ვითომ გამიწყრა ავთო, თოვლი მოხვეტა მარცხენათი და ის-ის იყო სახეზე უნდა მოეყარა ჩემთვის რომ ნათიამ მოასწრო და ხელები ამაფარა: თოვლი ტანსაცმელზე გამებნა.

* გაგრძელება. იხ. „ჩვენი მწერლობა" №1

ეროვნული ბიბლიოთეკა

—ავთო, ხომ არ გაგიჟდი, გაცივდება!—იყვირა ნათიამ, მე ვიცინოდი.

—სად, მიგყავს?—იკითხა გურამმა.

—დღეს საახალწლო ზეიმი აქვს და უნდა გამოვიდეს.

—ამხელა კაცი ზეიმზე გამოდის? ბიჭო, შენ ახლა უკვე უნდა ნადირობდე, — სერიოზული ტონით მითხრა ტარიელმა და თავის თოფს გადახედა.

—მომე თოფი და ვინადირებ!—ვთქვი გაგულისებით. ისინი ისევ ახარხარდნენ. მე გავბრაზდი,—მასროლინე თუ არ გჯერა!—ვიყვირე განიწმატებულმა.

—ოდი!—საყვედურით გადმომხედა ნათიამ.

—მასროლინე, რა!—შევეხვეწე ჯიუტად.

—მოდი გასროლინებ,—მითხრა ვარაზმა და თოფი ჩამოიხსნა მხრიდან. მე ნათიას გავუსხლტი და მისკენ გავიქეცი.

—ვარაზ, არ გინდა!—იყვირა ნათიამ.

—მოიცა, არაფერი უჭირს!—თქვა ავთომ.

თოფი კონდახით მივიბჯინე მკერდზე, თუმცა სინამდვილეში ვარაზს ეჭირა ორივე ხელით. ლულა ზემოთ მივმართე, ცისკენ. გულს ბაგა-ბუგი გაჰქონდა. სასხლეტს გამოვკარი თითი და იჭექა; თოვლმა თითქოს ჩაახშო ექო და ხმამაც ისე გაიბრძოლა, რეცა ჭიქა გამტყდარიყოს ჩაკეტილ ოთახში.

ნათიამ ხელი ჩამავლო და გამქაჩა. ჩემს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა, ბიჭები იცინოდნენ. მე კი სიამაყით ვუყურებდი მათ.

—წამო, ოდი, თორემ დაგვაგვიანდება.

—მეც იქით მივდივარ,—წარმოთქვა ვარაზმა და ბიჭებს გამოემშვიდობა.

—ვარაზ, თოფი მათხოვე, შენ მაინც ველარ ინადირებ დღეს, — ბიჭებს გაეცინათ და მე შევამჩნიე: ვარაზი აიმლვრა რატომღაც, თოფი უხერხულად გაუწოდა ავთოს. უკან ვიხედებოდა და ისე მივყვებოდი ნათიას. ბიჭებმა ისევ რაღაც უთხრეს ვარაზს და ახორხოცდნენ; ვარაზმა ტყვიების ჩასაწყობი შეიხსნა, ავთოს მიაწოდა და საჩქაროდ დაგვეწია. უხმოდ მივყვებოდით გაკვალულ ბილიკს. სოფელი გადათეთრებული იყო. გაზაფხული გამახსენდა, სახლის აივნიდან რომ გადმოვიხედავდი, ზამთარივით თეთრებში იყო სოფელი ჩაფლული მოყვავილე ტყემლებისა და შინდებისაგან. შემცივნებული ჩიტები ჭყივილით დაფრიატებდნენ ტოტიდან ტოტზე და გულდაწყვეტით გაჰყურებდნენ ონავრების მიერ დაგებულ მახეებში მოთავსებულ საკენკს.

—შენ როდის ამთავრებ, ვარაზ?—დაარღვია სიჩუმე ნათიამ.

—წელს, მეხუთეზე ვარ.

—ახლა რას აკეთებ?

—სადიპლომოზე ვმუშაობ.

—ვარაზ, იცი, მეც ვხატავ!—წამოვიძახე მე.

—ხო?! ყოჩაღ, მე არ მაჩვენებ?—დაინტერესდა.

—რატომაც არა!—არ გავაწბილე. ნათია ილიმებოდა, ვარაზს გაეცინა.

—თბილისში ერთხელაც არ შემხვედრიხარ,—წარმოთქვა ვარაზმა რაღაც იდუმალი ხმით. ნათია ჩუმად იყო, შემდეგ კი უეცრად ჰკითხა:

—ბავშვი როგორაა?—ვიგრძენი, როგორ მოიქუფრა ვარაზი.

—სამი თვეა არ მინახავს...

—ისე, თუ მიაკითხე?

—ვიყავი. არაა შინ, სადღაც წაიყვანა დედამისმაო,—სევდიანად თქვა.

—იქნებ მართლა არ იყო?

—არა, ხმა მესმოდა, ის იყო ნაღდად.

ვიცოდი: ვარაზის შვილზე, გურიზე, საუბრობდნენ, რომელსაც კარგად ვიცნობდი. ის ხომ ზაფხულობით ჩამოჰყავდა ვარაზს, თუ ბოლო ზაფხულს არ ჩავთვლით. ისე ყოველთვის მიკვირდა, ნეტა გურის დედა სად არის-მეთქი, მხოლოდ ბუნდოვნად ვგრძნობდი რაღაცას. როცა დედაჩემს ვკითხე, გურის დედა ძალიან, ძალიან შორსაა და ამიტომ ვერ ჩამოდის სოფელშიო, მითხრა.

—კი მაგრამ, რატომ არ გაჩვენებს?

—არ ვიცი, ეტყობა, იმედი აქვს, შემირიგდებაო, ამიტომ არ მთანხმდება განქორწინებას: ბავშვით მევაჭრება.

მე რიგრიგობით გადამქონდა მზერა ვარაზიდან ნათიაზე და ნათიადან ვარაზზე, ვარაზის ბოლო სიტყვებზე შევნიშნე, ნათიამ რაღაც უცნაურად გახედა და ხმის ამოუღებლად განაგრძო სიარული.

ფეხსაცმლის ყელში თოვლი ჩამებნა, ამოსაწმენდად დავიხარე. ნათია გაჩერდა და მომეხმარა, შემდეგ ისევ განვაგრძეთ გზა.

—სადიპლომოდ რას ხატავ?—ვარაზი წამით შეყოვნდა.

—ასე ვერ აგიხსნი ნათია, თუ არ დაგეზარა შემოდით და დაათვალიერეთ, თითქმის დამთავრებული მაქვს.

—არა, დღეს ვერ მოვასწრებთ.

—ვნახოთ რა, ნათია, ვნახოთ რა?!—შევეხვეწე მე.

—ოდი, დაგვაგვიანდება!—გამიწყრა ნათია, მაგრამ როცა მიხვდა, ვერ დამაწყნარებდა, დათმო — ხო, კარგი: თუ კარგად გამოხვალ, აქითობისას ვნახოთ.

სასწავლებლის დიდი დარბაზი გაჭედილი იყო. გულნაზ მასწავლებელმა: ერთი საათის შემდეგ მომიყვანე ოდი სცენაზეო, — უთხრა ნათიას. ვარაზმა დარბაზში ხელში ამიყვანა და სარკმლის რაფაზე შემომსვა, სადაც უკვე მოკალათებულიყვნენ უფროსკლასელები, ოღონდ ისინი ისხდნენ, მე კი ვიდექი, ერთმა ამრეზით მითხრა: არ დამსვაროო. ვარაზი და ნათია კედელს მიყრდნობილნი ჩუმად უმზერდნენ სცენას. იქ დიდი ნაძვის ხე იდგა, რომელთანაც, თუ არ ვცდები, მეშვიდე ჯგუფელები წითელქუდას ასახიერებდნენ.

ერთი საათი მალე გავიდა და ნათიამ მეც ამიყვანა სცენაზე, თვითონ იქვე დადგა, კულისებში. მე სხვა მოსწავლეებთან ერთად ჩამაყენეს წრეში, ნაძვის ხის ირგვლივ. ვისაც ლექსი უნდა ეთქვა, ერთ ნაბიჯს გადადგამდა ნაძვის ხისაკენ და ამბობდა. უცებ სუსტი, მაღალი ქალი მომიახლოვდა, რომელსაც ძაან წითელი პომადა ეცხო ტუჩებზე და წამჩურჩულა: იმ გოგოს მერე შენ უნდა თქვაო, შევხედე "იმ გოგოს", რომლის შემდეგაც მე უნდა მეთქვა ლექსი და დაველოდე. უკვე სულაც არ მაღელვებდა სცენაზე ყოფნა ნათიას ჩამოსვლითა და ვარაზის სურათების დათვალიერების მოლოდინით გახარებულს, ერთი სული მქონდა, ჩქარა დამთავრებულიყო, და როგორც კი დაამთავრა გოგონამ — რომელზეც მიმითითეს — ლექსი, წამსვე ერთი ნაბიჯი გადავდგი ნაძვისაკენ და ომახიანად, სულ რიხინ-რიხინით წარმოვთქვი ლექსი, შემდეგ ყურადღებაც არ მიმიქცევია ტაშისთვის, ისე დავუბრუნდი ჩემს ადგილს. მალე ჩვენი გამოსვლაც დამთავრდა და მეც ნათიასკენ გავემართე. ნათი-

ამ მაკოცა და: "ყოჩაღ ოდი, რა კარგად გამოხვედიო". სცენიდან რომ ჩამოვედი, ახლა ვარაზმა გადამისვა ხელი ქოჩორზე და შემაქო. მალე სამივემ დავტოვეთ დარბაზი, რომელიც დროდადრო თითქოს ბარბაცებდა ხანგრძლივი ტაშისაგან.

* * *

—ოდი, შვილო, ხომ გითხრა ნაზიამ, გააბი ახლა ძაფი!—ხმამაღლა გამოუდის მთვარისას. რატომღაც ვკრთები, საჩქაროდ ვშლი ძაფის კოჭების პარკს, ერთ თეთრ ძაფს ვიღებ, ვხსნი კოჭს, თავს ვუძებნი, ცოტაზე ვარღვევ და სარეცლის თავზე ვანასკვავ. შემდეგ კარისკენ მივდივარ, გზადაგზა ვხსნი ძაფს. კართან ვჩერდები: ძაფი თეთრად იჭიმება ოთახში, სინათლის შუქზე ზღვის ზედაპირიდან ასხლეტილი, ჩამავალი მზის ათინათივით კრიალებს.

—ეს რა არის?!—გაოცებულ ფერხისას ენა ებმება.

—ეს ძაფია, ამას უნდა გამოყვეს სული ...

—მერედა სანამდე უნდა გააბათ ეს ძაფი?!

—ბოლომდე, ჩვენს სანატორიუმამდე.

—როგორ?!—გაკვირვებული გვიმზერს ფერხისა. მე არაფერს ვეუბნები, ჩუმად ვუყურებ ნაზიას, რომელიც მამალს სვამს ჩანთაში. გუდუნა უფრო მონდომებით მღერის, უცებ ყველანი კარისაკენ მოდიან. ნაზია მლოცველივით ამბობს ხმამაღლა:

—წამოდი, ნათია, გენაცვალე, შენს სახლში წამოდი, შენიანებთან წამოდი, შენ შემოგევლოს ჩემი თავი. არ გაგვიწყრე, ნათია, არ გაგვინაწყენდე, გოლუაფირო, თუკი რამეში შევცდით, გვაპატიე, შურიგე, მხიარულად გამოგვყევი, შურიგე.

ფერხისა და მორიგე გაოცებით უყურებენ ნაზიას, მაგრამ კი არ უკვირთ (რატომღაც მეგონა რომ სიცილი აუტყდებოდათ), ვამჩნევ, რომ ფერხისას ცხვირსახოცი მიაქვს თვალებთან. ძაფს ნელ-ნელა ვხსნი და ისე მივდივარ დერეფანში. აქ ბორანა გვიერთდება, ამ ნახევრად ჩაბნელებულ დერეფანში უფრო ფართოდ გახელილი მოუჩანს თვალები. ისეთი გამოხედვა აქვს, თითქოს მეუბნება: მე არაფერი არ მიკვირს, მე ეს ყველაფერი გამოვცადე, ყველაფერი მინახავსო.

გუდუნა ხმამაღლა მღერის, თუმცა მაინც ისმის ვედრება სულისადმი. ფრთხილად მოვდივარ და დერეფანს მთელ სიგრძეზე ეფინება თეთრი, სუსტი ძაფი, რომელიც მხოლოდ სანთლით განათებულ ადგილას თუ მოჩანს ჩემს სიახლოვეს, შემდეგ კი შავ, ბურუსიან წყვდიადში იკარგება.

* * *

რაღაც ღრმად ჩაფიქრებული მზერა ჰქონდა ბავშვს; ძველი მისტიკოსი ბრძენის თვალებით მიყურებდა. დედამისმა მითხრა, კივილმა შეაშინაო, სამიოდე წლისა გახლდათ და ასეთი გამაყრუებელი წივილ-კივილი არათუ ბავშვს, დიდს დაზაფრავდა, მითუმეტეს, გასვენების დღე იყო. მის წინ ჩავიკუნტე.

—რატომ ტირი, ნუკრი?

—ნათია სადაა?—მკითხა. უცებ დავიბენი და ვერაფერი ვუპასუხე, შემდეგ თავით სანატორიუმის დარბაზისაკენ ვანიშნე, მიცვალებული იქ ესვენა.

—ნათია იმ ოთახშია, ნუკრი.

—იქ ლატომაა?!

—იქ ძინავს, ნუკრი.

—ლატომ ძინავს?—გაბრაზებული მიყურებდა სატირლად გამზადებული თვალებით.

—ძალიან შორს უნდა წავიდეს და ისვენებს,—შევეცადე დამაჯერებელი ხმა მქონოდა და დამემშვიდებინა.

—ალა!—შემომხედა ნუკრიმ გამწყრალი თვალებით და უცებ დასძინა,—თვალები ალა აქვს!

მე წამით გავოგნდი, თითქოს რაღაც მთლიანი რამ ჩამსკდა მკერდში, გაოცებულმა გავიმეორე სიტყვები:

—თვალები არა აქვს?!

თავი დამიქნია:

—ხო, თვალები ალა აქვს, ნათიას!

ნუკრის ხელები გავუშვი და დარბაზში შევლასლასდი. ღმერთო ჩემო, როგორ შენიშნა. მიცვალებულს გავხედე; აქ იყო ნათია, მთელი თავისი სხეულით, თითქოს არაფერი აკლდა, იგივე იყო, მხოლოდ თვალები ჰქონდა დახუჭული და უპეები ჩაწეული, ძლიერ ჩაცვივნული. თვალები ალა აქვს ...რა თქმა უნდა, მთავარი არაა აქ ...მთავარმა დატოვა სხეული და ნათია უკვე აღარაა ნათია ...ეს, სხეული აღარაა ნათია, ნათიამ დატოვა ის... ბავშვმა უცებ შენიშნა... თვალები ალა აქვს ნათიას.

* * *

საავადმყოფოს ეს უკაცრიელი, ჩაბნელებული პალატები, ასე ხშირად რომ ჩანან ღია კარებიდან, დროთა სვლისაგან გაპარტახებულ უძველეს ქალაქს მაგონებს, მიწისქვეშეთში გაშენებულს თითქოს, სადაც ვერ აღწევს დღის მნათობის სინათლე, სადაც წარხოცილა ყოველგვარი კვალი ამქვეყნიური ცხოვრებისა, ადამიანთა ყოფისა, სადაც ეს ორიოდე მანდილოსანიც, რომელთაც აქ სულიერის გამოჩენა რაღაცნაირად მათგან განკიდეგანებულ, ამსოფლიურ ზრახვათ აღუძრავს, სხვა დროის, სხვა ყოფის ქმნილებებია თითქოს, აქ შემთხვევით, მათდაუნებურად მოხვედრილნი, ბოლო, ერთადერთი კავშირიც რომ არ გაწყდეს იმ ნათელი ყოფის ხალხთან, უკანასკნელი ნიშანიც რომ არ დაიკარგოს აქ ამქვეყნიური ცხოვრებისა, თორემ ეს რამდენიმე გაძვალტყავებული, ცალიერ ჩონჩხად ქცეული ავადმყოფი ისედაც სიკვდილისა და მარადიულად მზეგადასულთა საუფლოს ბინადართ აგონებს ადამიანს, გარედან უეცრად შემოჭრილსა და სულ სხვაგვარი რამის მომლოდინეს მითუმეტეს, როცა ღამით მოგიწევს მოსვლა და გარეთ მოციმციმე მნათობთა და ათასობით მორონინე ტიტანთა მიერ განათებულ ზეცასთან შედარებით ასე ჩამუქებული, ჩაშავებული და ბაბაჭუათა ქსელებით დახლართული ჭერი აგეჩეხება; მართლაც ქვესკნელში მოხვედრილად იგრძნობ თავს! ღმერთო ჩემო, აქ განა შეიძლებოდა ვინმე მორჩენილიყო? აქ ნებისმიერი ჯამრთელი განუტევებდა სულს.

—ფრთხილად, კიბეებია!—მეუბნება ფერხისა. კიბის ხარიხებზე სწორად იჭიმება ძაფი და თეთრად ქათქათებს სინათლის შუქზე.

—ეს ძაფი როდემდე უნდა იყოს აქ?—გვეკითხება მორიგე.

—დილამდე ნუ დახევთ, შვილო, თუ შეიძლება. მე მგონი, არაფერში არ შეგიშლით ხელს,—ემუდარება მორიგე ექიმს ნაზია.

—არა, როგორ გეკადრებათ! სწორედ ამიტომ გკითხეთ, ხელსაც არავინ ახლებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ერთი სული მაქვს, როდის გამოვაღწევთ ამ სიბნელიდან, უკვე საოცრად მახრჩობს ათასგვარი წამლების, საპირფარეშოების და, ღმერთო მიშველე, ავადმყოფების სუნი.

* * *

მესამე კლასში ვიყავი, სოფელი რომ შეარყია და დაზაფრა ხმამ, ჩურჩულით სიოს მოჰყოლილმა თითქოს, ვარაზი დაიღუპაო; ასე მოულოდნელად, ტყეში სამშენებლო ხე-ტყის ჩამოსატანად წასული, (ბოლოსდაბოლოს გადაწყვიტა ახალი სახლი დაედგა, როგორც მეზობლები ამბობდნენ), მანქანის ძარაზე, ვებერთელა მორზე შემომჯდარი ჩამოვარდნილა ძირს და ჩამოშლილი ძელები დაქცევია თავს, ხერხემალი გადაუტეხია ერთს, როგორც ჰყვებოდა მეტყევე, სანამ ქოხში შევიყვანდით ცოტახანს კი ედგა სული, მაგრამ სხეული ისე ჰქონდა დაგლეჯილ-დაფლეთილი ...მარჯვენა თეძო გადაყვლეფილს გამოჩრილი ძვალი მოუჩანდაო. რამდენი ვეხვეწეთ, ნუ ახვალ ძარაზე, ჩვენთან ჩაჯექი, ყველანი დავეტევით, გავიჭირვებთ ცოტასო, არ ქნა არაფრით, მე რა მიჭირსო, გაღიმებულმა თქვაო, ტყავის მოსასხამი შემოიხვია და ავიდაო. სწორედ მაგან დაღუპა, გასრიალდა ეტყობა სველ მორზეო.

ძელები სუსტად ყოფილა დამაგრებული ძარაზე, როგორც შემდეგ გაირკვა (მძღოლსაც ამისათვის მიუსაჯეს მერე შვიდი წლით პატიმრობა), სულ პატარა ორმოში ჩაშვებულა მანქანის მარჯვენა წინა საბურავი, ოდნავლა შერხეულა მანქანა, რაც საკმარისი აღმოჩენილა მორების ჩამოსაშლელად. როგორც მეტყევე ჰყვებოდა; არაფერი ეშველა, ვერაფრით გავაჩერეთ სისხლიო, სად გადაგვეხვია, არ ვიცოდით, ისე იყო დაფლეთილიო.

დედაჩემმა თქვა, ამიტომაც იყო, ლამის ცა რომ ჩამოიქცა წუხელისო; ადამიანის სისხლს როგორც კი მიეკარება წვიმა, მაშინვე ჭექა-ქუხილი ატყდებაო. მე მართლაც სამჯერ გამომეღვიძა იმ ღამით: გრგვინავდა, წვიმა კოკისპირულად ასხამდა ციდან, ისხარი ულმობლად აგზავნიდა თავის უთვალავ შვილებს, საოცარი ჭექა-ქუხილი იყო, დროდარო ისე იჭექებდა მეხი, იფიქრებდით, დაიფშვნება დედამიწაო, მხოლოდ მაშინ ჩავწვდი, თუ რატომ მიაჩნდათ ბერძნებს ზევსი ყველაზე ძლიერ ღმერთად. მეორე დღეს მეზობელი ჰყვებოდა: წუხელის ავდექი და ეზოში გადაბრუნებული ტაშტის ქვეშ სარკე და სავარცხელი დავდე, იმწუთას შეწყდა ავდარიო. მიკვირდა, როგორ შეიძლება სარკემ და სავარცხელმა ჭექა-ქუხილი შეაჩეროს-მეთქი?

ბუხართან ვისხედით მე, დედაჩემი, ნუნუ და ნუნუს დედამთილი. გარეთ ისევ წვიმამ დაუშვა. ჩემი და შემოვიდა ოთახიდან, მართა.

—ოხ, რა არიან ეს ქალები; სამძიმარზე რომ შევედით მე და ნუნუ, გავიგონე, ყველა ერთმანეთს ეჩურჩულებოდა "ესაა, ესააო?!" და ჩემზე ათითებდნენ.

დედამ მწარედ ამოიოხრა და თქვა:

—ეჭვად მაინც მცოდნოდა, ეჭვად?!—და მზიას შეხედა,—როგორ ვიფიქრებდი, ცოლშვილიან კაცს შეიყვარებდა ნათია?!

—კარგი რა, დედა!—მწყრალად შეხედა მართამ.

—ჰოი თქვე სულელებო! ამდენი რომ არ გესმით! თქვე საცოდავებო! თქვე საწყლებო!—სინანულით იქნევდა თავს და ლამის იყო მოთქვამდა დედა,—ანდა შენ თუ იცოდი, რატომ ერთი სიტყვით მაინც არ მითხარი?!

—მე არ ვიცოდი!—თავი იმართლა მართამ და ცეცხლს ჩახედა.

—ღმერთო ჩემო, რა ბიჭი გამოაკლდა სოფელს,—ამოიკვნესა მზიამ.

—საცოდავი ვარაზი, შე საცოდავო ბიჭო!—მოთქმით აღმოხდა დედაჩემსაც.

მე საოცრად მსურდა საკუთარ ოთახში შეყუჟულ ნათიასთან გავსულიყავი, მაგრამ ვერაფრით გადამეწყვიტა; მეუხერხულებოდა. ნათია აგერ უკვე მესამე დღე იყო ვარაზის სიკვდილიდან ოთახიდან არ გამოდიოდა, მარტო ბებია თუ შეაკითხავდა და გამოესაუბრებოდა, დედას კი მხოლოდ მოკლე-მოკლე პასუხებს აძლევდა კითხვებზე და თითქოს მშვიდად ეუბნებოდა (მის შეშფოთებულ მზრუნველობაზე), არაფერი არ მტკივაო. მე გულში სასოწარკვეთით მეღიმებოდა, როცა სხვებიც იგივეს იმეორებდნენ, არაფერი უჭირსო. მაოცებდა მათი გულგრილობა და, რაოდენ სასაცილოც უნდა იყოს, რატომღაც ძალიან მაინტერესებდა, თუ ვინ უთხრა ნათიას ვარაზის დაღუპვის ამბავი.

ჯერ იყო და ოთხი დღის წინ ატირებული მოვარდა შინ, მამიდაც გაფითრებული იყო: რაღაც უსიამოვნება შეემთხვა ბაღშიო, და მეტი არაფერი უთქვამს. ნათია კი სწორედ მაშინ შეიკეტა თავის ოთახში, მერე კი, გუშინწინ ვარაზი დაიღუპა (მაინც, მე მგონია, მზია ეტყოდა, რატომღაც ასე მგონია). გუშინ არავის შეუშვია ოთახში; მე ფრთხილად მივდიოდი მის ოთახთან, ისე, რომ არავის არ დავენახე, მაგრამ იქიდან ჩამიჩუმი არ ისმოდა, სრული სიჩუმე სუფევდა, მხოლოდ ერთხელ, შუაღამით, გავიგონე სლუკუნის, შეკავებული ტირილის ხმა.

* * *

როგორც იქნა გამოვდივართ სასახლიდან და საავადმყოფოს ეზოში თითქოსდა დაბლა დაწეული ზეციდან ათასობით მოციმციმე მნათობთა მსჭვალავი ჩხორიებით განათებულ ეზოში ვჩერდებით, ჯერაც ვერ გამოსული ამ დამთრგუნველი შთაბეჭდილებებიდან, რაც ამ საავადმყოფოში ჩამუქებულმა, ჩაშავებულმა ტალანებმა და მათმა მითოლოგიური აგაგებივით ლანდადქცეულმა ბინადრებმა დატოვეს. ისეთი შეგრძნება მეუფლება, საავადმყოფოდან კი არა, საკონცენტრაციო ბანაკიდან გამომელწიოს თითქოს, ადამიანთა სატანჯველი საშინელი მანქანიდან.

დარაჯი სანთლის მბჟუტავი შუქით ოდნავ განათებული ჯიხურიდან მიყურებს, სარკმლის ჩარჩოდან მხოლოდ ნახევარი სახე მოუჩანს და თვალი ციკლოპივით აქვს დაჭყეტილი.

—ულრმესი მადლობა, ქალბატონო,—ეუბნება მთვარისა მორიგეს,—გვაპატიეთ, ასე რომ შეგაწუხეთ.

—როგორ გეკადრებათ!—ხელებს შლის მორიგე.

—გმადლობთ!—ვეუბნები მეც და შემდეგ ვუმატებ, —კარგად ბრძანდებოდით!

—ნახვამდის!—ამბობს ფერხისა, მაგრამ, ეტყობა, ვეღარ კმაყოფილდება ასეთი მშრალი გამომშვიდობებით და მოგვძახის: კეთილი გზა!

ისევ შემზარავი ხმით ჭრიალებს კარიბჭე და მცირედით ილება. ძაფს საჩქაროდ ვხსნი კოჭიდან და გარეთ გამოვდივარ, ვფრთხილობ, ძაფი არ გაწყდეს.

—კოჭში ეს ლურსმანი გაუყარე და თავისით გადმოიშლება,—მეუბნება ბორანა. ჭკუაში მიჯდება და დაჟანგულ

ლურსმანს ვუყრი კოჭში. ლურსმანი მოკლეა, მხოლოდ მცირედი ნაწილი მრჩება ხელში დასაჭერად.

— პატარაა?—მეკითხება ბორანა.

— მგონი, გამოდგება, — ვამბობ დაეჭვებით, — ვცდი მაინც.

— ვაიმე, ჩანთა დამრჩა,—წამოიძახა მთვარისამ,—ღვინის ჭურჭელი და სანთელი რომ ეწყო, ის ჩანთა დამრჩა მაგიდაზე.

— დატოვება ვაშინერს,— ამბობს ნაზია,— უნდა მოიტანოთ.

— მიდი, შვილო, ოდი,—მეუბნება მთვარისა.

— მაგის უკან დაბრუნება ვაშინერს, თქვენ მიდით,—ამბობს ნაზია ისევ, მტკიცედ, თავდაჯერებული ადამიანის იერით.

* * *

უკან დაბრუნება დამეზარა; ისეთი ატალახებული ბილიკი გამოვიარე, მისი ისევ თავიდან გადალახვა არ მინდოდა, თანაც ვგრძნობდი, უკვე ახლოს ვიყავი. რას მივდიოდი ამ მოკლე გზით... ჯერ არც ერთხელ არა ვარ ამ გზით ნამყოფი... კუნძულივითაა. ეტყობა არსაიდანაა იქ მისასვლელი... რაღა კუნძულზე დატოვა? ალბათ უაზრობაა სიზმარს მინებებოდა, მხოლოდ თავის გასამართლებლად დასჭირდა... ახლა კი ვარ ღირსი, ისევ მთელი წრე შემოვიარო... იმად არჩია, იცოდა, ვერასოდეს გამოაღწევდა იქიდან, ზედმეტადქცეული ტვირთი მოიშორა. ფერდობი ავათავე და სამანქანო გზა გამოჩნდა; ზემოდან ორი ბიჭი მოდიოდა, გამიხარდა: ვკითხავ-მეთქი. გამისწორდნენ.

— გამარჯობა, ბიჭებო, — ისინი ოდნავ დაიბნენ.

— გამარჯობა, — მიპასუხა ერთმა, ეტყობა, თავისი მეგობრის ნაცვლადაც.

— ბიჭებო, სასაფლაო საითაა?

— რომელი?

— აი, პატარა სასაფლაო რომაა? — უხერხულად შევიშმუშნე.

— ააა, უპატრონოთა?— ტანში გამცრა და უაზროდ ვკითხე:

— უპატრონოთა?

— ხო, მაგი უპატრონოთა სასაფლაოა. აი, იმ ბილიკს გაჰყევით, ფერდობს როგორც კი გადახვალთ, უცებ გამოჩნდება.

— გმადლობთ, — ვუთხარი და ბილიკს გავუყევი.

სასაფლაო მართლაც გამოჩნდა. ზემოდან ისე ჩანდა თითქოს ვერტმფრენიდან ვაკვირდებოდი, ხელისგულივით იყო გადაშლილი. მართლაც რა პატარაა. დამაინტერესა და მის უძველეს ბინადართა სამარეები დავათვალიერე. ზემოთ, რზენზე, ორმოცი წელიწადი იყო, რაც არავინ დაესაფლავებინათ, ყველაზე ბოლო სამარხი 1954-ში იყო გაკეთებული, უფრო სწორად, სამარხის ქვაზე გარდაცვალების თარიღად 1954 წელი იყო აღნიშნული. უმეტესობა არაქართველები იყვნენ. ისევ გამცრა ტანში... სასოწარკვეთილს ჩამეცინა... უპატრონოები და ობლები ჩვენ ვართ, აქ, ზემოთ დარჩენილები. ფერდობს ჩავყევი და ნათიას სამარესთან მივედი.

ფერდობიდან უშველებელი მაგნოლია დასჩერებოდა ძვალთშესალაგს, თითქოს სახურავი ყოფილიყო. რატომ ეძახიან სიკვდილის ხეს? რა ლამაზია, რეცა სათნო. ისე აქ სასაფლაო რომ არ გაეშენებინათ, მშვენიერი ბაღი იქნებოდა. რა ლამაზი აგნისანია ირგვლივ... ნათიას, დარწმუნებული ვარ, მოეწონებოდა. მას ხომ საოცრად ამშვიდებდა ბაღნარი. იქნებ სასაცილოა, ამ სამარხებში რომ აგეშლება ხოლმე სენტიმენტალური გულისთქმანი. განა სწორედ აქ არ უნდა იყო უფრო გულცივი და გულღრძო, როცა მიზნის საბოლოობას უმზერ? ეტყობა, მართლაც ეს ერთადერთი მიზანი ამართლებს საშუალებას, მაგრამ ყველაფერს?! მაშინ ხომ ისიც მართალი გამოდის?! ადგა და მიატოვა! უპატრონოდ მიაგდო უკაცრიელ კუნძულზე.

* * *

— ნახეთ?—ეკითხება ნაზია მთვარისას.

— კი, ლოგინზე ყოფილა.

წინა სკამის საზურგეს ვწევ და მათ უკანა სავარძლისაკენ ვატარებ. შემდეგ მეც ვჯდები, კარის მინას ბოლომდე ვუწევ, ლურსმანგაყრილი კოჭი სარკმლიდან შემომაქვს მანქანაში და კარს ვიჯახუნებ.

— წავედით?—თავს ჩემკენ აბრუნებს ბორანა.

— წავედით, ოღონდ ჯერ ნელა.

მანქანა იწყებს სვლას. ძაფს ხელით ვშლი კოჭიდან. თანდათან უმატებს სიჩქარეს. ლურსმანს თავითა და ბოლოთი ვიმაგრებ ხელებში და გარეთ ვყოფ სარკმლიდან; კოჭი ტრიალებს და ძაფი თავისით იხსნება. მალე ხელები მეწვის უცებ ლურსმანი იჩხირება კოჭში და ხელიდან მისხლტება.

— მოიცა, გამივარდა!—ვიძახი,

ბორანა ამუხრუჭებს. საჩქაროდ ვაღებ კარს და გამოვდივარ: არსად ძაფის ნაკვალევი არა ჩანს. თხუთმეტიოდე ბიჯს გავდივარ, გზაზე ხელებს ვაფათურებ. როგორც იქნა ვაწყდები ძაფს.

— ვერ იპოვე?—მეძახის ბორანა.

— კი,— ვპასუხობ. მივყვები ძაფს და მალე ვპოულობ თხრილში ჩავარდნილ კოჭს.

* * *

— არა, როგორ ვერ მივხვდი, რა დაღონებული, თითქოსდა თვალებჩამქრალი მეკითხებოდა: ესენი ყველა რომ დავლიო, რას მიზამსო? მეც არ მიფიქრია, ისე ვუპასუხე, ალბათ მოკლავს კაცს-მეთქი,—ლაპარაკობდა ნუნუ და ხელის თითებს ნერვიულად იმტვრევდა. ზალაში ვისხედით. ნათიასთან დედა, ბებია და ექიმი იყვნენ: მთელი შუშა "დიმიდროლი" დაელია.

მე ვიცოდი, შეიძლება ყველაფრისათვის საკუთარი სახელი ჯერ არ დამერქმია, მაგრამ მაინც ვიცოდი თუ ვგრძნობდი, ნათიასა და ვარაზს შორის უბრალო ურთიერთობა რომ არ იყო, უბრალო სიხარულს გარდა სხვა რამ სითბოც რომ ახლდა მათ შეხვედრებს და რომ სწორედ სხვათა ასეთ ურთიერთობებზე ჩურჩულებენ ხოლმე ქალები სიცილითა და გამკილავი კილოთი, თითქოს სიყვარული დანაშაული თუ არა, სასირცხვილო რამ გრძნობა მაინც ყოფილიყო, რომელიც არავის არ უნდა გასჩენოდა, და თუ გაუჩნდებოდა, არავის არ უნდა გაეგო, ყოველ შემთხვევაში ქორწინებამდე მაინც.

ვგრძნობდი, ეს ერთი კვირა რა არეული დადიოდა ნათია. დასაფლავებაზეც არ მისულა. იყო შინ რაღაცნაირად გაფითრებული, წინათ ასე აწითლებული ლოყები ახლა სულ სანთელივით ჰქონდა, ყოველგვარი გრძნობა თუ ემო-

ცია გაჰქრობოდა სახიდან, ერთფეროვანი, არაფრისმთქმელი გამომეტყველება შეჰყინვოდა. მთელი ეს ერთი კვირა თუ კვირანახევარი ასე იყო, უმეტესად დაწოლილი, იშვიათად თუ ადგებოდა და ისიც რამდენიმე წუთით. ამიტომაც იყო, თავიდანვე ამეკვიატა საშინელი წინათგრძნობა. იმ დღეს მაინც განსაკუთრებულად ცუდად გახდა; სიცხე მალლა აუვარდა, კიდევ კარგი, ბებიამ არ მოასვენა შეკითხვებით, ეტყობა, თვითონაც ველარ გაუძლო მწველ ტკივილებს, აკი ამბობდნენ მეზობლები, საოცარი წვა იცის თურმეო, და უთხრა, უთხრა და საბრალოდ ატირდა, მეც იქ ვიდექი; ნათიამ სახე საბანში ჩამალა, ბებიამ "ვაჰმეო" წამოიძახა და ლამის იყო ჩაიკეცა. გაოცებული ვუყურებდი ამ მუდამ სათნო მოხუცს, რა უცებ შეაკვდა ღიმილი და ქვასავით გაუხდა სახე. ძლიერად მოკუმა ტუჩები, ქვედა ბაგე თითქოსდა შეეგლისა ზედას, ერთი ისიც ვიფიქრე, უკვე გაუჭირდება ბაგეების გახსნა-მეთქი. მაშინ მე უფრო ბებიას რეაქციებიდან ვასკვნიდი ნათიას ცუდად ყოფნის მთელ სიმძიმეს, თორემ ნათიას ნათქვამიდან ვერაფერს მივხვდი, ანდა რას უნდა მიმხვდარიყავი, მთელი ჩემი ავადმყოფობის განმავლობაში სულ იმას ჩამჩიჩინებდნენ, წამლები უნდა დალიოო, თორემ — მავნებელიაო — არავის უთქვამს, არავის გავუფრთხილებივარ და, კაცმა რომ თქვას, არც იყო საჭირო, მე ხომ საკუთარი სურვილით არასოდეს არ დავლევდი ამ საზიზლარ აბებს, ჰოდა აბა რას უნდა მივმხვდარიყავი — "ბებო, დიმიდროლი დავლიეო" — რომ თქვა ნათიამ. ამით როგორ უნდა გამეაზრებინა, რომ ეს "საშინელება" იქნებოდა, როგორც თქვა შემდეგ მზიამ?!

ექიმი კარგა ხანს არ მოშორებია ნათიას, კუჭი ამოურეცხა, ნემსიც გაუკეთა და ბოლოს თქვა, უკეთესი იქნებოდა ცოტა ხნით მაინც თუ წავიყვანთ საავადმყოფოში და იქაც ვუმკურნალებთ, თუმცა აუცილებელი არ არისო.

* * *

— ეს ლურსმანი გაგვაწამებს!—ვეუბნები ბორანას.

— უფრო მოგრძო რამე რომ იყოს, კარგია.

— მაცალე, იქნებ წვრილი ჯოხი ვნახო; გზის პირას ვეძებ. ბლომად ყრია ტოტები, მაგრამ არ ვარგა: ხმელნი არიან და გამიტყდება. მოშორებით დაფნის წვრილ რტოს ვტეხ, კანს ვაცლი და სხრტე, მოყვითალო წკნელს ძაფის კოჭში ვუყრი. ვსინჯავ — კოჭი თავისუფლად ბრუნავს.

— გააკეთე?

— მგონი, ივარგებს! — ვჯდები მანქანაში და ისიც ჯერ ნელა მიდის შემდეგ კი თანდათანობით უმატებს სიჩქარეს.

— ფრთხილად, ნანა, — ეუბნება ნაზია ბორანას, — არ გაუსხლტეს ძაფი.

ბორანა რაღაცას ამბობს თავისთვის.

თვალს არ ვაშორებ კოჭს, რომელიც თავბრუდამხვევი სიჩქარით ტრიალებს, ისე სწრაფად, თვალი ვერ არკვევს მის ფორმას, ესაა მხოლოდ, ვიცი, რომ კოჭია, და წარმოდგენით ვათავსებ ამ ჯარასავით მბრუნავ სხეულში. თავს ვყოფ სარკმლიდან და უკან ვიხედები; შორს მანქანის სანათები ელვარებენ და მათი შუქით განათებულ გზაზე სიგრძით იჭიმება თეთრად მოქანავე ძაფი, როგორც სიმბოლური, იდუმალი კავშირი საკრალურ საწყისებთან, მიღმურ სამყაროსთან; თეთრად აკრიალებული ძაფი, როგორც მისტიკური ბილიკი ყოველგვარი არაამქვეყნიური ყოფისაკენ. მანქანამ მოსახვევში შეუხვია და შუქიც გაქრა, მოკრიალე ძაფის ბილიკი წყვდიადმა შთანთქა. ნუთუ ამ ძაფს მოჰყვება სული? ნუთუ ასეთი უსუსური რამაა, ასეთი უმწეო: — ჯერ მთელი ცხოვრება, ადამიანის მთელი არსებობის მანძილზე მის სხეულშია მოქცეული საპყრად, მის ნებას დამორჩილებული, ყოველ შემთხვევაში უმეტესობისთვის მაინც, და მისგან გათავისუფლების შემდეგაც ამ უსუსურ ძაფს საჭიროებს ბილიკად?! ნუთუ თვითონვე არ შეუძლია საკუთარი ნებით იაროს, იქროლოს, ინავარდოს? ნუთუ სხვის მიერ შერჩეულ, სხვისგან შეთავაზებულ გზებს მიჰყვება?! ნუთუ სულსაც სჭირდება ზრდა, როგორც იმათ ჰგონიათ, ზრდა სხეულისაგან გათავისუფლების შემდეგ, ორმოცი დღე?! ორმოცი დღე... ღმერთო, რა უაზრობაა ყოველივე... და მაინც, საიდან გაჩნდა ეს ჩვევა, როდიდან წარმოდინდა ეს საკრალური გრძნობა?!



მხატვარი აიუენგო ჭელიძე

— ოდი, ფრთხილად, კარი არ გაიღოს! — მაფრთხილებს მთვარისა. ვშორდები სარკმელს. მხოლოდ ახლა ვგრძნობ, როგორ გამყინვია სახე. ისევ კოჭს ვაკვირდები; სწრაფად ბრუნავს, წისქვილის ქვასავით, და ერთიან, კრიალა ზედაპირის შთაბეჭდილებას ტოვებს.

გუდუნას ჯერ ერთი წუთითაც არ შეუწყვეტია სიმღერა, რაღაც სევდა შეჰპარვია ამ თითისტოლა ბავშვსაც, თითქოს გრძნობს დღევანდელი ღამის იდუმალებას. რა დარწმუნებული და გულწრფელი სიმართლით მოუყვება ყველას ამღამინდელის შესახებ, ის ხომ ამ ღამის მითიური გმირია, სულის გამომხმობი, სულისთვის მოგალობე, რათა დაატკბოს, მოხიბლოს, თავისი საამო სიმღერებით დაუა-

მოს ახლობლებთან მიმავალი გზის მთელი სიმძიმე, აზრიანი გახადოს ამ "მოგზაურობის" არსი, რომელშიც ეჭვიც არ ეპარება, მთელი მონდომებითა და გულმოდგინებით ჩაბმულა თავის საქმიანობაში, რომლის ღვთიურობა, ზებუნებრიობა, უფაქიზესი მისტიკურობა თავიდანვე შთააგონა ძალუა ბებიამ, ამ თითქოსდა პრეისტორიული ხანის ჩვენამდე მოღწეულმა ქურუმმა, სულთა და ყოველივე იმქვეყნიური იდუმალების მესაიდუმლემ, ყოველ შემთხვევისათვის ხალხის თვალში მაინც, ი მ ა თ ი ღრმა რწმენით.

— ხომ არ დაიღალე, ნანა?— მესმის ნაზიას ხმა.

— არა, ნაზია მამიდა,— ვეუბნები და უაზროდ მეღიმება.

* * *

სარწეველა სკამზე მოკალათებული ვუყურებდი კინოფილმს. მოშორებით ტახტზე ნათია იჯდა, ისიც ეკრანს უცქეროდა და დროდადრო ილიმებოდა. მიკვირდა, რა აღიმებდა, ფილმში არაფერი იყო სასაცილო და ამიტომაც ვაკვირდებოდი ნათიას. ერთს მივხვდი: სულ სხვაგან იყო აზრებით და სულ სხვა რამეზე იცინოდა. ბუხართან ბებია იჯდა ჯორკოზე, ქსოვდა და ყურადღებას არ გვაქცევდა. უცებ ნათიამ გაიცინა. ბებიამ ქსოვა შეწყვიტა და მას შეხედა, შემდეგ ტელევიზორს გახედა და ისევ განაგრძო ქსოვა. ნათიამ მე შემომხედა, სიცილს ველარ იკავებდა, თუმცა ვამჩნევდი, რომ ცდილობდა, ჩემი კითხვით აღსავსე თვალების დანახვაზე ეკრანისაკენ მიმითითა, თითქოს მეუბნებოდა: "ნახე რა სასაცილოაო", თუმცა იქ არაფერი იყო სასაცილო: ერთი უბრალო პოლონური სოფლის პეიზაჟს უჩვენებდნენ. ვამჩნევდი, როცა ნათია სიცილის შეკავებას ცდილობდა, საოცრად ეძაბებოდა სახე, სასაცილოდ ეჭყანებოდა. ეკრანზე ქალის სახე გამოჩნდა, ფეხშიშველა იდგა გზაზე, წყლის გუბეში, სადღაც უკაცრიელ კუნძულზე, ჩამოშლილ თმებში წვიმის წვეთები მოსწანწკარებდა, სახეზე სულელური გამომეტყველება ჰქონდა. ნათია მთელი ხმით აკისკისდა. ბებიამ გაკვირვებით შეხედა. ნათია შეუჩერებლივ კისკისებდა. ბებიამ ახლა მე გამომხედა, მე ეკრანისაკენ მივბრუნდი და სიცილი დავიწყე. ნათიამ ჩემსკენ მოიხედა, დაუსრულებელი სიცილით ხელი ეკრანისაკენ გაიშვირა და მითხრა ნაწყვეტ-ნაწყვეტ:

— ნახე, ოდი, ნახე! — და უფრო ძლიერად აკისკისდა.

ბებიამ ისევ ახედა ნათიას, შემდეგ ჩემზე გადმოიტანა მზერა და მეც გაბმით გავიცინე.

* * *

— მოიცა! — ვყვირი და ძაფის კოჭს ვაკვირდები, რომელიც ჯერაც ბრუნავს დაფნის წნელზე.

— რა იყო?! — მეკითხება ბორანა და ნელ-ნელა აჩერებს მანქანას.

— ძაფი დამთავრდა! — პარკიდან ახალ კოჭს ვიღებ და მანქანიდან გადმოვდივარ. უკან ვიხედები: არსად არა ჩანს ძაფის კვალი. რას დავინახავ ამ ღამით?! მივდივარ, ოციოდე ნაბიჯზე ჯერაც არაფერი ჩანს. მთვარის შუქზე, შორს, ოცდაათიოდე ბიჯზე ირეკლება საგზაო ნიშანზე გადაკიდებული ძაფი. ვუახლოვდები, ვხსნი და მანქანისაკენ მოვუყვები. ათიოდე მეტრი და მთავრდება. ახალი კოჭიდან ვხსნი ძაფის თავს და ვანასკვავ გზაზე გაფენილს, შემდეგ კოჭში ვუყრი წნელს და მანქანისაკენ მივდივარ. ზღვის ტალღები გაშმაგებით ეხეთქებიან ქვითნაგებ ჯებირებს და, თითქოსდა ადამიანთაგან გაყვანილ გზამდე ვერმიღწევით გაცოფებულნი, მრისხანედ უბრუნდებიან უზარმაზარ აუზს. ბორანას უკუსვლით მოჰყავს მანქანა, საჩქაროდ ვჯდები და კვლავ რტოს irგვლივ მოტრიალე კოჭს ვუმზერ ...მთელი ენერგიით მოსდევს ზეშთაგონებული თუ აღტკინებული ღვთაება ქალწულს, ველური, პირველქმნილი ბუნების ხავერდოვან, ფერმწთოლვარე ყვავილებით მოფენილ ველობზე, თვითონაც ნდომისაგან გაველურებული. თავდავიწყებით გარბის ქალწული, შეუცნობელი, გაუთვითცნობიერებელი ინსტინქტითა თუ თვითგადარჩენის აუცილებლობით შეძრული, თითქოსდა სასოწარკვეთილი გაურბის გულშეძრული ღვთაების გიჟურ ნდომას და ვერ მიმხვდარა, ვერ უგრძვნია, რა ექაჩება უკან, რად იზიდავს თვითონაც ამ გიჟურ სიველურისაკენ, გულიდან თუ სულიდან ამომსკდარი სურვილი, ტკბილსაამურ ჟრუანტლად, სულის მახალისებელ ჟრჟოლად რომ უვლის მთელს აშოლტილ, ველური ქროლვისაგან თვითონაც თითქოსდა ქარადქცეულ სხეულს, მაგრამ მაინც სძლევს პირვეყოფილი შიში უცხოისა, უმანკოების სასოწარკვეთისა და ნატრობს, ნატრობს და გახელებული, ჟინს აყოლილი ღვთაებაც — ნაცვლად ნანატრი ქალწულისა — ხეს ჩაეკვრის, თვითონაც ვერ მიმხვდარი, ჯერაც ვერ გამორკვეული, თუმცა უკვე იმედგაცრუებული, უკვე ვნებაჩამქრალი. ძაფის კოჭი ზემოთ მიხტის, თითქოს ფრენას სწავლობსო, და იჩქითად უჩინარდება სარკმლიდან.

— რა მოხდა? — განცვიფრებული მეკითხება ბორანა.

— გადატყდა, — ვეუბნები მე და უაზროდ ვათვალიერებ დაფნის წნელის ნამტვრევებს, რომელნიც ჯერაც ჩაბღუჯული მაქვს ხელებში.

* * *

ციალა გატაცებით საუბრობდა, ჩვენ, ბავშვები, იქვე ვირეოდით, ვთამაშობდით რაღაცას, უფროსთა საუბარიც გვესმოდა. დედაჩემი და მზია ციალას უსმენდნენ, ხანდახან თუ ჩაურთავდნენ შენიშვნებს. ციალა მზიას გოგო იყო, ქალაქში გათხოვილი და დროდადრო ჩამოდიოდა მამითადში, ბავშვები ჰყავდა ჩემი ხნისანი და მიხაროდა მათი ჩამოსვლა.

ციალამ ქალაქის სიახლენი როცა ამოწურა, ჩვენს სოფელს გადმოწვდა.

— საცოდავი ასაბია, რა უშფოთველად მომკვდარა, — თქვა დედამ.

— ცხონებული, რა კარგი ქალი იყო, — დაეთანხმა მზია.

— იცით როგორ მეწყინა? — ისეთი ხმით წამოიწყო ციალამ, რომ ბავშვებმა თამაში მივატოვეთ და მათთან მოვიყარეთ თავი. ვიგრძენი, თუ როგორ გადმოვიდა მისი სევდა ჩემზე. — მაგ ქალს ვყავვარ მე ანაყვანი.

— როგორ თუ ანაყვანი?! — იკითხა ნუნუმ, რომელიც ნათიასთან ერთად მაშინღა გამოვიდა ოთახიდან და ბოლო სიტყვებსღა მოჰკრა ყური. სხვათა შორის მეც გამიკვირდა; ანაყვანს ჩვენს სოფელში ნაშვილებს ვეძახით, ამიტომაც ვერ გავიგე, როგორ ჰყავდა ასაბიას ციალა ნაშვილები?

— პირველად მან ამიყვანა თურმე — დასძინა ციალამ.

— რას ჰქვია პირველად? — ვერშეკავებული სიცილით თქვა ნათიამ.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

— როცა დავიბადე, მაგას ავუყვანივარ ხელში, — უკვე გაბრაზებით განმარტა ციალამ. ნათიამ გაგრძელებულად გაიცინა, სხვებმაც გაიღიმეს.

— რა გაცინებთ?! — გაუკვირდა ციალას.

— რატომ აგიყვანა? — იკითხა ნათიამ და უფრო გაეცინა. ნუნუსაც გაეცინა.

— დედა, მე ვინ ამიყვანა? — კისკისებდა ნათია, არც კი ცდილობდა შეეკავებინა სიცილი. ახლა მზიასაც გაეცინა. დედა ღიმილით გაუწყრა ნათიას— მიატოვე— მალე ნათია და ნუნუ გავიდნენ და მე შევამჩნიე, რა უცებ შეიცვალა საუბრის თემა.

— მზექალა, შენ თუ აკვირდები, რომ ნათია ძალიან არასერიოზული გახდა? — წარბები ზემოთ აწკიპა ციალამ.

— რაა?! — ისე შეეცვალა სახე დედას, რომ უცებ შევშინდი.

— მზექალა, ასე მიტოვება არ შეიძლება, აუცილებლად უნდა ვანახოთ ექიმს. ახლავე უნდა მიხედვა, რაიმე გართულება არ გამოიწვიოს.

— ადრეც ვამჩნევდი: რალაც უაზრო რამეებს ამბობს ხოლმე. თან ხომ ხედავ, როგორ ვერ იკავებს სიცილს? — ნათქვამის უფრო დამაჯერებლობისათვის თვალები საოცრად გაუფართოვდა მზიას. დედაჩემს ტირილი აუვარდა.

— კარგი, მზექალა, სატირალი რაა, შე ქალო?! უბრალოდ ახლავე უნდა მიხედვა, რომ არ განუვითარდეს რაიმე. უკვე ორ თვეზე მეტია შინ ზის თითქმის უსაქმოდ, ამდენი ნერვიულობის შემდეგ, წარმომიდგენია, რა დღეში იქნებოდა: ის ხომ საშინელი დეპრესია იყო მისთვის?!

— შვილო, დასაკვირვებელია კიდევ, მის ქცევებს უნდა შევხედოთ. არაფრით არ შეიძლება რაიმეთი გავალიზიანოთ. ახლა მაგას გარემოს გამოცვლა სჭირდება, რომ გაერთოს როგორმე, — თითქმის ჩურჩულით, მაგრამ საოცრად მტკიცედ ამბობდა მზია.

მივხვდი, რალაც ძალზე ცუდი რამ ხდებოდა, რაც ადრე მეც მიკვირდა. რა თქმა უნდა გაცნობიერებული არ მქონდა, რას ნიშნავდა ეს ყველაფერი, მაგრამ, დარწმუნებული ვიყავი, ვხვდებოდი ი ს ი ნ ი რასაც გულისხმობდნენ. ამის შემდეგ იყო: გაღიზიანებულად დამწუხრებული ვუყურებდი, თუ რა გამომცდელად და გამშიფრავად აკვირდებოდნენ ი ს ი ნ ი ნათიას და ეს მაწამებდა, თუმცა ვგრძნობდი, რომ მეც მიზიდავდა ცნობისწადილი, მაგრამ არ მინდოდა, არაფრით არ მინდოდა, დამეჯერებინა ისიც კი, რასაც მეც აშკარად ვხედავდი.

— დედა, სისულელეა! — ვუთხარი გაბრაზებით, როცა მარტონი აღმოვჩნდით ბუხართან საღამოს.

— რა, შვილო? — გაუკვირდა დედას.

— რაც ნათიაზე თქვეს, ყველაფერი ტყუილია!

დედა ისევ ატირდა.

— არა შვილო, არა: დააკვირდი, რა დაბნეულად იქცევა, როგორ იცინის, რა უაზროდ ლაპარაკობს, საერთოდ ვერ იმორჩილებს თავს.

— რა გატირებს, რა?! არაფერიც არაა ასე; თქვენ აიჩემეთ და ამიტომაც უყურებთ ყველაფერს მაგ თვალით! — ვიყვირე მე. მინდოდა ამ ყვირილით ტირილის უაზრობა დამემტკიცებინა მისთვის.

დედაჩემმა გაოცებით შეწყვიტა ტირილი და გაკვირვებული მზერით შემომხედა.

* * *

— ხომ გითხარი, წკნელი რას გაუძლებდა! — ამბობს ბორანა.

— ისევ გაგივარდა, ნანა? — მეკითხება ნაზია.

— ახლავე გავაკეთებ, ნაზია მამიდა, — ვამბობ და მანქანიდან ჩავდივარ, ორმოციოდე ბიჯზე ვპოულობ ძაფს, ბორანას უკან მოჰყავს მანქანა და ჩემთან აჩერებს.

— ისევ ტოტს ნუ იზამ, აზრი არა აქვს, — ვატყობ; ბორანა თავს ძლივს იკავებს გაბრაზებისაგან.

— მომიცადე, იქნებ ვიპოვო რამე, — გზიდან ვუხვევ. მოშორებით რკინის ბადურებისაგან შემოკავებულ ეზოს ვამჩნევ. ვუახლოვდები და დაკვირვებით ვათვალიერებ. ერთ ადგილას, სარზე, ტყუილადაა დახვეული თეთრი მავთული, ვხსნი და მანქანისაკენ მოვდივარ.

— იპოვე? — მეკითხება ბორანა.

— კი, — ვეუბნები ჩუმად.

მავთულს კოჭში ვუყრი და ხელის ჩასაჭიდებელს კარგად ვუკეთებ, ისე, რომ არ გამისხლტდეს.

— ივარგებს? — კოჭს უყურებს ბორანა.

— რტოს მაინც აჯობებს, მგონია, — ვამბობ მშვიდად.

მხარზე ხელის შეხებას ვგრძნობ;

— მოგეხმარები, ნანა, შენ მოისვენე ცოტა, — მეუბნება ნაზია.

— არა ნაზია მამიდა, რამ დამღალა! — შორს ვიჭერ მე.

ვატყობ, მალე უნდა დამთავრდეს ძაფი კოჭზე. ცოტას ვაცლი და მერე გავაჩერებინებ, თორემ თუ გამისხლტა, საძებნი გამიხდება ისევ.

— გააჩერე! — წამოვიძახე, — მთავრდება უკვე. — ბორანა აჩერებს მანქანას მაგრამ ვერ ვასწრებ: ძაფი კუდივით იქნევს ბოლოს და სარკმელში უჩინარდება. შორს არ წავიდოდა, აქვე იქნება სადმე.

პარკიდან ახალ კოჭს ვიღებ და უსიამოვნოდ მაჟრჟოლებს: მხოლოდ ერთადერთი კოჭილა რჩება შიგ.

— ერთი კოჭის მეტი არაა! — წამოვიძახე წყენით.

— როგორ თუ არაა? ერთი რას გვეყოფა? — უკვირს ბორანას.

— ერთის მეტი არაა? — ახლა მთვარისა კითხულობს.

— ეს რაა, ყოროლის წყლამდეც არ გვეყოფა! — ამბობს ბორანა, — ამხელა გზაზე ხომ იცოდნენ, რომ ბევრი ძაფი უნდოდა, როგორ ვერ მოიფიქრეს, ხუთიოდე კოჭით ვის უნახავს სულის მოყვანა?! — გაცხარებას ველარ მალავს უკვე. მე ჩამოვდივარ მანქანიდან. ძაფს იქვე ვპოულობ, ხუთიოდე ბიჯზე, და ახალს ვაბამ. ღვინის სიმხურვალე საბოლოოდ მივლის, სუსხიან სივრცეში კრიალა სარკესავით მოჩანს აციმციმებული ზეცა, ვებერთელა ტაფასავით რომ დაჰკიდებია დიდი დათვი.

— წავედით, — ვამბობ ჩუმად. მანქანის შიდაარსში დაძაბულობაა, რომელსაც ოდნავლა არღვევს გუდუნას სიმღერა. ხომ არ განაწყენდა სული? აკი თქვა ძალუამ, გაბრაზება არ შეგამჩნიოთო? კი მაგრამ, უკან გაბრუნდება? ნეტავ ამდენ ხანს მართლა ძაფს მოჰყვებოდა? რამდენჯერ გასკდა, რამდენჯერ გამივარდა ხელიდან ...აღარ ჰქონდა მნიშვნელობა?

— ცოტა ადრე გამაფრთხილე, გაჩერება რომ მოვასწრო, და ისევ აღარ გაგივარდეს, — მეუბნება ბორანა და მეც უხმოდ ვუქნევ თავს.

* * *

მეც ყვირილმა გამაღვიძა, უფრო სწორად, ჩემს პატარა ოთახში დაწოლილი ჭერზე ნესტის მიერ შავნაცრისფრად შეფერადებულ ბათქაშზე უამრავ, ერთმანეთზე უარესად უცნაურ გამოსახულებათა მომზირალი და მოჩვენებათა სამყაროზე ფიქრებითა და ოცნებებით გარინდული — გამომაფხიზლა, ისე უეცრად და მოულოდნელად, რომ შევეჭვდი, ხომ არ მომეყურა-მეთქი, მაგრამ მხოლოდ წამით, მცირედადღა ვორჭოფობდი, რადგანაც ხმისად განმეორდა ყვირილი თუ ძახილი: "დედა! დედა!" ნათიას ოთახიდან ისმოდა. ავდექი და კარი შევაღე: უკვე შემოსულმა დედაჩემმა სწორედ იმ წუთას აანთო შუქი. როდესაც ოთახი განათდა, პირველად რაც დავინახე, ეს იყო ნათიას შეშინებული, ძრწოლით აღსავსე თვალები; საბანი ორივე ხელით ჩაებღუჭა და კისერთან მიეხუტებინა, ლოგინის თავში, კედელთან იყო ინახით მიკუჭული. დედა გაფითრებული მივარდა.

— რა იყო, შვილო?! — ნათია ოდნავ გამოერკვა, ხელი კუთხეში მდგარი კარადისაკენ გაიშვირა და შეშინებულმა წარმოთქვა:

— იქით მოვისროლე დედა, იქ იქნება შემძვრალი...

— რა, შვილო?! — ლამის იყო იკივლა დედამ.

— არ ვიცი, რაღაცა... მახრჩობდა... მოვიშორე და იქით ვისროლე, კარადას შეასკდა. — ისევ ცახცახებდა ნათია. დედა ოდნავ დამშვიდდა, ნათიას თავზე გადაუსვა ხელი, შეეცადა აბურდული თმა თითებით დაევარცხნა.

— დაწყნარდი, შვილო, ცუდი სიზმარი იქნებოდა.

— არა, დედა, იქაა, — შეძრწუნდა ნათია, — კისერზე მჩხაპნიდა დედა, შემდეგ მაგრად მომიჭირა, სუნთქვა მიჭირდა...

— კატა ხომ არ იყო, ბებო? — ჰკითხა ახალშემოსულმა ბებიამ, — მართა, ნახე, კატა ხომ არაა სადმე შემძვრალი, — მიუბრუნდა მართას. მან ლოგინის ქვეშ შეიხედა. მე, მიუხედავად იმისა, რომ მეშინოდა, იატაკი მოვათვალიერე. კარადის ქვეშ: არაფერი არ იყო.

— არა, ბებია, კატა არ ყოფილა, უფრო დიდი იყო, რაღაც ბანჯგვლიანი კანი ჰქონდა...

— დაწყნარდი, ბებია, დაწყნარდი, შემოგევლოს ჩემი თავი, უგემურად ხარ დაწოლილი, მხარი დაგებუჟებოდა და ამიტომ მოგელანდა.

— არა, ბებია, მართლა იყო, თითებივით მეხებოდა კისერზე, შემდეგ შემომეჭდო, ხმის ამოღება ვერ შევძელი, — შიშით ამბობდა ნათია და ოთახს ათვალიერებდა, — მოძებნეთ რა, ბებო, აქვე იქნება სადმე, ისევ მოვა, ბებო, მოვა და დამახრჩობს ...

მთელი სახლი გადავაქოთეთ მე და მართამ, არაფერი არ ჩანდა.

— იქნებ სარკმლიდან გადახტა? — შემომხედა მართამ.

— არაფერიც არ ყოფილა! — ვთქვი მე, — უბრალოდ სიზმარი ნახა! — მართამ დაეჭვებით გადმომხედა.

— ისევ რომ ნახოს? მოდი ვუთხრათ, დიდი კატა ვნახეთ, ოდის ოთახიდან ზალაში შევარდა და შემდეგ გარეთ გაიქცა-თქო, — მე ცოტა ხანს დავფიქრდი.

— არა! — ვთქვი შემდეგ დიდი ბრძენივით, — შეეშინდება, ისევ არ მოვიდესო.

— არაფერიც არ შეეშინდება, ბებია დაწვება მასთან ოთახში.

— არა, მე არ ვიტყვი!

— სულელი ბავშვი ხარ! — მომიძახა მართამ და ნათიას ოთახში შემასწრო:

— არაა არაფერი, სიზმარი იქნებოდა, ნათი...

— არა, არ ყოფილა სიზმარი, მახრჩობდა ...— გაიმეორა ნათიამ, მაგრამ შედარებით დაწყნარებული ჩანდა უკვე.

* * *

მერიდება მისი, ვგრძნობ: გავაწამე საცოდავი კაცი. ამდენი: გააჩერე, ნელა იარე, ააჩქარე, — ძარღვებს აუშლიდა. წარმომიდგენია ჩემი თავი მის ადგილას. რა დაკვირვებით გაჰყურებს გზას. მგონი, სრულებით არ ფიქრობს ძაფზე, და სულზე — მითუმეტეს; მისთვის ეს ყოველივე მოვალეობის მოხდაა, ეტყობა; საავადმყოფოდან სანატორიუმამდე და პირიქით — აუღელვებლად მართავს მანქანას, როგორც უძველესი დროის მენავე ნავს, მგზავრებით დახუნძლულს, ერთი ნაპირიდან მეორისაკენ, მთვარის შუქით განათებულ ან სულაც მოქუფრულსა და კუნაპეტ ღამეში ვერავითარ მიზანსა და ნაპირს რომ ველარ ხედავს და მხოლოდ იდუმალი წინათგრძობითა და გულისხმით მიჰყავს წინასწარგანჭვრეტილი ადგილისაკენ.

— მოიცა! — ვყვირი და ბორანაც ამუხრუჭებს. ძაფის კოჭი წყვეტს ტრიალს; შვიდიოდე ბრუნიც და ძაფი გაუჩინარდებოდა. უკანასკნელ კოჭს ვიღებ და ძაფებს ერთმანეთზე ვაბამ.

— მზადაა? — მეკითხება ბორანა.

— კი, წავედით.

— ხო, მაგრამ რა ვქნათ, ძაფი რომ აღარ გვყოფნის? — აღელვება ეტყობა.

— იქნებ გვეყოს? — იძახის უკანა სავარძლიდან მთვარისა.

— რა გვეყოს, რის გვეყოს? მე არ ვიცი, რამდენი უნდა? გზებზე სიარულის მეტი რა მიკეთებია: ყოროლისწყლამდეც არ გვეყოფა! — ყველანი ჩუმად ვართ.

— სადმე ვერ ვიშოვით ძაფს? — ვამბობ თითქოსდა ჩემთვის.

— აქ სად იშოვი, თანაც ამ შუაღამით!

— მაშინ რა ვქნათ, ნანა? — მეკითხება ნაზია.

— მოდი ვიაროთ, სანამ გვეყოფა. — ვამბობ ჩუმად.

— წავიდეთ, მე კი არ მეზარება, ძმაო! — ამბობს ბორანა და ძრავას ამუშავებს. კოჭი ჯერ ნელა, შემდეგ კი ციბრუტივით იწყებს ტრიალს. მართლაცდა რა უნდა ვქნათ? სად ვიშოვო ამ გზაზე შუაღამით ძაფი? ვინმეს ოჯახში მივიდე? არა! გამორიცხულია; რომც ჰქონდეს, ერთი ექნება თეთრი ძაფი, მეტი ხომ არა! ისე, იქ, ხიდთან გვიანობამდეა ვაჭრობა, იქნებ ჰქონდეთ? ვინ იცის? ნეტა ხომ არ განაწყენდა კამათისას და გაბრაზებისას სული?! ვაითუ სულაც უკანაა მიბრუნებული!

* * *

რაღაც იდუმალი, ბნელი წყვდიადიდან მოდიოდა შუქი, მეტ სინათლეს რომ ჰფენდა ნახატს, ჯერაც მოლბერტზე მყოფს, დაუმთავრებელს და ამ დაუმთავრებლობით უფრო სრულყოფილს, უფრო შთამაგონებელს ხელოვნების მარადიულობაზე, უმაღლეს ჭეშმარიტებაზე ჩამაფიქრებელს.

მოლბერტი შუა ოთახში იდგა, ირიბად სარკმლისაკენ. ოთახი ელნათურით იყო გაჩირაღდნებული. ნათია რამდენიმე ნაბიჯიდან ჩაფიქრებული შეჰყურებდა სურათს. ვარაზი კუთხეში მიმდგარიყო და ნათიას აკვირდებოდა.

ნახატზე მღვრიე, ატალღებული ზღვა იყო გამოსახული, რომელსაც საავდროდ გამზადებული შავი, ლეგა ღრუბლები მოსწოლოდნენ და უფრო პირქუშ იერს ანიჭებდნენ. ზღვის თითქმის შუაგულში ვებერთელა სვეტი აღმართულიყო. სვეტი ოთხკუთხა, ჩუქურთმებიან კვარცხლბეკზე იდგა. სვეტის თავიც ასევე უცნაური ჩუქურთმებით შეემკოთ. სვეტიც ოთხკუთხა იყო და ქვემოდან ზემოთ ოდნავ ვიწროვდებოდა, ღრმა ჭრილები მიუყვებოდა შვეულად. შორიახლო რამდენიმე ფრინველი ირეოდა, თოლიები, ვგონებ, ისე ლამაზად იყვნენ დახატულნი, ფრთებგაშლილნი, ახლოს მივედი; ფრინველებს სხეულის არც ერთი ნაწილი არ მოუჩანდათ მკვეთრად, მაგრამ მთლიანობაში ისეთი სრულყოფილების შთაბეჭდილებას ტოვებდნენ, წამსვე თვალწინ დამიდგა სოხუმის ზღვის სანაპირო, ათობით მოფარფატე თოლიით აღსავსე.

სვეტი ისე ლამაზად იდგა ზღვაში თითქოს მისი ბუნებრივი ნაწილი ყოფილიყოს, ვერც კი წარმოიდგენდით, რომ ეს მობობოქრე ზღვა შეიძლება არსებულიყო ამ სვეტის გარეშე. ხომ მღვრიე იყო ზღვა, მოქანავე, თეთრთავება ტალღებიც აქოჩრილიყვნენ ალაგ-ალაგ, სვეტი კი მაინც მტკიცედ იდგა, ისე მყარად, თითქოს მიწაში ჰქონოდეს საფუძველი, მიუხედავად იმისა, რომ მცირედით დასავლეთისაკენ გადახრილიყო, მაინც საოცრად მტკიცედ მდგარი, ზღვასთან შეზრდილი მოგეჩვენებოდა, ლიბო ზღვის ფსკერზე ჰქონოდა თითქოს. შორს, ზღვის დასალიერიდან ოდნავი შუქი გამოსჭვიოდა, თუმცა კმაროდა იმისათვის, რომ მასში მზე შეგეცნო, ღრუბლებს მიფარებული, მათი შავი, ბლანტი სხეულებიდან მალულად გამომკრთალი ნათელი სხივის არილით, სწორედ ეს შუქი იყო, გასაოცრად რომ ანათებდა მუქ, პირქუშ სურათს.

სწორედ მაშინ, იმ ნახატის ნახვისას შევშინდი პირველად, შემეშინდა ხატვის საერთოდ და ვარაზისაც.

ნათიას გავხედე, ცალ თვალზე ხელისგული აეფარებინა და ისე უყურებდა ნახატს. მე ისევ სურათს შევხედე და გამიკვირდა, კი მაგრამ, მეტი რა უნდა მოამთავროს-მეთქი.

— ვარაზ, შვილო, მოდით, თორემ გაცივდა ყავა, — შემოვიდა სახელოსნოში მერი, ვარაზის დეიდა, მას ხომ დეიდები ზრდიდნენ, დედამისი მის მშობიარობას გადაჰყვა, — ნათია, წამოდი, გენაცვალე.

— ნუ წუხდები, მერი დეიდა, ჩვენ არაფერი არ გვინდა.

— მოდით, შვილო, რა შეწუხებაა, ჩქარობთ, თორემ რაღაცის გაკეთებას მოვასწრებდით.

— გმადლობთ, მერი დეიდა, — თქვა ნათიამ. შემდეგ მერის გავყევით და პატარა მაგიდას შემოვუსხედით. მერიმ ჩურჩხელა მომაწოდა, რაც ძალიან გამიხარდა, ჩურჩხელას არაფერი მერჩივნა.

ვარაზმა პაწია სირჩებში მარწყვის ლიქიორი ჩამოასხა.

— არა, ვარაზ, მე ვერ დავლევ! — შორს დაიჭირა ნათიამ.

— მოიცა, ჩვენ დავლევთ! — თქვა ვარაზმა და დამისხა. ნათია იღიმებოდა, ვითომ ხუმრობსო.

— დაგლოცავ, ნათია, შენს ჩამოსვლას გაუმარჯოს დედაქალაქიდან, ღირსეულად დაგემთავრებინოს უნივერსიტეტი, ბედნიერებასა და სიხარულს გისურვებ, შვილო! — დალოცა მერი დეიდამ. შემდეგ ვარაზმაც ადღეგრძელა ნათია და სირჩა მიუჭახუნა მის სირჩას, შემდეგ ჩემსას.

ნათიამ მადლობა გადაიხადა დალოცვისათვის თვითონ კი არ დალია. ვარაზმა მე მანიშნა სირჩაზე.

— ვარაზ, — წყენით გაიღიმა ნათიამ.

— დალიე, შვილო, გემრიელია, ერთი არას გიზამს, — მითხრა მერიმ და მეც გადავკარი.

— ოდი! — წამოიძახა ნათიამ და ჩემკენ წამოიწია. გვიანი იყო: მართალია პირველად მეგემრიელა, მაგრამ შემდეგ ცეცხლივით ჩამწვა ალკოჰოლმა, თვალები გამიშეშდა.

— ოო, ვაჟკაცია! — წამოიძახა ვარაზმა და ნათიას არ მისცა წყენის გამომჟღავნების დრო, — თოფიც რა ვაჟკაცურად ისროლა.

— ვარაზ, როდის დაამთავრებ ნახატს? — იკითხა ნათიამ ცოტა ხნის მერე.

— ვარდობის თვემდე დავამთავრო უნდა. — წამით სიჩუმე ჩამოვარდა.

— ეხ, შვილო, განა ახლა უნდა ამთავრებდეს? შვიდი წლის წინათ უნდა ჰქონოდა დამთავრებული, ხუთი წელი ... ხუთჯერ უგულოდ, უსინდისოდ გამოუშვეს გარეთ.

— კარგი რა, დეიდა! — გაიცინა ვარაზმა, — ისე ამბობ, თითქოს ნათია უცხოპლანეტელი იყოს.

— კი ვიცი, შვილო, შენი ამბავი ყველამ იცის, მაგრამ მაინც ვამბობ, გულს ვიოხებ ჩემთვის. ახლა რომ ყველანი გაქებენ და ნიჭიერსა და საოცარი მადლით დაჯილდოებულს გეძახიან, რა იქნებოდა, პირველად არ ეკრათ ხელი? მერე იყო და ჯარში გაიწვიეს, იმედიც გადაწურული მქონდა უკვე. დროზე რომ ჩარიცხულიყავი, ხომ არ შეგხვდებოდა ის ჩემი ცოდვით სავსე, ხომ არ დაგეხლიჩებოდა გული?

— კარგი რა?! — აიმღვრა ვარაზი.

— რა იყო, შვილო? ახალსა და ვინმესთვის დამალულს რას ვამბობ? ლამის გამისკდეს გული: ჩემი ერთადერთი შვილიშვილი რომ ვნახო, ამისათვის თბილისში უნდა წავიდე?! ღმერთო, როგორც ჩემი ვარაზი გაამწარა, ისე გაამწარე ის ეშმაკის დაწყევლილი...

— მიატოვე რა, დეიდა! — წამოვარდა ვარაზი. მე შეშინებული ვიჯექი, გაოცებული ვუყურებდი წამონთებულ ვარაზს. მერის ტირილი აუვარდა. ნათია ჩაფიქრებული დასჩერებოდა მაგიდის საფარზე გამოსახულ აფრებიან გემებს, მხოლოდ ხანისად გახედავდა ვარაზს რაღაც იდუმალი, გამჭოლი მზერით.

— მაპატიე შვილო! — ცრემლებს იმშრალებდა მერი, — ასე ვარ, შვილო, ველარ ვიმორჩილებ თავს, ბოდიში, შენ შემოგევლოს ჩემი თავი.

— როგორ გეკადრება, მერი დეიდა! — გაღიმება სცადა ნათიამ.

* * *

ვგრძნობ, უცებ იცვლება განწყობა მანქანის სალონში: ბორანა გაბრაზებული გაჰყურებს სანათებისაგან გაჩირაღდნებულ გზას, ბაგეები ძლიერად მოუკუმავს, თითქოს არ უნდა, რომ სიტყვა წამოცდეს. გუდუნა, თუმცა აგრძელებს ჩონგურზე დაკვრას, ბავშვურად გაოგნებულია. იმ მისტიკურ თუ საკრალურ განწყობაში, რომელმაც მეც გამხვია თავის ბურუსში, თანდათანობით შეიპარა მიწიურობა. ცნობიერი არსებითობა, და ამან ჩააფიქრა ყველანი, ეტყო-

ბა. მე კვლავ ციბრუტივით მობზრიალე კოჭს ვუმზერ: ვხედავ, როგორ შესამჩნევად სუსტდება კოჭი, თანმიმდევრულად ილევა, ცხოვრებასა ჰგავს; ეფინება, იშლება გზაზე, აქეთ კი იწურება ნელ-ნელა, შემპარავად, მაგრამ მაინც, ქრება, რათა კავშირი შეჰკრას, გზად გაეგოს სულს, "შინ" მიმავალს, სვლა გაუიოლოს. ბრუნავს როგორც წუთისოფელი, ყოველი ბრუნი განვლილი წამია ალბათ, ცხოვრებასაც ხომ ასე ვგრძნობთ. საოცარია, ამ ცხოვრებისეული ტანჯვის განვლის შემდეგაც რომ ძაფზე უწევს სიარული!

ყოროლისწყლის ხიდს გავდივართ. რა ზუსტად გამოუთვლია, ასიოდე ბიჯზე დამთავრდება ალბათ. ცოტასაც ვაცლი.

— მთავრდება, ბორანა, — ვეუბნები მოწყენილი. ბორანა აჩერებს. კოჭი წყვეტს მოძრაობას. ბორანა ჩემკენ აბრუნებს თავს და მეკითხება:

— რა ვქნათ? — მე ჩუმად ვარ. მერე ვამბობ:

— საგუშაგოსთან მივიდეთ, ჯერაც ვაჭრობაა, იქნება ჰქონდეთ.

— არა, ბიჭო! იქ რა ძაფები ექნებათ, ტკბილეული და სასმელები აქვთ მხოლოდ, ჯიხურებში რა უნდა ძაფებს!

— იქნებ ჰქონდეთ, შვილო?! — ამბობს ნაზიაც.

— კი ბატონო, წავიდეთ, მაგრამ ვიცი, არა აქვთ იქ ძაფები!

მანქანის კარს ვაღებ. გუდუნა, მთვარისა და ნაზია ჩამოდიან. გუდუნას გამოაქვს თავისი ჩონგური. მთვარისა პარკში ჩაყუჟულ მამალს თავს ამოაყოფინებს, სუფთა ჰაერი ჩაისუნთქოსო.

— გუდუნა, დაუკარი, ნანა, ვაშინერს!

— ისე, სჯობია სხვა დროს გავაკეთოთ თავიდან; შეუძლებელია ახლა, ამ შუაღამე ძაფების შოვნა, — ამბობს ბორანა.

— მივიდეთ, ბორანა, იქ, თუ ძმა ხარ, და ვნახოთ, ჰქონდეთ იქნება.

— კი ძმაო, მივიდეთ. მე კი არ მეზარება, — ამბობს ბორანა და საჭეს მიუბრუნდება. მის გვერდით ვჯდები და კარს ვკეტავ.

ბორანა მანქანას ამუშავებს. სანათები შორ მანძილზე ანათებენ გზას.

საგუშაგოსთან აქა-იქ ანთია შუქი, ჯიხურებთან.

— უკაცრავად, ძაფები ხომ არა გაქვთ? —ვეკითხები ერთ გამყიდველს. სამიოდეს ერთად მოუყრიათ თავი მაგიდასთან, რომელზეც ათასნაირი საქონელი უწყვიათ და ძილს ბაასით აფრთხობენ.

— ძაფი?! — გაკვირვებით მიყურებს, — არა, ძაფი არა მაქვს.

— სადმე ხომ არ იყიდება ახლოს?! — ვეკითხები უიმედოდ, უფრო იმიტომ, რომ საქმიანი განწყობა შევქმნა, თორემ ვხედავ, აფეთქებას არაფერი უკლია ბორანას.

— არა ... აქ არსად იყიდება, — დაიბნა გამყიდველი, ახალგაზრდა ქალი.

— რა უნდებიენ, ნაილე? — ეკითხება მას მეორე.

— ძაფები უნდათ.

— როგორი ძაფები გინდებიენ? — ახლა ჩემი მისამართით ამბობს, — საქსოვი?

— არა, უბრალო ძაფი გვინდა, კოჭის, თეთრი. — ვუმარტავ მეც.

— რისთვის გჭირდებათ? — მეკითხება მესამე, რომელიც კუთხეში ჯიხურის კედელს ეყრდნობა. იქნებ მას ჰქონდეს.

— იცით, ჩვენებურ წესს ვასრულებთ, სულის გადმოყვანა ჰქვია, ძაფები დაგვიმთავრდა, ძალიან გვჭირდება.

— ააა, ვიცი, ვიცი, — თავს მიქნევს პირველი, ნაილე რომ დაუძახეს..

— რისთვისო, ნაილე?

— ვიცი და ... აზრზე ვარ, — უმეორებს ნაილე, რაც ცოტა არ იყოს მიკვირს. საიდან იცის, — რელიგიური წესია.

— არა, ნენი, აქ არსად არ იყიდება ძაფები, — მეუბნება, ეტყობა, კმაყოფილდება ნაილეს განმარტებით.

— უკაცრავად, — ვდუდუნებ და მანქანისაკენ მივდივარ, რომელიც უკვე აუმუშავებია ბორანას.

— ველარ იშოვეთ, ნანა? — მეკითხება ნაზია.

— ვერა, ნაზია მამიდა.

— მაშ რა ვქნათ? — კითხულობს მთვარისა.

— რა უნდა ვქნათ, — ბრაზობს ბორანა, — ველარ გავაგრძელებთ დღეს. უნდა წამოვიდეთ, სხვა დროს და თავიდან გავაკეთოთ!

— ეს ძაფი რომ წავილოთ, არ ეყოფა? — გვეუბნება მთვარისა.

— არა, ასე ვაშინერს! — ისეთი წყენით თქვა ნაზიამ, თითქოს გაუგონარი რამ შეურაცხყოფა მიეყენებინოთ.

საოცრად არ მინდა ყველაფერი ასე ბუნდოვნად შევწყვიტო. ვიცი, მ ა გ ა თ ა ც ველარ დავარწმუნებ ვერაფრით, მ ა გ ა თ გესლიან შენიშვნებს რა გაუძლებს. თავიდან როგორ მოვალეობას ვიხდიდი თითქოს, ახლა კი ... რატომ არ მინდა შევწყვიტო, მეც ხომ არ ჩამითრია ჩვეულების საკრალურმა ექსტაზმა? იქნებ ვირწმუნე მითაჟამინდელი რწმენისა? ეტყობა, თავისი გაიტანა ჩვევის მისტიკურობამ, რომელსაც ღამის იდუმალებაც დაერთო და აგუნას დალოცვილი წვენიც?!

— ბორანა, მე აქ დავრჩები, თქვენ კი წადით და უთხარით მათ, ჩემი და წამოიღებს ძაფებს, — ვამბობ ფრთხილად, მაგრამ ჯიუტად.

— არა, ბიჭო, სად იშოვიან ძაფებს, — შეწუხებული მეუბნება ბორანა, — ვის ექნება იქ ძაფი? დიდი-დიდი სამოთხ ოჯახს, თანაც, შეიძლება თეთრი ძაფი სულაც არ ჰქონდეთ.

არა, შეუძლებელია, აქ, შუაგზაზე შევწყვიტო ყველაფერი. იქნებ მხოლოდ მოვალეობა მინდა მოვიხადო? თუნდაც ასე იყოს, ჩვევის საკრალურობა, აბა, რა შუაშია: მ ა თ ხომ ასე სწამთ, და რომ ვერ შევასრულო — გულში ხინჯად ჩარჩებათ, თავი დამნაშავე ეგონებათ, გამაბეზრებენ გაუთავებელი წუწუნით. და მაინც... იქნებ სხვა რამეც მეზიდება, სხვა რამ გრძნობაც არ მაძლევს უფლებას, რაღაც ხმა შინაგანი სულისსკნელისა, მივატოვო ყველაფერი და წავიდე?

— ბორანა, ძმურად, შენ წაიყვანე რა ესენი, სხვა არაფერში შეგაწუხებ; ჩემი და წამოიღებს, თუკი იშოვიან, არადა მერე წამოვალ ფეხით. ბოდიში, რა, ბორანა... ძალიან გთხოვ.

ბორანა უხმოდ ჯდება საჭესთან. მე ჩამოვდივარ, ძაფს ხელში ვიკავებ, შემდეგ პარკს ვართმევ მთვარისას.

— მეც დავრჩები, ნანა, მაშინ, — ამბობს ნაზია.

— არა, ნაზია მამიდა, მე ვიქნები. თქვენ იქ აუხსენით ყველაფერი.

— მაშინ გუდუნა დარჩეს, — ამბობს მთვარისა. ასეც ვთანხმდებით, გუდუნას ჩამოაქვს ჩონგური.

— ცოდვა ხართ, ნანა, ამ სიცივეში.

— არაფერია ნაზია მამიდა, — ვამშვიდებ მე.

მანქანა ნელა მისრიალებს თავისივე სანათებით აბრწყინებულ გზატკეცილზე. მალე მისი უკანა, წითლად განათებული შუქურებიც უჩინარდება. გუდუნას აკანკალებს: ხელისგულებს მკლავებზე ისვამს და ცას შეჰყურებს; ზეცა ათასობით მნათობებს გაუცისკროვნებია, რომლებიც იდუმალად, რაღაც საკრალურად უციმციმებენ ერთმანეთს, რეცა შავი, უფრო სწორად, ღამის ცისფერი ზესკნელიდან.

## მეორე ნაწილი

— ხომ არ გცივა, გუდუნა?

— არა, — მპასუხობს, თუმცა აშკარაა, თუ როგორ ცდილობს კანკალისაგან თავის შეკავებას.

გზატკეცილს მარჯვენა მხრიდან მაღალი კედელი მიუყვება გზის დასაცავად, ქვა-ღორღი რომ არ ჩამოიშალოს. ვუახლოვდები, ზურგით ვეყრდნობი და ჩემს წინ გადაშლილ მობობოქრე ზღვას ვუსწორებ მზერას, შორს ლამაზად მოჩანს გემზე ანთებული ნათურები, სამკუთხედებად, საახალწლო ნაძვის ხესავით, უფრო შორს კი ვარსკვლავები დამხობია უზარმაზარ გველეშაპს.

— ხომ არ გეშინია?

— არა, რისი უნდა მეშინოდეს?! — მოდის გუდუნა და ჩემს წინ ცუცქდება.

ახლა ჩემს ახლოსაა სული, ალბათ მხედავს და მიყურებს, შეიძლება ირონიულადაც, თუმცა არა; თუ ჩემს ახლოსაა, გამოდის, ყოველივე ჭეშმარიტია და მაშინ ირონიულად არ შემხედავს. მაგრამ თუ უაზრობაა ყოველი, როგორც მე ვფიქრობ, მაშინ?! მაშინ ... მაშინ ხომ ისედაც არა აქვს აზრი? მაინც რატომ არ იჯერებ, რომ ეს ყოველივე მართალი იყოს! მაგრამ მაშინ ხომ უნდა წარმოვიდგინო სული, რომელიც ამ ციცქნა ძაფზეა გამოკიდული... როგორ მიუყვება სული ძაფს? ან ეს მამალი რაღაა? თავი ამოუყვია პარკიდან და ცის დასალიერს გაჰყურებს გარინდებული. ნეტავ ამ წესს რომ აღვასრულებთ, მერე სად წავა? ვინც იცის, ის ხელს აღარ წააკარებს, მაგრამ ვინც არ იცის? დასახლებაში უპატრონოდ გაშვებულს, თავისუფლად მობორიალეს დიდხანს ვინ აპარპაშებს? ნეტავ კიდევ რა დანიშნულება ეკისრა მაშინ, ამ უცნაური ადათის გაფურჩქვნისას? შევყურებ მამალს, არც ის მაშორებს თვალს. ახლა პარკში რომ არ იყოს მომწყვდეული, ფრთებს ააბათქუნებდა და სივრცისაკენ გაუტევდა.

— ხომ?! — მეკითხება გუდუნა და ახლაღა ვფხიზლდები; რამდენი ხანია მიყვება რაღაცას.

— ხო, — ვეთანხმები ჩუმად და შევყურებ, რაღაც გაბრწყინებული თვალები აქვს, მთელი ენთუზიაზმით ჰყვება.

— მახუტელას საერთოდ არ უჩვენებია თითები, არც შეშინებია, ისე გაყოლია, ტყაშმაფას არაფერი არ სცმია, მაგრამ ისე გრძელი და შავი თმა ჰქონია, ტანსაცმელივით უფარავდა თურმე სხეულს. შუაღამემდე უვლიათ და ტაბაკონას მთაზე ასულან. ისეთი ლამაზი ყოფილა ტყაშმაფა...

რაღა ტაბაკონასთან დააკავშირეს ჯადოქართა მითიური სადგომი? ნაკლებმისაწვდომი იყო ხალხისთვის და ამად დაედო ტაბუ? შემდეგ კი, აბა, ვინ დაარღვევდა ვაშინერსს? არადა მაინც ტყაშმაფასაკენ რომაა ხალხის განწყობა? არა, უთუოდ დიდი ქალღმერთი იყო ი ს ოდესღაც, მაგრამ მიივიწყეს, ეტყობა.

— ...დაქადნებია მზია მახუტელას: ვიცი რატომღაც დიდიხარ ასე ხშირად სანადიროდ და აღარ გირჩება გული ოჯახშიო, ბავშვი მაინც შეიცოდე, თორემ განანებ, იცოდეო. არ მოუშლია მახუტელას...

ქართულში მაინც ჩაძირკვულია ტრადიციაში: მიტოვება — წარმოუდგენელია, მთელი მოდგმის ფსიქიკისათვის გაუგებარი; მიტოვება, დატოვება ღალატად იშიფრება ... იქნებ გვაკლია თავისუფალი სულის შეგრძნება, იქნებ მხოლოდ ეგოისტურად შეგვიძლია სიყვარული და ერთგულება?! ბერძნებმა კი სიყვარულთან მაინცდამაინც ფსიქე დააკავშირეს, ნაზი, პეპლისფრთება გოგონა... ეტყობა, სწორიცაა: უმეტესად ეს გრძნობა აშიშვლებს ალბათ სულს ძირისძირობამდე, სწორედ სიყვარულს შეუძლია სამუდამო დაღი დააჩნიოს ფსიქეს; ღალატი, მიტოვება — აი, უდიდესი მტერი ფსიქესი! საოცარია, იმანაც რომ მიატოვა? ყოვლად წმინდა გააწირვინა და დაათმობინა სიყვარულისათვის: სამშობლო და მშობელი, და მაინც მიატოვა! თუმცა არც ის დაიბნა, შური იძია, მაინც არ შეიმჩნია: ის ხომ ამაყი ქართველი იყო! თანაც, ქალი! მაგრამ იქ უფრო უბრალოდაა: მოსწყინდა, გული აუცრუვდა და სხვა მოუნდა, ტახტი მოუნდა. ეს კი?! როგორ ნაღვლობდა ... ჩაუნვდომელია ... თუკი ასე გაუჭირდებოდა რაღას ტოვებდა? ღმერთის ნება იყო, ლიბერს დაუთმო თუ ლიბერმა დაათმობინა?! ვითომ? რაღად შეეპუა თუნდაც ღმერთს? წარმოუდგენელია! უბრალოდ, ეტყობა, არ ელოდა, რომ ასე გაუჭირდებოდა უიმისოდ, ამიტომაც მიაგდო უკაცრიელ ალაგას, ზედმეტი ტვირთი მოიშორა თავისი ჭკუით, ადამიანებმა კი გაამართლეს, უფრო სწორად, გასამართლებელი რაღაცები მოუძებნეს, ყველაფერი ბედს მიაწერეს, განგებას, ღმერთთა ნებას! იქნება გმირებს ი მ ა თ ი მიტოვების გასამართლებლად ისიც მიუსართეს, რომ ქალებმა, ერთმაც და მეორემაც, საკუთარი ძმები გაწირეს, მართალია პირველმა უმანკო, მეორემ კი ნახევრად ურჩხული, ცოდვის შვილი, მაგრამ ხომ მაინც ძმა! თუმცა არა, აქ, ეტყობა, უფრო მარაგითზრახვაა — მან გმირს ბოროტების სიმბოლო, სადღაც საოცარი ხელოვანის მიერ საზარლად გაბლანდულ ლაბირინთებში დამკვიდრებული ურჩხული დაამარცხებინა, ამადაც დაასაჩუქრა შემდეგ იგი ლიბერმა, მართალია სიკვდილის შემდეგ, მაგრამ მაინც ცაში, ზესკნელს მიუჩინა ბინა სამარადისოდ. ნეტავ იმ ხალხს საერთოდ არ სწამდა სიყვარულში ერთგულებისა? დავიჯერო, ასე თავისუფალნი იყვნენ? თავისუფლები კი არა, რაღაცნაირად ცივები არიან... იქნებ უბრალოდ ერთგულების ასე გაგებაა სასაცილო?! ნეტა თავისუფლება, უკომპლექსობა, კულტურის დონეზე მეტყველებს?! მაშინ ხომ პირველყოფილი ველურები ყოფილან უდიდესი კულტურისა და ცივილიზაციის მატარებელნი?

— ...ოჩოკოჩი, საოცრად ბანჯგვლიანი თმა ჰქონია მთელს სხეულზე, ღამესავით შავი ყოფილა. მკერდზე დიდი ძვლის ნაჯახი ჰქონია ამოზრდილი. არ მოხვიდე აქ, მახუტელა, მეორეჯერო, უთქვამს ოჩოკოჩს. ამას თურმე იმიტომ ეუბნებოდა, რომ თუკი მახუტელა დაეთანხმებოდა, მაშინ მას ტყაშმაფა თვითონ მოუღებდა ბოლოს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რა გულწრფელად მიყვება. ეშინია ღამის და უნდა საუბრით გაერთოს. ეტყობა, ღრმად ჩაეჭრა გულში ძალუას მონათხრობი. ჩემზედაც რომ მაგიურად მოქმედებს?!

გავყურებ გზის გაყოლებაზე მთვარის მოკრიალე ნათელისაგან აქათქათებულ ძაფს. შორეთში იკარგება. ასე წვრილია და როგორ მოჩანს? არა, მანქანის სანათები როცა მოაშუქებს, მაშინღა იელვებს ცხადად. შორს, შორეთში უჩინარდება და დასაბამიც არ ცნაურდება თითქოსდა მისი, იდუმალების უკუნში ჩანთქმული ისევე უკვალოდ, როგორც თვით ამ გონმიუწვდომი წესისა თუ ჩვევის მითაჟამინდელი ფესვები — საუკუნეთა გადასახედში, წარმართობინდელ მითოსშიც იქნებ. საოცარია: როგორ შეინარჩუნა დღესაქამომდე თავისი ცხოველმყოფელობა, როგორ სწამთ დღესაც, თუ არა სწამთ, რაღაც უცნაურ ჟრჟოლასა თუ თრთოლას ხომ გრძნობენ მაინც მისი შეხსენებისას?! თუმცა, ეტყობა, ესენი სწორედ ურვილი კითხვებია, რომლებზეც ჭკვიანი, გონნაწრთობი დუმილით გიპასუხებს ალბათ.

— ...მშვიდად სძინებიათ ჩახუტებულებს, განრისხებულა მზია, აქვე გავაცხებინებ ორივეს სულსო, უფიქრია, მაგრამ დროულად მოუთოკავს თავი: გახსენებია, რომ ტყაშმაფას ვერარა სულიერი ვერ მოერეოდა და ისევ ხერხი უხმარია: მხრების გასწვრივ მოუჭრია მშვენიერი თმა ტყაშმაფასთვის და სასწრაფოდ გამოქცეულა უკან.

იშოვიდნენ ძაფებს? სანამდე უნდა ველოდო? რა მონამლულ გუნებაზე იყო ბორანა... ნეტა რას გულზრახვიდა?! სანამდე უნდა ველოდო... არა, გუდუნას ამას აუცილებლად მოვაყოლებ თავიდან, როგორც კი მოვიხელთებ; ამ სახით ადრე საერთოდ არ შემხვედრია. ტყაშმაფა... დედაკაცისა მამაკაცთან მიმყვანებელი... ღრიჭო კარი... ნეტა გალმერთებული ქალია ტყაშმაფა პრეისტორიულ წარსულში, თუ გრძნეულის, ქალღმერთის დაკნინებული ნაგრამია?! ტაბაკონი... კავკასიონი... ნეტა სად არიან ამდენ ხანს?

— ...თვალი გაუყოლებია უწმიდური დათვისთვის, რომელიც ლამის აფრენილა მწვერვალზე, და სწორედ ამ დროს ჩამოქცეულა კლდის ქიმი. თოფი გავარდნია ხელიდან მახუტელას და ცალი ხელით დაკიდულა კლდის შვერილზე. ისევ დაბრუნებულა უწმიდური დათვი და უცებ უცვლია სახე: ოჩოკოჩი წამოჭიმულა, საოცრად ბანჯგვლიანი და მკერდზე ნაჯახგამოჩრილი; ხომ გაგაფრთხილე მახუტელა, მოშორდი ტყაშმაფას-მეთქი, უთქვამს და საოცარი ხარხარი აუტეხია. შემდეგ დაუკრავს კლდისთვის ფეხი და ის შვერილიც ჩამოშლილა, უბედური მახუტელა რომ იყო ჩამოკიდებული. იმ საღამოს დიდიჭყონშიც ისმოდა თურმე, ტაბაკონას თავზე რომ მოთქვამდნენ ტყაშმაფები, ასე თქვა ძალუა ბებიამ.

* * *

— ოდი, — დამიძახა დედამ, ოთახში კატას ვაწვალებდი, — ოდი, მიდი, ნათიას საწოლიდან თეთრეული მომიტანე. გესმის? ყველაფერი არ გადააქოთო.

შევედი ნათიას ოთახში. ჯერ საბნის პირი მოვხსენი და იატაკზე დავაგდე, შემდეგ ბალიშისპირი. ბალიშქვეშ სქელტანიანი რვეული შევნიშნე. კარისკენ გავიხედე და ფრთხილად გავხსენი. პირველ ფურცელზე გაშლილად ეწერა "დღიური". კარგა ხანს დავჩერებოდი გაკრული ხელით ნაწერ ფურცლებს. "ნეტავ, რას უნდა ნიშნავდეს?" რიცხვი და თვე ეწერა თითქმის ყველა გვერდზე.

— ოდი! — მომესმა ძახილი ეზოდან, — რას შვები ამდენ ხანს?!

— მოვდივარ! — გავძახე. რვეული საჩქაროდ დავხურე, ლოგინიდან ზეწარი ავილე და რვეული ისევ ბალიშქვეშ დავდე. თეთრეული ერთად დავაგროვე, ძლივძლივობით ჩავიბღუჭე მკლავებში და გარეთ გავიტანე. დედაჩემს დაკაპიწებული ხელები იდაყვებამდე ჰქონდა ამოსვრილი საპნის ქაფით. გამომართვა და მაგიდაზე წყლით სავსე ტაშტის გვერდით დადო.

— ლექსი ისწავლე?!

— ვსწავლობ...

— ოდი, იცოდე: როგორც კი მოვრჩები რეცხვას, გამოგკითხავ!

რაღაც ლექსი მქონდა სასწავლი, მაგრამ ახლა მაგისთვის არ მეცალა; საჩქაროდ გამოვიტანე ნათიას რვეული და ალალბედზე გადავშალე — შუაზე გადახსნა, ამის იქით არც კი იყო ნაწერი. უკან გადავფურცლე ორიოდე გვერდით, "26 ვარდობისთვე" ეწერა თავზე. გუშინწინ დაუწერია:

"ღმერთო, რა კარგი დღეა, დღეს მერცხლების ჟღურტულმა გამომაღვიძა. როგორ ვნატრობდი: ნეტა ჩვენს აივანზეც იყოს-მეთქი მერცხლების ბუდე, როგორ ამიხდა?!

ნუნუსთან ვიყავი გადასული ... ხვდება ნუნუ, თვალები გზისკენ რომ მაქვს მიპყრობილი, მაგრამ არ მაგრძნობინებს. როგორც იქნა გამოჩნდა! ღმერთო, რა ნელა და უდარდელად მოდის, თითქოს არსად ეჩქარებოდეს! განანებ! ნახე როგორ გალოდინო, ანდა საერთოდ აღარ მოვალ! იჯექი ბიძაშენთან და იყბედე რამდენიც გინდა! ...რა თავქარიანი ვარ?! რას ვერჩი, რამდენი ტანჯვა ...როგორ ეშინოდა, როცა გურიზე საუბრობდა ...სულელი, ვერც კი წარმოუდგენია, როგორ მიყვარს, ჯერ კიდევ პატარას რომ დააკოპწიალებდა დედამისი, მაშინ მიყვარდა უკვე.

გაგვისწორდა და ღიმილით მოგვესალმა. ერთი სული აქვს მკითხოს: ხომ მოხვალ გურამ ბიძიასთანო, მაგრამ არ იმჩნევს და ირონიულ კომპლიმენტს გვეუბნება. თუმცა თვალები მევედრებიან ...ღმერთო, რა გულუბრყვილოა; რითი ვერ ხვდება, რომ მოვალ! როგორ ვერ ხვდება, რომ არ შემიძლია არ მივიდე!

— ნათია, წამოდი — გურამ ბიძიასთან გადავიდეთ.

— მერიდება, ნუნუ!

— მოიცა ერთი, რისი გერიდება?!

ნათელა ჩაის საკრეფად იყო წასული, გურამს კი ვენახის შესაწამლი მანქანა ეკიდა ზურგზე.

— ო, ნათია! როგორც იქნა! გოგო, საერთო ღობე უძევს ჩვენს ეზოებს, ერთი როგორ არ უნდა გადმოხვიდე?! — საყვედურით მეუბნება, — თვეში ერთხელ მაინც? ვატყობ, თავი შეიკავა, თორემ უნდოდა ეთქვა: ვარაზი თუ არ მოვიდა, ისე არ უნდა გადმოხვიდეო?

ზალაში დავსხედით. ნუნუმ: ბავშვი ტირისო, — და გარეთ გავარდა, გურამმა: ერთი მწკრივილა დამრჩა და შემოგიერთდებითო.

ღმერთო, რა უდარდელი სახე აქვს, ახლა გამიწყდება მოთმინების ძაფი!

— ვარაზ! რას ერჩოდი გულადს? — ვცდილობ არ შევიმჩნიო; ცოტაც და ამეშლება ძარღვები. კეთილად ილიმება და მეუბნება:

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ნათი, რა საერთო აქვს მაგას შენთან? თავისი გზით რატომ არ წავა?

— ვარაზ, გინდა მთელი სოფელი ჩემზე ჭორაობდეს?! — სიტყვა მინყდება, სათქმელს ვეღარ ვაგრძელებ. ვგრძნობ: ცოტაც და ავტირდები.

— ნათი, ხომ იცი, როგორ მიყვარხარ? სისულელეებს რატომ არ მოეშვები?!

არა, უკვე აღარ შემიძლია, სახეს ხელებში ვმალავ.

— რა გატირებს, ნათია?! — ნამოვარდა ვარაზი. ხელებს მაშორებს სახიდან და თვალებში მიყურებს, — ამიხსენი, ნათია, რატომ ტირი? — უფრო ვერ ვიკავებ თავს, — ნათია, გურამი შემოვა, უხერხულია..."

უცებ დერეფნიდან აჩქარებული ნაბიჯების ხმა მომესმა, კარებს უახლოვდებოდა. სასწრაფოდ დავკეტე რვეული, ლოგინზე დავაგდე და ფეხზე წამოვიჭერი; ნათიაც შემოვიდა; სახე აწითლებოდა, მეერდი გამალებით აუდ-ჩაუდიოდა. "დღეს სამშაბათია, ეტყობა, დარჩა რვეული შემთხვევით და ამიტომაც მოვიდა, აბა, სხვა დროს ხომ მხოლოდ შაბათ-კვირას ჩამოდის?!"

— ოდი, რას შვები?! — მე ენა ჩამივარდა. არ ვიცოდი, რა მეთქვა, მერჩია მინას ეყო პირი. "ნეტა ახლა გავქრებოდე აქედან!"

— მე ...დედა თეთრეული მომიტანეო...

— ოდი, ჩემს რვეულს კითხულობდი?!

— არა, — თავი გავაქნიე დაბნეულად, — შემთხვევით დავინახე, ბალიშის ქვეშ.

— რა ცუდი ბიჭი ხარ, ოდი! — მომიახლოვდა ნათია და რვეული აიღო. — რომელი წაიკითხე? — მე თავი ჩავღუნე. — თავიდან? — თავი დავუქნიე.

— რამდენი წაიკითხე?

— ორი ფურცელი, — ნავილუღლუღე და ცრემლი წამომივიდა.

— კარგი, ოდი! — მოვიდა ნათია და ლოყაზე მაკოცა, — მითხარი, ხომ არავის ეტყვი? — სახე ამინია და თვალებში ჩამხედა, — ოდი, ხომ არავის ეტყვი?!

თავი დავუქნიე.

ახლა კი ნამო, დედამ, ლექსი ასწავლეო.

* * *

მიძიმს ლოდინი, ან როდის მოვლენ, ისიც საკითხავია, მოვლენ კი საერთოდ? გარშემო ვიხედები, წინ თორმეტსართულიანი სახლი დგას, კანტიკუნტად ანთია სინათლე ფანჯრებში, მარჯვნივ კი პატარა სახლები ჩამწკრივებულან, ქოხებივით, ძირითადად ერთსართულიანები. ერთში შუქი ანთია. მივიდე? რას იფიქრებენ! რა მოხდა მერე, აქ ტყუილუბრალოდ ლოდინს ისევ უარით გამოსტუმრება მირჩევნია.

— გუდუნა, მე აი ამ სახლში მივალ და ძაფს ვითხოვ, შენ ხომ არ შეგეშინდება? — გუდუნა სახლისაკენ იყურება, ვატყობ, ეშინია, — კარგი, ერთად მივიდეთ.

ძაფის კოჭს მაღლა ვდებ კედელზე, რომელსაც ვეყრდნობოდი. სახლამდე ასიოდე ბიჯი იქნება. ნელა მივდივარ, თან ვაყალიბებ აზრს, თუ რა ვთქვა, როგორ ვთხოვო ძაფი. მართლაცდა უცნაურია, ამ შუაღამით მიადგე კაცს და: ძაფი ხომ არა გაქვთ, ჰკითხო.

ეზოს ვუახლოვდები. ხის ჭიშკართან ვჩერდები და სახლს გავყურებ, ძველებური ფიცრულია, პატარა აივანი აქვს, პარმაღივით, რომელზეც სამსაფეხურიანი ხის კიბეა მიშენებული. კიბეზე მოხუცი ჩამომჯდარა. უჰ, აგაშენა ღმერთმა. ფანჯრიდან გამომავალი შუქი ზურგიდან სცემს და მის თეთრ თმას აელვარებს. ძველებური ტანსაცმელი მეცნო, მაგრამ გვიან; სანამ ვაცნობიერებ, უკვე აღმომხდა ძახილი:

— მასპინძელო! — მოხუცი თავს სწევს და დგება.

— რომელი ხარ, მობრძანდი! — რამდენიმე ნაბიჯს დგამს.

კარს ვაღებ და შევდივარ. მოხუცი გაოცებული მიყურებს, შემდეგ მზერა მამალზე გადააქვს, რომელიც გუდუნას მოჰყავს.

— გამარჯობათ!

— ღმერთმა გაგიმარჯოთ! — გვეუბნება ომახიანად. მკაცრი ნაკვთები აქვს. ეტყობა, მტკიცე ხასიათისაა.

— ბოდიშს გიხდით, ასე უდროო დროს შეწუხებისათვის, — უხერხულად ვრწმუნდები, რამ მომიყვანა, — იცით რა, ჩვენებურ წესს ვასრულებთ, სულის გადმოყვანა ჰქვია ... ძაფი დაგვითავრდა, ხომ არ ...

— საიდან ხართ, შვილებო? — რატომღაც თვალები უელვარებს, — ვიცი მე ეს წესი, — ამბობს ჩუმად, მე გაკვირვებული ვუმზერ, თუმცა ყველაფერს ვხვდები.

— ჩვენც აფხაზეთიდან ვართ: ბაბუაჩემი ჩაუშტყაშფა მოჰყვა მუჰაჯირობაში, — კარგახანს უხმოდ გვიმზერს, შემდეგ კი იძახის — ცისია!

— რა იყო, მამი! — კარი იღება და ოცდასამიოდე წლის ქალიშვილი გამოდის. გაშლილი ღიახორბლისფერი თმა დალალებად დასთამაშებს მხრებზე. თეთრი, ღამისპერანგის მაგვარი ხალათი აცვია. გაოცებული გვათვალიერებს. მე მოულოდნელობისაგან ენა მებმის; საოცრად ჰგავს ნათიას. "ღამე მშვიდობისას" ძლივს ვღერღავ.

— ცისია, ნახე, თეთრი ძაფები თუ გვაქვს და გამოიტანე, გვაქვს ვითომ?

— მგონი, კი, — დაბნეულად გვიყურებს, — რამდენი უნდათ?

— რაც არის, ყველა წამოიღე!

ცისია ოთახში შებრუნდა, მოხუცი ჩვენ მოგვიტრიალდა.

— სად ცხოვრობდით?

— მე გუმში, ესენი კი, — გუდუნაზე მივუთითე, — გულრიფშში.

— შორსმჭვრეტელია რუსი, — თავი გააქნია მოხუცმა, — ჯერ აფხაზები აგვყარა დედაბუდიანა და თურქეთში გვიერა თავი, ახლა კი ქართველები გადმოგრეკათ. ჭკვიანია რუსი! — ისევ დანანებით გააქნია თავი, — იცის თავისი საქმე მაგ ოხერმა!

— მამი, — გამოდის ცისია, — აი, ეს ერთი ვნახე კარგი, — აჩვენა და მერე მე მიწვდის. ბურთულასავით გორგალის ფორმის ოდნავ მსხვილი, აბრეშუმის ძაფია, ეტყობა, საქსოვად ჰქონდა. ვართმევ და მადლობას ვეუბნები.

— აი, ეს ორი, პატარებია, მაინც წაიღე, იქნებ დაგჭირდეს! — მე უხერხულად ვართმევ.

— დიდი მადლობა!

— აქ სადა ხართ?

— მწვანე კონცხზე!

— არ გეყოფათ! — თავს იქნევს მოხუცი.

— კაცი გვყავს გაგზავნილი, მანამდე მოგვისწრებს, — ვეუბნები და შემდეგ ვუმატებ, — კარგად ბრძანდებოდეთ.

— კარგად! — გვეუბნება ცისია და გვიღიმის.

ჩვენ ეზოდან გამოვდივართ. მოხუცი კარს კეტავს და გვემშვიდობება. ცისია აივანზე დგას და ჩვენ გვიყურებს. ღმერთო ჩემო, როგორ ჰგავს ნათიას. ჟრუანტელი მივლის სხეულში, ხელს ვუქნევ და მთავარი გზისკენ მივდივარ.

აბრეშუმთან შედარებით კოჭზე შერჩენილი ძაფი საოცრად წვრილია. ვაბამ ერთმანეთზე და ნელა ვხსნი აბრეშუმის გორგალს. ჩემდაუნებურად ვამჩნევ, თუ რა ელვარე თვალებით მიმზერს მამალი. ნელა მივდივარ. ზღვა ღრიალებს და გამწარებული ეხლება ქვის ჯებირებს, მის ხმაურში ძლივს ისმის ჩონგურისა და გუდუნას მთრთოლვარე ხმა. რა ადვილი ყოფილა მანქანის გარეშე. არ გეშინია ხელიდან გასხლტომის, არც უეცარი გაუჩინარების. თითქმის კილომეტრს გავდივართ. აბრეშუმის გორგალი მთავრდება. მინდა ძაფის პატარა კოჭი ამოვილო ჯიბიდან. უცებ მანქანის სანათები გვაშუქებს თვალებში. მანქანა წრეს არტყამს და ჩვენთან ჩერდება. მხოლოდ ახლა ვხვდები, რომ ბორანაა. არ ველოდი, თუ ისევ თვითონ მობრუნდებოდა ... თუმცა, აბა, ფეხით ხომ არ გამოუშვებდა იმათ? არც ძაფის შოვნის იმედი მქონდა...

— აბა, წავედით! — გადმოდის ბორანა მანქანიდან და კოჭს მანვდის.

— არ დაგივიწყებ, ბორანა! — ვეუბნები და ძაფს ვართმევ.

— ღმერთი გაგახარებს, ბორანა, ნანა! — ამბობს ნაზია და მე მიყურებს, — იმდენი იწრიალა, შვილო... მთელს მესამე სართულზე თვითონ შეაგროვა ძაფები... ღმერთი სიკეთით გადაუხდის!

ჯერ გუდუნას ვუშვებ მანქანაში, შემდეგ ძაფის ბოლოებს საჩქაროდ ვაბამ ერთმანეთზე, კოჭში მავთულს ვუყრი და მანქანაში ვჯდები.

— მზადაა?! — მეკითხება ბორანა.

— ყველაფერი რიგზეა.

მანქანა თუხთუხებს და ნელა იძვრის ადგილიდან. კოჭიც ჯერ წყნარად, შემდეგ კი ციბრუტივით იწყებს ტრიალს და თვალი ველარ წვდება, ველარ აღიქვამს, თუ როგორ სცილდება ძაფის წყება-წყება ფენები კოჭს, როგორც წუთისოფლად მობორიალე ადამიანის ცხოვრებას — ელვისუსწრაფესად, მაგრამ შეუმჩნევლად — წამადქცეული დღეები, ამქვეყნად ჩვენი უმწეობის, განქარვებისა და უაზროდყოფნის უჩვეულო, მაგრამ უცილობო, ექვმიუტანელი მოწმეები, დროში ადამიანის უსასოდ წარმავალობის შემაძრწუნებელი მაცნეები. შევყურებ ამ კოჭს და მისგან წამის-წამობით შექმნილ ახალ-ახალ, დაუსაბამო და უსასრულო გზას და ამადაც მივლის ეჭვი: არა, არაფრით არ გამოყვებოდა სული, შენი სული, ამ საცოდაობას, ხოლო თუ გამოყვებოდა, მაშინ რაღაც სასწაული არსებულა ამ ქვეყნად — ღმერთშემოსილი — ან კიდევ ჩემი ცნობიერება ყოფილა უდღეური, ჩემდა ჭირად და ჩემდა აზრთაგან გარდასახდომად მომართული და მოწყობილი!

* * *

საავადმყოფოში მისვლისთანავე დამეკარგა ყოველგვარი იმედი და უსასოობის გრძნობა დამეუფლა. მგონი, არავინ იწვა მთელს საავადმყოფოში. როგორც იქნა მივაგენი ნათიას ოთახს; დედა უჯდა გვერდით, ლოგინთან. შევაღე მინის კარი და შევაბიჯე. ნათიას გაეღიმა.

— როგორა ხარ, ნათია? — შევეკითხე და სარკმელთან მივედი.

— რა ვიცი?! — მხრები ღიმილით აიჩეჩა, — არა მიშავს.

— კი მაგრამ, შენს მეტი არავინა წევს აქ?!

— ერთი ბიჭი იწვა, გვერდითა ოთახში, გუშინ გაწერეს.

— რა სჭირდა?!

— დეზინტერია, — გაეღიმა ნათიას, მეც გამეღიმა, — იქ, წინ რომ მოსჩანს შენობა, პატარები წვანან. ძალიან ბევრნი. მძიმედ არიან ავად. იცი, დღესაც მოკვდა ერთი.

გულში რაღაც ჩამწყდა. სარკმლიდან შევხედე იმ სასახლეს, რომლისაკენაც ნათიამ მიმითითა; მესამე სართულის აივანზე ახალგაზრდა ქალი იდგა და ბავშვს ანანავებდა. მოაჯირებზე ჩვილი ბავშვების ტანსაცმლები იყო გადაფენილი.

— კი მაგრამ, ვერ შველიან?

— ზოგს კი, ბავშვები ხომ სუსტები არიან და ვერ უძლებენ, — ცდილობდა მშვიდად ეთქვა, მაგრამ, ვატყობდი, რა დაძაბულობაც იმალებოდა იმ სიმშვიდის მიღმა. გავჩუმდი და ისევ სარკმლიდან გავიხედე. უცებ პალატის კარი გაიღო და ექთანი შემოვიდა.

— გამარჯობათ! — მოგვესალმა, მერე კი მე მომიბრუნდა.

— ახალგაზრდავ, აქ ვინ შემოგიშვათ? — მკითხა გაკვირვებით. მეხამუშა მისი დისტანციური კილო; ჩემი ხნისა თუ იქნებოდა, — გინდათ, თქვენც დაავადდეთ? ხომ იცით, რომ ინფექციური...

— ფერხისა, ეს ჩემი ძმაა, — არ დაამთავრებინა ნათიამ.

— სასიამოვნოა, — შემათვალიერა ფერხისამ, — მით უფრო უნდა გავაფრთხილო მაშინ! — დასძინა ღიმილით და კარისაკენ გასწია.

— უცოლოა! — დაადევნა ნათიამ და სახე საყვარლად გაებადრა.

— ხოო?! — მოტრიალდა ფერხისა, სახე წამოუწითლდა, — ლტოლვილი რომ არ იყოს, გავყვებოდი! — წარმოთქვა შემდეგ და საჩქაროდ მიიხურა კარი.

ნათიამ გადაიკისკისა, დედაჩემსაც გაეცინა, მე არაფერი შევიმჩნიე, თმა მოვიქექე და, ნათიას რომ მოსწონდა, ისე, ბალღურად გავიღრიჭე.

— რა თქვა ექიმმა?! — ვკითხე დედაჩემს დერეფანში.

— ახლა ცოტა უკეთაა შვილო! — მითხრა, შემდეგ თვალებში შემომხედა, თავი ველარ შეიკავა, ცრემლები გადმოუცვივდა და დასძინა, — ექიმმა, მარტო ინფექციის შეჭრის ბრალი არააო!

— მაშინ რა, მოწამლულიაო?!

— არა... საერთოდ არაა ჩემი ავადმყოფიო. . .

— კი მაგრამ, თქვენ რა, არ გითქვამთ?!

— არა! ნათიამ არ ქნა არაფრით, არ ვთქვათო, რომ...

— მერე... საბუთებში არ ეწერა?

— არა! მარტო პასპორტი ვაჩვენეთ. იცი, როგორ უხარია?! დედა, ვერაფერს ვერ მიხვდნენო.

— ისე მართლაც, ი ს რა შუაშია...

— როგორ არაა შუაში, შვილო; ცენტრალური ნერვული სისტემა აქვს დაქვეითებულიო! წამალსაც არ ღებულობს ორგანიზმი! — ტირილი აუვარდა, ცდილობდა ჩუმად ეტირა, — მიხვდა, იმ წამსვე მიხვდა ექიმი . . .

— როგორ მიხვდა, ახლა ხომ კარგადაა და არაფერი ეტყობა?!

— ეჰ! მაგათ რას გამოაპარებ, შვილო.

— თავიდანვე უნდა გეთქვათ, იქნებ სხვანაირი მკურნალობა სჭირდებოდა?!

— არ ქნა, შვილო, არაფრით, იტირა, არ ვუთხრათ, დედაო! — ატირდა დედაჩემი.

— კარგი, დედა! — გავბრაზდი და ლამის იყო ვიყვირე, — რა გატირებს, იქნებ სხვა საავადმყოფოში გადაგვეყვანა, რაღა აქ გავჩერდით, ბარემ მიგვეყვანა რესპუბლიკურში!

— როგორ?! — გაუკვირდა დედაჩემს, თან თვალები ამოიწმინდა ხელისგულებით, — ინფექციური ხომ ესაა?!

— აკი არაა ჩემი ავადმყოფიო?!

— არა, ეს საერთოდ თქვა, თორემ როგორ არაა! წყლისგანაა ინფექცია შეჭრილიო. იმდენ ხანს შინ არ უნდა გაგეჩერებინათო, უცებ უნდა მოგეყვანათ საავადმყოფოშიო. ხვალ სისხლს შეუმოწმებენ.

— ხო, კარგი, და ნუ ტირი, არაფერი უჭირს ისეთი! — გამახსენდა ნათიას მოცინარე სახე და დავმშვიდდი.

* * *

ლამისაა ხელები დამაწყვიტოს მავთულმა, რაღაც საოცარი ძალით ექაჩება უკან ძაფი, ლამისაა გამივარდეს, თითქოს საავადმყოფოსკენ უნდოდეს ჩემი მობრუნება. ვერა, ანი ვერარა ძალა ველარ დამაბრუნებს უკან, მაგ წყეული ტალანებისაკენ, საკუთარი სულიც რომ მყავდეს გამოსაყვანი! ვცდილობ მეორე ხელიც მივაშველო მავთულს; ოდნავ გვერდით მექცევა, რაც საკმარისია ძაფის გასაწყვეტად.

— მოიცა, გაწყდა! — ვყვირი ძალაუნებურად. ვხედავ, რა გალიზიანებით აჩერებს ბორანა. არა, უკვე ნაღდად აღარ შემიძლია.

ჩამოვდივარ მანქანიდან და ვეძებ. ორმოცამდე ბიჯს გავდივარ, მაგრამ ვერ ვპოულობ. მანქანას გამოედო და უკან გაიყოლია? გულდაწყვეტილი გავყურებ შორეთს. რას დავინახავ ამ უკუნში? არა, უკუნი საიდანაა, ციურებითაა გაბრწყინებული ზეცა; უბრალოდ, ძაფს რას დავინახავ ამ ღამით, თუმცა ადრე ხომ ირეკლებოდა მნათობთა შუქზე? არა, ნაღდად მანქანას გამოედო. არ მინდა დავიჯერო და გზას განივად ვკვეთ, თან ხელებს ვაფათურებ გზატკეცილზე: სადმე ხომ უნდა შემხვდეს, თუკი არის აქ საერთოდ? არაა! მივდივარ კვლავ, ვატყობ, უკვე ვბრაზდები და ჩემს უმწეო მდგომარეობაზე ვღიზიანდები. ახლა შინ ვიქნებოდით, ძაფი რომ არ დაგვლეოდა. ნეტა მაინც როგორ მოძრაობს სული ძაფზე, როგორც რონოდა საბაგიროზე? მთაწმინდა ... ზეცისკენ აიჭრნენ სულები თუ ხორცთან ერთად ჩაინთქნენ? ეს როცა წყდება, მაშინ რა მოსდის ნეტა სულს, არ იბნევა, თუკი მოუყვება მას, ხომ გადასცდება, როგორც ვაგონი გადაჭრილ ლიანდაგს? დაიბნეოდა, ალბათ უცებ დაებნეოდა გზა. არა, უსათუოდ ვერ გამოაღწევდა. მას ერთხელაც არ გაწყვეტია, სხვანაირად დაუსრულებლივ იბორიალებდა უსასრული ტალანებში, ოთახიდან ოთახში. ეს რაღაა? ხო? უეჭველად ძაფი! ვქაჩავ, მაგრამ ორიოდე წყრთის ოდენა ნაგლეჯიღა მრჩება ხელში... დანაწევრებული გზასავალი... ეტყობა მართლა დაგლიჯა მანქანამ... დასწყევლოს ეშმაკმა! ფუი, ეშმაკი მახსენდება და ვბრაზდები კიდევაც... მართალიც რომ იყოს ყველაფერი, მაინც არ წამოგვყვებოდა სული, წამსვე გაბრუნდებოდა, თანაც, ნასვამიც ვარ, ი ს ხომ ვერ იტანდა სიყალბეს, უცებ შეამჩნევდა. მ ა ს განა გამოაპარებდი რაიმეს?!

* * *

1987 წლის, 27 ქრისტეშობისა... ყველაფერი რომ ვთქვა, რაც გულში მაქვს, გიჟიაო, იტყვიან! არადა, დარწმუნებული ვარ, რასაც მე ვფიქრობ, იმასვე ფიქრობს უმეტესობა, ოღონდ მალავენ... არაფრით არ იტყვიან. ვატყობ, ოდი რომ მიყურებს საუბრისას, თითქმის ყველაფერს ხვდება. თვალები გაუფართოვდება და მომაშტერდება. ვიცი, არაფერს მაგრძნობინებს, მაგრამ ხვდება. მერე მე სიცილი მივარდება... არა, ვერაფრით რომ ვერ ვიკავებ? ასე ხომ მართლა გიჟი ვეგონები ვინმეს! ხანდახან იმას რომ არ ვაკეთებ და ვამბობ, რასაც ჩემგან ელიან, ის მაცინებს. და უცებ მომაჩერდებიან ეჭვიანი მზერით. ხანაც ვამჩნევ: ერთმანეთს გადახედავენ, მე კი მიყვავებენ... როგორ ვერ ხვდებიან ეს სულელები, ძალიანაც კარგად ვიცი, რასაც ნიშნავს მათი დაყვავება, მათ მიერ ჩემი დამშვიდება! ოჰ, როგორ მინდა მაშინ ვიყვირო, ვიკივლო, თმებით დავითრიო ყველა, სახე დავუკაწრო, კისერი დავბრჭყალო ფრჩხილებით, როგორ მინდა მთელს დედამიწას ცეცხლი წავუკიდო!!! ამას წინათ ოდი ცეცხლს ანთებდა, უცებ ცხადად წარმომიდგა თვალწინ, როგორ ვასხამდი ოდის თავზე ბენზინს და როგორ ვუკიდებდი ცეცხლს, როგორ ავარდებოდნენ ცეცხლის ალები მისი სხეულიდან, შორეულ სივრცეებზე გაიელვეს ჩემს წარმოდგენაში ცეცხლწაკიდებულმა ჟირაფებმა... უცებ ოდი მომაჩერდა და რატომღაც მომეჩვენა, რომ ჩემი ცნობიერების გაელვებანი წაიკითხა, ცხადად დაინახა... სიცილი ამივარდა. შემდეგ ოთახში ჩავიკეტე და ავტირდი. აღარაფრით არ ძალმიძს თავი შევიკავო. ისეთი გრძნობა მაქვს, თითქოს ადამიანებმა ვებერთელა, თვალმიუწვდომი კედელი შემოავლეს ჩემს ირგვლივ, მომაქციეს კედლის იწროებში და გასასვლელი არსად დამიტოვეს. მეც მთელი ენერგიით ვცდილობ გავაღწიო და იმასღა ვახერხებ, თავით ვეხეთქო კედლებს... ბიჭად მაინც გავჩენილიყავი, ასე არ გამიჭირდებოდა... ან მგონია ასე... განა მას არ უჭირდა?! ვერაფრით მოახერხა გაერღვია! ოხ, როგორ მსურს თქვენი ამოჟუჟვა ვიხილო, ადამიანებო, მე თქვენ მძულხართ! მე ხომ მხოლოდ გასართობი ვარ თქვენთვის, მე ხომ მხოლოდ თქვენი სათამაშოს დანიშნულება მომანიჭეთ უკვე, იმას კი ველარ მიმხვდარხართ, სათამაშო კი არა, სარკე ვარ თქვენი, სარკე! ზუსტი ანარეკლით რომ ვისხლეტ თქვენს ქცევებსა და ქმედებებს, თქვენს ფიქრებსა და გრძნობებს, თქვენს მირაჟებით დამძიმებულ სულს! მაგრამ თქვენ ხომ არ შეგიძლია დაინახოთ თქვენი სახება! თქვენ ყოველივე ეს რომ მოისმინოთ, ან წაიკითხოთ, გიჟად მომნათლავთ, მხოლოდ იმიტომ, რომ თქვენი გულისზრახვანი გავაცხადე! ვიცი არც ამ საღამოს დამეძინება ...ღმერთო, რა აუტანელია! ისევ ის მახსენდება, ცეცხლწაკიდებული ოდი რომ წარმოვიდგინე და ტანში ჟრუანტელი მივლის. ისევ ვტირი... ძილის წამლებიც კი არ მაძინებს... მხოლოდ მასუსტებს და მაძაბუნებს. ხვალ ფიქრის თავიც აღარ მექნება, მილასლასებული ვიქნები... ზოგი განზრახ მეკითხება გულისთქმებსა და სიზმრებზე, ჰგონიათ, მაინცდამაინც სულელური სიზმრები უნდა მჭირდეს! ექიმიც ხომ ასე მეკითხებოდა, და რამდენს მეფერებოდა?! სულ "ჩემო ნათიას" მეძახდა, მკერდზე რომ მიმიკრა, კინაღამ ავტირდი... ადრე რა სასაცილოდ მომეჩვენებოდა, გულჩვილ სენტიმენტალობად, არადა, როგორ დამაწყნარა?! ნეტა მართლა გიჟი ვარ?!

**დასასრული შემდეგ ნომერში**



სევდის გარეშე პოეზია არ არსებობს, მაგრამ ეს, როგორც ცნობილია, ბევრი არაფერია, რადგან პოეზიის გარეშე არსებობს ყველანაირი სევდა, რომელსაც გამოხატვის სათანადო ფორმა არ გააჩნია. გვინდა-არ გვინდა, ყველაფერი ფორმით იწყება და, კაცმა რომ თქვას, ფორმითვე მთავრდება. შინაარსი? შინაარსი ხომ იგივე ფორმაა, მატერიალიზებული იდეა, გასაგნებული რაობა მოვლენისა.

ბოლო დროს მანანა ჩიტიშვილის ლექსი თითქოს ახლიდან იშვა, და ამის მიზეზი სწორედ სევდაა, დაუძლეველი სევდა, რომლის კონტურებში ცხადად მოჩანს როგორც საქვეყნო, ისე პირადი მოტივები.

ელეგიურ განწყობილებებს პოეტმა ახალი ნესრიგი მისცა, პოეტური აზრი და იდეა დააშენა ისეთ ჰარმონიულ სტრუქტურაზე, რომელიც არ ჩანს, მხოლოდ იგრძნობა, როგორც ნაცნობი მელოდიის ლაიტმოტივი. სტრიქონები გაამდიდრა კლასიკური რემინისცენციებითა და პოეტური სენტენციებით, შექმნა ეფექტური კომპოზიცია, რომელშიც მთელი უფრო მეტია, ვიდრე შემადგენელ ერთეულთა ჯამი. ლექსიც თავისებურად აღიქმება, ჯერ გრძნობა მოდის, შემდეგ აზრი, რომელიც თავის მხრივ ახალ გრძნობას ბადებს და ასე გრძელდება ეს შესანიშნავი ლირიკული სერპანტინი.

**მანანა ჩიტიშვილი**

## საქართველოს ვუყურებდი

განა მხოლოდ ქართლი მჭირდა,
მისით ვიყავ უკურნები,
ცხმორის ციხის ქონგურიდან
საქართველოს ვუყურებდი.

არც რა დარდი ამერიდა,
გულზე მაწვა, როგორც ლოდი,
ქსნის ხეობის სარკმელიდან
მამულის ცას გავცქეროდი.

ამ მიწაზე ფესვი მედგა,
ფერს გრიგალი ვერ მიკრთობდა,
რადგან ჩემი გულის ფეთქვა
საქართველოს ეკუთვნოდა.

ნუ გგონიათ, მტერი დამხრის
ანდა გამტეხს უცხო ჭირი,
ჩემს სამკვიდროს
    ცრემლს რომ ვაყრი,
ქვეყნის სატკივარსაც ვტირი.

მაღლით ღვთისმშობელი მლოცავს,
ლოცვით სული მეშენება,
ქსანიც გალაღდება, როცა
საქართველოს ეშველება.

განა მხოლოდ ქართლი მჭირდა,
მისით ვიყავ უკურნები,
ცხმორის ციხის ქონგურიდან
საქართველოს ვუყურებდი.

* * *

მოვარდა ჟამი მზის ამბოხების,
ცხრა იადონი გულში მიგალობს...
სადმე უეცრად თუ შემომხვდები,
გთხოვ, სიხარული არ დამიშალო.

გამოვასწარი ქარს და რა მიშავს,
არ გაიოცო და არც დაიბნე,
თუ ჩემმა მზერამ რამე განიშნა
ან ბაგეებმა გითხრეს რაიმე.

შენ ხარ მზესავით დამსხმელი რეტის,
ჩემი მიმქრალი სისხლის ამკლები, —
მოწონებაზე
    ათასჯერ მეტი
და სიყვარულზე
    ოდნავ ნაკლები.

## მე ვითომც არ დამინახავს

სიო ურხევდა წამწამებს,
ლხინის თავს იჯდა ინახად,
ვერც ახლოს მისვლა შევბედე,
ვერც იმის კითხვა:
    "ვინა ხარ?"

სურვილით ფერი გკრთებოდა,
თუმცა ბროლი და მინა ხარ,
მოჰხვიე ხელი,
    აკოცე,
მე ვითომც არ დამინახავს.

## უკანასკნელი სიყვარული

სამყარო მისთვის
დღეს სხვა ხმით გალობს,
გულზე ავლია
შროშნის არშია,
უკანასკნელად,
პატარა ქალო,
უყვარს და...
წლები რა შუაშია.

ცრუ იმედები
ბევრი უნახავს,
ცრემლები ზოგჯერ
ახლაც ასველებს...
ოღონდ
სიყვარულს ნუ დაუძრახავთ,

ნურც წყეულ ასაკს
ნუ შეახსენებთ.

ვინ იცის,
ღმერთი ვის როგორ სწყალობს,
ან წითელ ვარდებს
ვისთვის გაშლიან...
სულს უყვარს ღვთიურს,
პატარა ქალო,
თმების სითეთრე
რა შუაშია.

## დაგვიანებული ლექსი

თუმცა ცრემლიან ბარათებს მწერდი,
ვერ შეხსენ ჩემი გულის ცისე და
მე ჩაგიარე რამდენჯერ გვერდით
და შენთვის არც კი შემომიხედავს.

გაფრინდნენ წლები ფრთების შერხევით,
ეზოში ნუშმა ბევრჯერ იფეთქა,
მოულოდნელად და სულ შემთხვევით
ჩვენი გზა ისევ გადაიკვეთა.

მითხარი, ცაო, გრძნებით მქუხარევ,
ან შენ, პეპელავ, —
მინდვრის პოეტო,
გულს რად მოანყდა ტალღა მდუღარე,
ბაგეს სიფითრე რისთვის მოედო.

თითქოს შემბორკეს მძიმე ლასოთი
ან მათრახის ქვეშ ჩატყდა ლავინი, —
ნუთუ აქამდე მართლა მახსოვდი,
ნუთუ ამდენ ხანს არ დამავიწყდი.

ვიცი, ღირსი ვარ ამგვარი ბედის, —
მირიად გზებზე სიტყვით მოხეტე,
რომ რა ხანია, აქ ხარ, ჩემს გვერდით
და ერთხელაც კი არ შემომხედე.

## ღამის მცხეთა

გზაზე ჩრდილი წვება ხისა,
ცად მიფრინავს ჩიტი-გვრიტი,
არც ასული ძევახისა,
არც სიტურფე სერეფიტის.

ალგვილია დროის ქარით
ქალდეა და ნინევია,
ეს რამდენი წელი არი,
ქართლს მშვიდად არ სძინებია.

თუმცა მაინც ყვავის ამოდ,
კვლავ უკოცნის მტკვარი კბოდეს,
შემკრთალი და ულიმღამო
არც ყოფილა არასოდეს.

ლოცვის ხმები მოსდევს ნიავს,
ღვთის დიდებას გალობს მრევლი,
ქართლზე მადლი აფენია
ზეციური საკურთხევლის.

და ვარსკვლავეთს ისხამს ტოგად
ღამის მცხეთა, როგორც მუსლინს,
გაქვავებულ წარსულს მოჰგავს
ნახიდარი პომპეუსის.

გზაზე ჩრდილი წვება ხისა,
ცად მიფრინავს ჩიტი-გვრიტი,
კვლავ ასული ძევახისა,
კვლავ სიტურფე სერეფიტის.

## უნდა ვთქვა

უნდა ვთქვა,
ვიდრე ჩემი ცა ბრწყინავს,
არ დამიხურეს
ყოფნის კარედი,
რომ შევხვედროდით
დიდი ხნის წინათ,
გვერდით
სხვა ქალს არ გაგაკარებდი.

დავუნუნებდი
მშვენებას ცისკარს,
განგებ კუშტი და
მწყრალი ბაგეთი
და ჩემი
ფართო თვალების ჭიშკარს
მარტოდენ შენთვის
გამოვაღებდი.

## როგორც თვითონ მინდოდა

ლელი ადგას მტკვარზე მორევს,
თუ ლაშქარი ინდოთა...
იმნაირად ვერ ვიცხოვრე,
როგორც თვითონ მინდოდა.

კარგად მახსოვს, ქარი ქროდა,
ღვინო იქცა ბანგადა,
გარეთ ბაგე მიცინოდა,
შიგნით ცეცხლი მთანგავდა.

ვგავდი მყვირალობის ირემს,
არსად ჩანდა მყუდრო და
იმნაირად ვერ გიტირე,
როგორც შენ გეკუთვნოდა.

იფურცლება ბაღში ვარდი,
აღარც ია მიყვავის,
შენც იმგვარად არ გიყვარდი,
მე რომ ღირსი ვიყავი.

მალე ალბათ თოვლი მოვა,
ქარნი არეს მოსრიან,
ღმერთო, ჩავლილ წლებზე გლოვა
ახლა რაღა დროსია.

თუ ბინდისფერ კარავს გაშლის
ბედი,
    სხვა არ მაღირსა,
არ მიტიროთ შავი შაშვი —
მონაზონი ბაღისა.

ლელი ადგას მტკვარზე მორევს,
თუ ლაშქარი ინდოთა,
იმნაირად ვერ ვიცხოვრე,
როგორც თვითონ მინდოდა.

## იმ დროს ვნატრობ

ბნელს მისტოპავს თოვლისფერი კვიცი,
ვარსკვლავეთის მესმის ჩუმი ლოცვა,
ახლა უკვე ყველაფერი ვიცი,
ის დრო სჯობდა,
        არ ვიცოდი როცა.

ცისკრის სხივი ააჩქამებს არჩვებს,
ქარაფის თავს თეთრი ნისლი ცოცავს,
ახლა უკვე სუყველაფერს ვამჩნევ,
იმ დროს ვნატრობ,
        ვერ ვამჩნევდი როცა.

## შენი გული მიპოვნია

ვინაც ზღვაში ხნას და თესოს,
თავზე ჩამოემხოს თავხე,
მთვარეს,
    როგორც ყრმა იესოს,
ქარი ღრუბლის ჩვრებში ახვევს.

სათქმელს დავაბარებ ნიავს,
ზეცა თუ არ დაიბინდა,
შენი გული მიპოვნია,
სხვა საუნჯე რაღად მინდა.

ხიდად გავდებ, როგორც ლატანს,
კისრით ჩამოტანილ ისარს,
შენი ბაღი მომენატრა,
სუნი იასამანისა.

ნურც ჩემს დუმილს გაიოცებ,
ნურც ნაუბარს — არაკებით,
გუშინ რატომ არ გაკოცე,
სხვა დროს გელაპარაკები.

ზღვაში უნდა ვხნა და ვთესო,
იქ დაგიგო ოქროს მახე...
მთვარეს,
    როგორც ყრმა იესოს,
ქარი ღრუბლის ჩვრებში ახვევს.

## ჩიტო ნიბლია

რა გითხრა, ჩემო ჩიტო ნიბლია,
მე ცას ვლოცულობ და მიწას ვეტრფი,
იქნებ იმ ადგილს მეც გამივლია,
სადაც თამარის დაიდგა ტერფი.

ვემთხვევი მტკვარს და არაგვს შხეფიანს,
მთვარეც ქალივით წვება არაგვთან...
იქნებ მცხეთასთან მეც მიკრეფია
მაყვალი,
    ნინოს რომ იფარავდა.

ვინ მეტყვის ქართლის დაქცევის მიზეზს,
არსად — მოლაშქრე,
    აღარც — მთესავი...
ლარგვისთან ლურჯი ბილილა მიმზერს
მკვდრეთით აღმდგარი ლაზარესავით.

გამოიცვალა ავად ამინდი,
მზე ახლა პირქუშ მთებში იბუდებს...
სიკვდილი, —
        მიწის შავი რაინდი
კარს გამომილებს და ჩამიხუტებს.

რისთვის მარგუნეს ყოფნა ამგვარი,
იმედის სხივი გასხლტა მუჭიდან...
და ახლა ქსნის წყალს მუხლზე დამდგარი
სისხლის და ცრემლის გემოს ვუსინჯავ.

## ნადირობა

სხვანი ვლიან ზევით-ქვევით,
სდევენ ხოხობს, შველს და ირემს,
მე სხვა ულრანს შევერევი,
სიტყვის ტევრში ვინადირებ.

მხიბლავს გაუვალი გზანი,
ჩემებურად ვჭრი და ვქარგავ,
ბევრჯერ ლექსის ჯეირანი
ლერწმიანში მიმეკარგა.

სიტყვა მათრობს, როგორც ღვინო,
წინ მიდგია ვერცხლის სურა
და სტრიქონი, ვით მიმინო,
ცერზე მიზის ამაყურად.

ენა ჩემი ტაძარს მოჰგავს,
ზარებს ვრეკავ, როგორც მნათე,
ამ მადლიან ნადირობას,
ღმერთო, ხელი მოუმართე!

## დამშვიდობება

დრო მიდის ისე, ვით ერთი წამი,
თითქოსდა ფრთებით მიაქვთ არწივებს...
ვგრძნობდი, სიზმარში მეძახდი ღამით,
მაგრამ ძილს თავი ვერ დავაღწიე.

იის ამბორი ქარს ვით ეძრახვის
ან ვის ნასცდება რამ საავგო,
შენ ყოველ ღამე ასე მეძახი,
ყველა სიზმარში ჩემთან საუბრობ.

დასრულდა...
გულო, რარიგ ღონდები,
ცა გადაფარეს ღრუბლის ორბებმა...
მივალ და
ლექსით გემშვიდობები,
მაგრამ ვაი ამ დამშვიდობებას.

* *
*

როცა ამაოდ ჩამიარა
ყველა მცდელობამ,
მეც ავდექი და
უმნიფარი,
სრულიად თოთო,
ის არშემდგარი
ლექსი დავხიე... —
თითქოს ჯერ ისევ
მუცლადმყოფი
პირმშო მომეკლას...

## ეკლის გზაზე

ეკლის გზაზე მარტო მივალ,
შორს გამისხლტა ბედის ჰუნე,
მე ზამთრიდან მოსული ვარ,
კვლავ ზამთარში ნუ მაბრუნებ.

ჟამი ჩემი რარიგ ბინდობს,
ვერც ვარსკვლავთა ვამჩნევ მთიებს,
შენ სიძულვილს კი შემინდობ,
სიყვარულს ვერ მაპატიებ.

ვინ მომივა იმგვარ გულით,
ამიყვავოს ძეძვი სოსნად,
მარტოობის ჯვარს გაკრული
ხელფაქიზად გარდამომხსნას.

დაეშვება წვიმის ფარდა,
მოსწყურდება ტოლი ირემს,
მე ამქვეყნად შენთვის ვარ და
გთხოვ, ნახვას ნუ დამიძვირებ.

ვერვინ მეტყვის, საით მივალ
ან სად გასხლტა ბედის ჰუნე,
მე ზამთრიდან მოსული ვარ,
კვლავ ზამთარში ნუ მაბრუნებ.

## გახსენებად არა ღირს

აღარც ცრემლი მალული,
არც ყვირილი ხარლაღის,
ახლა ის სიყვარული
გახსენებად არა ღირს.

იქ, დედოფლის მინდორთან,
რა ლამაზი იყავი,
ღმერთო, როგორ მინდოდა,
შენთვის მოემკვდარიყავი.

შენს ამბორს ვგრძნობ ბაგეზე,
თითქოს ხვატი მატულობს...
ახლა აღარ დაგეძებ,
აღარც ჩუმად გნატრულობ.

მთვარე უკვე ჩავიდა,
თუ ჩასული მგონია...
კვლავ იწყება თავიდან
სულის მელანქოლია.

სულ ვიცოდი, რა გსურდა,
ჩიტს მოჰქონდა ამბადა...
მაგრამ მაინც დასრულდა,
მაგრამ მაინც დამთავრდა.

მალე გაავდარდება
წვიმის მძიმე ფარდებით,
ვინლა შემიყვარდება,
ვიღას შევუყვარდები.

წასულია წარსულის
ყველა ზღაპარ-არაკი,
დავრჩი ბედდანავსული
სულ სხვათა ლაპარაკით.

აღარც ცრემლი მალული,
არც ყვირილი ხარლაღის,
ახლა ის სიყვარული
გახსენებად არა ღირს.



ლუკა ბაქანიძე

## „მარი“

მაშინ მენავე ვიყავი, თბილისის ზღვაზე
და მებარა თეთრი ნავი,
რომელსაც, ნომრის ნაცვლად,
ოკრობოკრო ასოებით ეწერა — “მარი“
და რომელსაც, ყველაზე ხშირად ქირაობდნენ დამსვენებლები.
საღამოს, დამსვენებლები რომ წავიდოდნენ,
ნავები გაღმა ნაპირზე გაგვყავდა, ფარდულში ვკეტავდით.

ხანდახან, როცა თბილი და მთვარიანი ღამე იყო,
მიყვარდა ჩემი თეთრი ნავით შუა წყალში გასვლა.
იქ, მთვარის ბილიკზე, ნიჩბებს ამოვკრეფდი,
გავეხვეოდი პლედში, ნავში მივწვებოდი
და ვირწეოდი ასე, კარგახანს...
თან, ცოტ-ცოტას, არაყსაც ვწრუპავდი.

ასეთ ღამეებში, მენავეები და მაშველები, ჩემი მეგობრები,
ნავების ფარდულთან კოცონს ვანთებდით
და ცეცხლზე ბადიდან ახლადჩამოხსნილ შამაიას,
ან კობრს ვწვავდით და ვსვამდით გათენებამდე.
თან, ვუსმენდით ისტორიებს ნახევარტონიან ლოქოზე,
თბილისის ზღვის ფსკერზე რომ იწვა თავისთვის
და მხოლოდ უამინდობის ჟამს — როდესაც ჰაერში
წნევა იმატებს,
ზედ ტალღების ქვეშ დაქროდა, პირდაღრენილი...
ამ ძლევამოსილი თევზის მსხვერპლთა შესახებ,
გვიყვებოდა სხვადასხვა ისტორიებს
ერთი მოხუცი, ყოფილი მაშველი,
დინჯად, თავდაჯერებულად,
და არ არსებობდა, ამ ზღვის, ამ წყლის გარშემო
შემოკრებილ ადამიანთაგან — არც ერთი,
რომელსაც გულში არ სწამდა, არ ეშინოდა და არ უყვარდა
ეს ბავშვური ლეგენდა, დიდ თევზზე...

ჩემს თეთრ ნავში, შუა წყალში ყოფნა
თუ ძალიან გამიგრძელდებოდა,
ნაპირიდან, ცეცხლიდან გამომძახებდა ჩემი ძმაკაცი
რუპორით,
მწვანე ნავი რომ ჰყავდა — გიგილო,
ჰოდა ასე, ძლივს მაფხიზლებდნენ....

მაშინ სექტემბერი იყო უკვე.
დამსვენებლები ისედაც აღარ იყვნენ და
იმ დღეს, იმ ქარიშხალში, ვინ იქნებოდა.
ლამის კაცის სიმაღლის ტალღები
მოგორავდნენ, პირდაპირ პლაჟზე.
ნაპირთან ჩამოვედით, რომ ნავები იქვე, კენჭებზე
ამოგვეთრია და ჯაჭვებით დაგვება.
ასეთ ქარში, ნავების ფარდულში გადაყვანა,
გაღმა ნაპირზე, უაზრობა იყო.
ჩამოვედით ფიჭვნარიდან, სადაც თავს ვაფარებდით ქარს
და მაშინ დავინახეთ:

ზის კენჭებზე, მუხლებზე ხელებშემოხვეული
და უფრიალებს ყველაფერი – თმა, კაბა...
ფრიალებდა სულ, მთლიანად.
გოგო არა, ჩემზე კარგად უფროსი ქალი:
მე ვიქნებოდი მაშინ, ოცი წლის.
ზის ასე და ტალღებს ან ცას,
ან საერთოდ, ჰორიზონტს კი არ გაჰყურებს,
როგორც წყლისპირას მარტო მჯდომებმა იციან,
არა – დაკვირვებით, და თან ღიმილით,
რაღაცნაირად ბავშვურად, მხიარულად ათვალიერებს
ჩვენს ნავებს და შემდეგ ჩვენც – მენავეებს,
თან ფრიალებს მთლიანად.
ჩვენც ვგრძნობთ, რომ გვათვალიერებს
და არაბუნებრივად საქმიანად ვირჯებით,
ჯაჭვებს ვაჩხრიალებთ.

“ესაა სულ? ახლა ნავებს დავაბამთ და სახლებში წავალთ,
რომელიმე ბითურულ ფილმს ჩავუჯდებით ტელევიზორში...
და სულ ესაა?“

ამ დროს მწვანე ნავის პატრონმა, ჩემმა ძმაკაცმა,
ჯაჭვს ხელი უშვა და ამბობს ხმამაღლა:
“— ჰა, აღარ შევცუროთ ხალხნო?
ნავები ხომ ფარდულში გვყავს გადასაყვანი...“
ყველა მენავე, ახალგაზრდებიც და ხანდაზმულნიც,
ცოტა ხნით გავშეშდით (სულ ოთხნი ვიყავით).
ხან მწვანე ნავის პატრონს შევყურებთ,
ხან მოფრიალე ქალს და ხანაც, ზღვას...
და უცებ ყველა, როგორც ერთი,
ერთი დემონით, თუ ერთი ღმერთით შეპყრობილები,
ვეძგერეთ ტალღებს ჩვენ-ჩვენი ნავებით...

გაშმაგებულები ვიქნევთ ნიჩბებს, ტალღებს მივარღვევთ.
ყოველი დიდი ტალღის შემდეგ,
წამით, ფსკერქვეშ ველარ ვგრძნობ ზღვას,
წამის მერე, ყრუ დგაფუნით, ისევ წყალში ჩავენარცხები.
ჯერ კარგად ვხედავ, ისევ იქ ზის, მერე წამოდგა.
მეჩვენება, თუ მე მიყურებს... და იღიმება.
იქნებ დამცინის?
თან ფრიალებს, ფრიალებს უსაშველოდ...

ჩემს გვერდით მომქროლავ მწვანე ნავს გავხედე,
წყალზე გასხლეტილ ბრტყელი ქვასავით რომ მოხტის
ტალღებზე
და საშინელი ეჭვი მიპყრობს:
ხომ თეთრია ჩემი ნავი,
იქნებ ის, ნაპირიდან უკვე ველარც კი მამჩნევს
და უფრო მუქ ნავებს —
რომლებიც წყალზე უკეთესად გამოჩნდებიან —
მიაცილებს მზერით?
თუმცა ამ დროს, შებინდებისას, მაინც ერთნაირ,

## პოეტის ერთი ლექსი

შავ წერტილებად მოვჩანვართ, ალბათ...
ან საერთოდ, სულაც შესცივდა და სახლში წავიდა.
ტირილი მინდება.

ამ დროს, მწვანე ნავის ცალი ნიჩაბი დატრიალდა ჰაერში:
ნიჩბის ლერძი ამოვარდა, ეტყობა, ბუდიდან.
ნავი ფერდით შეეხალა დიდ ტალღას და ამოყირავდა...
და გეფიცები, გამიხარდა!
ჩამოვიცილე მთავარი მეტოქე.
გადაბრუნებულ მწვანე ნავთან,
ყველაზე ფრთხილად და ყველაზე ბოლოს მოჩანჩალე
ხნიერი ნავიც რომ არ მისულიყო საშველად,
არ ვიცი, მაშინ, მივბრუნდებოდი თუ არა...

დამინახა კი იმან, ნაპირზე მოფრიალემ — მე,
ჩვენს ქარიშხალში, ჩვენს გიჟურ შეჯიბრში გამარჯვებული?
თუ მხედავდა გამოლმა ნაპირზე,
კოცონამდე ძლივსძლივობით მიფორთხებულს,
მოხუცმა მაშველმა სანიშნად და გასათბობად რომ დაგვინთო
მყუდრო მოჩარდახულში.
შეიძლება, არსად არ წასულა — მხედავდა
და ახლაც მიყურებს,
არაქათგამოცლილს, მაგრამ გამარჯვებულს...
როგორც მე არ წავსულვარ არსად
და ყოველი ჩემი კოცონიდან გავყურებ,
გალმა ნაპირზე მოფრიალეს...
არასოდეს, არცერთ ქალს არ ავუვსივარ
ასე— ბოლომდე.

იმ ზაფხულიდან, ჩვენი მენავეობიდან, კარგა ხნის შემდეგ,
როდესაც უკვე ველარ ვუძლებდი ცდუნებას
და კალმისკენ თვალს ვაპარებდი ნელ-ნელა —
ვიჯექით თბილისის ზღვაზე,
სანახევროდ წყალში, ხიმინჯებზე გამომდგარ,
ახლადგახსნილ პატარა რესტორანში —
დიდი ზღვის პირას კი არა,
რომელიც ერთ დროს ჩვენი სამეუფო იყო
და სადაც, ღამღამობით, მთვარის ბილიკებზე რეგატებს
ვაწყობდით,
არა — სულ აქეთ, პატარა ზღვაზე, სრუტის გამოღმა.
აქ არც ვიყავი ნამყოფი აქამდე. მხოლოდ ის ვიცოდი,
რომ სადღაც, სრუტის იქით, იახტკლუბი იყო
და ჩვენთვის, მენავეებისთვის, ელიტური საზოგადოება —
იახტსმენები ანთებდნენ თავიანთ კოცონს...
ვიჯექით ხიმინჯებზე შეყენებულ ვერანდაზე და ლუდს
ვსვამდით,
მე, გიგა — ხომ გახსოვს გიგილო,
მწვანე ნავის პატრონი და ჩემი ძმაკაცი,
ნაპირიდან იავნანას რომ მიმღეროდა რუპორით,
შუაღამისას, ჩემს თეთრ ნავში წამოწოლილს.
მაგრამ ჩვენი მენავეობიდან, წლები იყო უკვე გასული
და ახლა ისე ვიჯექით, ლუდს ვწრუპავდით.
ამ რესტორნის პატრონიც, გიგილოს ნათესავი,
კაი იმერელი, ალალი ბიჭი, ჩვენთან ერთად იჯდა.

ვიჯექით ასე და უცებ გიგილო მეუბნება:
"— აბა ერთი, ქვემოთ ჩაიხედე!"
ჩავიხედე და... ეგ იყო ისევ:
ხიმინჯთან ვილაც პაპა თევზაობს
და ისიც იქვე მისჯდომია,
მაშინდელივით, მუხლებზე ხელებშემოხვეული.
ოღონდ აქ კენჭები კი არა, ბალახია.
და აქედანაც, ჩვენი ვერანდიდან, სხვანაირია სულ...
მაგრამ ისაა — ჩემი ნაპირზე მოფრიალე ქალი.
მეთევზეს უყურებს და თმა აქვს ჩამოშლილი.
ვერ ვხედავ, მაშინდელივით იღიმება თუ არა.
ამ დროს, ათიოდე წლის ბიჭი მიადგა,
დაიხარა და რაღაცა უთხრა.
ის კი ისევ, გაუნძრევლად ზის,
ბიჭისთვის, საერთოდ არც შეუხედავს.
მაშინ ბიჭიც გვერდით მიუჯდა და ისევ რაღაცას ელაპარაკება.
მინდა, რესტორნის პატრონს ვუთხრა, რომ ჩაუწიოს მუსიკას,
იქნებ რაიმე გავიგო... მაგრამ მრცხვენია.
ამასობაში მეთევზეც მოუბრუნდა ქალს
და მხოლოდ მაშინ წამოდგა.
ბიჭმა ხელი ჩასჭიდა და ისიც,
დამჯერე ბავშვივით, მორჩილად მიჰყვა.
იმერელი ხედავს, რომ მე და გიგილო
გაშტერებულები ვიყურებით ქვემოთ, და ამბობს:

"— ეგ მეთევზე აქვე ცხოვრობს,
შებოლილ თევზს მაგისგან ვიბარებ ხოლმე.
მაგით არჩენს ქალსაც და ბიჭსაც...
კარგი კაცია."
გიგილო ეკითხება — "ეგ ქალი ვინღაა?"
თვალს არ აცილებს ქალს და ბიჭს.
მე ჩუმად ვზივარ.
იმერელმა გაიცინა და საფეთქელთან თითი დაიტრიალა.
და მერე ჩუმად ვზივართ ყველანი...
ბოლოს ხმა ამოიღო გიგილომ:
"— მაგისთვის ვიკლავდით ბიჭო, თავს?"
თან თვალს მარიდებს... მე ისევ ჩუმად ვარ.
"— რა ქვია?" — ვეკითხები იმერელს უაზროდ.
გაკვირვებული მიყურებს:
"— კოლია ქვია, ძამია, თუ გინდა, დავუძახებ და გაგაცნობ."
ნაძალადევად ვიღიმები -"მეთევზეს არა... ქალს რა ქვია."
"— ქალს? მარი ჰქვია მგონი, მარიამი."
და მერე, ძალიან დიდხანს ჩუმად ვზივართ მე და გიგილო,
შებინდებამდე. მზის ჩასვლას ვუყურებთ —
აქედან, პატარა ზღვიდან, უფრო კარგად ჩანს.

უცებ გიგილომ წაილიღინა:
"— თბილისის ზღვაზე, ცხოვრობდნენ ორნი,
ქალი და ნავი,
და ორივეს ერთი სახელი ერქვა,
ორივეს — მარი...
გითხრა, ლუკა, სიმართლე?
იქ, მაშინ რომ გამისწარი,
ვინატრე, ნეტავ ნავი ამოუბრუნდეს-მეთქი.
ვინატრე და ხომ გახსოვს, მე თვითონ ამოვტრიალდი.
ახლა მივხვდი, ის ნიჩაბი არაფერ შუაში იყო..."

და ასე, ჩუმად ვიჯექით,
მე და გიგილო, ჩემი ძმაკაცი,
ძველი, მწვანე ნავი რომ ჰყავდა
და შუაღამისას, ნაპირიდან,
რუპორით იავნანას რომ გვიმღეროდა
მე და ჩემს თეთრ ნავს,
სახელად — მარის...

ეროვნული ბიბლიოთეკა

პაატა ჩხეიძე

# მივიწყებული „რეაქციონერი“

პოლ ელმერ მორის სახელი გამორჩეულია ამერიკელ **კონსერვატორთა** შორის, თუმცა თვითონ ერჩივნა **რეაქციონერი** ენოდებინათ.

პლატონის ფილოსოფიის საუკეთესო მცოდნე და კომენტატორი გახლდათ და მის მასწავლებელს, ირვინგ ბებიტს, სანიმუშო მეცნიერად მიაჩნდა.

ერთხელ უთქვამს, ყველაზე საძულველი ავტორი ვარ ამერიკაში და თითქმის არავინ კითხულობს ჩემს ნაწერებსო. დღეისათვის ალბათ არა სძულთ, მაგრამ მაინცა და მაინც არ უყვართ, პოპულარული არ არის; მეც ელიოტსა და ლუისზე მუშაობისას გადავაწყდი, თორემ ჩემს ამერიკელ კოლეგებს არ გახსენებიათ, და არ ურჩევიათ, ყურადღება მიაქციეო. არა, თაყვანისმცემლები მაინც წერენ მასზე. დიდი მოაზროვნეები ქებით იხსენიებენ, მაგრამ პოპულარული ინტერესი ვერ გამოიწვია, მის ესეებს ფართოდ არ კითხულობენ და ეს დიდი დანაკლისია კონსერვატული აზრის გავრცელებისათვის.

პოლ ელმერ მორი დაიბადა 1864 წელს, სენტ ლუისში. რამდენიმე წელი ამავე ქალაქის უნივერსიტეტში სწავლობდა; დამთავრების შემდეგ კი მრავალი მიმართულება გამოსცადა, იმოგზაურა ევროპაში, ასწავლიდა სკოლაში, წერდა და აქვეყნებდა ლექსებს, ეწაფებოდა რომანტიკული სკოლის გამოცდილებას, რასაც მოგვიანებით ზურგი შეაქცია. ყმაწვილურმა გატაცებებმა რომ გაუარა, გადაწყვიტა რაღაც უფრო ძნელი და ღრმა შეესწავლა. სწორედ ამიტომ დაეწაფა აღმოსავლურ ენებს, განსაკუთრებით სანსკრიტს.

ჰარვარდში სწავლისას მორის მასწავლებელი გახლდათ ირვინგ ბებიტი, ვინც კლასიკისადმი სიყვარული გაუღვივა. მისგანვე შეითვისა თანამედროვეობის კრიტიკული შეფასება, შეურიგებლობა, განცდა დასავლური ცივილიზაციის, კულტურისა და ზნეობის დაღმასვლისა. მერე და მერე მოსწავლეები მორსაც გაუჩნდნენ, მაგრამ მასწავლებლობა ბებიტის საქმე იყო, მორი სხვა მხარეს იწევდა; ჰარვარდი დაასრულა, მაგრამ ხარისხზე უარი თქვა; უნივერსიტეტი და პოლ ელმერ მორი ვერ შეეწყვნენ ერთმანეთს. ჰარვარდი ცვლილებებისათვის ემზადებოდა. მორი სიმწიფეში შედიოდა. უნივერსიტეტის პრეზიდენტი ჩარლზ ელიოტი რეფორმებს იზრახავდა, რასაც მორი არ ეთანხმებოდა; არ ყაბულდებოდა თუნდაც იმას, რომ უნდა შემოეტანათ ახალი საგნები, სტუდენტებს უნდა აერჩიათ ლექტორები და ყურადღება უნდა გადასულიყო პროფესიონალიზმზე. მოგვიანებით მორი იგონებდა, პრეზიდენტ ელიოტის აზრით, სტუდენტები მეტისმეტად ინტერესდებოდნენ ძველი, ჰუმანისტური საგნებით, და ამიტომ ახალი საგნებისა და კურსების შემოტანა დაისახა მიზნადო; აი, ამაზე არაჩვეულებრივ სილოგიზმს შექსპირის მესაფლავეც კი ვერ მოიგონებდაო.

ეს ძალად რეფორმები არ მოსწონდა მორს და კიდეც დატოვა ჰარვარდი, 1895 წელს.

საუნივერსიტეტო რეფორმებისადმი წინააღმდეგობამ წარმოაჩინა მორის დამოკიდებულება დასავლურ ცივილიზაციაში მიმდინარე დაღმავალი პროცესისადმი. მორს ეჭვი ეპარებოდა ინტელექტის ყოვლისშემძლეობაში; იცოდა, რომ სრულყოფილების მიღწევა შეუძლებელია. საუნივერსიტეტო რეფორმები სწორედ ამის დასტური იყო; ინტელექტი დემოკრატიისა და განვითარებადი საზოგადოების სამსახურში უნდა ჩამდგარიყო. არავის ახსოვდა, რომ გონებრივი თუ სულიერი ცხოვრება და პრაქტიკული ყოფა ერთმანეთს ვერ მოურიგდებოდა. ამრიგად, პოლ ელმერ მორმა მიატოვა აკადემიური საქმიანობა და ესეების წერას შეუდგა ლიტერატურული ჟურნალებისათვის; მერე რედაქტორის სკამიც მოსინჯა. იგი მეტად ნაყოფიერი მწერალი გახლდათ. მარტო „შელბურნის ესეების” თერთმეტი ტომიც იკმარებს ამის დასტურად. ეს მითუმეტეს გასაკვირია, რომ სამი წამყვანი ჟურნალის რედაქტორი იყო სხვადასხვა დროს და თავისი კარიერა „ნეიშენის” რედაქტორობით დაასრულა.

მისი ლიტერატურული ესეების უმრავლესობა მიზნად ისახავს ინგლისელ და ამერიკელ კლასიკოსთა დაცვას, ვის შემოქმედებაშიც „ღრმად გაედგა ფესვები ზნეობრივ პასუხისმგებლობას.” იგი წერდა შექსპირზე, ჯონსონზე, ტროლოპზე, ნიუმენზე... მაგრამ არც ახალ მწერლებს ივიწყებდა, ვინც, გარდა იმისა, რომ დიად ნაწარმოებებს ჰქმნიდნენ, ზნეობასაც ინარჩუნებდნენ ჯერჯერობით. აღფრთოვანებით წერდა ბალზაკზე. უკვირდა, რატომ არ სურთ ამერიკელებს უიტმენის აღიარება, იგი ხომ საუკეთესო წარმომჩენია ამერიკული სულისა და ყოფისაო, თუმცა ემერსონისეული ამაღლებულობა აკლია, სამაგიეროდ,ტემპერამენტი აქვს დიადი, მძლავრი და ზემოდან დასქერის ახალინგლისელ პოეტებსო.

პოლ ელმერ მორი არ ყოფილა ისეთი გავლენიანი კრიტიკოსი, როგორებიც, ვთქვათ ს. ტ. კოლრიჯი და ტ. ს. ელიოტი. უფრო ზუსტად, მორი სხვა ყაიდის კრიტიკოსი გახლდათ, ისეთი, როგორიც ფ. ო. მატისენი იყო; იგი კითხულობდა გარდასული დროის დიად წიგნებს, ცდილობდა ამოეცნო, თუ რა გადმოჰქონდათ ჩვენს დროში და, ამგვარად, ახალ მნიშვნელობას ანიჭებდა.

ლიტერატურა, მორის აზრით, ჭეშმარიტებას წარმოსახვის გზით მიეახლება, ბეწვის ხიდზე გაივლის გრძნობათა აღძვრის ჟამს. ფილოსოფია გონებას ეყრდნობა, უფრო რთული გზით უხდება სვლა ჭეშმარიტებასთან მისასვლელად და ამიტომ უფრო ძნელი აღსაქმელიცაა. რაც უფრო ძნელია, მით მნიშვნელოვანია, ფიქრობს მორი და ლიტერატურული კრიტიკის ასპარეზიდან დასავლური ფილოსოფიური ტრადიციის სიღრმეებში ჩაეშვება. ეს გადაწყვეტილება არ შეესაბამებოდა იმდროინდელ ინტელექტუალურ მოდას, ათვალწუნებით რომ უყურებდნენ „სიძნელეებსა” და „შეზღუდულობას”. სწორედ ამას უკიჟინებდა უილიამ ჯეიმზი სწავლულებს, თანამედროვე მსოფლიოში აკლიმატიზაციას ვერ ახდენთო. აკლიმატიზაცია უნდა მომხდარიყო დროის იმ სულისკვეთებასთან, რასაც ჩარლზ ელიოტი ესწრაფოდა ჰარვარდში. ამის საპასუხოდ მორი წერდა:

“გულწრფელად უნდა ვთქვა, კოლეჯის სხვადასხვა ფაკულტეტების პროფესორთა მიერ გამოსაცემად მომზადებულ ხელნაწერთა გაცნობის შემდეგ მივედი დასკვნამდე, რომ მეცნიერებას გონება რელატიურ იმბეცილობამდე

მიჰყავს... ეს ადამიანები, უმრავლეს შემთხვევაში, თავთავიანთ სფეროშიც კი ვერ აზროვნებენ ნათლად და თანამიმდევრულად, რადგან სრულიად ალვირმიშვებულნი არიან ექსპერიმენტის პროცესის აღწერისას".

მორი პოზიტივისტებს რომანტიზმის პოზიციიდან კი არ უპირისპირდებოდა, არამედ ავითარებდა თავის ფილოსოფიურ კონცეფციას, რომ დასავლეთს დაავიწყდა პლატონის გაკვეთილები; პლატონისა თუ ბერძენ ფილოსოფოსთა შესახებ დაწერილ წიგნებში მიუთითებს, რომ ყველანაირ ფილოსოფიურ მონიზმს შეცდომამდე მივყავართ. მონიზმში მორი რუსოიზმსა და დარვინიზმს გულისხმობდა, ანუ ამ მოძღვრებათა მიერ ახსნილ სამყაროსა და ადამიანის ცხოვრებას.

მორი აღიარებდა რომ მონისტურ თეორიებშიც იყო რაღაც მიმზიდველი, ანუ სიცხადისა და გარკვეულობის ქადაგება, მაგრამ იქვე ამტკიცებდა, მონიზმი რეალიზმის მტერიაო. სოკრატეს აზრით ჭეშმარიტება ჩვენს ზევით, **ერთში,** სუფევს; ჩვენ **ერთისაგან** შორსა ვართ, მაგრამ შეგვიძლია მივუახლოვდეთ, და თანაც დიდ სიძნელეთა დაძლევის შედეგად. ყოველივე ამას ჩვენი უნივერსიტეტების „პროგრესისტ" განმანათლებლებს ვერ შეასმენო, ამბობდა მორი. მისი აზრით დასავლური ფილოსოფიური აზროვნება დაშორდა პლატონის მოძღვრებას და დაშორდა პლატონის სიკვდილისთანავე. პლოტინიც კი, პლატონის მგზნებარე მიმდევარი, მონიზმისაკენ გადაიხარაო, წუხს მორი. პლოტინს ქრისტიანობა მოჰყვა, მერე დასავლური ქრისტიანობა, სადაც უფრო მეტად შეიპარა დამღუპველი ტენდენცია, და ბოლოს რაციონალისტური ოპტიმიზმის დრო დადგა, ნამდვილი მომასწავებელი მონიზმისა.



*პოლ ელმერ მორი*

არც ბერძნული ფილოსოფია და არც მისი პლატონური საწყისები მორს აბსოლუტურ სრულყოფილებად არ მიაჩნდა, მაგრამ ხედავდა, რომ ყველაზე მეტად ამ გზით უახლოვდებოდა სიმართლეს. ადამიანი ლოგიკურია არა მხოლოდ იმიტომ, რომ აზროვნებს, არამედ იმიტომაც, რომ აქვს მეტყველების უნარი, რითაც, სიმბოლური ნიშნებისა და ბგერების საშუალებით, გადმოსცემს იდეებს და ანიჭებს მათ სიცოცხლეს. ამრიგად „ლოგოსი ურთიერთობს ლოგოსთან და ადამიანი გრძნობს, რომ მარტოსული კი არ არის, არამედ კავშირშია თავის მსგავს სულებთან". მაგრამ მორი იმასაც ხედავდა, რომ ადამიანები აზროვნების ძალით ვერ ერთიანდებიან, გარდა უიშვიათესი შემთხვევებისა. ამიტომ იყო, რომ მორი ბოროტების ფილოსოფიურ გააზრებას ცდილობდა და მიდიოდა ქრისტიანობამდე, ღვთაებრივი ინკარნაციის ქრისტიანულ იდეებამდე. ტ. ს. ელიოტს მოსწონდა მორის „ბერძნული ტრადიცია" და ამბობდა: მორის თხზულებანი, უღრმესი აზრით, თვით მისი ავტობიოგრაფიააო.

წიგნმა „ბერძნული ტრადიცია" სახელი გაუთქვა პოლ ელმერ მორს. სახელი კი არ აკლდა, როგორც „ნეიშენ"-ის რედაქტორს, მაგრამ ასეთ პოპულარობას და გავლენას პირველად მიაღწია. ამას ისიც დაერთო, რომ ალაპარაკდნენ მის სიახლოვეზე მოძრაობა „ახალ ჰუმანიზმთან". ამან მორს უხერხული განცდები აღუძრა, რადგან არასოდეს უცდია ვინმესთან გაერთიანებულიყო. „ახალი ჰუმანიზმის" სახელით გამოდიოდნენ ლიტერატურის კრიტიკოსები, ვინც ცდილობდნენ კრიტიკა გამოეგლიჯათ ფსიქოლოგიური და სოციოლოგიური ფუნდამენტალიზმის ბრჭყალებიდან; გამოეგლიჯათ მათგან, ვინც მწერლის პირადი ცხოვრების გაქექვას ცდილობდნენ მწერლისავე ლიტერატურულ ქმნილებებზე დაყრდნობით. ამგვარი კრიტიკა „პროგრესიზმმა" მოიტანა, რამაც დაუკითხავად შემოაბიჯა ბიზნესიდან და ხელისუფლებიდან ლიტერატურაში და სადავეებიც აიღო ხელში. სწორედ ამ ნაკადს დაუპირისპირდა ირვინგ ბებიტის „ახალი ჰუმანიზმი" და ალენ ტეიტის „ახალი კრიტიკა"; და რომ პოლ ელმერ მორი ამ სახელებს დაუკავშირეს, მოულოდნელი სულაც არ ყოფილა.

მორი იმავეს აკეთებდა პუბლიცისტიკით, რასაც ბებიტი კვლევითა და ლექციებით. მაგრამ მორი მაინც ერიდებოდა „ახალი ჰუმანიზმის" აქტივისტებთან ხშირად გამოჩენასა და ასოცირებას. და მაინც, სწორედ იგი, თავისდა უნებურად, აღმოჩნდა მოძრაობის სათავეში და გამარჯვებაც მანვე მოაპოვებინა დაუღალავი კრიტიკული მოღვაწეობით. „ახალმა კრიტიკამ" და „ახალმა ჰუმანიზმმა" დაძლიეს აუღებელი სიმაგრეები პრაგმატიზმისა, რამაც, მისი მიმდევრების აზრით, მარცხი განიცადა ხალხისათვის რეალური და სულიერი მშვიდობის შენარჩუნებაში.

"ბერძნული ტრადიციის" დასრულების შემდეგ მორმა მთელი ძალ-ღონე თეოლოგიურ განაზრებებს მიუძღვნა. კითხულობდა ებრაელ წინასწარმეტყველთა მოძღვრებას, ცდილობდა ჩაწვდომოდა „ცოცხალი ლოგოსის"არსს. ამ გზაზე შედგომამ მორის აზროვნებაში ცვლილებანი მოახდინა და მან მარტო არისტოტელე კი არ უარჰყო, პლატონსაც კი დასცილდა, რადგან მიაჩნდა, რომ ადამიანი არამარტო უნდა შეეფაროს ღვთაებრივ სიბრძნეს, არამედ ეცადოს შეუერთდეს კიდეც ღვთაებრივ არსს სულიერი სწრაფვით; რომ ადამიანი „ლოგიკური" იქნება მხოლოდ მაშინ, როცა შეეცდება ღვთაებრივ არსთა ოჯახის წევრი გახდეს და იხაროს დანთქმულმა სულიერ ჭვრეტაში.

საგულისხმოა რომ მორის ესქატოლოგიამ წარმართული შეხედულებებიდან ქრისტიანულ მსოფლმხედველობაში კი გადაინაცვლა, მაგრამ ბოროტებას ისევ კლასიკური თვალით ხედავდა. მორის აზრით, სიწმინდისა და სასოებისაკენ ადამიანს გზას ულობავს სისუსტე და სიზარმაცე. ადამიანი ეფლობა ამაოებაში და ველარ უახლოვდება ღმერთს. მიახლებამ უნდა გაათავისუფლოს ადამიანი დაცემის ტვირთისაგან, გამოაფხიზლოს, აზიაროს ჭეშმარიტებას. მცონარობა ყველაზე უარესი ცოდვაა მორის ქრის-

ტიანულ ესქატოლოგიაში. და სწორედ მცონარობის ბრალია თანამედროვე ინტელექტუალური შეცდომები. ადამიანური აზროვნების უმთავრესი ნაკლი ადამიანური პრობლემების სრულყოფილი ახსნის მცდელობაში მდგომარეობს. მორმა იმდენი ვერ იცოცხლა, რომ ეხილა ტოტალიტარული უტოპიზმის „სრულყოფილებანი". ნეტავ თუ შეიცვლიდა შეხედულებას ბოროტების შესახებ, XX საუკუნის დასასრულის მტაცებლური მსოფლიო რომ ეხილა, ეგებ ნაწილობრივ სიზარმაცესა თუ მცონარობაზეც გამოცვლოდა აზრი. მორი სიზარმაცეს XX საუკუნის დასაწყისის ამერიკელი მოქალაქის თვალით აფასებს. მაგრამ ამ პოზიციაზე მაინც არ შეჩერებულა, უფრო მეტად ჩაუფიქრდა მარადიულ ცნებებს, განსაკუთრებით სიცოცხლის ბოლოს დასრულებულ თუ დაუმთავრებელ ნაშრომებში.

XX საუკუნის მეორე ნახევრის ამერიკელი სწავლულები წუხდნენ, რომ მორის ნააზრევი დავიწყებას ეძლეოდა. იგი არც ყოფილა მოდური მწერალი და სულ უფრო და უფრო ნაკლებად იხსნებდნენ. მხოლოდ ისეთ ღრმა წიგნებში, როგორიცაა რასელ კერკის „კონსერვატული გონი", აფასებდნენ ჯეროვნად მის შემოქმედებას. სწორედ აქ ვკითხულობთ და უნდა დავეთანხმოთ, რომ მორის ნააზრევს ყავლი არ გასვლია. XX საუკუნის მეორე ნახევარში დასავლეთი ხელახლა ჩაუღრმავდა პლატონის ფილოსოფიას და თუმცა მორი შორს იდგა იმისაგან, რასაც მოდური მოაზროვნე ლეო სტრაუსი და მისი მიმდევრები ქადაგებდნენ, აკადემიური წრეები იძულებულნი იყვნენ მორის წიგნები გაეხსენებინათ და თაროებიდან ჩამოეღოთ.

დიდ მოაზროვნეთა მივიწყება საქართველოშიც ჩვეული მოვლენაა და აქაც და ამერიკაშიც პოლიტიკური კონიუნქტურა და სოციალური დაკვეთა არ უნდა ხდებოდეს მიზეზი მათი გახსენებისა. სწავლულის მიზანია ცოცხლად შეინახოს დიდ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მემკვიდრეობა, როგორც ფასეული კულტურული ტრადიცია.

გლობალიზაციის ეპოქის ადამიანი, ქართველი იქნება თუ ამერიკელი, მიიჩნევს, რომ წესების, სტანდარტების და თუნდაც ჭეშმარიტებისადმი დამორჩილება შეზღუდავს თავისუფლებას; ამიტომაც „თავისუფლების" გადასარჩენად იგი უკუაგდებს სიმართლეს, სულიერ ღირებულებებს და თვით ჭეშმარიტებასაც კი. ადამიანებს აღარ ესმით, რომ **ცხოვრების ზნეობრივი ნორმებისადმი, სიმართლისადმი დამორჩილება განაპირობებს ზნეობრივ თავისუფლებას.**

ზნეობრივი უსუსურობის გამო მორისეული წუხილი მეორე მსოფლიო ომის შემდგომ ფ. ა. ჰაიეკმა და უითაკერ ჩემბერსმა გაიმეორეს. მათ გააცნობიერეს, რომ ამერიკელთა შემართება და ოპტიმიზმი არ კმაროდა მეფისტოფელური კომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

პოლ ელმერ მორი იყო რასელ კერკის ერთ-ერთი შთამაგონებელი, როცა იგი „კონსერვატულ გონს" წერდა. მისი აზრით, „ამერიკულ მწერლობაში ვერაფერი შეედრება... ფილოსოფიური რადიკალიზმის საწინააღმდეგოდ მორის მიერ განლაგებულ ნაღმებს".

ჩვენ იძულებულნი ვართ მივყვეთ მეცნიერებისა და ტექნოლოგიების განვითარებას, რაც სულ უფრო ათვალწუნებით ეპყრობა რელიგიასა და ფილოსოფიას; მრავლდებიან „ეთიკოსები", ვისთვისაც ლაბორატორებიდან, სამეცნიერო იქნება თუ პოლიტიკური, მიღებულ ახალ ამბებშია ცხოვრების აზრი და მიზანი და არა ადამიანის ბუნებაში ჩაღრმავება თუ ტრადიციული აზროვნებაო, წუხდა რასელ კერკი პოლ ელმერ მორის შემოქმედების ანალიზისას.

რასელ კერკი გამორჩეულ ადგილს მიაკუთვნებდა პოლ ელმერ მორს ბერკიანულ ტრადიციაში. პიტერ ვიერეკი ბებიტის გვერდით აყენებდა თავის „კონსერვატიზმის ისტორიაში". ისინი მორში ხედავდნენ შადრევანს, საიდანაც ახალი კონსერვატული მოძრაობა ამოიფრქვა.

მაგრამ პიროვნულმა და, აგრეთვე, სტილისტურმა არჩევანმა მორს გზა გადაუკეტა მკითხველთა ფართო წრისაკენ. მისი სკეპტიციზმი პროგრესის მიმართ ეწინააღმდეგებოდა ამერიკულ განწყობილებას. მისი მსოფლმხედველობა, ანტიკური და აღმოსავლური მწერლობიდან თუ ფილოსოფიიდან რომ მოდიოდა, კიდევ უფრო აშორებდა ამერიკელ მკითხველს. ვერაფრით ვერ იგებდა თანამედროვე მოდის თავსა და ბოლოს, მორიდებულად გამდგარიყო განზე. გამორჩეული ფილოსოფიური აზროვნება ჰქონდა, მაგრამ თავისი დროის ლოგიკას გვერდს უვლიდა.

მეორე მხრივ, რწმენა, რომ სამყარო ცოცხალია და აქვს მიზანი, რომ ხელოვნება არ განიყოფა ცხოვრებისაგან და რომ არსებობს მარადიული ზნეობრივი სტანდარტები, განუყრელად აკავშირებს პოლ ელმერ მორს XX საუკუნის კონსერვატიზმის აღორძინებასთან, სავსებით გადასწონის მის ეგრეთწოდებულ ნაკლოვანებებს.

მორის თანამედროვე და თანამოაზრე მწერლებს, ვინც ერთგულნი იყვნენ ჰუმანიზმისა, კლასიკური მითოლოგიისა და შუა საუკუნეთა ლიტერატურისა, სკეპტიკურად უყურებდნენ ეგალიტარულ დემოკრატიას, ერთგულებდნენ ტრადიციასა და ბუნებრივ კანონს, არ გასჭირვებიათ არც მკითხველისაკენ ბილიკის გაჭრა და არც სახელის მოხვეჭა. ასეთები იყვნენ ტ. ს. ელიოტი, ჯ. კ. ჩესტერტონი და კ. ს. ლუისი. განსაკუთრებით ლუისი, რომლის საბავშვო წიგნებმა დიდი პოპულარობა მოიხვეჭა თავის დროზე და დღესაც არ ჩამოდიან თაროებიდან. იგი იყო ქრისტიანთა უპირველესი ფალავანი მრავალი წლის მანძილზე, ისევე როგორც ელიოტი და ჩესტერტონი.

მორის მიზანი იყო სულიერად და ზნეობრივად აემაღლებინა მკითხველი და რელიგიური ცოდნა ჩაენერგა მასში და, სამწუხაროდ, მარცხი იწვნია. ვერ შეძლო მიმდევრები გაეჩინა, მძლავრი მოძრაობისათვის დაედო სათავე. თუმცა კი რასელ კერკი XX საუკუნის უდიდეს აპოლოგისტს უწოდებდა და ტ. ს. ელიოტი აქებდა „ბერძნულ ტრადიციას", მაინც დამარცხდა. ალბათ იმიტომ, რომ მისი ქრისტიანობა „ახირებული" მოჩანდა და „ახირებული" მოჩანდა სწორედ დასავლეთისათვის. მისი ღრმა რწმენა, რომ ქალკედონურმა კრებამ სწორი გადაწყვეტილება მიიღო ქრისტეს ორბუნებოვნების შესახებ, აღიზიანებდა მკითხველთა დიდსა და გავლენიან ჯგუფებს. მორწმუნეთა უმრავლესობას უჭირს თვალის გადევნება პლატონის დუალიზმიდან ინკარნაციამდე მორის არგუმენტების მიხედვით. მორი ქადაგებდა მოციქულთა რწმენის თაყვანისცემას, მაგრამ მისეული ანალიზის სირთულე აბნევს მკითხველს.

პოლ ელმერ მორის სოციალურ და პოლიტიკურ შეხედულებათა გამომზეურება და გავრცელება მეტად საჭიროა ჩვენს დროში და, სამწუხაროა, რომ მიუწვდომელი რჩება კოსერვატიზმის მხარდამჭერთათვის. საჭიროა სული ჩაებეროს შეხედულებებს, რაც მეტად ეგზოტიკურია, რათა გასაგები იყოს, და მეტად პირობითია, რათა გავლენა მოიპოვოს.

საბა სულხანიშვილი

# მოლოდინი და... აჰა, რომანიც

*

## ნათია მეგრელიშვილის დებიუტი




ყველა, ვინც ვიცნობთ ნათია მეგრელიშვილს, მისგან რაღაც ამგვარს უთუოდ ველოდით.

საუკეთესო მთხრობელი, როგორადაც ის წარმოგვიდგებოდა ზეპირმეტყველებისას — ლექციაზე, გაკვეთილზე თუ მეგობართა წრეში — გვჯეროდა, ფურცელთან შეხებისასაც შეინარჩუნებდა ენაწყლიანობის მადლს.

თუმცა... შეინარჩუნებდა კი?

განა არ ვიცნობთ ჩინებულ მთხრობელებს, რომელნიც ბელეტრისტიკაში გადანაცვლებისას საკუთარი თავის შორეული ანარეკლილა რჩებიან?

ანდა იუმორით სავსე, გონებამახვილ ადამიანებს, კომედიებისა თუ იუმორისტული ნოველების შექმნისას სრულიად უმწეონი რომ ხდებიან და გაელვებითაც არსად გაიელვებს სახალისო პასაჟი, არამცთუ იუმორად დაილვარონ?

ვიცნობთ, როგორ არა, მაგრამ ნათიასი მაინც სხვაგვარად გვჯეროდა... და ველოდით, ველოდით...

დრო კი გადიოდა.

და ეს დებიუტი რომანის ჟანრში, უჩვეულო სახელწოდებით „+5", თუმცა ცოტა ნაგვიანევია, მაგრამ ისეთი წარმატებული, ამ ერთი წიგნის ანაბარა არაფრისდიდებით არ დარჩება და, არ გაგვიკვირდება, თუ ზედიზედ მოადევნებს ახალ რომანებსაც.

უკანასკნელ ოცწლეულს უტრიალებს ეს წიგნი და ცდილობს ამ აბურდულ, დრამატიზმით ალსავსე, საბედისწერო მოვლენებში გარკვევას, ამ ისტორიული პროცესის სიღრმეში ჩახედვასა და ბევრი ისეთი დეტალისა თუ რეალიის წარმოჩენას, რაც როგორღაც მიყრუვდა და ამოიშალა საზოგადოებრივი ცნობიერებიდან, მწერლის მახვილ მზერასა (პლუს ხუთი ზომის სათვალის მიღმიდან!) და ანალიტიკურ გონებას კი არ გამოჰპარვია და ვრცელ პანორამაში ამ ყოველივეს თავთავისი ადგილი მიუჩინა.

პანორამის ასაგებად მოზაიკური პრინციპია მოშველიებული და ერთიმეორის გვერდით ამიტომაც გვხვდება ეპისტოლეც, დღიურიც, ჩანახატიც, ლიტერატურული პორტრეტიც, სცენარიც... ოღონდ, ცხადია, ეს ყოველივე ეკლექტურად კი არ ერთიანდება, არამედ მარჯვედაა შერწყმული და თხრობის ლოგიკას დამორჩილებული, რათა რომანის ამ თავისებურმა სტრუქტურამ განსაზღვროს სურათი იმ ეპოქისა, რომელიც თავისი შინაგანი მდინარებითა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური რყევებითა და ცვლილებებით რამდენიმე საუკუნესაც მოიცავს.

როგორი იყო ჩვენი მოქალაქეების ბედი საუკუნეებად გადაქცეული ამ ოცწლეულის მანძილზე?

უდავოდ მოგვეპოვება რამდენიმე გზამკვლევი ამ რეალობის შესაცნობად — ბელეტრისტიკაც გვიტოვებს საამისო ნიმუშებს, პოეზიაც, დრამატურგიაც, დოკუმენტური პროზაც. ამიერიდან კი მათ მცირერიცხოვან რაოდენობას ემატება ნათია მეგრელიშვილის მხატვრულ-დოკუმენტური თუ ავტობიოგრაფიული ყაიდის რომანიც, სანდო წყარო თავისი მიუკერძოებლობითა და სრული გარიდებით ყოველგვარი პროპაგანდისაგან.

უაღრესად სუბიექტური?

ავტობიოგრაფიული ყაიდის ქმნილებებში ყოველთვის მკვეთრად იჩენს თავს ხოლმე ეს ნაკადი, რომელიც მითუფრო დასაფასებელია, რაც მეტად გულწრფელია, იქამდე, გადამეტებულიც რომ გვეჩვენება.

ამგვარი „გადამეტებანი" ამ რომანშიც ცნაურდება და სწორედ ესაა მისი ერთ-ერთი ღირსება.

არაერთი ეპიზოდია საგულისხმო მწერლური ხელოვნების თვალსაზრისით, მაგრამ ყველაზე შთამბეჭდავი და გულისშემძვრელი ის სცენაა, თუ როგორ დაეძებენ ჭირისუფლები გეგა კობახიძის საფლავს და... მის ნაცვლად სოსო წერეთლის სამარეს იპოვნიან.

მონათხრობის დოკუმენტური მხარე რომ მეტად მნიშვნელოვანია, ეს თავისთავად, მაგრამ მკითხველი შესაძლოა ჩაუფიქრდეს — ეს ეპიზოდი ასერიგად რომ მოქმედებს მის ფსიქიკაზე, თვითონ ნამდვილი ამბავია შემძვრელი და სხვა მთხრობელის ხელშიც ასეთივე ემოციური იქნებოდა, თუ ნათია მეგრელიშვილმა მიაგნო თხრობის იმ ძაფს, იმ მადლს, რამაც სცენას თავისთავადი მხატვრული ღირებულებაც მიანიჭა?

ვთქვათ და, ამ ეპიზოდს ეცნობა უცხოელი, ვისაც არამცთუ „თვითმფრინავის ბიჭების" ტრაგიკული ამბავი არ სმენია, საქართველოც კი არ გაუგონია, და მაშ თვით ძებნის პროცესი მასზე ვერ იმოქმედებს, ოდნავადაც ვერ აალელვებს, თუ მწერლურმა ოსტატობამ არ ჩაითრია და მოხიბლა.

ჩაითრევს, უსათუოდ ჩაითრევს და აიყოლიებს ყოფითი სურათის იმგვარი განზოგადებით, ზოგადადამიანურ ბედისწერას რომ განაცდევინებს — დამთრგუნველ გარემოში ჩავარდნილი თავისუფლებისმოყვარე ახალგაზრდების მწარე ხვედრს, ვიწრო, ჩახუთულ სივრცეში მიმოწყდომის ამაოებას.

და მაინც განწირულ ყვირილს შემოსალტული ზღუდისაგან გასაღწევად, ხმის გასაღწევად მაინც...

თვითონ ეს რომანიც ამის მცდელობაა — როგორმე გასხლტეს ხმა შემოგარსული სივრციდან...

ნიშანდობლივია, რომ წიგნი ეძღვნება ავტორის „კონტრრევოლუციონერ" პაპას გერმანე კობახიძეს, იმ ფესვს, იმ

სანყისს, რამაც ყველაზე მკვეთრად განსაზღვრა ნათია მეგრელიშვილის თვითდადგინება, მისი ცნობიერების გეზი... და კიდევ ერთხელ გვიდასტურებს თაობათა შორის ხელშესახებ თუ იდუმალ კავშირთა აუცილებლობას საზოგადოებრივ-კულტურული პროცესის უწყვეტობის შესანარჩუნებლად.

და თაობათა კავშირის კიდევ ერთი მეტყველი ნიმუშიც.

ჩვენ გვყავს არაერთი ჩინებული მხატვარი, ვინც შესანიშნავად გააფორმებდა ამ რომანს, ალექსანდრე ორბელიანი საზოგადოების წიაღში მომზადებულს, მაგრამ ეგებ ვერ მიეგნოთ იმ თავისებურებისათვის, რაც ავტორის შვილის — თინათინ ჩხეიძისათვის — მიუწვდომელი სულაც არ აღმოჩნდა...

წიგნის ჩამთავრების შემდეგ კი ველარც წარმოგიდგენია მისი გარეკანის სხვაგვარი გაფორმება, თუ არა ასე და მხოლოდ და მხოლოდ ასე, როგორც არსებითი ფსიქოლოგიური შტრიხი — სიმშვიდისა და შემართების უცნაური შერწყმა, ავტორის პიროვნულ ბუნებაზე ყველაზე უკეთ მიმანიშნებელი.

რომანში შესამჩნევია თემები, რომელნიც გაღრმავებასა და ცალკე დამუშავებას ითხოვენ... ხასიათები, რომელნიც დამოუკიდებელ ხორცშესხმას ელოდებიან...

თუმც აკი ითქვა:

ნათია მეგრელიშვილი ამ ერთი წიგნის ანაბარა არ დარჩებაო!..



რიტა ბაინდურაშვილი

# სამყარო დაცარიელდა... ვინ მოკლა იგი?

სამყარო დაცარიელდა, რადგან აღარ არის მხედველი თვალი, მას რომ დაინახავს და შეაფასებს. ვინ მოკლა იგი?– ეს მრავლისმთქმელი და მრავლისმომცველი კითხვა **ჟაკლინ სირაძის** ბოლო ხანს გამოცემული წიგნის **„ხელოვანის გზა“** ყდაზეა გამოტანილი და თვალსაჩინოდ ასახავს ავტორის სათქმელს. სათქმელი კი სწორედ ჩვენს უკიდეგანო სამყაროს და მასში ხელოვანი ადამიანის ადგილს, დანიშნულებას შეეხება. წიგნის პრეზენტაცია ჟურნალ **„ჩვენი მწერლობის“** დარბაზში გაიმართა, რომელსაც გამორჩეულად თვითმყოფადი მისი შემოქმედების თაყვანისმცემლები, ლიტერატორები, კრიტიკოსები ესწრებოდნენ.

პოეტი, ესეისტი, ნოველისტი, ბელეტრისტი, ღრმად განათლებული ადამიანი, რომლის თვალსაზრისი, მოსაზრება, შეხედულება ყოველთვის საყურადღებო და გასათვალისწინებელია. იგი საფუძვლიანად იცნობს არა მხოლოდ ქართულ მწერლობას, არამედ დასავლეთევროპულსაც, თუმცა მისი ღრმა ცოდნა კი არ თრგუნავს ადამიანს, არამედ ყოველთვის ცოცხლად, საინტერესოდ გადმოსცემს სათქმელს, რადგან გაშინაგანებული აქვს ის ყველაფერი, რაზედაც წერს. ხელოვანის გზაც ალბათ, სწორედ მას უნდა დაეწერა თავისი შინაგანი სიღრმითა და ფილოსოფიით, სულიერი ფორიაქითა და განცდებით. ეს არის ჭეშმარიტად არაორდინარული პიესა, რომელსაც თუ რომელიმე რეჟისორმა ხელი მოკიდა, უდავოდ საინტერესო სპექტაკლი გამოვაო, ბრძანა საღამოს გახსნისას **როსტომ ჩხეიძემ.**

„ხელოვანის გზა“ გახლავთ ხუთმოქმედებიანი მხატვრულ-ფილოსოფიური დრამა, რომელიც სამყაროს ორიგინალური ხედვითა და განსჯით გამოირჩევა. ავტორი მასში ღვთაებრივი გზის ერთადერთობას აღიარებს და მიიჩნევს, რომ ღვთისკენ სავალი გზის გარდა ყველაფერი ამაო და წარმავალია. ამიტომ ადამიანმა უპირველესად სულიერ საზრდოზე უნდა იზრუნოს და ამით მიაღწიოს სრულყოფილებას; და რომ ამ სამყაროში ჰამლეტის ნიღაბს ამოფარებული ხელოვანის ბედიც სხვა არა არის რა, თუ არა ღვთისაკენ სწრაფვა. სწორედ შექსპირისეული ჰამლეტის ფენომენზე გაამახვილა ყურადღება ნაწარმოებზე მსჯელობისას სოხუმის უნივერსიტეტის პროფესორმა **სალომე კაპანაძემ,** რომელმაც წმინდა ლიტერატურული, პროფესიული თვალსაზრისით მიმოიხილა „ხელოვანის გზა“ და აღნიშნა, რომ იგი ჟაკლინ სირაძისათვის დამახასიათებელი მაღალმხატვრულობითა და დახვეწილი გემოვნებითაა შესრულებული.

ავტორისეული დაცარიელებული სამყაროს ახსნას შეეცადა თავის გამოსვლაში ჟურნალისტი **ვახტანგ ბახტაძე:** ამ უსასრულოდ მრავალფეროვან გალაქტიკაში უსაზღვროდ ბევრი კანონზომიერება მოქმედებს, რომელთა ერთადერთი შემოქმედი უფალია. ამის შემეცნება განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პროცესია ადამიანისათვის, რომელიც, მართალია, ღვთის ქმნილებათა გვირგვინი გახლავთ, მაგრამ მაინც მიდრეკილია დაცემისაკენ. ზოგჯერ ეს დაცემა იმდენად მძიმე და დამთრგუნველია, რომ ფეხზე წამოდგომის სურვილიც აღარ უჩნდება და უხმობს უფალს: დავილალე, დავილალე, მოდი ჩემთან, უფალო! ასეთი სულიერი მდგომარეობა განსაკუთრებით საცნაურია შემოქმედთათვის, მათი რთული შინაგანი „მე“ სათვის და „ხელოვანის გზაც“ ამ მდგომარეობის მეცნიერული თუ პოეტური შემეცნების კვლევას ეძღვნება. ამას ავტორი შექსპირის უმნიშვნელოვანესი ლიტერატურული პერსონაჟის — ჰამლეტის — მაგალითზე ცდილობს, აანალიზებს გმირის რთულ ტრაგიკულ სახეს და ფრიად საინტერესო დასკვნებს გვიზიარებს, რომელთაც საბოლოოდ მივყავართ ჭეშმარიტებამდე, რომ მრავალმხრივ ეპოქალურ თუ სულიერ წინაღობათა მიუხედავად მაინც არ მოკვდება სამყაროს მხედველი და შემფასებელი თვალი და არც ადამიანისათვის დაცარიელდება იგი.

გოეთეს საზოგადოების წარმომადგენელმა **მანანა პაიჭაძემ** კი ბრძანა: ჩვენი საზოგადოება მოხარულია, რომ თავის რიგებში ასეთი ღირსეული წევრი შემოიმატა. თითქოს უჩვეულოც კია დღევანდელი მოქალაქისგან ასეთი ზღვა ემოციური, ფილოსოფიური, ლიტერატურული შინაარსი და ფორმა განსჯისა, აზროვნებისა. შეიძლება ბევრი ფიქრობდეს კიდეც ამ პრობლემებზე, მაგრამ ამგვარი გადმოცემა და გამოხატვა სათქმელისა ძალიან იშვიათია და ამიტომაც ვერ ვფარავ აღფრთოვანებას. ეს არის ჭეშმარიტად სერიოზული ლიტერატურული და არა მხოლოდ ლიტერატურული განაცხადი, რომელიც უდავოდ დიდი ხნის ნაფიქრია, არაჩვეულებრივად შეკრული და ფილოსოფიურად ძალიან სწორად გაგებული.

ვფიქრობ, ეს არის პიესა, უპირველესად, მკითხველისათვის, რადგან მასში უფრო მეტია გონებით, ფიქრით ჩასაღრმავებელი და განსასჯელი, ვიდრე ხედვით წარმოსაჩენი. ვერც ყველა რეჟისორი შეძლებს მის დადგმას, რადგან ისეთივე ღრმა, ფილოსოფიური ცოდნა და მიდგომა მოეთხოვება მასაც თემისადმი, როგორიც პიესის ავტორს აქვს.

**აკაკი ყულიჯანაშვილი** *(ფილოსოფოსი)*: ჩვენ დიდი ხნის მეგობრები ვართ და კარგად ვიცნობ ჟაკლინ სირაძის პიროვნულ და შემოქმედებით სამყაროს. იგი მართლაც ფილოსოფიური ნატურაა, ფილოსოფიურია მისი ლექსებიც, პიესებიც. ეს ადამიანი სულ სხვა ღირებულებებზეა ორიენტირებული, ვიდრე კეთილდღეობა, მატერიალური მისწრაფებებია. იგი ცდილობს ჭეშმარიტება იპოვოს და განაცხადოს ხელოვნებაში და სულიერი კრიზისის ფილოსოფიური გააზრებაც მხატვრულად წარმოაჩინოს თავის შემოქმედებაში. ამ შემოქმედების კრედოა: იყავით ადამიანები სულიერებაში და არა კეთილდღეობაში. დასავლური რაციონალური აზროვნება კი ჭეშმარიტებას მეცნიერებაში ეძებს, თუმცა მისი ადგილი უპირველესად ხელოვნებაშია, რაც ჟაკლინმა არაჩვეულებრივად წარმოაჩინა. სწორედ იგი უნდა განსაზღვრავდეს ხელოვნებას, რომლის შინაარსიც მიზანმიმართულად ჰეპიენდური კი არ უნდა იყოს, არამედ ჭეშმარიტებით გააზრებული. სიმართლითაა გაჯერებული მთელი მისი შემოქმედებაც, რომელსაც ავტორისეული დახვეწილი და მაღალმხატვრული სტილი კიდევ უფრო გამორჩეულსა და თვითმყოფადს ხდის.



*ჟაკლინ სირაძე*

**ინგა მილორავა** *(პროფესორი)*: ის ყველაფერი, რაზეც ქალბატონი ჟაკლინი თავის ლექსებში თუ პიესებში წერს, ჩვენ ყველას ჩვენებურად გვტკივა და განვიცდით, თუმცა მან სრულიად ახლებურად, თავისებურად წარმოგვიდგინა. იგი ჭეშმარიტად გამორჩეული ხელოვანია, და ბუნებრივია, რომ „ხელოვანის გზაც" სწორედ მას ეკუთვნის. წიგნზე ვრცლად ახლა საუბარი არ შემიძლია, თუმცა ვიტყვი, რომ ავტორის ღრმა ფილოსოფიური დამოკიდებულება ამქვეყნად ადამიანის არსებობის რაობასა და მნიშვნელობაზე მის ყველა ნაწერში მაღალი ოსტატობითაა გადმოცემული და მოაზროვნე მკითხველის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს.

**მაკა ჯოხაძე** *(მწერალი)*: სტერილური, გამორჩეულად მშვიდი გარემოა საჭირო ამ წიგნის წასაკითხად, რათა სათანადოდ ჩაუღრმავდე და გაიაზრო ავტორისეული ხედვა და დამოკიდებულება სამყაროსადმი. როდესაც მე მისი ნაშრომი პირველად წავიკითხე, აღმოვაჩინე მწერალი-ფილოსოფოსი, რომელიც რადიკალურად ამოვარდნილი იყო დღევანდელი ქართული ლიტერატურული სივრციდან. ის გახლავთ შემოქმედი ორიგინალური სტილითა და ხელწერით. ეს განსხვავებულობა ყოველდღიურ ყოფიერებაშიც ვლინდება, მის უცნაურ დაბნეულობაში, რომლის მიღმაც ღრმა და განათლებული ადამიანი იმალება. ჟაკლინი ხშირად საუბრობს მარადიულ ღირებულებებზე, ახალგაზრდებზე, დღევანდელობაზე, როცა ადამიანებს უჩნდებათ სურვილი, დრო გააჩერონ და სამყარო შეცვალონ. სამწუხაროდ, ამას არაღვთიური, ნეგატიური ენერგიით, ქმედებებით და პროპაგანდით ცდილობენ, რაც დამღუპველია და ჟაკლინ სირაძეს ეს ძალიან აწუხებს. როგორც ხელოვანი, იგი თვითონვეა ჰამლეტის ნატურა შინაგანი სირთულეებით, ფორიაქით, წინაღობებით. მის ლექსებში კი ქინძისთავზე დატეული დიდი ხნის ნაფიქრი, ნაშრომი და ნაოცნებარი სიბრძნე დევს, რომელიც მართლაც დახვეწილი გემოვნებითაა გამოხატული.

**ნიკოლოზ კენჭოშვილი** *(ინდოლოგი)*: ადამიანი მოსულია იმისათვის, რომ ღმერთისაკენ ისწრაფოდეს, მაგრამ ის მერყეობს სიკეთესა და ბოროტებას შორის, პესიმიზმსა და ოპტიმიზმს შორის. ყოფიერების ეს მარადიული პრობლემა განსაკუთრებით რთულად დგას XXI საუკუნეში, როდესაც სულისათვის მაცდუნებელი და დამღუპველი ძალზედ ბევრია. „ხელოვანის გზაში" ავტორმა შეძლო კიდევ ერთხელ დაეყენებინა და მკითხველისთვისაც გაეაზრებინა კითხვები, თუ რისთვის არსებობს ამქვეყნად ადამიანი, რისთვის ცხოვრობს და რა არის მისი უპირველესი საზრუნავი. ამას იგი აკეთებს ღრმა ფილოსოფიური ხედვითა და გამორჩეული მხატვრული შესრულებით, რაც ნაწარმოებს განსაკუთრებულ ღირებულებას სძენს. ვულოცავ ქალბატონ ჟაკლინს წიგნის გამოცემას და კვლავაც შემოქმედებით წარმატებებს ვუსურვებ.

**ვენერა ანდრონიკაშვილი** *(რეჟისორი)*: აქ ითქვა, რომ ჟაკლინ სირაძის ეს პიესა უპირველესად მკითხველისთვისაა განკუთვნილი, რადგან მას განმარტოებით ჩაღრმავება და გაცნობიერება სჭირდება. ეს ნამდვილად ასეა, მაგრამ მე მაინც ვეთანხმები ბატონ როსტომს, რომელმაც ბრძანა, რომ თუ გამოჩნდება რეჟისორი, რომელიც გაბედავს და ხელს მოკიდებს ფილოსოფიურად ამ ღრმა და რთულ დრამას, შესანიშნავი სპექტაკლი გამოვიდოდა. თუმცა პრობლემაც სწორედ ეს გახლავთ. ეს პიესა მხოლოდ ისეთ რეჟისორს შეუძლია დადგას, რომელსაც ისეთივე სიღრმისეული ხედვა და მოვლენათა, ღირებულებათა განცდა-შეფასება აქვს, როგორიც ავტორს. არც ასეთი რეჟისორის პოვნაა ადვილი და არც ამ პიესის გასცენიურება, რადგან მასში უამრავი რთული პერსონაჟი და ღრმა აზრობრივი მსჯელობებია. მას მაყურებელიც სათანადო უნდა. ამ წიგნის სახით ნამდვილი სასწაულის წინაშე ვდგავართ, როგორც ლიტერატურული, ასევე რეჟისორული თვალსაზრისით.

**საღამოს მსვლელობისას ქალბატონი ჟაკლინი დროდადრო საკუთარ ლექსებს კითხულობდა. ამ ლექსებშიც იგივე სულიერი განწყობა და სამყაროსადმი მისეული ფილოსოფიური დამოკიდებულება იდო, რომელიც ავტორის შინაგანი „მე"-ს ტკივილი და საფიქრალია. აქ იყო დაცარიელებული სამყაროს სევდაც და მხედველი თვალის ძიებაც ანუ ძიება ადამიანისა, რომლის გზაც მარადჟამს ღვთისაკენ უნდა იყოს მავალი, რათა გადარჩეს სამყარო.**

იოსებ ჭუმბურიძე

# გადამრჩენელი

*

## მაკა ჯოხაძის ახალი წიგნის („სამოთხე უსიყვარულოდ“) გამო

**„P.S. აღნიშნულ მოსაზრებას, ისევე, როგორც წერილის პათოსსა და, ხშირ შემთხვევაში, ავტორის პოზიციას, „ქომაგის“ რედაქცია არ ეთანხმება. მაგრამ მწერალ მაკა ჯოხაძის შემოქმედების მნიშვნელობისა და პიროვნული ღირსების გათვალისწინებით, გადავწყვიტეთ ამ წერილის გამოქვეყნება“.**

ალბათ, იშვიათად დაწერილა უფრო მრავლისმთქმელი პოსტსკრიპტუმი. ეს, უბრალოდ, მინაწერი კი არა, საუკეთესო რეცენზიაა, ხუთიოდ სტრიქონში ჩატეული.

აქ ხაზგასმულია ორი უაღრესად პრინციპული რამ — შემოქმედების მნიშვნელობა და პიროვნული ღირსება.

მათი თანაარსებობა დიდი იშვიათობაა.

მაკა ჯოხაძე ორივეთი ერთნაირად გვხიბლავს და გვნუსხავს.

უამრავ ადამიანს ვიცნობ — ქალსაც და მამაკაცსაც, მასზე გულწრფელად და სუფთად შეყვარებულს, მასთან მეგობრულად დაახლოებულს და მაინც გარკვეული დისტანციით დაშორებულს, რადგან მისი პიროვნული ღირსება ფამილიარობას ძირშივე გამორიცხავს.

ბუნებრივია, მეც ამ მდგომარეობაში ვარ და მჯერა, თვითონ მის გარდა, არავის უკვირს, არაერთგზისი თხოვნის მიუხედავად, „ქალბატონოს“ გარეშე რომ ვერ მივმართავ.

ის ერთი იმ მცირედთაგანია, ვისზეც მიმართვის ეს ფორმა ზედგამოჭრილია.

არაერთხელ გამიოცებია: რამ მოუყარა თავი ამ ქალბატონში ერთი მხრივ, ასეთ სინაზეს და სათნოებას, მეორე მხრივ კი ასეთ შეუპოვრობას, როცა საქმე სამშობლოს ინტერესების დაცვას ეხება.

ერთგან ის წერს, თუ რა ასმაგი მნიშვნელობა აქვს იმას, როცა ქვეყნისთვის საბედისწერო ჟამს, სწორედ ქალი ამოიღებს ხმას, რათა „დააცხროს შურისა და მძულვარების ხანძრები და მძლავრი გონებით გაანათოს საბედისწერო პროცესები და მოვლენები“.

ახალი წიგნი იმის თვალსაჩინო დასტურია, თუ რამდენჯერ მოქცეულა ასე თავად **მაკა ჯოხაძე**.

ის ზემოთ მოხმობილი „პოსტსკრიპტუმიც“ ამას მოწმობს.

მაინც რას ამბობდა იმ წერილში, ისეთი რა პათოსი ჰქონდა, რედაქციას მსგავსი მინაწერი რომ უკარნახა?

დიახ, ამბობდა! ისეთ რამეს ამბობდა, რაც არავის უთქვამს.

აი, რას:

**„იქნებ ყველაფერმა დაჰკარგა აზრი?! ყველა ფერმა, რადგან სადღაც თავგანწირვით მიჰქრის საბედისწერო სიტყვა სამშობლო, როგორც გზააბნეული მგზავრის ექო. ჰორიზონტზე მდგარი, დაისის მეწამულ შუქში ველარ გასტყორცნი სიტყვას ქართული — მიცურავს, მიდის სივრცეში გაშვებული სამი სფერო, სამი ხმოვანი — ა უ ი, ქარიშხლიან დღეებში რომ დაეკარგათ თავთავიანთი თანხმოვნები — მეორე ნახევართა რწმენა, იმედი და სიყვარული. დარჩა მხოლოდ უთანხმოვნებო ა უ ი — როგორც გაფცქვნილი სამშობლოს გამოუთქმელი ტკივილი, ყრუდ, ჩუმად გასრესილი ქრთლ“.**

შეგხვედრიათ სადმე გაფცქვნილი სამშობლოს ასეთი მეტაფორა?

საერთოდ, ეს წიგნი სავსეა მეტაფორებით. სიტყვაკაზმულ მწერლობაში კი, ბატონო, მაგრამ მეტაფორები პუბლიცისტიკაში?! თანაც როგორი მეტაფორები — პუბლიცისტური ნაღმები!

ხომ არსებობს გამოთქმა: „პროზის პოეტი“ — ასე უწოდა ანამ რევაზ ინანიშვილს. შეგვიძლია თამამად ვთქვათ, რომ მაკა ჯოხაძე პუბლიცისტიკის პოეტია. ოღონდ, აქ პოეტურობა მებრძოლ სულისკვეთებასთან არის შენივთებული.

ამ წერილს „ხსოვნის ფირფიტა“ ჰქვია.

უცნაურია მისი ფაბულა და არქიტექტონიკა.

...სამშობლოს მორიგი მარცხი და განსაცდელი მწერლის მეხსიერებაში ამოატივტივებს ყველაზე მოულოდნელს — ფეხბურთში ერთ-ერთი მსოფლიო ჩემპიონატის დასკვნით მატჩს და იწყება რეპორტაჟი ხსოვნიდან.

„გერმანელები თავიანთი კოლეგიალობითა თუ ძალით აშკარად ჯაბნიან არგენტინელებს. არადა, ამ უკანასკნელთა ნაკრებში მარადონა თამაშობს.

აქ ვერ ვძლევ ცდუნებას და კვლავ მოვუხმობ მოზრდილ ციტატას, როგორც მწერლური (პუბლიცისტური) ოსტატობის იშვიათ ნიმუშს:

„მარადონა — არგენტინის მზით მოხალული ყავის მარცვალი, რომელსაც დაებნა თავისი თავი, თავგზააბნეული გადაიხალა და ისე განიავდა, ველარ შესძლო, გალეწვისას შეენარჩუნებინა საკუთარი სიმაგრე; დაეფქვა, გამოეხადა მუქი ზეთის არომატი, მაგიური შავი სითხე მოდუღებული მიერთმია საკუთარი გულშემატკივრისათვის, დაეთრო, დაეტკბო მაყურებელი. ეს უნდა მომხდარიყო, თუ არა ზურგშექცევა გარდაუვალი იყო. და აი, მიატოვეს კიდეც... შავ თვალებში ცრემლი კიაფობს. მა-რა-დო-ნა! მა-რა-დო-ნა! განაჩენივით ღრიალებს, გრგვინავს სტადიონი...

მარადონას თამაშმა კიდევ ერთხელ (ეს უკვე მერამდენედ) ფარდა ახადა გარდუვალ კანონს: სახიფათოა, იქცე ეროვნულ სიამაყედ, რადგან ეროვნული სინდისი მარცხს ვერ ეგუება, რადგან მისი მარცხი ყველაზე დიდ ტრაგედიასაც კი სანახაობად აქცევს, ყველაფერს გემოს უკარგავს“.

რამ გაახსენა ქართველ მწერალ ქალს (ქალს!) მარადონას და არგენტინის ეს მარცხი?

აი, რამ:

**„ისეთი დიდი და გაუსაძლისია ჩვენი საკუთარი მარცხით მოგვრილი ჭრილობა, რომ ბორხესივით, მეც ყველაფერში ჩემი სამშობლოს ნამცვრევს დავეძებ, ჩემი სამშობლოს ხატი მელანდება; ეგების სხვის მარცხთან ზიარებამ ჭრილობას პირი მოუკრას...**

**და ვხედავ, რწმენის პაწია თვალი როგორ მინათებს დასეტყვილი ხსოვნის სანახებს... თითქოს მარცხიც, შუქჩრდილისა არ იყოს, დროებითია... დაჭრილი ხარივით ჯერ ისევ შეიძლება სივრცეში ა უ ი-ს, სიტყვა ქართულს, ესე იგი შენს სამშობლოს გამოეკიდო და მიუსწრო...**

**მარადონა დიდი ფეხბურთიდან წავიდა.**

**შენ საით მიდიხარ, გრძელი დერეფნით საით მიექანები, ჩემო ქვეყანავ, დასამარხად გამეტებულო სურნელოვანო ჯუჯა ხეხილო, დიდ აუქციონზე გატანილო ქრისტეს სისხლო, დასამეხად განწირულო წითელო ვენახო...**

**ა უ ი**

**ა უ ი ი ი**

**ა უ ი ი ი ი ი".**

ვფიქრობ, ნათელია, რისთვის დასჭირდა რედაქციას ის „პოსტსკრიპტუმი".

საგანგებოდ არ დამითვლია, მაგრამ ამ წიგნში ყველაზე ხშირად ორი ცნება შემხვდა — **სამშობლო და ხსოვნა.**

ვინც მაკა ჯოხაძეს იცნობს, მის ნაწერებში პირველის სიჭარბე არ გაუკვირდება.



მაკა ჯოხაძე

ხოლო **ხსოვნას** რაც შეეხება, ამ ცნებას მისთვის ასევე დიდი დატვირთვა და მნიშვნელობა აქვს. ხსოვნა მისთვის არის **„მარადიული გზა, გაქვავებული მარილი, რომელიც მაშინ იწყებს დნობას, როცა ცხოვრებას გემო ეკარგება. გემო, ესე იგი აზრი. ცხოვრება საერთოდ გემოა. რაც უფრო უმარილოა იგი, მით უფრო იკლებს ნებელობა — იცოცხლო".**

თანაც, უნდა გავითვალისწინოთ, რომ ეს ქალის ხსოვნაა. **„ქალის ხსოვნა კი შეგრძნებების ხსოვნაა... ამიტომ უფრო ძნელად ამარცხებენ, ან საერთოდ ვერ ამარცხებენ ქალებს. თუკი სამშობლოს თუნდაც ხსოვნაში უწერია გადარჩენა, მას ქალი გადაარჩენს. თავის თბილ უბეში, როგორც სათბურში გადამალულ სისხლისფერი ყვავილის ზარს.**

**მაშ ასე, რეკავს ზარი".**

ამ ზარის რეკვა წიგნის 460-სავე გვერდზე გაისმის, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი ავტორი სამშობლოს ერთ-ერთი გადამრჩენელია და არა მხოლოდ ხსოვნაში. ხსოვნა უფალმა კი უწყალობა, მაგრამ იცის, რომ **„ხსოვნა მაშინაა მხოლოდ წყალობა, როცა გახსოვს და მაინც წინ მიიწევ".** ოღონდ, **„წინ — ფესვებისაკენ!"**

ის კი: „იმ დროს, როცა ღამის წყვდიადში ოხრავს მზისა და ვარდების სამეფო", ერთდროულად, საზიზღარი და საყვარელი ქალაქი, მისგან თავდაღწევასაც ცდილობს, გრძნობს, როგორ ებორკება ფეხები, ლოტის ცოლივით უკან იხედება, და ამასთანავე იგავიც ახსოვს და საკუთარ თავს ეუბნება და ეკითხება: **რატომ იხედები, ნუ იხედები! შენ რა არა გწამს, არ გეშინია გაქვავების?! თვითონვე, კითხვას კითხვით უპასუხებს: „მეშინია, მაგრამ ხსოვნას რა ვუყო?"**

ჯვარი სწერია და წარმომიდგენია, რამდენი ისურვებდა და ინატრებდა მაშინ (1997 წელს) მის გაქვავებას.

საუბედუროდ, ასეთები დღესაც აღმოჩნდებიან, რადგან მაკა ჯოხაძის ხსოვნა ფრიად საშიშია. მას ისეთი ამბები ახსოვს!!!

ახსოვს „ინტელექტუალთა ზათქი და გნიასი, როცა განხეთქილების ვაშლივით შემოაგდებენ ფორმულა-შეკითხვას, ჭეშმარიტება უფრო მაღლა დგას თუ სამშობლოო, როცა მოდაში შემოდის საკუთარი ხალხის ბრბოდ მოხსენიების ტენდენცია".

ახსოვს „ტყვიების ზუზუნით დამფრთხალი ლამაზი ქალების მოულოდნელი გახევებაც დღისით, მზისით, ზედ ჭავჭავაძის გამზირზე და შორით მომზირალი, მერე კი მათ გვერდით ჩავლილი მოხუცი კაცის ალერსიანი ჩაქირქილება: **„სამაგიეროდ, დემოკრატიული ტყვიებია".**

**მე არ ვხუმრობ, მაკა ჯოხაძე, მართლა საშიში ქალბატონია,** ვისაც ისიც კი ძალუძს, ხანდახან ხელისუფალთა ტყავში შეძვრეს და მათი ფიქრები გაახმოვანოს.

მაგალითად, ასეთი ფიქრი:

**„ყველა პოეტი უმადურია, სულერთია, სიბნელეში ჩაახრჩობ, თუ სინათლეში გაგუდავ".**

ხსოვნაზე საკმარისად ვთქვით. დროა, ისევ სამშობლოს დავუბრუნდეთ.

მთავარი ხომ სამშობლოა. მაკა ჯოხაძე ხომ ყველაფერში თავისი სამშობლოს ნამცვრევს დაეძებს.

სულ ერთია, რაზე წერს ან ვისზე წერს. თვალწინ სამშობლო უდგას. მისთვის ნამდვილი პოეზიაა ლიბანელი **მეი ზიადას** დარდი:

„რად მერგო წილად ისეთი სამშობლოს შვილობა, რომელსაც პატრიოტიზმის ნიშან-წყალი არ გააჩნია. რად ვიქეც იმად, ვისაც არ გააჩნია სამშობლო".

ეს სიტყვები მაკა ჯოხაძეს იმ დროს ახსენებს, როცა მოსკოვში, მრგვალ მაგიდასთან სასაუბროდ მიწვეულმა, ხმამაღლა განუცხადა „უფროს ძმებს":

**„არაბუნებრივია, როცა სამშობლოში დარჩენილს სამშობლო გენატრება და ამ ავადმყოფობას ნოსტალგიის სახით მთელი ჩვენი თაობა დაატარებს".**

სხვათა შორის, მისი ეს მოსაზრება უცვლელად დაბეჭდა „ისეთმა კონსერვატულმა გაზეთმა, როგორიც „ლიტერატურნაია გაზეტა" იყო, ოღონდ, ასეთი სათაურით: „ჩტო ზა სტრანნაია ნოსტალგია!"

ეს სათაური, თავისი მრავლისმთქმელობით, თითქმის არ ჩამოუვარდება ზემოხსენებულ პოსტსკრიპტუმს.

როცა მაკა ჯოხაძის სამშობლოზე ვსაუბრობთ, აუცილებლად უნდა შევნიშნოთ, რომ ეს ცნება მისთვის არ არის

აბსტრაქტული და განყენებული. სამშობლო მისთვის, უპირველესად, ადამიანებია, ქართველებია, მოყვასია.

იმავე მეი ზიადაზე ფიქრი ამას აწერინებს:

**„ლიბანელ მეი ზიადას დილით მიმავალი ჯარების ნალარა აფხიზლებს... მე კი ეზოებში ახლახან ჩამორიგებულ ნაგვის ვერცხლისფერ ურნებში სისხამ დილით მოფხაკუნე მოხუცები მიფრთხობენ ძილს, მათ შემხედვარეს თბილი ლოგინის მრცხვენია“.**

და მე არც კი ვიცი, რა უფრო სევდიანად ამაღლებულია, სამშობლოში სამშობლოს მონატრება, თუ ეს უკიდურესად ყოფითი ფხაკუნი.

და დროა, უკვე ვთქვა ის, რისი თქმაც დიდი ხანია მინდა: მაკა ჯოხაძე თანამედროვე ქართული მწერლობის სინდისია.

რაც ამ წიგნში მომწონს, ყველაფერი რომ გადმოვწერო, იგივე იქნება, 460 გვერდი თავიდან ბოლომდე რომ წაგიკითხოთ.

ერთბაშად ამის წაკითხვას ვერც გავუძლებთ.

აქ იმდენი ტკივილი და სისხლიანი მეტაფორაა, რომ უეჭველად გაგვიჭირდება.

კი, აქ არა მხოლოდ მარილს გვაყრიან ჭრილობაზე, დროდადრო მალამოსაც გვცხებენ, მაგრამ გადაჭრით ვერავინ იტყვის, რომელი გადასწონის.

ამ წიგნში აღმოჩენები და მიგნებებიც გვხვდება.

მაკა ჯოხაძე უაღრესად ორიგინალური მწერალი-პუბლიცისტია, ოღონდ ორიგინალობა მისთვის არასოდეს არის თვითმიზანი. მას არც ტოლსტოის ცნობილი შეგონების („იყავი გულწრფელი და იქნები ორიგინალური“) გათვალისწინება სჭირდება.

ის, უბრალოდ, გულწრფელია და ამიტომაც არის ორიგინალური.

აღმოჩენები და მიგნებები ვახსენე.

ჩემთვის, მაგალითად, **აღმოჩენაა** ის, რომ **„ჭეშმარიტება და სამშობლო იმ სხივთა განუყოფლობაა, რომელთა გადაკვეთაც ჯვარს ქმნის“** და რომ ილიას ლექსის („პოეტი“) სემანტიკური მნიშვნელობა **„გრაფიკულად, სწორედ ჯვრის ფორმით შეიძლება გამოისახოს“.**

ჩემთვის ასევე აღმოჩენაა ნიკო ლორთქიფანიძის და ოთარ ჩხეიძის — ამ ორი სრულიად განსხვავებული შემოქმედის — მწერლურ სტილთა მოულოდნელი შეპირისპირება და ასეთი დასკვნა:

**„ნიკო ლორთქიფანიძესთან ზმნის, როგორც ერთი კაცის, ენერგია მოკლე დისტანციისთვისაა გათვლილი. ამიტომაც მისი, როგორც ოსტატის ბრწყინვალება სწორედ მინიატურებში გამოვლინდა. ოთარ ჩხეიძესთან კი ზმნის შეუჩერებელი ქმედება მხატვრული ქსოვილის კილომეტრებს გასდევს“.**

ეს მკვლევარი მაკა ჯოხაძეა.

ჩემთვის **მიგნებაა**, მაგალითად, **ნოდარ ტაბიძის** პორტრეტის ასეთი შტრიხი:

**„სხვათა შორის, ნოდარ ტაბიძის ხმის ტემბრიც კი ტაძრის აკუსტიკას ითვალისწინებდა თითქოს, რაღაც გარდამავალი, შუალედური ტონალობით საუბრობდა — არც ხმამაღლა, არც ხმადაბლა“.**

ეს მხატვარი (პუბლიცისტი) მაკა ჯოხაძეა.

* * *

ამ წიგნში კიდევ ერთი ცნება შეგვხვდება ხშირად — შიში.

მაკა ჯოხაძეს ამ ცნების თავისებური და ორიგინალური განმარტება აქვს:

**„შიში — თავისუფლების მარად ძველი და მარად ახალი ჯალათი.**

**შიში — როგორც ლაჩრობა და ბოროტებისათვის ქედის მოხრა“.**

საინტერესოა, რომ შიშის წამალს მაკა ჯოხაძისთვის ამავე სიტყვისგან შემდგარი კომპოზიტის სახელი აქვს.

მისი აზრით, **„მხოლოდ ღვთისმოშიში ადამიანია თავისუფალი“.**

და ამჯერადაც ვერ ვძლევ ცდუნებას, გადმოვწერო კიდევ ერთი ციტატა — სიღრმისა და ხატოვანების, ულამაზესი და უმდიდრესი ქართულით აზროვნების კიდევ ერთი ნიმუში:

**„ო, ეს მარადიული ათი მცნება, რომელმაც ათასწლეულების კლდეებზე ალესა თავისი სიბრძნე და ჭეშმარიტება. ეს ჭეშმარიტება დღეს, XXI საუკუნის გარიჟრაჟზეც ისეთივე ბასრი და ძლიერია, ისეთივე მოქმედი და ნათელი, რომ ძველებურად ფატრავს წყვდიადებს, ძველებურად ალბობს გაქვავებულ გულებს და გამომშრალ სულებს.**

**ამიტომაც ისევე გააფთრებით დევნიან და ებრძვიან, როგორც უხსოვარ დროს კატაკომბებში შეხიზნულ პირველ ქრისტიანებს. დღესაც ისევე ატყუებენ, ისევე აბრუებენ, ისევე ჩაგრავენ და დასცინიან კეთილი მწყემსის გარეშე დარჩენილ ცხვარს, როგორც ბიბლიურ ფარას, არადა, სიბრძნე, თავისუფლება და გადარჩენა აქვეა, ჩვენს გვერდით, ჩვენს სარწმუნოებაში, მისი კანონების დაცვაში, იმ კანონების დაცვაში, რომელთა თარგზეცაა აჭრილი ყველა ჭკვიანურად აწყობილი ქვეყნის უფლებები, კანონები და კონსტიტუციები.**

* * *

აქამდე არაფერი გვითქვამს სიყვარულზე, რომელიც ისევე გამსჭვალავს ამ წიგნს, როგორც „სამშობლოს გრძნობა გასაკვირველი“.

მაკა ჯოხაძე, ჯიბრან ხალილ ჯიბრანის მსგავსად, ზედმიწევნით კარგად **„იცნობს კაცის ბუნებას თავისი სისავსეებითა თუ უკეთურობებით და მაინც ასე უყვარს ადამიანი“.**

ეს ბიბლიური სიყვარულია. ამიტომაც იმოწმებს ხშირად დიად წიგნს:

**„წინასწარმეტყველებაც რომ მქონდეს, ყოველი საიდუმლო და მთელი ცოდნა რომ ვუწყოდე, სრული რწმენაც რომ მქონდეს, ისეთი, მთების გადაადგილება რომ შემეძლოს, ხოლო სიყვარული არ გამაჩნდეს, არარაობა ვიქნებოდი“.**

„უსიყვარულო“ სათაურის მიუხედავად, ეს წიგნი დიდი სიყვარულითაა გამთბარი. ამგვარად დასათაურებაც მხატვრულ-პუბლიცისტური ხერხია — „უსიყვარულოდ დარჩენილი სამოთხის“ მთელი აბსურდულობის წარმოსაჩენად.

აქ აუცილებლად გაჩნდება კითხვა: როგორ თანაარსებობს სიყვარული საშიშ ხსოვნასთან?

საქმე ის არის, რომ მაკა ჯოხაძეს კეთილი მეხსიერებაც მძლავრად აქვს განვითარებული და ადამიანთა ღირსეული საქმეები დიდი მადლიერებით აღავსებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ღმერთს იგი სხვისი ნიჭიერებით და წარმატებით, სხვისი სიხარულით გახარების იშვიათი უნარითაც დაუჯილდოებია.

ამ წიგნში ბევრია ასეთი გახარების მაგალითი.

მაკა ჯოხაძის სიხარული და სიყვარული ბევრ ღირსეულ ქართველს ერგო:

ისინი ამ წიგნის პერსონაჟები არიან.

ყველას ვერ ჩამოთვლი.

მთავარი პერსონაჟი კი თვითონ არის.

ძალიანაც რომ არ სურდეს, სხვაგვარად ვერ იქნება, რადგან მკაფიო ინდივიდუალურობა და აზროვნების მაღალი რანგი თავს ვერ დამალავს.

მაკა ჯოხაძეს ძალუძს, სიღრმით და საფუძვლიანობით წარმოადგინოს ის, ვისზეც ან რაზეც წერს და, იმავდროულად, ასევე მკაფიოდ გამოხატოს საკუთარი „მე" — მეობა, მრწამსი, სათქმელი, პოზიცია.

ერთ ესეიში ის ღრმად და ვრცლად განიხილავს **ჰერმან ჰესეს** მოთხრობა-ზღაპარს **„დოქტორ კნიოლგეს აღსასრული"** (**გიორგი ბრეგაძის** თარგმანი), მაგრამ მოთხრობა მაინც გარკვეული საბაბია ზოგადსაკაცობრიო თუ წმინდა ეროვნული პრობლემების გამოკვეთისთვის.

აქაც უაღრესად საინტერესო მიგნებებია.

მაგალითად, ასეთი:

**„ღმერთი მოკვდა!" — ეს იყო დიაგნოზი.**

**„ყველაფერი ნებადართულია!" — ეს უკვე პროცესი იყო, ღმერთის სიკვდილის მერე რომ განვითარდა".**

მიგნებები თავისთავად ძვირფასი რამ არის, მაგრამ ისინი ესეის პუბლიცისტურ სიმძაფრეს მაინც ვერ შესძენენ, თუ არ ითქმება რაღაც უფრო სადღეისო, აქტუალური და მნიშვნელოვანი.

და მაკა ჯოხაძე რის მაკა ჯოხაძეა, რომ არ თქვას.

ოღონდ ჯერ თვითონ მოთხრობის ფინალზე უნდა ითქვას:

„გორილამ ერთი საშინლად დაიღრიალა, კომბალი მოისროლა, ეცა უძლურს და ერთ წამში თავისი სასტიკი ხელებით მოახრჩო. დოქტორი მეორე დილას იპოვეს. ზოგი ხვდებოდა, რაც მომხდარიყო, მაგრამ ვერავინ გაბედა გორილა იონასთან დაპირისპირება".

**„ვინ მოთვლის** (ეს უკვე მაკა ჯოხაძეა — ავტ.) **რამდენი ასეთი ფილოლოგი, ჰუმანიტარი, ზოგადად ჰუმანისტი შეუწირავთ (მოუკლავთ) სამყაროს გარდაქმნის სახელით „რეფორმატორებს". სულერთია, რას დავარქმევთ მათ — კომუნისტებს, დემოკრატებს, ლიბერალებს, კოსმოპოლიტებსა თუ ვეგეტარიანელებს". სულერთია, რისი სახელით მოხდება ეს გარდაქმნა — სამყაროს სამოთხედ გადაქცევისა თუ სახელმწიფო ინტერესების სადარაჯოზე დგომის სახელით".**

მაკა ჯოხაძეს შეუძლია, უფრო პირდაპირი და მკაცრიც იყოს: **„სულ რომ თავი მოიკლან, განვითარებადი ქვეყნის სახელის აღიარებას მაინც ვერ ეღირსებიან ქართველებისგან. ეს სტატუსი ხელისუფლებამ გაიკრას შუბლზე, მისი განვითარების დონეს უფრო შეეფერება".**

* * *

მე ჩავატარე თავისებური ექსპერიმენტი, ერთგვარი მასტერკლასი: სტუდენტებს ამ წიგნიდან ერთ-ერთი ესეი წავუკითხე, როგორც პუბლიცისტური ოსტატობის ნიმუში. მაინტერესებდა, როგორ აღიქვამდნენ და შეაფასებდნენ.

ამ ესეიში ავტორი ნოდარ ანდღულაძის საჯარო ლექციას აღწერს. თხრობას იმით იწყებს, თუ როგორ დახვდება რედაქციის სამუშაო მაგიდაზე მოსაწვევი ბარათი. როგორ გაიფიქრებს: „ცხელა, რა წავა", მაგრამ მაინც ვერ დაძლევს ცდუნებას, რადგან მოსაწვევში წერია: „სამყაროს მოსმენა — ალფრედ ტომატისის ანთროპოლოგიური კონცეფცია".

ჩემდა გასახარად, სტუდენტებს არ გასჭირვებიათ ესეის გამორჩეული ღირსებების შემჩნევა. მოიხიბლნენ ავტორის მრავალმხრივი ერუდიციით (ფილოსოფიის, კინოს, მუსიკის, ფერწერის ჩინებული ცოდნით) და ხატვის ნიჭით.

განსაკუთრებით მოეწონათ ასეთი პასაჟები: „ასაკოვანი ბატონები და ქალბატონები დარბაზში შემოდიან. იმდენი მოწიწება და იდუმალებაა მათ ნაბიჯებში, სკამის გამოწევის მანერაში, ჩამოსხდომაში, მარაოების რხევაში, თითქოს შეთქმულებაში მონაწილეობის მისაღებად შემოსულან საჯარო ბიბლიოთეკაში".

ამ პასაჟს კიდევ უფრო საინტერესო თხრობა მოსდევს, მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, მთელს წიგნს ვერ გადმოვწერ.

მახარებდა ჩემი ექსპერიმენტის, ჩემი მასტერკლასის წარმატება და უცებ შემაშფოთებელი პროტესტი, თანაც საუკეთესო სტუდენტისგან. აი, ამ აზრის გამო:

**„ჩვენს ძალად გაუბედურებულ მომავალ თაობაზე ვფიქრობ, ვინ იცის, რა ქარიშხლიანი ობერტონები დათარეშობენ მათი სმენის ლაბირინთებში... დღეს ისევე, როგორც სულებისა და ტვინების, მუსიკალური სმენის გამორეცხვაზეც აშკარა ნადირობაა გამოცხადებული!" სამწუხაროდ, ეს ბოროტი ძალები, სტადიონებზე შეყრილი გრანდიოზული როკკონცერტებითა თუ აგრესიული გამოსვლებით, ელექტროშოკს რომ უფრო წააგავს, ვიდრე მუსიკას, მასობრივი დაყრუების პროგრამებს ასრულებენ".**

**„რატომ ფიქრობთ, რომ ყველანი დაგვაყრუეს"** — აი, სტუდენტის (**ნათია ქანთარია**) პროტესტი, რამაც შემაშფოთა.

კიდევ კარგი, მალევე მივხვდი, რომ ამ ახალგაზრდულ ამბოხს, პირიქით, უნდა გავეხარებინე: ეს ხომ იმის ნიშანია, რომ მაკა ჯოხაძის „განწირულ სულისკვეთებას" ამაოდ არ ჩაუვლია, რომ გადავრჩებით და ამ გადარჩენაში მაკა ჯოხაძის წვლილს ვერავინ უარყოფს.

ამ დროს გამახსენდა მაკა ჯოხაძის სხვა ესეი — „დიადი ინტიმი", რომელიც თავის უსაყვარლეს მოძღვარს უძღვნა.

იქ მაკა თვითონ არის სტუდენტი, **ნოდარ ტაბიძის** პირველ ლექციაზე ზის და მისი ფიქრის წაკითხვას ცდილობს. მისი აზრით, ლექტორი ამას ფიქრობს:

„ვინ ხარ შენ, ერთი ჩვეულებრივი გოგო... მერე რა, რომ ასე გულდასმით ვაკვირდები შენი სახელისა და გვარის ჟღერადობას. ჯერ არაფერს ნიშნავს ეს სახელი და გვარი. რომ გააცოცხლო და მნიშვნელოვანი გახადო, წინ დიდი გზაა გასავლელი. უნდა დაადასტურო, რომ შენ შენა ხარ, უნდა იშრომო, იღვაწო, იმოქმედო... ერთი სიტყვით, ვალდებული ხარ, ყოველივე ამის გამო, იფიქრო, იღვაწო და ყველაზე სასტიკი გამოცდა, ცხოვრება რომ ჰქვია სახელად, სიტყვაში მოაქციო"...

მე არ ვიცი, მართლა ამას ფიქრობდა თუ არა მაშინ ბატონი ნოდარი. ის კი ზუსტად ვიცი, რომ დღეს ასე ფიქრობს: მაკა ჯოხაძემ იშრომა, იღვაწა და ყველაზე სასტიკი გამოცდა, ცხოვრება რომ ჰქვია სახელად, სიტყვაში მოაქცია".

და ეს დიდი ბედნიერებაა მოძღვრისთვისაც და შეგირდისთვისაც.

**ბედნიერი ხართ?** — ეკითხებიან მაკა ჯოხაძეს ერთ-ერთ ინტერვიუში.

პასუხი ასეთია: „მე, ალბათ, არცა მაქვს უფლება ვთქვა, რომ ბედნიერი არა ვარ, რადგან მაქვს ჩემი საქმე და მას ერთგულად ვემსახურები, მაგრამ... ჩვენი სამშობლოს შემხედვარე, ჩემი პირადი ბედნიერება ხშირად ისეთივე შეჭირხლულია და დათრთვილული, როგორც **გალაკტიონის** უცნაურად სევდიანი სტრიქონები:

> მოუნათლავი ბავშვები
> სკოლისკენ მიიჩქარიან“.

გალაკტიონის პოეზიაში ადვილად მოიძებნებოდა უფრო გამჭვირვალე ხატი სამშობლოს ბედზე მისანიშნებლად, მაგრამ მაკა ჯოხაძემ ეს დანისლული სურათი არჩია.

არ მახსენდება, რომ ამ სტრიქონებზე ვინმეს ყურადღება გაემახვილებინოს.

არადა, რა ღრმა აზრია, რა დამაფიქრებელი.

შემთხვევითი არ არის, რომ წიგნი სწორედ ამ სტრიქონებით მთავრდება.

ანუ არ მთავრდება.

ის ჩვენ უნდა გავაგრძელოთ — ფიქრითაც და მოქმედებითაც, რათა სივრცეში ჩვენს სამშობლოს გამოვეკიდოთ და მივუსწროთ.

## ახალი წიგნები

მარი წერეთელი

# დროის ნიშნით

„ყველაზე დიდ მიღწევად მე მიმაჩნია თანამედროვეობაში რადიო, თუ ჰაეროპლანის მართვა ცაში“ — ჩაწერა 1927 წელს გალაკტიონ ტაბიძემ თავის უბნის წიგნაკში, ხოლო 1930 წელს ალტაცებულმა, პოეტური სტრიქონები უძღვნა რადიოს: „ხედავთ, რაგვარად შეამოკლა რადიომ სივრცე!.. აქ კი გასძახის სივრცეს თბილისი“.

ასე დაიწყო ქართული რადიოერა. მაშინ ვერავინ წარმოიდგენდა, რომ მედიაკულტურაში რადიომაუწყებლობა საპატიო ადგილს დაიკავებდა, ჩამოყალიბდებოდა არა მხოლოდ მასობრივი კომუნიკაციის მძლავრ საშუალებად, არამედ თვითონაც გახდებოდა სრულიად გამორჩეული კულტურული სივრცე, რომელმაც შექმნა თავისი დიდი ისტორია. სწორედ ამ ისტორიას მოიცავს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორების ელდარ იბერის, თეა მჟავანაძისა და ნანა ტალახაძის ავტორობით გამოცემული წიგნი „საქართველოს რადიოს ისტორია“. წიგნი დაბეჭდა თსუს გამომცემლობამ ელდარ იბერის საერთო რედაქციით. ეს არის პირველი ცდა, მონოგრაფიულად წარმოჩნდეს საქართველოს რადიოს რვა ათეული წლის ისტორია, ჩასახვის დღიდან დამოუკიდებელი საქართველოს რადიომაუწყებლობის წლებით დამთავრებული (2004 წლამდე). სწორედ წიგნში მოქცეული პერიოდით იწყება და მთავრდება საქართველოს რადიოს არსებობის ერთი დიდი ეტაპი, მეტნაკლებად საერთო ნიშნებით გამორჩეული. ამგვარად, წიგნში განირჩევა ორი მონაკვეთის ისტორია: პირველი — საბჭოთა პერიოდის, და მეორე, დამოუკიდებელი საქართველოსი.

ყოველი ეპოქა თავის ჟურნალისტიკას ქმნის — ამ გამოთქმის ჭეშმარიტებაში გვარწმუნებს ჟურნალისტიკის საერთო ხასიათზე დაკვირვება. ეს აზრი გვახსენდება წიგნის კითხვისას, როცა თვალწინ წარმოგვიდგება მართლაც დროის ნიშნით აღბეჭდილი რადიოჟურნალისტიკის ისტორია. დღეს, გლობალურ საინფორმაციო მედიაველში, რადიო ცდილობს დარჩეს თავისი უპირატესი ფუნქციით, ის მკვეთრად ორიენტირებული გახდა ინფორმაციასა და გართობაზე, მაგრამ ქართულ რადიოს აქვს მდიდარი და საინტერესო წარსული, რომელიც უთუოდ იმსახურებდა საგანგებო ასახვას. ჯერ ერთი, რომ არ დავივიწყოთ და გავაცნობიეროთ რადიოჟურნალისტიკის ტრადიციები, მისი ნეგატიური თუ პოზიტიური გამოცდილება, და მეორეც, რომ არ დაგვეკარგოს საქართველოს რადიოს მიერ შექმნილი მართლაც უნივერსალური კულტურული ღირებულებანი.

წიგნი მრავალი ასპექტით არის მნიშვნელოვანი. ის გვაცნობს საქართველოში რადიომაუწყებლობის აღმოცენებისა და განვითარების ისტორიას. ქრონოლოგიურად, უაღრესი სიზუსტით არის გადმოცემული რადიოს ფუნქციების ჩამოყალიბებისა და მაუწყებლობის სტრუქტურის შექმნის პროცესი. ყურადღება გამახვილებულია რადიოს როლზე სახელმწიფოს მართვაში.

არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ რადიოს, როგორც უმნიშვნელოვანესი მედიუმის, ისტორიას ქმნიდნენ ადამიანები, სწორედ ადამიანთა წარმოჩენით ხდება ეს წიგნი უწინარესად ცოცხალ ისტორიად. ისინი არიან სხვადასხვა თაობის კულტურის ცნობილი მოამაგენი: ჟურნალისტები, ლიტერატორები, მუსიკოსები, რადიოს ტექნიკური მუშაკები, დიქტორები.

რადიოს ისტორია არ განიხილება განყენებულად, მას ვერ დავაცილებთ ისტორიულ-პოლიტიკური განვითარების ზოგად პროცესს და, ამდენად, აქ არ არის მოთხრობილი მხოლოდ ერთი სფეროს ამბები. რადიოჟურნალისტიკა ძირფესვიანად უკავშირდება დროს. ერთი მხრივ, ის არის დაკვირვებისა და კვლევის ობიექტი, მეორე მხრივ, რაკი თვითონაც ქმნიდა ეპოქას, წიგნის ღირსება ისიც არის, რომ მკითხველის თვალწინ რადიოს ისტორიის გაცნობასთან ერთად კიდევ ერთხელ ჩაივლის უახლესი საქართველოს (და არა მხოლოდ საქართველოს) რთული, წინააღმდეგობრივი რეალობის ამსახველი კადრები, რასაც თავის მხრივ უთუოდ აქვს წარსულის შემეცნებისა და გადააზრების მნიშვნელოვანი ფუნქცია.

ნაშრომში გამოყენებულია კვლევის ისტორიზმის, სისტემურობისა და კომპლექსურობის პრინციპები, რაც შესაძლებელს ხდის, ყოველი თემა და საკითხი განხილული იყოს მოვლენის განვითარების პროცესში, როგორც ისტორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

როგორც ნებისმიერი ისტორიოგრაფიული ნაშრომისთვის არის დამახასიათებელი, ავტორები სკრუპულოზური სიზუსტით მისდევენ დროს, მოვლენების განვითარებას, რათა არ გამორჩეთ არცერთი მნიშვნელოვანი თარიღი, დეტალი, ხელახლა დადგინდეს და დაზუსტდეს ფაქტები. თუნდაც, როგორ დაიწყო ყოველივე, როგორ იდგამდა ფეხს XX საუკუნის ახალი ტექნოგენური საოცრება — რადიო.




ნიგნის ხუთივე თავი დიდძალ ინფორმაციას მოიცავს და თავის მხრივ ღირებული ცოდნით ავსებს მკითხველის წარმოდგენას სხვადასხვა საკითხზე. თუნდაც, რადიოს აღმოცენების ისტორია, წინ რომ უძღოდა მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში მსოფლიოში მიმდინარე ტექნიკური პროგრესი, რამაც წარმოშვა ელექტროკავშირი.

შეიძლება ბევრმა არც იცის, რომ ეს პროცესი საქართველოში ჯერ კიდევ 1859 წელს დაიწყო დიდი ქართველი პოეტის, იმჟამად კავკასიის მთავარმართებლის მოვალეობის შემსრულებლის გრიგოლ ორბელიანის თაოსნობით, როდესაც მან ხელი მოაწერა ელექტომაგნიტური ტელეგრაფის დებულებას, რომლითაც მყარდებოდა სატელეგრაფო კავშირი თბილისსა და ფოთს შორის, ხოლო ამ საქმის აღსასრულებლად თბილისში მოიწვიეს ინჟინერი ვალტერ სიმენსი, ცნობილი ფირმის „სიმენსისა და ჰალსკეს" ხელმძღვანელის ფონ სიმენსის უმცროსი ძმა, რომლის ხელმძღვანელობითაც დამონტაჟდა საქართველოში პირველი სადენებიანი ელექტროხაზი ფოთი-თბილისი (სხვათაშორის, ვალტერ სიმენსი თბილისში დასახლდა და აქვე გარდაიცვალა 1868 წელს).

ნიგნი მნიშვნელოვანი ინფორმაციით ამდიდრებს მკითხველს. მაგალითად, აქვე ვეცნობით ქართველ გამომგონებელ გრიგოლ(ნიკოლოზ) ნახუცრიშვილს, 1900-1905 წლებში ტარტუს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტის სტუდენტს, რომელსაც 1902-1904 წლებში გ. მარკონისა და ალ. პოპოვისგან დამოუკიდებლად შეუქმნია კონსტრუქცია, რომელიც რადიოკავშირის ავტომატური მიღება-გადაცემის შესაძლებლობას იძლეოდა. მის შესახებ მხოლოდ მწირი ინფორმაცია მოგვეპოვება, ისიც 1906 წლის 5 მარტის გაზეთ „ცნობის ფურცლის" წყალობით. დაინტერესებული მკითხველი ბევრს შეიტყობს ამ საქმის დასაწყისისა და განვითარების შესახებ. დიდძალი დოკუმენტური, საარქივო მასალის, მოგონებების, ცნობების შეჯერებისა და გაანალიზების, არგუმენტებისა და კონტრარგუმენტების მოშველიებით დადგენილია მნიშვნელოვანი თარიღები, მაგ. პირველი რადიოგადაცემის დრო, 1925 წლის 21 მაისი.

დღეს, მულტიმედიის ეპოქაში, აღარაფერი გვიკვირს, თუმცა წარსულის ემოციურად განცდის შესაძლებლობას გვაძლევს საქართველოს რადიოს, როგორც დიდი სიახლის დასაბამი. ლეგენდარული მომღერალი მარო თარხნიშვილი იგონებს: „მთელი თბილისი მოუთმენლად ელოდა პირველად ადამიანის ხმის მოსმენას. ბარიატინსკის ქუჩა და ალექსანდრეს ბაღი სავსე იყო ხალხით. ისინი სულგანაბულები ელოდნენ გადაცემის დაწყებას. დიქტორმა ბოიარსკიმ მიულოცა მსმენელებს რადიოს გახსნის დღე და გამოაცხადა პროგრამა. პირველ ნომრად მე შევასრულე „ურმული".

ამ მოგონების უტყუარი მტკიცებით, 1927 წლით არის დათარიღებული, როდესაც დაიწყო საქართველოს რადიოს რეგულარული მაუწყებლობა.

ნიგნის შესავალში მართებულად არის აღნიშნული, რომ რადიომაუწყებლობის არსი, მისი წარსული იზოლირებულად, სხვა მედიასაშუალებათაგან მოწყვეტით არ გაიაზრება, არამედ განიხილება ინფორმაციისა და ხელოვნების მონათესავე არხებთან ერთად, რადგან რადიო ჩაბმულია სისტემურ კავშირში. ეს მომენტი მუდმივად იგრძნობა „რადიოს ისტორიის" კითხვისას, როცა მოვლენები და თემები განიხილება ერთ მთლიანობად და ურთიერთკავშირში. ნიშანდობლივია, რომ 20-იანი წლების რადიოს პროგრამირების პრინციპებზე დოკუმენტურ მასალას სწორედ იმდროინდელი პრესა ინახავს. მოძიებული რადიოპროგრამები ზუსტ წარმოდგენას გვიქმნის როგორც იმდროინდელი რადიოს პროგრამულ შინაარსზე, ისე იმ პერიოდის რადიოზე, როგორც საბჭოთა რეჟიმის იდეოლოგიურ რუპორზე.

ბერთოლდ ბრეხტი წერდა: „რადიომაუწყებლობა შეიძლება იქცეს ყველაზე შესანიშნავ კომუნიკაციურ აპარატად, ურთიერთობის არხების არნახულ სისტემად, რომელიც კი შეიძლება წარმოვიდგინოთ. იგი შეიძლება გახდეს ასეთი, თუ შეძლებს არა მარტო გადასცეს, არამედ მიიღოს კიდეც, ანუ მსმენელი ამავე დროს მოსაუბრედ აქციოს და იზოლაციაში კი არ დატოვოს, არამედ ურთიერთობა დაამყაროს მასთან. რადიომაუწყებლობა უნდა ამოვიდეს მიმწოდებლის როლიდან და თვითონ მსმენელი გადააქციოს მიმწოდებლად."

ეს თვალსაზრისი სავსებით ესადაგება 21-ე საუკუნის კომუნიკაციურ ხასიათს, თუმცა ისიც უნდა გავიხსენოთ, რომ რადიოს შესაძლებლობანი კარგად გამოიყენეს XX საუკუნის ტოტალიტარულმა რეჟიმებმა, რომელთა დასაყრდენი 20-30-იანი წლებიდან მოყოლებული საბჭოთა რეჟიმის დასასრულამდე, მოგვიანებით ტელევიზიასთან ერთად, დიდწილად იყო სწორედ რადიო, როგორც პროპაგანდის უმძლავრესი საშუალება და მანიპულატორი.

მოხდა ისე, რომ საქართველოს რადიოს ისტორიის მოზრდილი მონაკვეთი სწორედ ამ პერიოდს დაემთხვა. ნიგნი ქმნის ეპოქის დოკუმენტურ სურათს, თუმცა მასში კრიტიკულად არის გააანალიზებული და შეფასებული პროპაგანდისტულ- დიდაქტიკური რადიომაუწყებლობის არსი, იდეოლოგიური სტრატეგია, რომლის მთავარი პოლიტიკური ამოცანა გახლდათ დასავლეთთან სისტემურ ბრძოლაში უპირატესობის მოპოვება. ეს იყო რეალობა,

როდესაც ჯორჯ ორუელის თქმით „ტოტალიტარული სახელმწიფო აუცილებლად ცდილობს გააკონტროლოს თავის ქვეშევრდომთა აზრები და გრძნობები, სულ ცოტა, ისე ქმედითად, როგორც აკონტროლებს მათ ქცევებს".

30-40-იან წლებში რადიოს ჰქონდა მართლაც მძლავრი იდეოლოგიური ფუნქცია, ისევე როგორც მეორე მსოფლიო ომის დროს, როდესაც მთელ პროპაგანდისტულ მანქანასთან ერთად ის გადართული იყო ომის თემატიკაზე. წიგნში მრავალმხრივ არის ეს მონაკვეთი წარმოჩენილი, როგორც ტიპური ნიმუში, თუ როგორ იჭრება რეჟიმი როგორც მედიის სტრუქტურულ ცვლილებებში, ასევე თემატიკაში, იდეურ მიმართულებასა და თვით გადაცემის ფორმებშიც. წიგნის ეს ნაწილი ასახავს პათეტიკურობითა და ჰეროიზმით, საბჭოთა პატრიოტიზმითა და ფსევდოინტერნაციონალიზმის ნიშნით დაღდასმულ ეპოქას. რეალური სურათის შექმნის შესაძლებლობასაც იძლევა დიდძალი დოკუმენტური მასალის დეტალური შესწავლა და არსებულ ტენდენციათა კომპლექსური ანალიზი.

ცნობილია, რომ ესა თუ ის პოლიტიკური იდეოლოგია ირგებს შესაბამის პრიორიტეტულ ჟურნალისტურ ფორმებს (ჟანრებს). რადიოჟურნალისტიკამაც შექმნა თავისი ფორმები და ჟანრები: რადიოშენიშვნა, მიკროფონთან გამოსვლა, რადიოანგარიში, რადიოკომპოზიცია, რადიოკორესპონდენცია, რადიონარკვევი, მოგვიანებით — რადიოპროგრამა, ტოქშოუ, ნაირგვარი ვიქტორინები და სხვ. (დრომ გვიჩვენა, რომ ჟურნალისტიკაში ჟანრი კარგა ხანია აღარ არის მყარი დოგმა). მკითხველი შეიტყობს, როგორ მონაცვლეობდა ფორმები, როგორ უწყობდა ხელს ყოველივე რადიოგენურობის ეფექტის გაძლიერებას.

ვინც ასე თუ ისე იცნობს საქართველოს რადიოს წარსულს, დაგვეთანხმება, რომ ლიბერალიზაციის პროცესი, რომელიც XX საუკუნის 80-იანი წლების მეორე ნახევრიდან დაიწყო, მკვეთრად და კომპლექსურად სწორედ რადიოჟურნალისტიკაში გამოიხატა. ეს კარგად ჩანს „საქართველოს რადიოს ისტორიის" შესაბამის თავებში. წიგნი ზუსტად ასახავს იმ პერიოდის შემოქმედებით ფერიცვალებას, რომელიც პოლიტიკისა და კულტურის ყველა მიმართულებით გამოიხატა ახალ, საინტერესო რადიოფორმებში, როცა მოხდა აზრისა და ფორმის გათავისუფლება, გააქტიურდა პირდაპირი ეთერი, შეიქმნა მრავალფეროვანი რადიოპროგრამები, გზა გაეხსნა დისკუსიას, თანდათან დაბრუნდნენ აკრძალული სახელები, ჭეშმარიტი ფასეულობანი.

უნდა დავეთანხმოთ ავტორებს, რომ 1985-1991 წლები ყველაზე მოკლე მონაკვეთია სხვებთან შედარებით, მაგრამ იგი არსებითად განსხვავებული იყო ჩვენი ქვეყნის ცხოვრებაში, რადგან ამ პერიოდს დაემთხვა დიდი პოლიტიკური ცვლილებები, ეროვნული მოძრაობის აღმავლობა, რაც საბოლოოდ დაგვირგვინდა სისტემური ცვლილებითა და საქართველოს დამოუკიდებლობით.

არაერთი პოპულარული გადაცემა პირუთვნელად ასახავდა მიმდინარე პროცესებს. ავტორები ამ შემთხვევაშიც ცდილობენ არ გამორჩეთ არცერთი არსებითი, ნიუანსური შტრიხი და ობიექტურად წარმოაჩინონ ყოველივე. ისიც აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი გადაცემა წლობით უძლებდა დროს და საკუთარ, საინტერესო გამოცდილებას აგროვებდა, რომელსაც შეიძლება თავის მიკროისტორიაც კი ჰქონოდა. წიგნში მართლაც სჭარბობს ემპირიული მასალა, მაგრამ სხვაგვარად შეუძლებელი იქნებოდა სრული სურათის შექმნა, რაც არის ამჯერად ავტორთა მიზანი, თუმცა მათივე აზრით, მომავალში შესაძლებელია რადიოს ისტორიის კიდევ უფრო სრულყოფა. დიდძალი მასალა, მიზეზთა გამო, ჯერაც ბოლომდე შეუსწავლილი არქივები და დოკუმენტები ამის დიდ პერსპექტივას იძლევა.

პოლიტიკური კონტექსტი მუდამ იგრძნობა განსახილველ საკითხთა მიღმა, ისე როგორც წიგნის ბოლო მონაკვეთში, სადაც დახასიათებულია დამოუკიდებელი საქართველოს რადიომაუწყებლობა და მისი სტრატეგიული მიმართულებანი: ინფორმაციულ-პუბლიცისტური, საგანმანათლებლო, საბავშვო და ახალგაზრდული მაუწყებლობა. საერთო მიმოხილვაში კი გაანალიზებულია ის ცვლილებანი, რაც განიცადა ქართულმა რადიომ, როდესაც შეიქმნა ახალი კომერციული რადიოსადგურები, ანუ როდესაც მაუწყებლობაზე თანდათან დაიწყო სახელმწიფო მონოპოლიის შესუსტების პროცესი, რითაც დასრულდა რადიოს 80-წლიანი ისტორია.

ავტორები სრულიად მართებულად ამახვილებენ ყურადღებას რადიოს კულტურტრეგერულ ფუნქციაზე, რაშიც მედიასივრცეში მას ბადალი არ მოეძებნებოდა. საბჭოთა პერიოდში და შემდგომაც რადიოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტი იყო კულტურა. რადიო გახლდათ ლიტერატურის, თეატრის, მუსიკის — საზოგადოდ, ხელოვნების ყველა სფეროს დიდი პოპულარიზატორი, რომელმაც შექმნა უნიკალურ ჩანაწერთა ე. წ. „ოქროს ფონდი", სადაც დაცულია ქართული კულტურის უიშვიათესი აუდიოექსპონატები, ქართული ლიტერატურის კლასიკოსთა, მეცნიერთა, მუსიკოსთა, მსახიობთა, გამოჩენილ მოღვაწეთა ხმები (სიმრავლის გამო შეუძლებელია მათი ჩამოთვლა). მართლაც ვერ დავასახელებთ სხვა ასე მრავალფეროვან, იშვიათ საცავს, რომელიც დროის მდინარებასთან ერთად კიდევ უფრო ძვირფასი ხდება. წიგნი აცოცხლებს ფონდის შექმნის ისტორიას.

ქართული კულტურის უნიკალური მონაპოვარია საქართველოს რადიოთეატრიც, რომელიც რადიოს გამოსახვის საშუალებებითა და რადიორეჟისურის ხერხებით შეიქმნა ხელოვნების განსაკუთრებული სფეროდ. წლების განმავლობაში ის იყო ერთ-ერთი წარმატებული, პოპულარული რადიოეთერი საქართველოში, მრავალგზის აღიარებული უცხოეთში, თანდათან განვითარებული და აღბეჭდილი ყველა ტექნიკური სიახლით, რაც მხატვრულ-გამომსახველობით ასპექტშიც გამოვლინდა. წიგნი ამ მხრივაც უყრის თავს თაობების გამოცდილებასა და ნაღვაწს.

საქართველოს რადიოს ისტორიის გამოცემით მართლაც მნიშვნელოვანი და საჭირო საქმე გაკეთდა. არ ვიცით, როგორი იქნება რადიოს მომავალი, რადიოს წარსული კი გვარწმუნებს, რომ მასში ბევრი რამ იყო ღირებული და ისეთი, გადაფასებებს რომ უძლებს. ავტორებმა მართლაც არ დაიშურეს ძალისხმევა, რათა აღედგინათ რვა ათეული წლის ისტორია. წიგნი გვიტოვებს უახლესი საქართველოს ისტორიული მოვლენების საეთერო აღქმის განცდას და, როგორც დამხმარე სახელმძღვანელო, უწინარესად ახალ თაობას შეეშველება იმ წარსულის გააზრებაში, რომლის პირდაპირი მემკვიდრეცაა ჩვენი დღევანდელობა.

ნინო დეკანოიძე

# შუღლიაშვილთა ოჯახი

**ეს იყო სალონური შეკრება, თბილი და უშუალო, გამორჩეულად ახლობლური. ზუსტად ისეთნაირად, ოჯახებშიც რომ ანესებენ გარდაცვლილის ხსოვნის პატივსაცემად. ამიტომაც გადაწყვიტეს მემკვიდრეებმა დავით შუღლიაშვილის საიუბილეო სალამო — 100 წლისთავი — მის მშობლიურ ლიტერატურის მუზეუმში აღენიშნათ. აქ დაჰყო მან საუკეთესო წლები ცხოვრებისა, მთელი არსით დაკავშირებულიყო ამ კედლებთან, მუზეუმის შექმნის პირველი დღეებიდან თითქმის საუკუნის მიწურულამდე ილვანა უხმაუროდ და უანგაროდ, როგორც სჩვევიათ სიკეთით აღსავსე, ზნეობრივად სანიმუშო ადამიანებს, შესაბამისად 23 დეკემბრის სალამოს მხოლოდ მათ მოიყარეს თავი, ვისაც ახლობლობდა, მეგობრობდა, ვისაც ახსოვდა რა ამაგიც გაეწია დავით შუღლიაშვილს. და, რა თქმა უნდა, არაფერი გახლდათ გასაკვირველი. გალერეა „პობის" მცირე დარბაზის ერთ მხარეს სხვადასხვა ზომის სკამები და სავარძლები ჩაერიგებინათ, მოლიავებული კარების გასწრივ, კედლის კუთხესთან მრავალ დროების მომსწრე, ბოლო წლებში ლამის უსარგებლო ყუთად ქცეული და საგანგებოდ ამ ღონისძიებისათვის აწყობილ-შემართული თეთრი როიალი შემოესრიალებინათ. უნაზესი თაიგული აჟღერებულ ინსტრუმენტზე, შეხვედრებით მოგვრილი სიხარული, თანდათანობით მოკრებილ მოგონებათა დაზუსტება და ხალისიანი გახმაურებაც ჰფენდა უშუალობასა და იუმორს ისედაც გაჩახჩახებულ დარბაზს...**



*დავით შუღლიაშვილი*

სტუმართაგან, ვისაც უზომო სითბოთი შეეგება, ლამის თვალცრემლიანი ქალბატონი **ლაურა შუღლიაშვილი, იური ლუკაშვილი** იყო. მამას მეგობარი და საყვარელი ფოტოგრაფიო. ყველა სურათით, XX საუკუნის 40-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, ლამის ქართული კულტურის მატიანე შექმნაო. ახალშემოსულმა, თაობის მახასიათებელი ელეგანტურობით გულზე სამკერდე ნიშნის საყოველთაო ყურადღებას ბოლო რიგისაკენ გარიდება ამჯობინა.

ფურცლებითა და კალამმომარჯვებულს რახან შემნიშნავს, გვერდით მჯდომი კოლეგიალური თანადგომით იმსჭვალება, გადმომიჩურჩულებს — ცეკას მდივნებსაც ეგ ილებდა, მთელ მთავრობას, მარტო სტალინი დარჩაო... ინფორმაციის სანდოობისთვის ჟურნალისტი **გიორგი მიქაძე** ვარო.

ხსოვნის სალამოს წარმართვა იტვირთა პაპის მოსახელემ **დავით შუღლიაშვილმა**, ეროვნული ბიბლიოთეკის მუსიკალური განყოფილების ხელმძღვანელმა და ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდის წევრმა.

გულითადობით, გარდასული წლების ეპიზოდებით და სევდანარევი იუმორით იყო გამორჩეული დავით შუღლიაშვილის უმცროსი კოლეგების **გიზო კორძაძის, ნინო ვადაჭკორიას** და **ლია გუსევას** მოგონებები. მათი სიტყვები იყო სიამოვნებით მოსასმენი, რადგან აცოცხლებდნენ დიდბუნებოვან, პატიოსანსა და გულწრფელ ადამიანს. ცოტათი მიამიტსაც, მაგრამ მეციხოვნესავით შეუპოვარს თუ საქმე ექსპონატის დაცვას ან რომელიმე თანამშრომლის მხარში დგომას სჭირდებოდა...

რაიკომი და სუკი მუზეუმს ანტისაბჭოთა ბუდედ რაცხდა; აქტიურ დისიდენტებს იკედლებთო. დროდადრო სიფრთხილისათვის თუ შიშის დასათესად თანამშრომლებსაც ათავისუფლებდნენ, სამსახურიდან არაკეთილსაიმედოობის ბრალდებით. ასეთ დროს ვინმეს გამოქომაგება დიდ რისკთან იყო დაკავშირებული. ერთხელაც, წარმომადგენლები გამოგვეცხადდნენ გაუფრთხილებლად — იხსენებს გიზო კორძაძე — თურმე ჯერ უნდა გავეთავისუფლებინე და მერე დამიჭერდნენ. დავითმა ზედმიწევნით იცოდა იურისტპრუდენცია, შრომის კანონები, თანაც მუზეუმის ხუთკაციანი პარტორგანიზაციის მდივანი იყო და იქით შეუტია „კანონისდამცველებს". — რა უფლებით ხსნით ამ კაცსო. მხოლოდ ექვსთვიანი დისკვალიფიკაცია მაკმარესო.

ლია გუსევამ მისთვის ბიძია დათიკოს დიპლომატიური მოხერხება გაიხსენა ყველაზე ფიცხი და გულჩვილი დირექტორის **იზა ორჯონიკიძის** მოღვაწეობისას. კრება მოუწვევია უდისციპლინო ახალგაზრდა თანამშრომელთა გასაკიცხავად. ვიდრე რისხვა აგიზგიზდებოდა, დავით შუღლიაშვილს სხვათაშორის ჩაურთავს: — იზა, რა დროს ეგაა, მუზეუმს კარები დაუძველდა, გამოსაცვლელია, ადვილად შემოამტვრევენ, არაფერი დავკარგოთ, დავილუპებით, შარში გავეხვევითო... კრებაც იოლად ასცილებია თავდაპირველ მიზეზთა რკვევას, შვებისმომგვრელად წარმართულა.

ნინო ვადაჭკორიამ დავით შუღლიაშვილის პროფესიონალიზმზე ისაუბრა; რომ მან შესანიშნავად შეისწავლა და აღნუსხა იკონოგრაფიის და მემორიალური განყოფილებები, გამოამზეურა მრავალი ხელნაწერი, წერდა გამოკვლევებს და ბევრი საინტერესო მოგონებაც დატოვა. დავით შუღლიაშვილს უანგაროდ შეეძლო ნებისმიერი მკვლევარისათვის ხელი გაემართა. ძვირფასი მასალა, თითქმის გამოსაცემად მომზადებული უყოყმანოდ გადაებარებინა, მხოლოდ საერთო საქმის სასიკეთოდ.

გაიხსენეს ისიც, დავით შუღლიაშვილის თაოსნობით როგორ შეიკრიბა მუზეუმში ციმბირში გასამგზავრებელი თანხა **ციცი ბუქურაულისა** და **გიზო კორძაძისათვის**, რათა **მერაბ კოსტავა** მოენახულებინათ და გაემხნევებინათ. მანვე შეკრიბა სკაბრეზული ლექსები და, მეტად აკრძალულ დროს, მოახერხა პარიზში გაეგზავნა დაინტერესებული ქართველი ემიგრანტი ლიტერატორისათვის.

მშობლებისადმი უზომო სიყვარულით და პატივისცემით იყო გამსჭვალული ლარისა შუღლიაშვილის სიტყვა. მათემატიკურ მეცნიერებათა პროფესორს ფრაზის ლაკონიურობის და სიზუსტის ფასი არ შეშლია. გაიხსენა თუ როგორ მიაგნო დავით შუღლიაშვილმა **ნიკოლოზ ბარათაშვილის** ერთადერთ და სა-

ვარაუდო ფოტოს პრელესტ ბაბალეს შვილიშვილის, დიდი გვარის გარუსებულ შთამომავალთა ოჯახში. სურათს უკანა მხრიდან ეწერა: „наш бедный Николай“ და რა თქმა უნდა, გადაგვარებული მემკვიდრეებისათვის არაფერს ნიშნავდა. ის ფოტო, მეცნიერთა ერთმა ნაწილმა ვერ მიიღო, შესაბამისად არ აღიარეს, რადგან **გუდიაშვილის** პორტრეტის მომხიბლაობას ოდნავადაც ვერ უტოლდებოდა.

დიდი მხატვრის მიერ ნიკოლოზ ბარათაშვილის პორტრეტის შექმნის ისტორიაზე საინტერესო ამბავი მოყვა **ლევან თაქთაქიშვილმა:** რომ 1937 წელს პოეტის საიუბილეო თარიღისათვის დაუკვეთეს პორტრეტი ლადო გუდიაშვილს. თავდაპირველი ნიმუშები დაიწუნებიათ. უკვე მესამედ იძულებული გამხდარა მხატვარი, ისეთნაირად დაეხატა, როგორსაც გულისხმობდნენ და ითხოვდნენ დამკვეთები. არავისთვისაა ცნობილი დაწუნებული პორტრეტები, ალბათ აღარც მოიძიება. ასე რომ დავით შუღლიაშვილის მიერ აღმოჩენილი ნიკოლოზ ბარათაშვილის ფოტოსურათი ერთადერთია, სისრულის განცდას რომ ტოვებს, შესაბამისად ძვირფასია და ანგარიშგასაწევი.

მთელი საღამოს განმავლობაში შუღლიაშვილების ოჯახის საგა დელიკატური და ზომიერი გულახდილობით წარმოაჩინა დავით შუღლიაშვილმა. მონიტორზე მონაცვლეობდა შავთეთრი ფოტოსურათები, ბევრიც საოჯახო ალბომიდან იყო: დიდედა და პაპა — ზიზი და დავით შუღლიაშვილები, დედა — ყველა თაობის საყვარელი მომღერალი ინოლა გურგულია, უფროსი ძმა — მამუკა სალუქვაძე; მამის, კომპოზიტორ მიხეილ შუღლიაშვილის ახალი ოჯახი — მანანა იოსელიანი მზრუნველი და ფაქიზი აღმზრდელი დედით ობოლი და-ძმის, ია და დავით შუღლიაშვილებისა. მდიდარი და კეთილი ბუნების ადამიანები, მოსიყვარულე გარემოში ზრდიდნენ ყმაწვილებს. და, რა თქმა უნდა, ყოველივე გაცხადდა იმ საღამოსაც. შუღლიაშვილების ოჯახმა იამ და დათომ, **თამარ თოლორდავამ** და **თემურ მაისაშვილმა** ულამაზესი კონცერტით დაატკბეს მსმენელი.

ახალგაზრდა პიანისტმა **ნანა მაისურაძემ** მიხეილ შუღლიაშვილის ავანგარდისტული კომპოზიციები შეასრულა როიალთან.

ანჩისხატის ტაძრის მგალობელთა გუნდმა — ვასილ ცეცხლაძე, დავით ზათიაშვილი, გრიგოლ ბულია, მამუკა კიკნაძე, გოჩა ბალავაძე — ღვთიური ჰანგები მოჰფინეს დარბაზს.

დასასრულ ღონისძიების ორგანიზატორმა მადლობა მოახსენა სტუმრებს პაპის, დავით შუღლიაშვილის დაფასებისათვის, შთამომავალთა სახელით კი განაცხადა, რომ ბევრნი არიან, მათი ოჯახი წინაპართა დიდ სიყვარულს იტევს და თაობათა შორისაც ეს დიადი გრძნობა იქნება გადაძახილი.

# „ქართული მწერლობის“ პირველი ლაურეატები

2010 წლის 25 დეკემბერს ლიტერატურის მუზეუმის დარბაზში, ჟურნალმა „ქართული მწერლობა" ლიტერატურული დაჯილდოების ცერემონია გამართა. 2010 წელს გამოსულ 12 ნომერში დაბეჭდილი სხვადასხვა ჟანრის ლიტერატურული ნაშრომები შეაჯამა და გამარჯვებულები გამოავლინა ხუთ ნომინაციაში.

წამყვანმა **მარიკა ბაკურაძემ** საზოგადოებას გააცნო ჟურნალ „ქართული მწერლობის" ისტორია: „1926 წელს ნიკოლო მიწიშვილის თაოსნობითა და რედაქტორობით გამოიცა ჟურნალი „ქართული მწერლობა". მასში არაერთი საინტერესო სტატია, წერილი, მხატვრული ნაწარმოები გამოქვეყნდა. თავის დროზე პოპულარული ჟურნალის გამოცემა შემდეგ შეწყდა და მხოლოდ 1990 წელს განახლდა, თუმცა იმხანად მხოლოდ რამდენიმე ნომერმა იხილა დღის სინათლე. მესამედ ჟურნალის გამოცემა 2008 წლიდან განახლდა გამომცემლობა „ინტელექტის" თაოსნობით, ხოლო 2010 წელს სალიტერატურო ჟურნალი ყოველთვიური გახდა."

ჟურნალის რედაქტორის მოადგილემ **ზვიად კვარაცხელიამ** საზოგადოებას გააცნო „ქართული მწერლობის" გამომცემელთა მიზნები. მისი თქმით, ჟურნალი ცდილობს გააგრძელოს ტრადიცია, რომელიც მთელ XX საუკუნეს გასდევს ტეხილებად, წყვეტილებად, მაგრამ მაინც გასდევს. ეს არის ჟურნალი, რომელსაც თავისი ბედისწერა აქვს, მაგრამ საგულისხმოა, რომ დღესაც არსებობს და განაგრძობს იმ გზას, რომელსაც უნდა ადგეს ქართული ლიტერატურული პერიოდიკა. „ჩვენ შევეცადეთ, რომ ჟურნალი ყოფილიყო მრავალფეროვანი, ამ მიზნით შემოვიღეთ სხვადასხვა რუბრიკა. აქ ერთმანეთის გვერდითაა განთავსებული პოეზია, პროზა, ესეისტიკა, გამოხმაურება, რეპორტაჟები, რომლებიც სალიტერატურო ცხოვრებას ასახავენ, ასევე მკითხველს შევთავაზეთ რუბრიკა „მწერლის არქივიდან" და ყველა ნომერში იბეჭდება ამა თუ იმ მწერლის პირადი არქივიდან გამოუქვეყნებელი მნიშვნელოვანი ფრაგმენტები". ბატონმა ზვიადმა ასევე აღნიშნა, რომ ჩაფიქრებულია კიდევ რამდენიმე საინტერესო რუბრიკის დამატება, რითაც მომავალში სალიტერატურო ცხოვრების უფრო სრულ სურათს წარმოსახავენ.

რედაქტორის, **ლევან ბრეგაძის** თქმით ჟურნალს ბოლო სამი წლის განმავლობაში შეეცვალა გარეკანი, დიზაინი, ფორმა, ხოლო შინაარსი უფრო მრავალფეროვანი გახდა. აღნიშნა ნაყოფიერი თანამშრომლობა არქივებსა და მუზეუმებთან. ბატონმა ლევანმა მიულოცა საზოგადოებას იმდღევანდელი შეკრება, რის შემდეგაც დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.

**წლის დებიუტანტი** გახდა - **თამარ თოლორაია,** ნოველისთვის „კაპელა".

**წლის საუკეთესო თარგმანისთვის** დაჯილდოვდა **ნანა გოგოლაშვილი** ფრიდრიხ დიურენმატის „გვიანი შემოდგომის საღამოს" თარგმნისთვის.

**კრიტიკა, ესეისტიკა, დოკუმენტური პროზა** – ამ ნომინაციაში საკმაოდ მრავალრიცხოვან ნომინანტთა შორის გაიმარჯვა **ნესტან ფიფიამ** ოთარ ჩხეიძის შემოქმედებაზე დაწერილი წერილისთვის.

**წლის საუკეთესო პროზაული ნაწარმოებისთვის** ჯილდო გადაეცა **ირაკლი ლომოურს** მოთხრობისთვის „შოკორთველოს ბორჯღალიდი".

**წლის საუკეთესო პოეტური ნიმუშებისათვის** დაჯილდოვდა **გიორგი ზანგური.**

ყველა გამარჯვებულმა საპატიო სიგელი მიიღო „ქართული მწერლობისგან", ასევე პრიზები და საჩუქრები გადასცათ „თელიანმა ველმა", მაღაზია „ლატერნამ", „ბილაინმა", „ისი პარიმ", „თუმანიშვილის თეატრმა", გამომცემლობა „ინტელექტმა" და ლიტერატურული კაფეების ქსელმა.

გამარჯვებულებმა მადლობა გადაიხადეს ყურადღებისთვის, სითბოსთვის და თქვეს, რომ ეს ჯილდო მათი მომავალი საქმიანობის სტიმული იქნება. ჟურნალის გამომცემლებს უსურვეს წარმატებები, მკითხველ საზოგადოებას კი – მსგავსი ჟურნალების სიმრავლე.

**თეკლე ჯანელიძე**

რაღაც დიდი უნდა გადაიტანო ადამიანმა, რომ ღირებული რამ დაწერო. არავინ იცის სად და როდის მოხდება ეს! ამიტომ ძალზე დასაფასებელია ამ მოვლენის ამსახველი სიტყვათა „კონა" ანუ ჩანაწერები. მე მხოლოდ მათ ვანდობ საკუთარ ფიქრებს. ისინი უკვე დიდი ხანია ჩემი „სულის ფოტოგრაფიებად" იქცნენ!

თეიმურაზ ნადარეიშვილი

# სულის ფოტოგრაფიები

## „ადამიანებს მთების ეშინიათ, მთებს კი პირამიდების!"

ამ არაბულ სხარტულა გამონათქვამში აშკარად იკვეთება ადამიანის ფარული მისწრაფება ბუნებასთან შეჯიბრებისა. კერძოდ, ადამიანს აშინებს მთების გრანდიოზულობა, მაგრამ თვითონ შეუძლია ხელოვნურად შექმნას ისეთი მთა (პირამიდა!), რომლის ბუნებრივ მთებსაც კი „შეეშინდება"!

ჩემი აზრით, ამავე „ჯურის" მოვლენასთან გვაქვს საქმე მეორე არანაკლებ ცნობილ არაბულ გამონათქვამში:„თუ მუჰამედი არ მიდის მთასთან, მაშინ თავად მთა მიდის მუჰამედთან!" აქაც შენიღბულად ლაპარაკია იმაზე, რომ ძალიან დიდი სურვილის შემთხვევაში ადამიანი შეუძლებელს შეძლებს – მთა „იახლოს" თავისთან!

## მოგების სურვილი

ჰიუსტონის ცხოველების დაცვის პოლიციამ ერთ-ერთი ფერმერი დააკავა იმის გამო, რომ იგი საკმაოდ „ორიგინალურად" ანვალებდა ღორებს. კერძოდ, მათ ძალიან ბევრ საკვებს აძლევდა (პოლიციამ, როგორც ნივთიერი მტკიცებულება, სხვადასხვა სახის ფუნთუშეულობა, პური თუ სხვა მაღალკალორიული საკვები ამოიღო) და როგორც შედეგი, ზოგიერთი ცხოველი 400 (!) კილოგრამსაც კი იწონიდა! ეს ფაქტი პოლიციამ მართებულად შეაფასა, როგორც ცხოველთა წამება — ფერმერის მოგების სურვილი (რაც შეიძლება მეტი წონის მიღება!) საშინელ რეალობაში გადაიზარდა. კერძოდ, ამ საცოდავებს, უზარმაზარი წონის გამო, ფეხები ატროფირებული ჰქონდათ, რის გამოც სიარული არ შეეძლოთ და გაუნძრევლად „ეყარნენ" გასასუქებელ საკნებში!

## გლეხის პოლიტიკა

ბაზარში ერთ-ერთ გლეხს შევეკითხე თუ რატომ არ აწერს ფასს ამა თუ იმ ხილს, რაც, ჩემი აზრით, გაუადვილებდა ვაჭრობას. გლეხმა ასე უპასუხა „ჩემს რაციონალიზატორულ წინადადებას": „ფასი რომ დავაწერო, მაშინ მყიდველი არ შეჩერდება ჩემთან (მართლაც იქ, სადაც ფასი ეწერა, მე არ შევჩერებულვარ!) და მასთან დალაპარაკების საშუალება არ მექნება!"

გლეხური პოლიტიკის, „რკინისებური" ლოგიკის გამოხატულება იყო ეს სიტყვები!

## პარადოქსული ანდერძი



83 წლის ცნობილმა ინგლისელმა რეჟისორმა პიტერ ბრუკმა განაცხადა, რომ არ სურს მისმა მოსწავლეებმა განაგრძონ მისი შემოქმედებითი ხაზი. ეს, ერთი შეხედვით, მოულოდნელი, პარადოქსული განცხადებაა, რადგანაც ამით თითქოს ყველაფერი „წყალში იყრება" – აზრს კარგავს თავად ცოდნის უწყვეტობის, მისი მასწავლებლიდან მოსწავლეზე გადაცემის პრინციპი, მაგრამ ეს მხოლოდ „ზედაპირზე მდები" მხარეა ამ მოვლენისა და უფრო ღრმა ანალიზისას ყველაფერი თავის ადგილზე დგება. კერძოდ, აუცილებლად უნდა გავიხსენოთ, რომ თავად პიტერ ბრუკი, ნოვატორი, კარგი გაგებით, ტრადიციებთან მებრძოლი რეჟისორია. ამიტომ ეს მოწოდება სწორედ ამ კუთხით უნდა განვიხილოთ; მას არ უნდა, რომ მისი „შეგირდები" მასწავლებლის (თუნდაც გენიალურის!) იდეების „ტყვეობაში" დარჩნენ მუდამ, არამედ საჭიროა თავადაც ნოვატორი, ახალი ხედვის, იდეების ავტორები იყვნენ და ამიტომ მათი მასწავლებლის იდეების განახლება, შეცვლა და თუ საქმემ მოითხოვა, მისი უარყოფაც კი უნდა შეძლონ! დიდი მაესტრო შემდეგნაირად ასრულებს თავის ანდერძს: „მთავარია, თავად თეატრალური ცხოვრება წინ წავიდეს!"

**P.S**. ამ ფაქტიდან კიდევ ერთხელ ჩანს, რომ შემოქმედისათვის პატივმოყვარეობა და ამბიციები უკანა პლანზე გადადის, როდესაც საქმე ეხება შემოქმედებით პროცესს. თუმცა, რა თქმა უნდა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამ შემოქმედმა თავისი ნამდვილი ფასი არ იცის!

* * *

სალვადორ დალი ძალიან მაღალი „ტექნიკის", მაგრამ მაინც ჩვეულებრივი მხატვარია. თუმცა არის კიდევ ერთი მთავარი „მაგრამ"! კერძოდ ის, რომ ამ ტექნიკას ემატება მოულოდნელი, სიურრეალისტური იდეები (მაგალითად, ქალის თმა ჩანჩქერის სახით, ორად გაყოფილ კვერცხში გულის ნაცვლად მზე, ხის შუა ნაწილში ფანჯარა და ა.შ. თუმცა სიტყვა „უძლურია" ამ იდეების გადმოცემისას – უბრალოდ ეს ყველაფერი შენი თვალით უნდა ნახო!) და ეს სინთეზი მას გენიალურ მხატვრად აქცევს!

## გნუების სინდრომი

აფრიკის კონტინენტზე მობინადრე გნუებს მდინარეზე გადასვლა საკუთარი არაორგანიზებულობის გამო (ისინი არ აცლიან ერთმანეთს გადასვლას და თავზე ახტებიან)

სიცოცხლის ფასად უჯდებათ – ან ერთმანეთს თელავენ, ან მდინარეში ჩასაფრებული ნიანგების მსხვერპლნი ხდებიან (თუმცა აქ გარკვეულ როლს ისიც თამაშობს, რომ გნუები ძალზე მრავალრიცხოვანნი არიან!). იქვე ახლოს მყოფი შედარებით მცირერიცხოვანი ზებრები კი უფრო ჭკვიანურად იქცევიან და ამიტომაც არ იღუპებიან.

სამწუხაროდ, ჩვენ უფრო გნუებს ვგავართ (მცირერიცხოვნობის მიუხედავად!). კერძოდ, მოთმინება და სიდინჯე ხშირად გვღალატობს კრიტიკულ სიტუაციებში ("მდინარეზე გადასვლისას"!) და როგორც შედეგი ან ერთმანეთს „გადავუვლით" ხოლმე ან მსხვერპლი ვხდებით (პირდაპირი თუ ირიბი გაგებით!) ჩვენს ირგვლივ ჩასაფრებული მრავალრიცხოვანი არაკეთილმოსურნეებისა!

* * *

გაჭირვებაში ადამიანი გარკვეულ კომპრომისებზე მიდის. მაგალითად, ოჯახის გამოსაკვებად იგი ხშირად საკუთარი შეხედულებების საწინააღმდეგოდ, ამა თუ იმ სამსახურში დგება. ეს ფაქტი შესანიშნავადაა ასახული შექსპირის „რიჩარდ III-ში", როდესაც გადამწყვეტი ბრძოლის წინ რიჩმონდი შემდეგნაირად ახასიათებს რიჩარდის მხარეზე მებრძოლ ჯარისკაცებს:

**ვისაც ჩვენ ვებრძვით, ყველა ერთად,**
**თვით რიჩარდს გარდა,**
**ჩვენ გამარჯვებას უფრო ნატრობს, ვიდრე იმისას,**
**ვინც მათ პატრონობს**

*(თარგმანი ივანე მაჩაბლისა)*

თუმცა შესაძლოა შემდეგნაირ პარადოქსულ მოვლენასთან გვქონდეს საქმე. კერძოდ, გაჭირვების „ხარისხის" გაზრდა (როდესაც თითქოს უფრო ლოგიკური უნდა იყოს კომპრომისის „ხარისხის" ზრდაც!) ადამიანს დილემის წინაშე აყენებს – თავი გადაირჩინოს (იცოცხლოს!) თუ საბოლოოდ „გაყიდოს" სული! ამ მოვლენის კლასიკური მაგალითია ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის თანამშრომლობა მტერთან (ზედამხედველობა, ჯაშუშობა, დივერსანტობა და ა.შ). ასე, რომ კრიტიკულ სიტუაციებში (გაჭირვების პიკი!) ადამიანმა სწორი არჩევანი უნდა გააკეთოს – თავის გადასარჩენად არ უნდა გახდეს მოღალატე!

* * *

ლიტერატურული საღამოების ერთ-ერთი მთავარი დანიშნულებაა შეიქმნას ისეთი კეთილგანწყობილი ატმოსფერო, რომ ადამიანს საშუალება მიეცეს, მოსმენილის კრიტიკულად გაანალიზების საფუძველზე, საკუთარი აზრი გამოთქვას. ეს ქვეცნობიერად ისეთი პროცესია, რომ ხშირად მხოლოდ ამ შეხვედრებზე ამბობს ადამიანი თავის სათქმელს (იგი თითქოს გარედან უსმენს საკუთარ თავს!). მახსენდება შექსპირის „რიჩარდ III-დან" შემდეგი გამონათქვამი: „ვინ არის ისეთი ბრიყვი, რომ ვერ მიხვდეს სიმართლეს, მაგრამ ვინ არის ისეთი გამბედავი – თქვას მივხვდიო?!"(თარგმანი თეიმურაზ ნადარეიშვილის). სწორედ ამ საღამოებზე ადამიანი გამბედაობას იძენს და ადრე მიხვედრილ, მაგრამ „მიძინებულ" სიმართლეს იგი ხმამაღლა ამბობს!

* * *

სოფლების დაცლა (განსაკუთრებით მთის!) და ქვეყნიდან მიგრაცია, თავისი შინაარსით ერთი და იგივე რანგის მოვლენაა, რადგანაც ორივე შემთხვევაში აუტანელი პირობები ადამიანს აიძულებს მიატოვოს მამაპაპისეული ადგილი ან ქვეყანაც კი!

### ბელურების ზამთრის „ბირჟა"

მერაბ კოსტავას 67-ში, თერთმეტსართულიანი სახლის გვერდით, მთელი 16 წელი, 1966 წლამდე, შენობის გარეთ გათბობის ბატარეა იყო გამოტანილი (ბატარეა თბებოდა და ამიტომ ზამთრობით, ბელურების თავშეყრის ადგილს წარმოადგენდა!). თავის დროზე, სტალინის ეპოქაში, ეს შენობა ამ უცნაური „დანამატით" ჩაბარდა, რადგანაც პროექტის არქიტექტორს შეეშინდა ელიარებინა დაპროექტებისას დაშვებული შეცდომა და გადაეკეთებინა იგი ანუ ბატარეას კუთვნილი ადგილი დაეკავებინა შენობის შიგნით. ასე, რომ ეს ბატარეა ერთგვარი სიმბოლო იყო იმ დროს საყოველთაოდ დამკვიდრებული შიშისა და გაუტანლობისა!

.შ. დასანანია, რომ დაიხურა 16 წლის განმავლობაში მოქმედი ბელურების ზამთრის „ბირჟა"!

* * *

„ფაუსტის" დაწერის ფსიქოლოგიური „სარჩული" შესაძლოა ის იყოს, რომ გოეთე შედარებით წარუმატებელი მეცნიერი იყო, ვიდრე მწერალი და პოეტი (გავიხსენოთ, მაგალითად ის, რომ მისმა სინათლის ფერთა თეორიამ მარცხი განიცადა ნიუტონისეულ ოპტიკასთან შედარებით; თუმცა დაკვირვება, რომ წითელი ფერი აღიზიანებს, ხოლო მწვანე კი ამშვიდებს ადამიანს, გოეთეს ეკუთვნის!) და მისი ეს სულიერი მდგომარეობა სწორედ „ფაუსტში" აისახა. მართლაც, ფაუსტი ხომ ხელმოცარული მეცნიერია, რომელსაც აღარ შეუძლია ახალი რამ შექმნას და ამიტომ მას სჭირდება გარედან გარკვეული იმპულსი, რაც ალეგორიულად „სულის გაყიდვაში" ვლინდება!

* * *

ევროპელი კრიტიკოსები აღნიშნავდნენ, რომ გარსია ლორკამ იცოდა, თუ რაზე საუბრობდნენ ქვაზე წამომართული ხვლიკები! ჩვენ კი შეგვიძლია ვთქვათ, რომ ლორკა ესპანელი მინდია იყო!

* * *

ხშირად მშობელი ადანაშაულებს მასწავლებელს იმის გამო, რომ მან ბავშვს გული აუცრუა ამა თუ იმ საგანზე; უმაღლეს სასწავლებელში ვაგრძელებთ სხვის დადანაშაულებას: „ლექტორი არ ვარგა, ვერ დაძლია „ბავშვმა" საგანი!" დოქტორანტურაში სწავლისას კვლავ ვამბობთ: „ხელმძღვანელი არ ვარგა – „დამიღუპა" შვილი!" მე მგონი, ყველა ამ მოვლენას ერთი ფსიქოლოგიური საფუძველი აქვს – უფრო ადვილია წარუმატებლობის მიზეზი გარეთ ეძებო, ვიდრე შიგნით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

* * *

ძალზე რთულია გახდე ოდნავ მარტივი!

* * *

ბევრს აულია ხელში თიხის ხელადა, მაგრამ ფილოსოფიურ, „ყოფნა-არყოფნის“ ჰამლეტისეულ სიმაღლემდე (ადამიანი – თიხა – ხელადა), მხოლოდ ომარ ხაიამმა აიყვანა ეს უბრალო საყოფაცხოვრებო ნივთი!

* * *

სულ ნიღბის ტარება გავიწყებს შენს ნამდვილ სახეს ანუ იმას, რასაც ეს ნიღაბი მოარგე!

* * *

მატა ჰარი უფრო მონწყენილობამ მოკლა, ვიდრე ფრანგულმა ტყვიებმა (იგი ხომ, როგორც გერმანიის ჯაშუში, ფრანგებმა დახვრიტეს!). მას შეეძლო უდარდელად ეცხოვრა ჰოლანდიაში, მაგრამ ცხოვრების მინურულს, ყველაზე დიდი ავანტიურა ნამოიწყო პარიზში, რაც მას სიცოცხლის ფასად დაუჯდა! აკი ანტონ ჩეხოვიც „თოლიაში" აღნიშნავს: „От нечего делать, погубили Чайку!"

* * *

ზუსტად არ მახსოვს სად ამოვიკითხე, მაგრამ ძალიან მომეწონა შემდეგი, ერთი შეხედვით პარადოქსული წინადადება: „დრო რომ მქონოდა, უფრო მოკლედ მოგწერდი!" მართლაც, მოკლედ გამოთქმა შენი სათქმელისა გულისხმობს იმას, რომ უნდა შეძლო, ამ სათქმელიდან უმთავრესი „გამოარჩიო" და ლაკონიურად გამოთქვა; ამასთანავე ამ ლაკონიურობამ არ უნდა დააკლოს იმას, რაც გინდოდა გეთქვა. ყველაფერს ამას კი დრო სჭირდება! (ღვინის დანმენდაც ხომ დროს მოითხოვს!)

* * *

თუ სათქმელი ბევრი გაქვს, მაშინ შედარებით ადვილია თეთრი ლექსის დაწერა, რადგანაც ნაკლებადაა საჭირო იზრუნო ლექსის რითმულობაზე – თავად სათქმელის „სიუხვე" გავლენას ახდენს მკითხველზე! პირიქითაც, სათქმელის სიმცირის შემთხვევაში, მისი „სიმწირე" შესაძლოა „შენიღბოს" რითმიანი ლექსის გარეგნულმა „მოკაზმულობამ"! აკი იოსებ ბროდსკიც აღნიშნავდა: „ნუ შეეცდებით ლექსიდან ინფორმაციის მიღებას, მთავარია ლექსის მუსიკალურობა! " თუმცა, რა თქმა უნდა, ეს გამონათქვამი ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ბროდსკი სათქმელის „დეფიციტს" განიცდიდა!

* * *

წარსული „წყნარია" და ამიტომ აწმყოსთან შედარებით, გასააზრებლად უფრო მარტივია!

* * *

ცნობილი რუსი მწერალი ანდრეი ბიტოვი ერთგან შენიშნავს: „რადგან მე რუსულად ვწერ, ავტომატურად რუსი პატრიოტი ვარ!" მათემატიკოსის ენით თუ ვიტყვით, ეს საკმარისი, მაგრამ არა აუცილებელი პირობაა, რადგანაც მაგალითად, გრიგოლ რობაქიძე, ემიგრაციაში ყოფნისას გერმანულად წერდა და ამასთანავე სამშობლოზე უსაზღვროდ შეყვარებული ადამიანი იყო!

* * *

ისევე როგორც ქარიშხლის წინ, ბუნება „გაირინდება" ხოლმე, ასევე ხშირად შემოქმედებითი პროცესი „სიმშვიდითაა" ცნობილი, შემოქმედებითი „ქარიშხლების" წინ!

* * *

ერთ-ერთ ლექსში ქალბატონი ლია სტურუა წერს: „არარსებული ვულკანები მაფრქვევენ ლავას!" რა არის ეს?! პირდაპირი, მეცნიერული გაგებით საქმე გვაქვს კლასიკურ ნონსენსთან, რადგანაც ლავის ამოფრქვევა მხოლოდ არსებულ, მოქმედ ვულკანს შეუძლია, მაგრამ მკითხველი ამ სიტყვებს მაინც პოეზიად აღიქვამს! რატომ? რატომ მოგვწონს ეს „უაზრო" წინადადება?! ეს ის შემთხვევაა, როდესაც სალი აზრი სრულ ფიასკოს განიცდის და უბრალოდ უნდა შევწყვიტოთ ლოგიკური, „ადამიანური" კითხვების დასმა (რადგანაც რაც უფრო მეტ კითხვას დავსვამთ, მით უფრო დავიბნევით!) და მხოლოდ უნდა ვუსმინოთ ამ შესანიშნავ იდუმალ პოეზიას!

* * *

პაბლო პიკასოს კუბისტურ, სიურრეალისტურ სურათებთან ერთად, ნებისმერ დროს შეეძლო „ადამიანური", რეალისტური ტილოების შექმნაც! მრავალ რეალისტ მხატვარს კი არ შეუძლია ამ ავანგარდისტულ ჟანრში მოღვაწეობა. რას ნიშნავს ეს?! მე მგონი, ეს იმის მაჩვენებელია, რომ პიკასომ გაიარა რეალისტური სკოლა, მაგრამ უფრო შორს წავიდა შემოქმედებით ძიებებში, სხვა „მოკვდავი" მხატვრები კი იმავე ძველ, რეალისტურ დონეზე დარჩნენ!

* * *

მეცნიერება ცდილობს დაადგინოს გარემომცველ სამყაროში მოქმედი კანონები ანუ ადამიანი მიისწრაფვის თანდათანობით მიუახლოვდეს სამყაროს ჭეშმარიტ სურათს და ეს დაუსრულებელი პროცესია! მაგრამ დავსვათ შემდეგი „გულუბრყვილო" კითხვა: ის კანონები, რისი შემეცნებისაკენ ჩვენ მივილტვით, რაიმე ცვლილებას ხომ არ განიცდიან დროში, არ „ბერდებიან" ისინი ?! თუ ამ კითხვაზე პასუხი დადებითი აღმოჩნდება, მაშინ შემეცნების პროცესი კიდევ უფრო საინტერესო გახდება! (თანამედროვე ასტროფიზიკის უკანასკნელი მონაცემებით სწორედ ამაზე მიუთითებენ. კერძოდ აღმოჩნდა, რომ ე.წ. კოსმოლოგიური მუდმივა, სინამდვილეში მუდმივი კი არ არის, არამედ დროში ცვალებადი სიდიდეა!). ვინ იცის სწორედ ამ საკითხებზე ფიქრობდა ჰაინრიხ ჰაინე, როდესაც წერდა:

**ცვალებადია დროც და მიზანიც,**
**წელიწადებიც ასე გადიან,**
**ქვეყნად უცვლელი მხოლოდ ის არის,**
**რომ ყველაფერი ცვალებადია!**

დასასრული შემდეგ ნომერში

ერიკ-ემანუელ შმიტი

# მილარეპა

ყველაფერი სიზმრით დაიწყო.

მაღალი მთები... ციცაბო კლდეებზე წამომართული წითელი ნაგებობა, მქრქალი წითელი, ჩამავალი მზის ფერი... დაბლა – ბუზების ღრუბელში გახვეული ძაღლების ჩონჩხები იხრწნებოდა... ქარი წელში მხრიდა. სიზმარში ფეხზე მყარად ვიდექი, მაგრამ თან საოცრად მაღლა ვიყავი, საკუთარ თავს ზემოთ, პეპლის ფრთასავით სიფრიფანა და ამსუბუქებულ სხეულს მიღმა.

თან ჩემი სხეული იყო, თან – არა.

სისხლში გაუნელებელი ზიზღი მიდუღდა და მიბიძგებდა, ბილიკებზე ერთი კაცი მეძებნა, რომლის მოკვლასაც ჯოხით ვაპირებდი. ზიზღი ძლიერი იყო - ადუღებული შავი რძე. გადმოიღვარა და გამაღვიძა.

მარტო აღმოვჩნდი საკუთარ თავთან. მხოლოდ მე - არაფრით გამორჩეულ საკუთარ ლოგინში, ჩემს ოთახში მონმარტრზე, პარიზის ცის ქვეშ.

სიზმარმა გამახალისა.

მაგრამ სიზმარი დაბრუნდა.

საიდან მოდიან სიზმრები ?

და ამ სიზმარმა რატომ ამომიჩემა?

ყოველ ღამე ქვა-ღორღიან უსასრულო გზებზე შურისძიების სურვილით ანთებული დავეხეტებოდი. ისევ ძაღლების აყროლებული ლეშები... ისევ ხელში ჩაბღუჯული ჯოხი, რომელიც მოსაკლავად ეძებდა კაცს.

შიში ნელ-ნელა მეუფლებოდა. ჩვეულებრივ, სიზმრები იბადებიან, მერე კი უგზო-უკვლოდ ქრებიან. ეს სიზმარი კი ჩამებღაუჭა და გასაქანს არ მაძლევდა. ორ სამყაროში დავიწყე ცხოვრება. ორივე სამყარო ურყევი და სტრუქტურულად ჩამოყალიბებული გახლდათ. პირველი სამყაროს ადგილსამყოფელი - პარიზი, აქ მიედინებოდა ჩემი დღის ცხოვრება. აქ ვხვდებოდი ყოველდღიურად ერთსა და იმავე ადამიანებს, ვეჯახებოდი ერთსა და იმავე ავეჯს, გადავადგილდებოდი ერთსა და იმავე ქალაქში; იქ კი... სად იქ?.. მეორე სამყარო - ქვიანი მთების სამეფო, სადაც კაცი უნდა მომეკლა. თუ სიზმრები მღვიძარე ყოფაშიც მეორდებიან, როგორ არ მერწმუნა ჩემი მეორე ცხოვრების? საით შემიხსნა კარი ღამემ და ძილმა?

პასუხმა ორი წელი შეიწირა და ბოლოს ქალში განსახიერდა.

ჰაერში გაკლაკნილი სიგარეტის ბოლივით სიფრიფანა ქალი იყო... კაფეს სიღრმეში დავლანდე - იქ ვაპირებდი საუზმობას. მაგიდასთან მარტო მჯდარი დარბაზის ხვიებს რუდუნებით აკვირდებოდა. კრუასანს შევექცეოდი და თვალს არ ვაცილებდი. ვუყურებდი უფიქრელად, უბრალოდ და გაუაზრებლად. ვუყურებდი, რადგან იმ არსებათაგანი იყო, გამუდმებით რომ იპყრობენ ყურადღებას, მაგრამ ვერაფრით აგიხსნია, რატომ.

ადგა და ჩემს წინ მოკალათდა. კრუასანი ხელიდან ამწაპნა და ბოლომდე ჩაახრამუნა; მისი ქმედება იმდენად ბუნებრივი მეჩვენა, რომ წინააღმდეგობაც არ გამიწევია. მერე პირდაპირ თვალი თვალში გამიყარა:

— შენ ხარ სვასტიკა – მითხრა, – შენ ხარ ბიძამისი! ადამიანი, რომლის გამოც ყველაფერი დაიწყო. შენ ის კენჭი ხარ, აუცილებლად რომ წამოკრავ ფეხს, ვიდრე გზას დაადგები.



–არა მგონია, – უბრალოდ მივუგე, –მე სიმონი მქვია.

–არა! –შემეპასუხა.

–კი, როგორ არა, 38 წელია სიმონს მეძახიან.

– შენ არაფერი გაგეგება. – მშრალად მომიჭრა, – შენი ნამდვილი სახელი სვასტიკაა. საუკუნეები გაილია მას შემდეგ, რაც ზმანების მთებში დაეხეტები და სულის განწმენდას ცდილობ. დიდი სურვილი გაქვს, ზიზღისგან გათავისუფლდე, მაგრამ ამას მხოლოდ მაშინ შეძლებ, თუ განდეგილთა შორის ყველაზე განდეგილის, მილარეპას ამბავს მოყვები. მილარეპასი, შენ რომ გაასამტვერე. თუ მისი ამბის ასი ათასჯერ გადმოცემას მოახერხებ, შესაძლოა ბოლოს და ბოლოს გადაურჩე სამსარას — უსასრულო წრიულ მიგრაციას.

თქვა და დარბაზის სიღრმეში თავის ადგილს მიუბრუნდა, კლაკნილი სიგარეტის კვამლის მოცისფრო, მოლიცლიცე კედელს მიღმა განმარტოვდა. თავისთვის იმეორებდა:

—ასი ათასჯერ, გესმის? ასი ათასჯერ...

ცხადია, გავიფიქრე, რომ ქალბატონი მთლად საღ გონებაზე ვერ იყო. ის კია, რომ ორი სახელი დამამახსოვრდა — სვასტიკა და მილარეპა, ანუ ბიძა და ძმიშვილი. დავიწყე მათი ვინაობისა და სადაურობის კვლევა. ბიბლიოთეკაში ღირსეული და ძლევამოსილი იოგის, მილარეპას საგალობლებს მივაგენი. ტიბეტშიც ვიმოგზაურე, რადგან იქ, მაღლა, სამყაროს გუმბათის აღმოჩენა მსურდა. წავიკითხე პოემებიც, მილარეპამ მის მიმდევრებს რომ უმემკვიდრა. 38 წლისამ შევიტყვე, რომ ჩემი ნათლობის სახელი მართლაც სვასტიკა ყოფილა და ამ სახელს ცხრა საუკუნე ვატარებდი.

ეს ჩემმა სიზმრებმა მაუწყეს: სხვადასხვა დროს მე ვიყავი ძაღლი, ჭიანჭველა, მღრღნელი, მუხლუხო, ქამელეონი და ნეხვის ბუზი. ადამიანი იშვიათად ვიყავი, ამდენად, მოყოლის შესაძლებლობა არ მქონია, რომ სანუკვარი თავისუფლება მომეპოვებინა. ერთი სიტყვით, საკმაოდ წარუმატებელ ტრანსფორმაციას განვიცდიდი. ხშირად გახლდით ვირთხა ან თაგვი, არაერთხელ განვუტევე სული კატის ხახასა თუ ხაფანგში. ამ სხეულში როგორმე დაკარგული უნდა ავინაზღაურო, ჩემს გათვლა-ანგარიშსა და სიზმრებს თუ რამე დაეჯერება, ვფიქრობ, რიგით მეასიათასე თხრობას ვუახლოვდები. ამჯერად ოთხმოცდაცხრამეტი ათას ოთხმოცდამეცხრამეტეა? იქნებ მეასიათასე?

როგორ გინდათ, მსგავსი რიცხვებით ანგარიშს მოაბათ თავი?

* * *

ჩემი ამბავი ტიბეტის ცენტრალურ ნაწილში იწყება.

მწყემსი ვიყავი.

ერთ დღესაც ჩემს თხებსა და იაკებს სხეულში ავი სულები ჩაუსახლდნენ. პირუტყვს ცხელებისაგან ოფლი ღვართქად სდიოდა, ფეხები უკანკალებდა, კისერი ელრიცებოდა

და დუჟი სდიოდა. რამდენიმე დღეში სათითაოდ ყველა დაიხოცა. სენმა გამანადგურა და დამაქცია.

რამდენიმე ბოხჩის ამარა, მეუღლისა და ვაჟიშვილების თანხლებით ჩემს ბიძაშვილს მივადექი, კიაგნასტაში ცხოვრობდა. თავაზიანად მიგვიღო. შინ ვაჟიშვილი ეზრდებოდა, სახელად მილარეპა. პატარა ჩვენს წინ დარბოდა და გვმასპინძლობდა.

მახსოვს მილარეპას პირველი ღიმილი, ზღურბლზე იდგა და კარს ხელით აკავებდა, რომ არ მიხურულიყო.

ჩვენს თავს დამტყდარი უბედურება რომ შეიტყო, პატარა მილარეპა ძალიან შეწუხდა, შევებრალეთ და ბევრი გვკოცნა. თუ რამე სათამაშო ებადა, ყველა ჩემს ვაჟიშვილებს დაურიგა. ცხარე ცრემლებით იტირა, როცა შეიტყო, რომ მე და ჩემი ცოლი ერთი ხელი ტანსაცმლის ამარაღა დავრჩით, მის გარეცხვაზე კი მხოლოდ კარგ, მზიან ამინდში თუ შეიძლებოდა გვეფიქრა.

პატარას თანაგრძნობამ მკბენარითა და ძონძით შემბურა. მილარეპას გულისხმიერება და სიკეთე მამცირებდა. იმ საღამოს მისმა ზლუქუნმა შემაგნებინა, რომ უპოვარი ვიყავი. სწორედ იმ ცრემლიან საღამოს გავისიგრძეგანე, რომ პატარა სამუდამოდ შემძულდებოდა.

... მუშაობაში დღესა და ღამეს ვასწორებდი. ამ მხარეში ფულის შოვნა ნამდვილად არ იყო ძნელი. რამდენიმე წელიწადში უზარმაზარ ქონებას მოვუყარე თავი.

მილარეპა შვიდი წლისა იყო, მამა რომ გარდაეცვალა. მასზე, მის უმცროს დასა და დედაზე ზრუნვა ბიძაშვილმა ანდერძით მე მომანდო. მთელი მათი ავლადიდება: იაკები, ცხენები, ცხვრები, თხები და ვირები, სამკუთხა ველი, ნადელები, ისიც რაც სხვენში ინახებოდა, ოქრო-ვერცხლი, სპილენძი, რკინა, ფირუზი, აბრეშუმის ქსოვილები, მარცვლეულის სათავსოები - ყველაფერი დროებით საკუთრებაში მე გადმომეცა. ასე გაგრძელდებოდა მანამ, სანამ მილარეპა საკუთარი ქონების მართვას დამოუკიდებლად არ შეძლებდა.

ჩემი ბიძაშვილის გაციებულ სხეულთან, ოჯახის წევრთა გოდების ფონზე მივხვდი, რომ მილარეპა ველარასდროს გამიღიმებდა ისე, როგორც ჩამოსვლის დღეს გაბედა, ველარასდროს დაღვრიდა თანამგრძნობ ცრემლებს. დიახ, მდიდარი ადამიანისათვის ნიშნეულ სიბრალულით აღბეჭდილ იმ ტკბილ ცრემლებს.

მალე მილარეპა დიდი სახლიდან მივაბრძანე, ვაიძულე, დედასა და დასთან ერთად გარჯილიყო.

რამდენიმე წელიწადში მილარეპას დედა დაძაბუნდა, ძალ-ღონე გამოელია, ორად მოიკაკვა, კბილები სულ დასცვივდა. ჭუჭყით გაზიფთულ, ჩალის თავსაბურავს ატარებდა. მილარეპას და კარდაკარ დადიოდა და ჭურჭლის მრეცხაობით ირჩენდა თავს.

რაც შეეხება მილარეპას, მკვდრის სიფერმკრთალე დაედო, უზომოდ გახდა. ოდესღაც ოქროსფერი კულულები ტილებითა და ტკიპებით გაევსო. გაზრდით კი იზრდებოდა და მშვენდებოდა. ჩემს ქონებას თავისად მიიჩნევდა. წელგამართული და თავანეული დადიოდა. სჯეროდა, რომ ერთ დღესაც სამართალი იზეიმებდა. ბიძას მეძახდა, აზრადაც არ მოსვლია, ჩემთვის ქურდი და გაუმაძღარი ეწოდებინა.

მძულდა მილარეპა.

ოცი წელი რომ შეუსრულდა, მომადგა და კუთვნილი მემკვიდრეობა მომთხოვა. მალევე მიხვდა, რომ ჩემგან ვერაფერს ეღირსებოდა. უკანასკნელი სიტყვებით დიდხანს მლანძღა და მთათხა.

მილარეპა სასმელს მიეძალა. გამომტყვრალს ხან სად პოულობდნენ და ხან სად. ორმოდანაც არაერთხელ ამოუთრევიათ.

კაცობრიობის არაფრით გამორჩეული, რიგითი წევრი გახდა. წელში გატყდა... ბოლოს დამმორჩილდა.

მალე ქვეყნიდან გადაიხვეწა და უგზო-უკვლოდ გაქრა. ჩემი შურისძიება თითქმის აღსრულდა. მიზანს საბოლოოდ მაშინ მივაღწევდი, როცა მილარეპას დაც გაფშეკდა ფეხებს. თუმცა ის ძუკნა ფეხების გაფარჩხვას არ თაკილობდა, როცა კი ფული შემოაკლდებოდა.

რიგრიგობით ჩემი ყველა ვაჟიშვილი დაოჯახდა. სახლი გაივსო მხიარული და ორსული რძლებით. ჩემი ქონება კი მათი მუცლების ზრდასთან ერთად უფრო და უფრო ბევრდებოდა. ისიც კი მეჩვენა, რომ გაზაფხული ახლა ბევრად უფრო მწვანე და ხანგრძლივი გახდა. ჩემი მეუღლე ამას ბედნიერების განცდას ეძახდა.

ეს იმ დღეს მოხდა, როცა ჩემი ნაბოლარა ცოლს ირთავდა.

დიდ დარბაზში ოცდახუთ სტუმარს მოეყარა თავი და ნადიმი გაეჩაღებინა. მე და ჩემი მეუღლე დროებით გავედით, რათა მოსამსახურეებისათვის დაგვეხედა. სწორად მოვიქეცით, მოწვეულები რომ მარტო დავტოვეთ?

ამ დროს საჯინიბოდან მსახური გოგონა მოვარდა შეშლილი სახით.

— მბრძანებელო! მბრძანებელო! — ყვიროდა არაადამიანური ხმით, — ცხენები უკვალოდ გაქრნენ!

არ დავახანე და საჯინიბოსკენ გავქანდი. ცხენების მაგივრად იქაურობა მორიელების, ობობების, გომბეშოების, გველებისა და თავკომბალების ურიცხვ ოდენობას აევსო. ამ ყველაფერს შავი მაგიის სუნი ასდიოდა.

გადავწყვიტე, სტუმრები გამეფრთხილებინა, მაგრამ უკვე გვიანი იყო.

დარბაზში ახურებულ ულაყებსა და ფაშატებს ორგია გაემართათ. დუჟმორეული და გაოფლილი ულაყები ჯოჯოხეთური ჭიხვინით ჭაკებს მისდგომოდნენ და აგრილებდნენ. ყალყზე შემდგარნი, ყიჟინითა და ხროტინით ჩლიქებს კედლებსა და სვეტებს მთელი ძალით სცემდნენ. რამდენიმე წამში სახლი შეირყა, კოჭები ჩამოიქცა, სახურავი ჩაინგრა. ერთმანეთში ირეოდა ძვლების მსხვრევის ხმა, უიმედო გმინვა, ახურებულ ცხოველთა კვნესა. ბოლოს იქაურობას კვამლის უზარმაზარი ღრუბელი მოწყდა და ნელნელა ჰაერში გაიფანტა.

მერე სიჩუმე ჩამოწვა, საზეიმო და სისხლის გამთოშავი, ზამთრის გაყინულ გულში გამეფებული მყინვართა დუმილი.

ოცდათხუთმეტი ქალი და მამაკაცი, მათ შორის ჩემი ვაჟიშვილები და რძლები, რამდენიმე წამში ამოიხოცნენ. მე და ჩემს ცოლს ტირილისა და მოთქმის თავიც აღარ გვქონდა. ჩვენ რატომ გადავრჩით?

ამ დროს გამოჩნდა ნანგრევებზე ბედნიერებისგან აცეკვებული თეთრი სამოსელი.

— მილარეპა, ძეო ჩემო, მადლს გწირავ, რომ ყველას მაგივრად იძიე შური. გმადლობ შენ, რომ წლების მანძილზე ეზიარებოდი მონუსხვის ხელოვნებას. არ ვნანობ, რომ მთელი ჩემი გადამალული ქონება შემოგწირე, რათა ეს უზენაესი ცოდნა მიგეღო. ყოჩაღ, ჩემო ვაჟიშვილო, უზომოდ გმადლობ.

წამოვდექი, მის მოკვლას ვაპირებდი, მაგრამ სოფლის მცხოვრებლებმა შემაჩერეს.

— ხელი არ ახლო, შურს იძიებს.

მილარეპას მიერ სადღაც შორიდან მოწყობილ ხოცვაჟლეტაში ყველამ ერთი ახლობელი მაინც დაკარგა. ყოველ დილას ერთი სოფლელი მაინც მომადგებოდა და მილარეპას დედის მოკვლას მთავაზობდა. ყოველ დილას უფრო და უფრო მიჭირდა აღშფოთებულ ადამიანთა დაშოშმინება. „თეთრმა სამოსელმა“ კი ამასობაში სოფელში ვითომ თავისი ვაჟიშვილისაგან მიღებული წერილი გაავრცელა, მე კი დარწმუნებული ვიყავი, რომ ავტორი თვითონვე იყო და არა მილარეპა.

„დედა, — ეწერა წერილში, — თუ თანასოფლელები შენს მიმართ ზიზღს არ მოიშლიან, ნუ დაიზარებ და შემატყობინე მათი ვინაობა, მომწერე მათი სახელები და გვარები, თან დაურთე ოჯახის წევრთა სიაც. მერე მე ვიცი და ჩემმა ჯადოსნობამ. მათი სათითაოდ ამოხოცვა ჩემთვის ისევე ადვილია, როგორც წყალში კენჭის სროლა. ყოველ მათგანს მეცხრე თაობამდე გავანადგურებ“.

სოფლის მაცხოვრებლებმა დაჟინებით მომთხოვეს, სამკუთხა ველს შევლეოდი და მილარეპას დედისთვის დამებრუნებინა, თავად კი მისთვის ღიმილის გამეტება და უკეთეს შემთხვევაში თავის არიდება გადაწყვიტეს.

მიუხედავად ჩემი ხანდაზმულობისა, გვარიანი ქონების შექუჩება მოვახერხე. მართალია, მემკვიდრე არ მყავდა, ვისაც მთელს ამ ავლადიდებას სიკვდილის შემდეგ დავუტოვებდი. იმხანად ამაზე ფიქრით თავს მაინც და მაინც არ ვიცხელებდი. ჩემთვის მთავარი იყო, აღმედგინა, რაც დაიქცა და განადგურდა, რაც დამაკარგვინეს.

დიდებული ზაფხული იდგა. სოფლის მხცოვანი მობინადრეები უფრო მოსავლიან წელს ვერ იხსენებდნენ. საცაა მონაგარის აღება-დაბინავებას უნდა შევდგომოდით. ამ დროს ცაზე ერთი სკვინჩასავით პაწაწინა ღრუბელი გამოჩნდა.

მილარეპამ მოვლინება არ დაახანა, აცოცდა კლდეზე, დაბლობს რომ გადაჰყურებდა, და სიმაღლიდან წყევლაკრულვა გადმოგვანთხია.

— ჩაძაღლდი, სვასტიკა — გველო, სვასტიკა — სამსალავ! იკბინე ენაზე და დაიხრჩე შენსავე შხამში, გასივდი და გასკდი! გაიბერე და გასკდი! ლორწო ხარ, გომბეშოს გადმონაფურთხი, ნემსიყლაპიას ნერწყვი ხარ, ჯიბლიბოს ჩირქი, მოურჩენელი მუწუკი, ოფლი და შარდი. ნეხვი ხარ, ნეხვი, შენივე მოსაქმებული! ნეხვი ხარ ადამიანის სახით! ნეხვი ხარ უკანალის სიფათიანი! განავალი ხარ, მაგრამ სტერილური, არც ბუზი გეკარება და არც მატლი! ნეხვი ხარ და ისიც — უსარგებლო!. ნეხვი ხარ და ნეხვში გახრჩობ!

დაიმონმა ავი სულები და ყველა წმინდანს შეჰღაღადა, მოყვა, როგორ სასტიკად და შეუბრალებლად ვეპყრობოდი და ბოლოს სისხლიან ცრემლთა ნაკადულად დაიღვარა.

დაბლობის თავზე ფისივით შავმა ღრუბლებმა იწყეს შექუჩება. მილარაპამ შეჰყვირა. ღრუბლები ერთ მთლიან მასად შეიკრა და ძირს ჩამოიქცა, გეგონებოდათ, გამყინავი შეკივლებისგან ცა გაირღვაო. ნათესებს სეტყვა დაატყდა თავს. მთის კალთებიდან აბობოქრებული ნიაღვრები დაბლობისკენ მიისწრაფოდნენ. წვიმანარევმა ქარიშხალმა მოგლიჯა და ამოძირკვა ის, რაც ღვარცოფს გადაურჩა.

მოსავლისგან აღარაფერი გადარჩა. წარღვნამ ადამიანებსაც მუსრი გაავლო, დაანგრია და ნაფოტებად აქცია მათი სახლებიც. უბედურებას სოფლის მხოლოდ რამდენიმე მობინადრე გადაურჩა, მათ შორის მე და ჩემი მეუღლე. რის ვაივაგლახით გამოქვაბულს შევაფარეთ თავი.

* * *

ამ რამდენიმე დღის წინათ ისევ შევიარე იმ კაფეში, სადაც ვსაუზმობ ხოლმე. ის იდუმალი სიფრიფანა ქალბატონი იქ დამხვდა...

ჰო, შეგახსენებთ, რომ ამ ამბავს სიმონი ყვება და არა სვასტიკა. დიახ, სიმონი გიამბობთ ცხრა საუკუნის მიწურულს. უკვე შევეგუე, რომ ერთდროულად ორი ვარ, სიმონი და სვასტიკა. შევეჩვიე, რომ ორ ცხოვრებას ვცხოვრობ. პირველში ხშირად მიწევს კაფეში შევლა, მარმარილოს მაგიდაზე მორთმეული შავი ყავის დალევა. მეორეში კი დავეხეტები იქ, სადაც ჩემი სიზმრები ამომაყოფინებენ თავს.

პირველ პირში ვყვები და რამდენიმე „მე“-ს ვაერთიანებ. ეს შვებას მგვრის. როცა მე მარტო მე ვიყავი, უფრო მძიმედ, უფრო შეზღუდულად და შებოჭილად ვგრძნობდი თავს, თითქოს საკუთარი „მე“-ს სამუდამო ტყვეობა მქონდა მისჯილი.

... ნაცნობ ქალს თვალს არ ვაცილებდი და თან მილარეპას ამბავს ერთ ჩემს ძველ, სტუდენტობისდროინდელ მეგობარს ვუყვებოდი. ეს უკანასკნელი სულ ასეთი ბებერი მახსოვს, მაშინაც კი, როცა მხოლოდ ოცი წლისა იყო. მისმინა და ჩიბუხიდან ამოფრქვეული კვამლის ორ ნაკადს შორის სკეპტიკურად ჩაურთო:

—მაგიის გჯერა?

როგორც ჩანს, ეს კითხვა მისთვის ისეთივე მნიშვნელოვანი და გადამწყვეტი იყო, როგორც ადამიანისთვის - ორი ფეხი და მენჯი სასიარულოდ. გაკვირვებულმა მყისიერი პასუხისგან თავი შევიკავე. მან კი განაგრძო:

— მე მჯერა სეტყვანარევი გრიგალის, მაგრამ არა მგონია, რომ მისი გამოწვევა ადამიანსა და მის მისნობას შეეძლოს. შეიძლება შენი სახლი დაინგრეს ან ცხენებს შეეყაროს ცოფი, მაგრამ ვერ დავთანხმდები, რომ გრძნეულს უბედური შემთხვევით მანიპულირება შეეძლოს. შენ რას ფიქრობ ამაზე?

— მე? მე რას ვფიქრობ?

— დიახ, შენ, სიმონ! მგონი, შენ გესაუბრები!

— მე არ ვფიქრობ, მე ვყვები.

ვაღიარებ, მაშინ ნამდვილად არ ვიცოდი, ჩემი პასუხი სრული იდიოტობა იყო თუ ღრმა და გონივრული. სხვათა შორის, რაც უფრო შევდივარ ხანში, ვატყობ, თანდათან იშლება ზღვარი უკიდურეს სისულელესა და მაღალგონიერებას შორის. ზუსტად ისევე, როგორც რეალობასა და სიზმრებს შორის.

ძველმა მეგობარმა თვალები დაახამხამა. პირში ჩიბუხგაჩრილი, დიდხანს ფიქრობდა ჩემს პასუხზე.

შემდეგ ასანთი აიღო, კოლოფზე გაუსვ-გამოუსვა. ნაპერწკლები დაიფრქვა. ანთებული ასანთის ღერი პირდაპირ ჩემს ცხვირწინ გაატარ-გამოატარა.

— მე მხოლოდ მეცნიერების მჯერა. ფიზიკა და ქიმია სავსებით კმარა, რათა ნათელი მოეფინოს ბევრ რამეს. აბა, მითხარი, საიდან გაჩნდა ეს ალი.

აშკარა იყო, რომ ძველ ახლობელს ჩემი გაქილიკება გადაეწყვიტა.

ასანთის ღერი ხელიდან ავართვი და ალს სული შევუბერე.

—ესეც ასე, ახლა თუ მეტყვი, სად გაქრა ალი, უთუოდ გიპასუხებ, საიდან გაჩნდა.

* * *

მინა უფრო ადვილად იშუშებს ჭრილობებს, ვიდრე ადამიანები.

გავიდა რამდენიმე წელი. ამასობაში ისევ აღვადგინე და ავაყვავე ჩემი მამულები, ჩემი ფერმა. ისევ მოვაქუჩე ქონება და სიმდიდრე. სამწუხაროდ, ჩემი ვაჟიშვილები ისევ მიწაში განისვენებდნენ. როგორც კი თავისუფალ დღეს გამოვნახავდი, დავტაცებდი ხელს ჩემს იარაღს - ჯოხს და მთებში მილარეპას დავეძებდი. მილარეპას წინააღმდეგ მიმართულმა სიძულვილმა ჩემში ჯერ კიდევ მაშინ დაიბუდა, როცა ყრმა ვიყავი და ქათქათა თეთრი კბილებით ვიწონებდი თავს. ვეჭვობ, ეს ზიზღი სიბერეში გამინელდეს, როცა ქოჩორი შემევერცხლება. ასე გაგრძელდება მანამ, სანამ...

ჯერ კიდევ ადრეა ამის თქმა. მილარეპას ამბავი უნდა განვაგრძო როგორც წესი და რიგია, თორემ შეიძლება ეს თხრობა არ ჩამეთვალოს და ვალად დამედოს.

* * *

მილარეპამ ჩადენილი ჯადოსნობისა და წყევლა-კრულვის მეორე დღიდანვე მოსვენება დაკარგა. ღამე ძილი არ ეკარებოდა. თვალწინ ედგა მის მიერვე დატრიალებული უბედურების სცენები. ტკივილისა და მწუხარებისაგან ტანჯული სახეები, საშველად გამოშვერილი ხელები. ხედავდა დედებს, საკუთარ ბავშვებს რომ ეძებდნენ აბობოქრებულ ნიაღვრებში. ჩაესმოდა გადარეული წყლის ხმაური, წყლით ფილტვებავსებული ადამიანთა ხრჩობის ხროტინი. ტანჯავდა ის დამთრგუნველი და სასოწარმკვეთი აზრები, განწირულებს აგონიის ბოლო წამებში რომ ეუფლებათ...

მილარეპა მიხვდა, რომ უზარმაზარი ძალა, რომელსაც განაგებდა, მხოლოდ ბოროტების დასათესად გამოადგა.

მილარეპას თავი შეზიზღდა. სიმშვიდე და სიწყნარე ისე მოუნდა, როგორც სიცხისგან გათანგულს — ერთი პეშვი წყალი. გადაწყვიტა, ჩრო-უანლუნს გამგზავრებულიყო და დიდ მარპა-მთარგმნელს შეხვედროდა. უთხრეს, რომ მარპა ერთადერთი იყო დედამიწის ზურგზე, მის შველას რომ შეძლებდა. ბულოს ხეობაში ხეტიალისას მილარეპამ ბევრი ითვალა, იანგარიშა და საბოლოოდ დაადგინა, რამდენი დრო შესწირა მისნობის ხელოვნებას. აღმოჩნდა, რომ ჯადოსნობის რეცეპტებს მთელი ორი წელი ეუფლებოდა. მისი ვარაუდით, ბედნიერების კანონებსაც იმავე ვადაში ზედმიწევნით ჩასწვდებოდა. თითქმის ბედნიერად გრძნობდა თავს, როცა დიდი ლამას სახლის კარიბჭეს გადაალაჯა.

მარპა უკვე ელოდა მილარეპას. ამ ვიზიტის შესახებ წინა ღამის სიზმარმა აუწყა. ძილშივე გაერკვია, რომ მას და სტუმარს წინა ცხოვრებებში არაერთი შეხედულება გაუზიარებიათ ერთმანეთისათვის.

მარპამ მილარეპას ქერის მარცვლის დარი ორი წვრილი თვალი დაჟინებით მიაპყრო.

— ო, უძვირფასესო ლამავ. ო, დიდო მარპავ. თქვენს წინაშეა საშინელი დამნაშავე და ბოროტმოქმედი

—თუ შენ ბოროტმოქმედი ხარ, წუწუნს არ მოყვე და თავს ჩემს წინაშე ნუ დაიდანაშაულებ. შენ ჩემთვის არანაირი ზიანი, არანაირი შეურაცხყოფა არ მოგიყენებია.

—მე გთავაზობთ ჩემს სხეულს, სიტყვასა და გულს. სანაცვლოდ თქვენგან საკვებს, სამოსსა და განათლებას მოველი. იყავით დიდსულოვანი და მასწავლეთ გზა, რომელიც ერთი სიცოცხლისაკენ და სრულყოფილებისაკენ წამიყვანს.

მარპამ მოსასხამის კალთები ჩამოიბერტყა. გაღიზიანებული ჩანდა. შემდეგ პასუხის გასაცემად თვალები დახუჭა.

— მე ვიღებ ძღვნად მორთმეულ თქვენს სხეულს, სიტყვასა და გულს, მაგრამ სანაცვლოდ ერთდროულად საკვებს, სამოსსა და განათლებას ვერ გავიღებ. თუ სამოსსა და საკვებზე დავყაბულდები, განათლებისთვის ვინმე სხვას უნდა მიმართო. თუ ჩემგან განათლებას მიიღებ, მაშინ საკვებ-სამოსი სხვაგან უნდა ეძიო. ან ერთი, ან მეორე! ამოირჩიე!

—მე არჩევანს განათლებაზე ვაჩერებ.

მარპა იდაყვის ენერგიულ ფხანას მოყვა. მილარეპამ მგზნებარედ შეჰყვირა:

—სამოსსა და საკვებს მთელს ხეობაში ვიმათხოვრებ!

—კეთილი, — დათანხმდა მარპა. ამ დროს იდაყვიდან სისხლმა იწყო დენა.

—ახლა კი დატოვე ტაძარი, შენი მაგიის წიგნი არ დაგრჩეს. ისე ყარხარ, რომ კერპებს ხველა აუტყდათ.

დიდი ლამას მიღება ცივი იყო. მისი მეუღლე ბევრად სტუმართმოყვარე აღმოჩნდა. მილარეპას წვნიანით უმასპინძლა. ადგილიც კი მიუჩინა, სადაც თვალი შეეძლო მოეტყუებინა.

მილარეპამ მათხოვრობას მეორე დღიდანვე მიჰყო ხელი. მთელი ხეობა ფეხდაფეხ შემოიარა.

ერთ დღესაც მარპა თავად ეწვია შეგირდს და სთხოვა, ჩადენილი დანაშაულები მოეთხრო. მილარეპამ გუდას თავი მოხსნა და მოყვა შურისძიების, სეტყვანარევი ქარბუქისა და ნგრევის შესახებ.

—მშვენიერია, —თქვა მარპამ. —მათ ხელმეორედ ჩემთვის გამოიყენებ. აცოცდი იმ ქედზე და დაატეხე თავს გრიგალი და სეტყვა იაბორგისა და ლინგის ქვეყნებს. შემდეგ ეწვიე ლობრაგის უღელტეხილს და მუსრი გაავლე მთიელებს.

დავალების პირნათლად შესრულების შემდეგ მილარეპა ლამას ფერხთით განერთხო და სანაცვლოდ ბოდის ანუ ნეტარების ფორმულა მოსთხოვა.

მარპას ბრაზისგან სახე აუჭარხლდა და პირიდან დუჟის ნაკადულები გადმოდინდა.

—რა? ნეტარება შენი ბოროტი ქმედებების სანაცვლოდ? გსურს ბოროტების ფორმულა სიკეთისაში გადაცვალო? იმის ღირსიც არა ხარ, შენს ამბავზე თუნდაც დავფიქრდე ან საერთოდ ხმა გაგცე! ახლა კი ყური მიგდე. წადი და იაბორგისა და ლინგის ქვეყნებს კუთვნილი მოსავალი დაუბრუნე, შემდეგ კი მთიელები განკურნე. ვიდრე ამ დავალებას არ შეასრულებ, შენი ხილვა არ მსურს.

მილარეპა მიხვდა, რომ ჩადენილი დანაშაულის გამოსყიდვის დრო დაუდგა. ძალისხმევა არ დაუკლია, რომ დიდი ლამას ბრძანება პირნათლად შეესრულებინა. როცა მიიჩნია, რომ ავკაცობანი გამოისყიდა, მბრძანებელს ეახლა და მის ფერხთით განერთხო.

— დიდო ლამავ, ვინანიებ. ნუ დაიშურებ ჩემთვის შენს ცოდნას.

მარპას ისევ იდაყვის ფხანა აუვარდა და საერთოდაც, როგორც კი მილარეპას მოკრავდა თვალს, იდაყვი ახსენებდა თავს.

— ახლა არა, მოგვიანებით, მოგვიანებით... ვერ ვგრძნობ, რომ სწავლებისათვის საკმარისად მომწიფდი.

სიავის ჩადენა ბევრად უფრო ადვილია, ვიდრე სიკეთის. ბოროტება ძალისხმევას არ საჭიროებს. წებოსავით აგეკრობა და ადვილად ვერ მოიშორებ.

— დიდო ლამავ, გემუდარები!

— ამიშენე მრგვალი კოშკი!

— უკაცრავად, სათქმელს ვერ მიგიხვდი.

— მჭირდება მრგვალი კოშკი. სასწრაფოდ ამიშენე მრგვალი კოშკი! გასაგებია?

მილარეპამ საარსებო პურის შოვნას ღამის საათები დაუთმო, დღე კი აგროვებდა ქვებს და რუდუნებით თლიდა, თხრიდა საძირკველს, ხაზავდა, აშენებდა... ხელებიდან და ზურგიდან სისხლი სდიოდა... კოშკი დღითი დღე სიმაღლეში მატულობდა.

მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო, მარპა მის სანახავად რომ ამობრძანდა.

— რას საქმიანობ?

— მრგვალი კოშკის მშენებლობას ვასრულებ, დიდო ლამავ!

— ხომ არ გადარეულხარ? მე შენთვის მრგვალი კოშკის აგება არასდროს მითხოვია. ახლავე, ჩემს თვალწინ დაანგრიე. ქვა და თიხა იქ წაიღე, საიდანაც მოგიტანია!

— კი მაგრამ... ძვირფასო ლამავ...

— მგონი, გასაგებად გითხარი!

მილარეპა ბრძანებას უსიტყვოდ დამორჩილდა. როცა კოშკი დაშალა, ქვა-თიხა თავის ადგილს დაუბრუნა, ისევ მარპას წინ პირქვე დაემხო.

— დიდო ლამავ, ვინანიებ. ნუ დაიშურებ ჩემთვის შენს დიდ ცოდნას.

— ამიშენე ნახევარმთვარისებური კოშკი.

მილარეპა უდრტვინველად შეუდგა ჯაფას. ახლა ის მაინც უწყოდა, სად ეძებნა ქვა და თიხა. საარსებო პურის შოვნას ღამის საათები დაუთმო, დღე კი აგროვებდა ქვებს და რუდუნებით თლიდა. თხრიდა საძირკველს... ხაზავდა და აშენებდა... ხელებიდან და ზურგიდან სისხლი სდიოდა... კოშკი კი დღითიდღე სიმაღლეში მატულობდა. მშენებლობა თითქმის დასრულებული იყო, მარპა მის სანახავად რომ ამობრძანდა.

— რას საქმიანობ?

— დიდო ლამავ, ნახევარმთვარისებურ კოშკს გიშენებ, შენ რომ ითხოვე.

— მსგავსი სულელური თხოვნით შენთვის არასოდეს მომიმართავს. ახლავე დაანგრიე ეს სიმახინჯე. ქვები და თიხა იქ დააბრუნე, საიდანაც წამოიღე.

— პატივცემულო მბრძანებელო, კი მაგრამ...

— მგონი, გასაგებად გითხარი!

მილარეპას ერთი სული ჰქონდა, ცრემლები ელვარა, მაგრამ თავი შეიკავა. სამაგიეროდ, მისმა დახეთქილმა ხელებმა და გრანიტის ლოდების თრევისაგან დამსკდარმა ზურგმა ბევრი სისხლი ანთხიეს.

მილარეპა ბრძანებას დაემორჩილა და ქვები და თიხა თავის ადგილას გადაათრია.

დილით მარპა მომღიმარი სახით მილარეპას საკანში შევიდა.

— მილარეპა, ბევრი ვიფიქრე და მოვიფიქრე. ახლა სამკუთხა კოშკი უნდა ამიშენო.

— დარწმუნებული ბრძანდებით, დიდო ლამავ?

დიდ ლამას ისევ ქავილმა უხსენა, გეგონებოდათ, მილარეპა ტილი ყოფილიყო ან ბუზანკალი, ან ამ ორზე უარესი, საძაგელი და აუტანელი.

— მითხარი, ისე უბრალოდ, გაუაზრებლად რამის რომშვა მჩვევია?

მილარეპამ საარსებო პურის შოვნას ღამის საათები დაუთმო, დღე კი აგროვებდა ქვებს და რუდუნებით თლიდა, თხრიდა საძირკველს, ხაზავდა და აშენებდა. ჯაფის შედეგად ხელებიდან და ზურგიდან სისხლი სდიოდა... კოშკი კი დღითი დღე სიმაღლეში მატულობდა. საბოლოოდ მისი სხეული ერთ დიდ ჭრილობას დაემსგავსა. ზოგჯერ, როგორც კი ბინდი ჩამოწვებოდა, ლამას მეუღლე ჩუმად მოდიოდა მის სანახავად და თან ჯამით წვნიანი და ჭრილობების საგოზი საცხი მოჰქონდა.

მილარეპამ სამკუთხა კოშკის მშენებლობა დაასრულა. ამით ბედნიერი დიდ ლამას ეახლა.

— დიდო ლამა, მე დავასრულე შენი სამკუთხა კოშკის მშენებლობა. ახლა კი მომეცი შენი ცოდნა.

— რა უგუნურებაა, ახლავე დაანგრიე ეს უსარგებლო და ფუჭი ნაგებობა. ქვები და თიხა კი იქ დააბრუნე, საიდანაც წამოგიღია.

— კი მაგრამ... დიდო მბრძანებელო...

— მე ჩემი სათქმელი ნათლად ვთქვი.

დიდ ლამას თავისი იისფერი თვალები არც აუწევია, მილარეპასთვის ერთი მზერა მაინც რომ შეევლო.

— ო, როგორ მღლი, მილარეპა! ნეტავ იცოდე, როგორ დავიქანცე შენგან... გამოდის რომ ვერც ვერაფერს მიმხვდარხარ?

—არა, დიდო ლამა, სათქმელს ვერ მიგიხვდით. მე დანამდვილებით ერთი რამ ვიცი მხოლოდ. თქვენ ისეთი კეთილი ხართ, რომ ბედნიერების ფორმულას ნებისმიერ მსურველს აზიარებთ, ქუჩიდან შემოსულ, ტილებით გაძეძგილ მაწანწალა ძაღლსაც კი არ  დაზარდებით, მაგრამ... მაგრამ ჩემთვის არაფერი გემეტებათ.

ტილების ხსენებაზე დიდ ლამას ქავილმა შემოუტია.

—მთვრალი ხომ არ ხარ?

დიდმა ლამამ თვალები გაახილა და მილარეპას მიაშტერდა. იმავდროულად მარჯვენა ხელით მარცხენა ბარძაყს ისე იფხანდა, ლამის გადაიტყავა.

—მე მაინც თანაგიგრძნობ. ამიშენე ცხრასართულიანი, თეთრად მოქათქათე კოშკი და მის მორთულობაზეც იფიქრე. გარწმუნებ, ის არასდროს დაინგრევა. როცა მშენებლობას მორჩები, საიდუმლოსაც გაზიარებ.

მილარეპამ საარსებო პურის შოვნას ღამის საათები დაუთმო, დღე კი აგროვებდა ქვებს და რუდუნებით თლიდა. თხრიდა საძირკველს, ხაზავდა და აშენებდა... ჯაფისაგან, ხელებიდან და ზურგიდან სისხლი სდიოდა... კოშკი კი დღითიდღე სიმაღლეში მატულობდა. მილარეპამ ირწმუნა, რომ ლამას ამჟამინდელი წინადადება უფრო მეტ დაპირებას შეიცავდა, ვიდრე უწინდელები.

რამდენიმე თვის თავზე მილარეპამ ცხრასართულიანი, თეთრად მოქათქათე კოშკის აგება დაასრულა. არც მისი მორთვა დავიწყებია. დადგა დრო, არაადამიანური ძალისხმევისა და ოფლისღვრის საზღაური მიეღო.

მილარეპა დიდ ლამას ეახლა.

მარპა წამოხტა, ეძგერა მილარეპას, თმები სათითაოდ დააგლიჯა, სახეში შეუბრალებლად დააყარა მუშტები, თავი სულ კედელზე არტყმევინა. მილარეპამ წინააღმდეგო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბის განევაც კი ვერ მოასწრო. დასისხლიანებული და ცემისგან გასიებული ძირს გაიშხლართა, მარპა არ ეშვებოდა, თავზე ადგა, როგორც კი მის სახეზე სიცოცხლის ოდნავ ნიშან-წყალს შეატყობდა, ცემა-ტყეპის განახლებას არ იზარებდა.

— უგუნური ხარ, მილარეპა! ყველაზე დიდი სულელი და ჭკუათხელი, რომელსაც ოდესმე ამ მონასტრამდე ამოუღწევია. არა, შენ კიდევ ვერაფერს ვერ ჩაწვდი? ნუთუ ირწმუნე, რომ ჯან-ღონითა და კუნთებით ყველაფერს გამოისყიდი. ნუთუ მართლა გგონია, რომ კოშკის აგება, მრგვალი იქნება თუ კვადრატული, ნახევარ მთვარეს მიმსგავსებული, რვაკუთხა თუ ცხრასართულიანი, სიბრძნის გზას დაგაყენებს. თუ ეს დაიჯერე, ნამდვილი რეგვენი ყოფილხარ და მხრებზე თავის ნაცვლად გოგრა გაბია.

მარპას ისევ მოუარა ცოფმა და მილარეპას ბეგვა განაახლა. ყვირილზე მღვდლები მოცვივდნენ და მშენებელი დიდი ლამას მუშტებს დიდი ვაი-ვაგლახით განარიდეს.

მილარეპას მოვლაზე ლამე მარპას მეუღლე ზრუნავდა.

— ვერაფერი გამიგია, — თქვა მან, — რატომ არ ემეტება შენთვის ეს ფორმულები. უცნაურია, რატომ უარობს, მათ რომ გაზიაროს. მე კი მეუბნება, რომ შენ მისი ერთ-ერთი საუკეთესო ძე ხარ... იქნებ სურს, რომ ძლვენი მიართვა, როგორც ამას ნებისმიერი სხვა იზამდა. მოდი, ჩემი ქონებიდან რამეს მაინც გიწილადებ. მაგალითად, შემიძლია შეველიო ქილა ერბოს ან სპილენძის პატარა კოჭობს. არ მენანება ზურმუხტის თვალიც. ისე კი მითხრეს, რომ ძალიან ძვირფასია.

როცა მეორე დღეს მილარეპა სასახლეში აბრეშუმის ქსოვილში გახვეული ფუთებით გამოცხადდა, დიდმა ლამამ პანღურით გააძევა.

— ეს ნივთები მე ერთხელ უკვე მისაჩუქრეს, არ მსურს საზღაურად საკუთარი ქონების ნაწილი მომართვა. თუ რამე გემეტება, მოიპოვე საკუთარი გარჯისა და ოფლის ღვრის ფასად.

— დიდო მარპა, მე გავეცლები აქაურობას. დოქტრინის ნაცვლად ლანძღვა-გინებისა და ცემა-ტყეპის გარდა ვერაფერს ველირსე. ქანცი გამწყდა, სხეულში ძალა გამომელია.

— კი მაგრამ, საითკენ გაგიწევია? როცა პირველად მეახლე, შენი სხეული, სიტყვა და გული საკუთრებაში მე გადმომეცი. შენ ახლა მე მეკუთვნი. შემეძლო ამეკუწე. შენი სხეული, სიტყვა და გული ას ულუფად დამენაწევრებინა. ფიცის თანახმად, შენ ჩემი ხარ.



მხატვარი მზია დედანაშვილი

მილარეპას სხვა გამოსავალი არ ჰქონდა, ბედ-იღბალს უდრტვინველად დამორჩილდა. საკუთარ თავს კი გამოუტყდა, რომ ამქვეყნად ბუდას მდგომარეობას ვერასდროს შესწვდებოდა.

ძალიან მომწონს თხრობის ეს ნაწილი, უფრო სწორად, სვასტიკას ხიბლავს ის. იმავეს ვიტყოდი საკუთარ თავზეც. ერთი რამე მსურს ვაღიარო: არაფერია იმაზე დამამცირებელი და დამთრგუნველი, როცა უკეთურები ერთ მშვენიერ დღეს პატიოსანი ადამიანის ნიღაბს ირგებენ. სიკეთის თესვა ისევე წარმატებულად გამოსდით, როგორც ბოროტების ნთხევა. თვითმარქვია, ცრუ წმინდანები სევდასა და მოწყენილობას მგვრიან.

სინამდვილეში კი, — ჰო, ვამბობ "სინამდვილეში", თუმცა ამას არაფერი აქვს საერთო რეალობასთან, — სიფრიფანა და იდუმალი ქალბატონი ერთხელაც უგზო-უკვლოდ გაქრა. იქნებ სიგარეტის ბოლთან ერთად ჰაერში გაიბნა... მისი გაუჩინარების გამო სასოწარკვეთას არ მივცემივარ, მაგრამ წყობიდან ნამდვილად გამოვედი, როცა ოფიციანტი ჯიუტად მიმტკიცებდა, დარბაზის სიღრმეში სიგარეტის ღრუბელთან ერთად გაფანტული სიფრიფანა და იდუმალი ქალი არასდროს მინახავსო. რა თქმა უნდა, არ დავუჯერე. მშვენივრად მომეხსენება, რომ მახსოვრობასა და დაკვირვებას ოფიციანტის უნარჩვევათა ნუსხაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. რაც შეეხება ჩემს სკეპტიკოს, პირში მარად ჩიბუხგარჭობილ მეგობარს, ისიც მიმტკიცებდა, მსგავსი ქალბატონი არც არასდროს არსებობდაო.

— ეს სხვა არაფერი ყოფილა, თუ არა ილუზია. ვიმეორებ, წმინდა წყლის ილუზია.

— უეჭველად, — მივუგე მე. — მაგრამ, იცი, ჩვენს შორის განსხვავება რაშია? გეტყვი! იმაში, რომ მე თვალნათლივ ვხედავ ილუზიებს.

* * *

საკნის ოთხ კედელს შუა განმარტოებული, საკუთარ უძლურებასთან შერიგებული მილარეპა ფიქრობდა:

„იყო დრო, როცა ბოროტების გარდა არაფერს ჩავდიოდი და არაფერი მაკლდა. საჭმელიც მქონდა და სასმელიც. შემეძლო საჩუქრებიც გამემეტებინა. როგორც კი რელიგიის სამსახურში ჩავდექი, ყველაფერს გამოვემშვიდობე. სულს იქით არაფერი მაბადია. გავლატაკდი და დავჩაჩანაკ-

დი. იმ ოქროს ნახევარი მაინც რომ მქონდეს, ბოროტების თესვისას რომ გავფლანგე, ჩემს ბედს ძაღლი არ დაჰყეფდა. ვეზიარებოდი საიდუმლო ფორმულებსა და დოქტრინასაც. რელიგიაზე უპოვართ ხელი არ მიუწვდებათ, მეტიც, ეკრძალებათ".

მილარეპას ყოველგვარი იმედი გადაეწურა. ლამას დაპირებებისა უკვე აღარ სწამდა. გადაწყვიტა სიცოცხლისათვის წერტილი დაესვა. რუდუნებით მოიმზადა მთელი თასი სამსალა: „რამეთუ ამ სხეულში, დოქტრინას ვერასდროს ვეღირსები, რამეთუ შეცდომა შეცდომაზე მომდის, ისლა დამრჩენია, სიცოცხლეს გამოვესალმო. ვიმედოვნებ, საიქიოში მაინც აღვსდგები რელიგიისათვის ღირსეული სხეულით"

ამ ნაბიჯის გადადგმა მილარეპას ლამას მეუღლემ გადააფიქრებინა.

—ფრთხილად, მილარეპა! თავის მოკვლაზე უფრო დიდი ცოდვა არ არსებობს. მსგავსი კარმით სამუდამოდ ხარ განწირული. საუკეთესო შემთხვევაში ამ ქვეყანას რწყილად ან ნეხვის ბუზად თუ მოევლინები.

როდესაც ლამამ შეიტყო, რომ დაუძლურებულ და დაძაბუნებულ მილარეპას თავის მოკვლა ვერ გაებედა, მაგრამ არც სიცოცხლის წყურვილი შერჩენოდა, გაეღიმა და მისი მოგვრა ბრძანა. პირველად შეხვდა ნარბგახსნილი... არც ფხანა ატყდომია. მშვიდი ხმით შემდეგი უთხრა:

—ჯერჯერობით ყველაფერი წესსა და რიგს ექვემდებარება, სხვანაირად წარმოუდგენელიც კი იყო. ორგული არც მე ვარ და არც შენ. ჩადენილი ცოდვებისაგან განწმენდის მიზნით მე შენში ძველი, გამოცდილი მისანი გამოვცადე. ვაღიარებ, რომ ხშირად შენს მიმართ ულმობელი და შეუწყნარებელი ვიყავი. სიბრალულისთვის რომ მიმეცა გზა, როგორც ეს ჩემს მეუღლეს მოუვიდა, იძულებული გავხდებოდი, შემენდო და ეს იქნებოდა გულწრფელი, მაგრამ ფუჭი შენდობა. შეცოდება და თანაგრძნობა ადამიანს გამოსწორების საშუალებას ართმევს. ყოველი შენს მიერ აღმართული კოშკი ნამდვილი რწმენის დასტურად მივიჩნიე. ფარხმალი არცერთხელ დამიყრია. ახლა მზად ვარ, მიგიღო და ჩემ ცოდნას გაზიარო. ჩვენ გადავეშვებით მედიტაციაში და ვიგემებთ ბედნიერებას.

ლამამ თმა შემჭრა. მიბოძა უფლება, პიწმინდად გადაპარსული, მრგვალი ლაპლაპა თავით მევლო. ეს უბრალოებას, განდგომილობას და თავგანწირულობას ნიშნავს.

—მილარეპა, შენი სახელი ჩემმა დიდმა მტერმა, ნაროპამ გამანდო. სიზმარში შეიტყო შენს ჩამოსვლამდე.

ლამამ "მილა ბრილიანტის ბრწყინვალებად მომნათლა", მერე კი მორჩილის ფიცი დამადებინა საცდელი ვადით. მებრძანა ტანჯვა, თვითგვემა, სხვებისთვის დახმარების გაწევა და ზრუნვა, სიკვდილის შემდეგ დედამიწაზე იმდენჯერ დაბრუნება, რამდენჯერაც ამას საჭიროება მოითხოვდა, თავდადება და დაწყებული საქმის ბოლომდე მიყვანა.

მოკლედ დიდ ლამას გადაეწყვიტა, ჩემგან ჭეშმარიტი ბოდისატვა დაეყენებინა.

* * *

მომიტევეთ, ვფიქრობ „მე" წამომცდა.
ახლა არ ვთქვი „მე"? „მე, მილარეპა" ასე არ იყო?
კი ასე იყო, დარწმუნებული ვარ!

თხრობისას თავდავიწყებას მივეცემი ხოლმე, მილარეპას მაგივრად პირველ პირში ვიწყებ ლაპარაკს. „მე, მილარეპა...", არა, ეს ნამდვილი ფარსია. გამორიცხულია, როცა ამა თუ იმ ამბავს ყვები, რაღაც არ მოგეცხოს, არ დასნეულდე ნაამბობით. სიმონიდან სვასტიკაში, სვასტიკადან სიმონში გადაადგილებისას თავგზა მებნევა, საკუთარი სახელი მავიწყდება. ზოგჯერ არც მახსოვს, საბუთებში როგორ მოვიხსენიები. ვკარგავ იმ რეფლექსებისა და ჩვევების ხურჯინს, „საკუთარი მე" რომ ჰქვია. ეგ კია, რომ ეს თავის მხრივ ხეტიალსა და მოგზაურობას მიმსუბუქებს.

მაგრამ აქვს კი ამას ახლა რამე მნიშვნელობა?

ერთი სიტყვით, თუ ჩემსას არ დავიშლი, თვითონვე გამისწორეთ.

* * *

დიდმა ლამა მარპამ აუცილებელ სურსათ-სანოვაგეზე იზრუნა და მილარეპა სამხრეთის კლდის ღრმულში, ვეფხვების ბუნაგში დააბინავა. საკურთხევლის ჭრაქი ზეთით გაავსო და ანთებული შეგირდს თავზე დაადგა.

—იფიქრე დღეც და ღამეც, ნუ წამოდგები, თუ გაინძრევი, ჭრაქს ჩააქრობ და წყვდიადში აღმოჩნდები.

—დღის სინათლეს დამიტოვებ?

—არაფერსაც არ დაგიტოვებ. ხვრელს ახლავე ამოვქოლავ.

მარპამ აგურებითა და კირის დუღაბით გამოქვაბულის გასასვლელი საკუთარი ხელით დაგმანა.

...ვფიქრობდი დღეც და ღამეც. წამოდგომა არც მიცდია. მთელი ჩემი გონება ფიქრებმა და განჭვრეტამ მოიცვა. დროის სათვალავი ამერია, მან ჩემთვის მნიშვნელობა დაკარგა. მივხვდი, რომ მარტო არასდროს დავრჩენილვარ. მაშინაც კი, როცა ჩემს გარშემო კაცის ჭაჭანება არ იყო. ჩემს სიმარტოვეში დემონები და ჭინკები ბინადრობდნენ. მას ათასგვარი ნადილი, მოგონება ავსებდა.

ჩემს სიმარტოვეს სიმშვიდე და სიწყნარე არ ეკარებოდა. ფუთფუთებდა... დუღდა... ერთი სული მქონდა, თავისუფლად მემოძრავა, წელში გავმართულიყავი, გავცლოდი იქაურობას, გავქცეოდი საკუთარ თავს. მე ვიყავი მეფე, მარად რომ უწევს მღელვარებათა დაშოშმინება და ამბოხებასთან გამკლავება. მეფე — სუსტი და დაუცველი, მარად ჩამოგდებით რომ ემუქრებიან.

დრო და დრო ჩემში სიმშვიდე დაისადგურებდა, ვითარცა მდუმარე აისი, უხმაუროდ წყვდიადს რომ გაფანტავს ხოლმე.

ერთხელაც კედლის მიღმა საყვარელი ლამას ხმა გაისმა.

—დაანგრიე კედელი, ძეო ჩემო, დაამსხვრიე საკნის კარი და ჩემს გვერდით მოითქვი სული. დაისვენე... შენი აქ მოსვლის დღიდან თერთმეტი თვე გავიდა. წამოდგომა ერთხელაც არ გიცდია.

დიდი ვაი-ვაგლახით ფეხზე წამოვდექი და აგურების ჩამოშლა დავიწყე. უცებ შევყოვნდი და ფიქრმა გამკრა: ლამამ ისევ რომ გადაიფიქროს ?

—გელოდები, ძეო ჩემო, გელოდები. —გაიმეორა ლამამ.

—კი მაგრამ, არ მოდიხარ? —ჩაიბუტბუტა მისმა მეუღლემ.

დავანგრიე კედელი და მზის სითბოსა და სინათლეს შევერიე. დიდი ლამა ჩემი დანახვით ბედნიერი ჩანდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

—მაშ რას ეზიარე მთელი ამ თერთმეტი თვის განმავლობაში?

მართლაც საინტერესოა, რას მაზიარა მან. რა ცოდნა მომეცხო მისი სწავლების წყალობით. რა გადმომეცა მარპასაგან, რომელიც ჩემგან შორს, მონასტერში ცხოვრობდა.

მივხვდი, რომ ფორმულების გაზუთხვა დიდი ვერაფერი საქმეა. მხოლოდ ძალისხმევა თუ გამოიღებს ნაყოფს. ვისწავლე, რომ სიკეთის ქმნა მეტ ნებას საჭიროებს, ვიდრე ბოროტების ჩადენა... გავიაზრე, რომ ჩემი სხეული სუსტი და დაუცველი ხომალდია, თუ მას დანაშაულით დავამძიმებდი, უცილოდ ჩაიძირებოდა. სიკეთის თესვით, გულუხვობით, თავდავიწყებით შემსუბუქდებოდა და ერთ დღესაც მშვიდობის ნავთსაყუდელთან მიმაყენებდა. ჩავწვდი იმასაც, რომ ადრე ადამიანი კი არ ვიყავი, არამედ ორ ფეხზე მოსიარულე გაუგებარი არსება, ოდნავ ბალნიანი და მეტყველების ნიჭით დაჯილდოებული. ადრე მეგონა, რომ სამყაროს გზის ბოლოში აღმოვაჩენდი, თურმე ვცდებოდი. მიზანი ჩემგან ძალიან, ძალიან დიდი მანძილით იყო დაშორებული. საკითხავია, შევძლებდი კი, ოდესმე ნამდვილ ადამიანს დავმსგავსებოდი?

მე განვაგრძე მარპას შეგირდობა.

ერთ ღამესაც სიზმარმა ბავშვობის ქვეყანაში გადამისროლა. როცა გამეღვიძა, ბალიში ცრემლებით სულ დამესველებინა. დედაჩემის, ჩემი დისა და საკუთარი სახლის მონახულების დაუოკებელი სურვილი მახრჩობდა. დიდ ლამას გამოვუცხადე, რომ კიაგნასტაში დაბრუნებას ვაპირებდი.

პირველად ვნახე აცრემლებული მარპა.

— თუ ნახვალ, ვერასდროს გიხილავ, მილა.

— როგორ არა, ძვირფასო მარპავ, დედაჩემი მსურს მოვინახულო. მერე აუცილებლად მონასტერს დავუბრუნდები.

— მშვენივრად ვიცი, რომ ჩვენსკენ აღარასდროს იბრუნებ პირს. მოითმინე რამდენიმე დღე და ჩემს ბოლო საიდუმლოებებსაც გაზიარებ. შემდეგ კი შეგიძლია მიენდო შენს ბედ-იღბალს.

ასე და ამგვარად გადმომცა მარპამ თავისი ფასდაუდებელი უზენაესი ცოდნა. თავიდან ვირწმუნე, რომ ჩავწვდი მას, მოგვიანებით ცხოვრებამ სრულიად საწინააღმდეგოში დამარწმუნა. ლამას სწავლებისგან მხოლოდ ხმაური და სიტყვები შემომრჩა. მხოლოდ ჩემი მახსოვრობა დაიტვირთა, სხეულსა და სულს კი არაფერი მიეცხო.

...მონასტერში ჩემი ყოფნის ბოლო დღე.

ეზოში მუხლებზე დაჩოქილი მიმდევრები...

მარპამ მთელი თავისი რეგალიები გამოამზეურა. ბრილიანტის თვლებით მოოჭვილი ზარი, ძვირფასი ბორბალი, ლოტოსი, დაშნა, შვიდი ცისარტყელა... მივხვდი, რომ ლამამ ბუდას ბუნება შეიძინა, ნათელმჭვრეტი და განსწავლული გახდა, ამის გამო ბედნიერების განცდა დამეუფლა.

—მოდი, ამ საღამოს ჩემს სიახლოვეს დაიძინე. —მითხრა მარპამ.

ღამე დიდი მეტრის სიახლოვეს გავატარე.

დილით მისი მეუღლე მოთქმით შემოვარდა. მარპამ ის უხეშად მიიღო, თითქოსდა მისი ცრემლებისა არაფერი გაეგებოდა.

— მართალია, მილარეპა გვტოვებს, მაგრამ ამაში სატირალს ვერაფერს ვხედავ. სატირალი ისაა, რომ ყოველ არსებას შეუძლია გახდეს ბუდა, მაგრამ, სამწუხაროდ, ამის შესახებ როდი უწყის. კვდება ტანჯვა-ტკივილში, ყოველგვარი იდეალის გარეშე, თუ ამის გამო ტირი, მაშინ განაგრძე, იტირე დღეც და ღამეც.

— ვერ ავიტან ჩვენი ვაჟიშვილის აქედან წასვლას, ვიდრე პირში სული მიდგას

მარპას მეუღლემ ზლუქუნს უმატა. მეც გრძნობები მომერია. დიდ ლამასაც დაენამა თვალები, მაგრამ სახეზე მაინც ბედნიერებისაგან გასხივოსნებული ღიმილი დასთამაშებდა.

— ნუ იქნები შენს მიმდევრებთან ისეთივე მკაცრი, როგორც მე ვიყავი შენთან. ვერავინ გაუძლებს იმას, რაც შენ გადაიტანე.

ეს გახლდათ დიდი ლამას ბოლო სიტყვები. ტრადიციის თანახმად, გამგზავრებამდე მის ფეხებს თავი მივადე და მერე იქაურობას გავეცალე.

* * *

რამდენიმე კვირა შეუსვენებლივ ფეხით ვიარე. გზად საკვებს ვმათხოვრობდი. ბოლოს, როგორც იქნა, კიაგნასტას ხეობაში ჩავაღწიე. უღელტეხილიდან ოთხი სვეტით დამშვენებულ, რვაკოჭიან ჩემს სახლს მოვკარი თვალი. კედლებს ბზარები გასჩენოდა. ბებერი სახედრის დიდი დაღარული ყურები გამახსენდა. შელანძღული სახურავი წვიმის ნიაღვრებს ვეღარ აკავებდა. ჩემს სამკუთხა ველზე აღარაფერი ხარობდა, მთლიანად სარეველა მცენარეები დაპატრონებოდნენ.

უცებ მომინდა სირბილით გავვარდნილიყავი წინ. გული ლამის საგულედან ამოვარდნილიყო. ისიც კი ვიფიქრე, სევდასა და სიხარულს ვერ გავუძლებ-მეთქი. შევყოვნდი, დაცდა ვამჯობინე. როცა მზე ცის კაბადონზე აზრდღვიალდა, გზას გავუდექი.

...სახლში შევაბიჯე, წვიმასა და თიხას წმინდა წიგნები შეელანძღათ. ჩიტებსაც დაებინძურებინათ. ვირთხებს აქაიქ ორმოები გაეთხარათ. კერას მივუახლოვდი. ფერფლი მიწას გარეოდა. ზედ ბალახ-ბულახი ამოსულიყო. იქვე გათეთრებულ და გამოფიტულ ძვლების გროვას მოვკარი თვალი. მივხვდი, დედაჩემის ძვლები იყო.

დედის გახსენებაზე გონება დავკარგე.

* * *

მეტისმეტი წადილი მოსვენებას უკარგავს სულს. ალბათ, ძლიერ, წარმოუდგენლად ძლიერ მსურდა დედაჩემის ნახვა. ეს დაუოკებელი წყურვილი ჩემში კვირების მანძილზე ღვივდებოდა. „ადამიანი, რომელიც შეხვედრის სურვილს დათრგუნავს და შეზღუდავს, ერთ დღესაც მეტრი გახდება." — ლამას ეს სიტყვები, სულ თავში მიტრიალებდა. მე განვიცდიდი მათ აუცილებლობას.

„მარადიული არაფერია, ცისქვეშეთში არაფერია რეალური". რა შეიძლებოდა ჩემს გარშემო მეხილა? მხოლოდ ნანგრევები და ძვლები. იყო დრო, როდესაც დედაჩემის ვაჟიშვილად ვითვლებოდი. ახლა უკვე აღარ. ეს სახლი ჩემი საკუთრება იყო. ახლა — ნურას უკაცრავად. ადამიანები და კლდეები ისეთივე წარმავალია, როგორც ქარი და ღრუბლები. დედაჩემისა და ჩემი შეხვედრა სხვა არაფერი იყო, თუ არა ილუზია. ჩვენს განშორებასაც იმავეს ვუწოდებდი.

მედიტაციამ თავით ფეხამდე ჩამითრია. ნათლად ვიხილე, რომ ჩემი მშობლები ტრანსმიგრაციისათვის თანმდევი ტკივილებისაგან გათავისუფლებულიყვნენ.

მედიტაციამ ერთი კვირა გასტანა. შემდეგ კი ჩემი წიგნები ზურგზე მოვიგდე, დედაჩემის ძვლები კი წინ მკერდზე დავიკიდე. როგორც კი ფეხზე წამოვდექი, ისევ სევდა და კაეშანი მომეჯარა. სხეული დამიმძიმდა. ფეხები მიბორძიკებდა...

გავაცნობიერე, ბუდას მდგომარეობამდე რომ მიმეღწია, ჯერ კიდევ დიდი გზა მქონდა გასავლელი.

ბევრს ვფიქრობდი მატერიალურზე. ნივთებს ჯერ კიდევ არ დაეკარგათ ჩემთვის ღირებულება

აქაურობასთან განშორების დროც დადგა. ჩემი გზა უდაბნოსკენ გრძელდებოდა.

* * *

მილარეპამ მედიტაციისათვის გამოქვაბულს მიაშურა.სწორად იმხანად შევხვდი მას.

ახლა უკვე საკუთარ თავზე სვასტიკაზე, ანუ ბიძაზე გესაუბრებით.

ერთხელაც გადავწყვიტე, მწყემსებისათვის დამეხედა. ჩემს კუთვნილ საძოვრებს ხომ არ გასცდნენ და სხვის ტერიტორიაზე ხომ არ გადავიდნენ-მეთქი.

კარვის ქვეშ ჩემთვის ვანგარიშობდი. მოულოდნელად თმააბურძგვნილმა მაწანწალამ ღიობში თავი შემოყო.

— შეენიეთ განდეგილს, სამაგიეროდ, თქვენთვის დაუღალავად ილოცებს.

— საძაგელო და გადაგვარებულო არსებავ, არაადამიანო, ახლავე გაეთრიე აქედან. როგორ ბედავ, ჩემთან სათხოვნელად მოსვლას მას შემდეგ, რაც ჩაიდინე.

სცადა თავი დაეცვა. თქვა, რომ ჩვენ — ბიძამისმა და დეიდამისმა — ავნაპნეთ მთელი ავლადიდება და ბოროტებისკენ ვუბიძგეთ.

სულ ჯოხი ვურტყი თავში განდეგილს, შემდეგ კი ძაღლები მივუსიე.

სასწრაფოდ სოფელს დავუბრუნდი და ჩემს ცოლს ყველაფერი სხაპასხუპით ჩავუკაკლე.

ის-ის იყო ამბავს მოვრჩი, კარებზე კაკუნი გაისმა.

— ადგილიდან ფეხი არ მოიცვალო, სდექ, არ გაინძრე! ახლავე მოგიშორებ თავიდან ერთხელ და სამუდამოდ.

მშვილდისრით შეიარაღებულმა ალაყაფის კარები გავაღებინე. მილარეპა მიზანში ამოვიღე.

— მინდოდა, რომ ცოტა ფქვილისა და სანელებლების სანაცვლოდ თქვენთვის ჩემი მინდორი გადმომეცა.

ჩემს ირგვლივ ჩურჩული მალე ზუზუნში გადაიზარდა. ყველამ მიიჩნია, რომ შემოთავაზება ნამდვილად კეთილშობილური იყო და უარის თქმა უგუნურება იქნებოდა.

ვერ ავიტანე გადაწყვეტილების მიღებაში რომ ჩამენაცვლნენ. ცოფისგან ძარღვები დამებერა. პირიდან დუჟი გადმომივიდა. გული გამიჩერდა.

ძალიან ცუდად მახსოვს სვასტიკას სხეულში ყოფნის ბოლო თვეები. ავადმყოფობამ ხელი დამრია. ფეხზე ველარ ვდგებოდი. ერთი სიტყვით, როგორც ჩემს გარშემო აღნიშნავდნენ, «მისუსტებული» გახლდით. მისუსტებული? მართლები მაინც ყოფილიყვნენ! ორი რამ ვერა და ვერ მისუსტდა ჩემში: ზიზღი მილარეპას მიმართ და მოსალოდნელი სიკვდილის შიში.

მილარეპა დასახლებიდან შორს, თეთრი კლდის ერთ-ერთ გამოქვაბულში განმარტოვდა. ქვემოთ ჭილოფი დაიგო, ფეხმორთხმული მედიტაციას მიეცა. ჭინჭრის გარდა პირი არაფრისთვის დაუკარებია. დროთა განმავლობაში ჩამოდნა და ჩამოხმა, მისგან ძვალი და ტყავიღა დარჩა. კანსა და ბალანს ჭინჭრის ფერი დაედო. მილარეპა სულ გამწვანდა და ცხედარს დაემსგავსა. წელზე დაცრეცილი და ალაგ-ალაგ დახვრეტილი ქსოვილი შემოეკრა. ეს გახლდათ მისი ერთადერთი სამოსი. იმდენად გაილია, რომ მეტსახელად "ბამბის კაცი" შეარქვეს. სამაგიეროდ, დიდი წმინდა განდეგილის სახელი დაიმკვიდრა. მიმდევრებიც მოუმრავლდა. ალბათ, ათასი შუბის ჩარჭობა ჩემთვის ნაკლებად მტკივნეული იქნებოდა, ვიდრე მასზე ერთი კეთილი სიტყვის გაგება.

დარჩენილი დღეები და ღამეები, — ისე მათ შორის განსხვავებას უკვე ველარ ვხედავდი, — მომავალი სიკვდილის შიშით იყო აღბეჭდილი. სიმართლე გითხრათ, სიკვდილის კი არა, უფრო იმ ქონების დაკარგვა მზაფრავდა, რომელსაც მთელი სიცოცხლე ვაკოწიწებდი. სიკვდილის გამო ჩემი ფირუზები, ჭურჭელი, აბრეშუმისა და სატინის ქსოვილები, ოქრო, მარცვლეული, მამულები და ბოლოს, ჩემი პაწაწინა ჩანგის ჭიქა ხელიდან გამომეცლებოდა. ამ დაუმსახურებელ ნაამაგარს უუნარო, უნიათო და თავხედი ხელები წაეპოტინებოდა. სიკვდილი ჩემთვის ძარცვის ტოლფასი იყო.

ხშირად ღამე ლოგინიდან შეშლილივით წამოვხტებოდი ხოლმე და არაადამიანური ხმით გავკიოდი, მიშველეთ, მძარცვავენ, ქურდი დაიჭირეთ-მეთქი! ეგონათ, ისევ მილარეპას ვერჩოდი. ვის მოუვიდოდა აზრად, ამჟამად სიკვდილი რომ მქონდა ამოჩემებული. სიკვდილი, რომელსაც ერთი სული ჰქონდა, ვიდრე ცარიელ-ტარიელს დამტოვებდა. სიკვდილი, ეს შენიღბული ავაზაკი, წარბშეუხრელი, აუღელვებელი და გარდაუვალი, ჩემს საკუთარ სახლში რომ შემოხიზნულიყო და ჩუმად თავის ჟამს ელოდა. დაბორიალობდა ჩემი საწოლის გარშემო და აბუჩად მიგდებდა, ისე მაფრთხობდა, რომ სულ ოფლად ვიღვრებოდი. მტანჯავდა, გაუსაძლის ტკივილებს მაყენებდა, თვალის მოტყუების საშუალებას არ მაძლევდა, უძილობით მხდიდა სულს. მაწამებდა დინჯად და აუღელვებლად. დარწმუნებული იყო, ერთ დღესაც დაეპატრონებოდა ჩემს სხეულს, ჩემს დროს, ჩემს სამოსსა და სიმდიდრეს. მიშველეთ! დაიჭირეთ ქურდი!

რაც უფრო მეშინოდა სიკვდილის, მით მეტად მეზიზღებოდა მილარეპა. თითქოსდა მათი ზრახვები ერთმანეთს შეერწყაო. "ბამბის კაცი" განერიდა და ჩამოსცილდა ყველაფერ იმას, რასაც მე ასეთი დაჟინებით ჩავბღაუჭებოდი.

უეჭველია, მდიდართა თვალში ის ერთი საბრალო, უპოვარი და ლატაკი ადამიანი გახლდათ. ახალგაზრდა ქალიშვილებისთვის კი მახინჯი და შეუხედავი... ძლიერებისთვის — დაბეჩავებული და უღონო. მხოლოდ მე ვიცოდი, რომ ეს ძვალზე გადაკრული ტყავი, მკვდრისფერი რომ დასდებოდა, ბედნიერების ღრმა განცდით იყო შეპყრობილი. ბამბის კაცს არაფერზე წყდებოდა გული, არაფერზე არ იყო მიჯაჭვული. იმ დაძენძილ და დახვრეტილ ქსოვილსაც არაფრად დაგიდევდათ. ასე რომ არ ყოფილიყო, სასირცხო ადგილებს მაინც დაიფარავდა. ხმები მომივიდა, ბამბის კაცი დედიშობილა დასეირნობსო. დიახ, მწვანე და დედიშობილა...

მწვანე და დედიშობილა... ჩემს საფლავში. მშვენივრად მომეხსენებოდა, რომ ნამდვილი ცოცხალი მილარეპა იყო, და რომ ნამდვილი მიცვალებული მე ვიქნებოდი.

არაფერია იმაზე მტანჯველი და გაუსაძლისი, როცა ნათელგონიერება შენში ზიზღად გარდაიქმნება. ტიბეტში,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიკვდილის სარეცელს მიჯაჭვული, დარჩენილი ბოლო საათების განმავლობაში, როგორც იქნა, სიბრძნესა და კეთილგონიერებას ჩავწვდი. მან იმ ადამიანის სახე მიირგო, მთელი დღე და მოსწრება რომ მძულდა და გაცხარებული ვებრძოდი.

ჯერ კიდევ მახსოვს ბოლო ამოსუნთქვა. ეს სულაც არ ყოფილა სინანულის ჩურჩული, არამედ ზიზღით გაჟღენთილი ყიჟინა.

* * *

ბიძია სვასტიკა მიიცვალა. დღიდან სიკვდილისა სხეულიდან სხეულში ხეტიალობდა მრავალი საუკუნის მანძილზე. წანწალი კი ჩემი სიზმრების კართან დაასრულა. დიდხანს აკაკუნა და უნებართვოდ, თვითნებურად ჩემში, სიმონში დაიდო ბინა. «დაასრულა» იმიტომ ვთქვი, რომ ვიმედოვნებ, მე, სიმონ-სვასტიკა, მეასიათასე თხრობას ვუახლოვდები. თუ ჩემს გათვლებს დაეჯერება... მოკლედ, ცოტაც მოვითმინოთ და ყველაფერს ნათელი მოეფინება...

ბიძია სვასტიკას ერთი რამ არც არასდროს შეუტყვია: როგორც კი ქმრის სხეული გაცივდა, დეიდაჩემმა იაკი სურსათ-სანოვაგით დატვირთა და თეთრი კლდისკენ მიმავალ გზას დაადგა.

მილარეპა გამოქვაბულში თავის დასთან ერთად მედიტაციაში ჩაფლულიყო. ამ უკანასკნელმა, მას შემდეგ, რაც მეძავის ცხოვრება დაასრულა, ძმასთან სიახლოვე ამჯობინა. დეიდას ვერ გადაეწყვიტა, გადასულიყო თუ არა ხიდზე, რომელიც პირდაპირ განდგომილის სადგომს მიაყენებდა.

— მილარეპა, სინდისის ქენჯნა მტანჯავს, ბიძაშენს საშინელ ტანჯვაში ამოხდა სული. მივხვდი, რომ მთელი ცხოვრება მრუდე გზით ვიარეთ. მილარეპა, შეგიძლია თუ არა მიშველო? ვფიქრობ, შენი დახმარება მჭირდება.

მილარეპას და წელში გაიმართა, დეიდა უშვერი სიტყვებით ლანძღა. ღრმა წარსულის ყველა წყენა გაიხსენა და მისი ოჯახის გაუბედურების მიზეზად ბიძა და დეიდა გამოაცხადა.

— კი მაგრამ, რა უბედურებაზე ლაპარაკობ. მე ახლა ისეთი ბედნიერი ვარ, როგორც არასდროს. ვისწავლე, როგორ განვერიდო, როგორ დავშორდე საკუთარ თავს, ვგრძნობ საგანთა ამაოებასა და სიცარიელეს. შემიძლია სხვათა ბედნიერების, კეთილდღეობისა და ბედ-იღბლისთვის ვილოცო.

— მილარეპა, — არა ცხრებოდა და, — მათ გამო დავშორდით მე და შენ ერთმანეთს. გარდაიცვალა დედა, აბა, რის გამო ვმათხოვრობდით მთელი ჩვენი დღე და მოსწრება?..

— მათხოვრობაში დამამცირებელს ვერაფერს ვხედავ.

— მილარეპა, გთხოვ მომიტევო. — იმუდარებოდა დეიდა.

— არა, მე სასტიკი წინააღმდეგი ვარ. —აყვირდა და. — გაეცალოს აქაურობას და საკუთარ სახლში წაეთრიოს!

— ნუ უგდებ ჩემს დას ყურს და გადმოდი ხიდზე.

— არა, დეიდას არ მივიღებ!

— ჩემო დაიკო, ნადილით, ღვარძლით შეპყრობილი ადამიანი უუნაროა, სხვისი გულისთვის რამე სიკეთე ჩაიდინოს. ვერც საკუთარ თავს წაადგება, ვერც ვერავის მოუტანს სარგებელს. წარმოიდგინე წყალწაღებული, სხვისი ხსნა რომ გადაუწყვეტია, მორევი კი წუთი წუთზე ჩაითრევს. მოდი, დეიდაჩემო, გელოდებით.

— გმადლობ, ძმისშვილო!

— მე არ ვარ შენი ძმისშვილი. ერთ დროს ვიყავი, ახლა — აღარ. პატარა მილარეპა დიდი ხანია უკან ჩამოვიტოვეთ, ის ბობოქარ და ამღვრეულ წარსულს ჩაბარდა. წარსულს, რომელიც მე უკვე აღარ მეხება. მე აღარ მყავს საერთო სისხლით შეკრული ოჯახი. ჩემი ოჯახი ამჟამად კაცობრიობაა.

დეიდას გაკვეთილი ჩავუტარე მიზეზ-შედეგობრივ კავშირებზე. იგი ხორცით, სულითა და სიტყვით ჩემს სწავლებაზე მოექცა. იქცა განდეგილად და საკუთარი სულის ხსნისათვის ზრუნვა რელიგიისადმი ერთგულებითა და ფორმულებზე მედიტაციით იწყო.

მე წარმატებულად მივიწევდი წინ.

დღე იმდენჯერ შემეძლო შემეცვალა სხეული, რამდენჯერაც სურვილი გამიჩნდებოდა. ჩემი წარმოსახვა ფორმათა დიდ არჩევანს მთავაზობდა. როცა მსურდა, შემეძლო მეფრინა კიდევაც. ღამე სიზმრებში სამყაროს კვლევა კიდევ უფრო მიადვილდებოდა. დაუთვალიერებელი და მოუკვლეველი არცერთი კლდე, არცერთი ტყე არ დამრჩენია. ვარსკვლავეთსაც შევწვდი. ხან ცხოველს ვემსგავსებოდი, ხანაც მცენარეს, ხან კიდევ მინერალურ ქანს. ხან წყლად ვიქცეოდი, ხან ალად, ხან ღრუბლად, ხანაც ისრად.

მიუხედავად ყველაფრისა, ეჭვი მღრღნიდა, რომ არასაკმარისად ქმედითი ვიყავი. ტეჩუ ბარლაში გამგზავრება მომინდა, როგორც ეს მარპამ თავის დროზე იწინასწარმეტყველა. დავტოვე თეთრი კლდე და ხელს მხოლოდ ჭინჭრის სახარში ქოთანი გამოვაყოლე. ჩასვლისას, თვითგვემით გათანგულმა, ჭუჭყითა და ტალახით დაფარული გაშავებული ფეხი ზღურბლზე წამიბორძიკდა და ძირს გავიშხლართე. ქოთანს ყური მოტყდა, თვითონ ქოთანი კი ფერდობზე დაგორდა. გამოვეკიდე, მაგრამ ამაოდ. ქოთანი ქვას მიეხეთქა და ნამსხვრევებად იქცა. ნაკუწებიდან მწვანე სვეტი ამოიზარდა, რომელსაც ქოთნის ფორმა შეეძინა. ეს სხვა არაფერი იყო, თუ არა ის, რაც ჭინჭრისაგან დაილექა.

დიდხანს ვუცქირე ამ მომწვანო წარმონაქმნს. ერთდროულად ქოთნის მფლობელი ვიყავი კიდეც და არც ვიყავი. მისგან მხოლოდ ქოთანს მიმსგავსებული, მყრალი ბალახბულახი დარჩა.

არაფერია მარადიული ცისქვეშეთში. ყველაფერი წარმავალია.

ავქვითინდი, მეგონა გავთავისუფლდი. თურმე არა. მთელ ჩემს სიმდიდრეს ხომ ქოთანი შეადგენდა. ის ჩემი წადილის საგნად გარდაიქმნა, აქედან გამომდინარე მბრძანებლად მომევლინა. დაიმსხვრა თუ არა, ჩემს გრძნობებს დაეპატრონა და დამიმორჩილა. ქვაბი მე მეკუთვნოდა, მაგრამ სინამდვილეში მე უფრო მეტად ვეკუთვნოდი მას. ახლა თიხის ქოთანი რომ დავამსხვრიე, რა თავში ვიხალო ჭინჭრის ქოთანი.

მე მას უბრალოდ გადავაბიჯე.

* * *

ლამაზია მონმარტრი საღამო ჟამს. პარიზი დეკორაციაა. ტიბეტიც მორთულობაა. საკმარისია ქარმა დაუბეროს, რომ ამ მოკაზმულობის მიღმა არარაობამ იწყოს ძრწოლვა. დეკორაციებს მიღმა სიცარიელეა. რომ შეგვეძლოს ჩავწვდეთ, რა ხდება ფარდებს მიღმა კულისებში დასადგურებულ უსასრულო წყვდიადში...

არაფერი გთრგუნავს და გამძიმებს, როცა ხვდები, რომ ყველაფერი ილუზია და არარაობაა.

მილარეპამ ადამიანებს სიბრძნე არაფრისგან ასწავლა.

— იფიქრეთ ადამიანური ყოფის სასაცილო მხარეზე. ეცადეთ შენიშნოთ ჩვენი უბადრუკობა და უპოვრობა, დასცინეთ საკუთარ თავს და მოლბით, დაე გულიც აგიჩუყდეთ. სიბრალული ნაშლის განსხვავებას თქვენსა და სხვებს შორის. თანაგრძნობა და შეცოდება სულგრძელსა და კეთილშობილს გაგხდით. კეთილშობილი უთუოდ მომაგნებს. ვინც მიპოვის, უთუოდ ბუდა გახდება —ქადაგებდა მილარეპა.

გადიოდა წლები, მილარეპამ ლაპარაკს უკლო და ბოლოს საერთოდ შეწყვიტა. მღერა იწყო.

— უნდა ალაგმოთ საკუთარი მე, თვითალკვეთა ძვირფას ნაყოფს ისხამს.

მილარეპა მღეროდა და მღეროდა. ასი ათასი სიმღერა შეთხზა.

— ვფიქრობ, ყველაფერი დამავიწყდა, გამოქვაბულში განდგომილმა ცხოვრებამ, ჩემი მახსოვრობიდან წაშალა მნიშვნელობათა უხეში სამყარო. ჩემი ძმებისა და მეზობლების მოსაზრებანი. ცოდნის დაკარგვამ უმეცრების ილუზიებიც გადამავიწყა. სამიჯნურო სიმღერების მღერამ დამავიწყა, თუ რას ნიშნავს დავა. გულკეთილობასა და თანაგრძნობაში ვარჯიშისას ჩემსა და სხვებს შორის განსხვავება წაიშალა.

დრო და დრო მილარეპა თავის საყვარელ შეგირდს, რეჩუნგ-პას ეტყოდა:

— რეჩუნგ, ხედავ, როგორ ვბერდები. ჩემი სხეული დაიბზარა და დაჩაჩანაკდა. სულ მალე ჩემი მომავალი გარდასახვის ნიშნებს გაჩვენებ. გაზიარებ სიბერისა და სნეულების ნიშნებსაც.

მილარეპა ასეც მოიქცა.

ღრმა სიბერეში შევიდა. ახლოვდებოდა მისი სიკვდილის ჟამიც. წარმოიდგინეთ მწიფე ნაყოფი, საცაა ტოტს რომ მოწყდება...

ერთ დღესაც მილარეპამ გარდაცვალება გადაწყვიტა. უსულო და გაყინული იპოვეს. ყველას მკვდარი ეგონა. მიმდევრებმა ხისა და ფიჩხთა გროვაზე დაასვენეს და მისი დაწვა განიზრახეს. მიუახლოვდნენ ანთებული მუგუზლით, მაგრამ ხეს ცეცხლი არ მოეკიდა. ხემ ისეთივე წინააღმდეგობა გაუწია, როგორც წყალმა.

თურმე აუცილებელი გახლდათ მისი საყვარელი შეგირდი იქ ყოფილიყო.

როდესაც რეჩუნგ-პა გამოცხადდა, მილარეპამ გაუღიმა და გადაეხვია.

— მსურდა გენახე, თუ როგორ ვკვდები. ვერ წავიდოდი, ვიდრე საბოლოოდ არ დავრწმუნდებოდი, რომ ყველა მარცვალი დავთესე.

მილარეპა მიმდევრებს მიუბრუნდა.

— როცა უზენაესი ჭეშმარიტება გეუფლება, აღარ არსებობს მჭვრეტელი, აღარც ჭვრეტის საგანი. არც სიბრძნე არსებობს, არც ბუდას სხეული და არც ნირვანა. ეს მხოლოდ და მხოლოდ სიტყვებია, გამოხატვის ფორმა, —თქვა მილარეპამ და გაშეშდა.

* * *

ასე აჩვენა სიკვდილის ნიშნები ტყის კურდღლის ზამთრის ბოლო თვის მეთოთხმეტე დღეს, მთვარის მერვე თანავარსკვლავედის ბატონობის დროს, განთიადისას, ჩვენი კალენდრის ათას მეთოთხმეტე წელს ოთხმოცდაოთხ წელს მიღწეულმა მილა ბრილიანტის ბრწყინვალებად და ვაჟრა მცინარედ წოდებულმა დიდმა მეტრმა.

* * *

დაიწყო არარაობიდან და არარაობითვე დაასრულო.

ნუთუ ამ ამბავს ამ საღამოს მეასიათასჯერ ვყვები?

ნუთუ სვასტიკამ მართლა ბოლოჯერ მოყვა თავისი ძმისშვილის ბედ-იღბლის შესახებ, რომელსაც ძმობა ვერა და ვერ გაუწია?

ყოველ ჯერზე ვამჩნევ, რომ თხრობის დასრულებას მაინც და მაინც არ ვჩქარობ, პირიქით, ვწელავ. ყოველ ჯერზე, სულ უფრო და უფრო მეუფლება შიშის გრძნობა.

ნუთუ მართლა ბოლოჯერ?

დღეს ჩემი ჟამიც დადგება?

ზუსტ წინასწარმეტყველებას მანამდე ვერ გავიგებ, სანამ სრული უკუნეთი არ ჩამოწვება.

უკუნეთი.

**ფრანგულიდან თარგმნა**
**მერაბ ფიფიამ**

## ქრონიკა

ვაკის თეატრალური სარდაფის სცენაზე გაიმართა წარდგინება **ამირან სვიმონიშვილის** ახალი პოეტური კრებულისა **„სამკვიდრო"** და მისივე სცენარითა და რეჟისორობით გადაღებული პატარა ფილმისა **„კენტი რიცხვები"** – უწარმეზღუდული ბავშვის ერთი დღის ქრონიკა.

შეხვედრა გახსნა და უძღვებოდა **მიხეილ ჩიკვილაძე**, სიტყვით გამოვიდა **ნინო გორდელაძე**, უმთავრესად კი სცენა დაეთმო თვითონ პოეტს, რომელიც ჩინებული დეკლამატორიცაა და ამჯერადაც შთამბეჭდავად წაიკითხა საკუთარი ლექსები და თარგმანის ნიმუშები, იქნებოდა ეს **რაინერ მარია რილკეს, გეორგ თრაკლის, კორნად ფერდინანდ მაიერის, ნატალია ტროხინის, ნასტა მანსევიჩისა** თუ **იონას ლინიაუსკასის** ლექსები.

„სამკვიდრო" შეფასდა როგორც წარმატებული წიგნი, ამოზრდილი ეროვნულ ფესვებზე და აღბეჭდილი სტილური ძიებებით. მიუხედავად იმისა, რომ ამირან სვიმონიშვილი ღრმად, ნიუანსობრივად იცნობს გერმანულ პოეზიას, მის სტილისტიკაზე გავლენა არ მოუხდენია გერმანული ლექსის განსჯით, მედიტაციურ პოეტიკას (რაც ასეთი მოდური გახდა დღესდღეობით და ლამის დაგვავიწყონ, რომ ლექსი მედიტაციური სულისკვეთების გარდა სენსუალურიც უნდა იყოს, ანუ – გრძნობით, ემოციით აღსავსე) და „სამკვიდროს" ციკლი წარმოგვიდგება სწორედაც გრძნობისმიერი, ემოციით განმსჭვალული ლირიკის საგულისხმო ნიმუშად.

აღსანიშნავია, რომ არამარტო დარბაზი იყო გადავსებული, არამედ სცენაც გადაიჭედა ამირან სვიმონიშვილის პოეტური სიტყვის მოყვარულებით, პოეზიის საღამოებს კი თუ რაიმე უხდება ყველაზე მეტად, სწორედ ამგვარი გარემო, პოეტი მკითხველებით გარშემორტყმული რომ კითხულობს ლექსებს.

შეხვედრის ბოლოს ამირან სვიმონიშვილმა დარბაზს წარუდგინა მთავარი როლის შემსრულებელი — **ანასტასია მგალობლიშვილი.**



* * *

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქს ილია მეორეს საჩუქრად გადასცემენ მობილურ ტელეფონს და თანაც დასძენენ:

— ეს ის ნომერია, რომელიც არ ისმინება.

ელოდებიან, რომ უწმინდესი და უნეტარესი აღტაცდება ამის გაგონებაზე.

ის კი ოდნავ ჩაიღიმებს:

— რას ამბობთ, მთელი ცხოვრება იმას ვოცნებობ, ნეტა ერთი ადამიანი მაინც მისმენდეს-მეთქი და... ახლა იმასაც ხელიდან მაცლით?..

ილია მეორეს იუმორის დიდი გრძნობა რომ აქვს, ეს ჩემი აღმოჩენა სულაც არ გახლავთ...

ისე მისთვის ტარიელ ჭანტურიას რომ არ შეერქმია მეორე ილია, ასე მგონია, მე შევარქმევდი.

* * *

იშვიათად, რომ პავლე ინგოროყვას გამოეყენებინა უცხო სიტყვები და ტერმინოლოგია. მის ნატიფ, ასერიგად დახვეწილ სტილს არ შეჰფეროდა ამ მხრივ გადახუნძვლა. და მითუფრო მკვეთრად აღიქვამ ამ ყაიდის იმ ზოგიერთ გამოთქმას, რომელსაც დროდადრო იმეორებს.



ვთქვათ: ექსცერპტი.

ნანყვეტს ნიშნავს, ფრაგმენტს, სხვას რას, მაგრამ სწორედ ექსცერპტი ურჩევნია, უფრო თავის სიტყვად მიაჩნია და მის დამკვიდრებას ლამობს.

ვერ ვიტყვი, რომ ვინმეს გაეზიარებინოს ამ ტერმინის მოხმობის საჭიროება. დიდიან-პატარიანად „ნანყვეტსა“ თუ „ფრაგმენტს“ ამჯობინებენ, მე კი განსაკუთრებით მეფონებოდა გულზე პავლე ინგოროყვას არჩევანი და მასავით ვიმეორებდი და ვიმეორებდი.

პავლე ინგოროყვას ხელში გამოვლის შემდეგ სულ სხვა მადლი ეცხებოდა, სხვა სინათლე ბრწყინავდა, თითქოს არამცთუ კონტექსტში, ასე ცალკეც კი არტისტულ სულს გამოასხივებდა.

ვითომ კეთილხმოვანებით მაინცდამაინც არ გამოირჩევა?

ჩემთვის სწორედაც გამოირჩევა.

თამაზ ჩხენკელი, როგორც არტისტული ბუნების კაცი და, ამასთან, მოთაყვანე პავლე ინგოროყვასი, დიდად ზრუნავდა სტილის დახვეწაზე და აუცილებლობის გარდა არასოდეს მიმართავდა უცხო სიტყვებსა და ტერმინოლოგიას, არც წერისას და, მითუფრო, ზეპირმეტყველებისას.

მაგრამ ერთხელაც „ტრაგიკული ნიღბების“ ხელმეორე გამოცემას რომ ატრიალებდა ხელში და იხსენებდა, თუ როგორ მიაჩნდა ეს თხზულება გაცილებით ფართო მონოგრაფიის ნაწილად, და მხოლოდ აკაკი ბაქრაძის რჩევამ: დასრულებულია და ამ სახით უკვე შეიძლება დაისტამბოსო, — შეაგულიანა მის გამოსაცემად, დასძენდა: კიდევ ვაპირებ ვაჟა-ფშაველაზე მონოგრაფიის დაწერას, მარტო წერილების ციკლს ვერ ვიკმარებ, ის ახალი წიგნი გაცილებით დიდტანიანი იქნება და დაე „ტრაგიკული ნიღბები“ მისი პროპედევტიკური ნაწილი იყოსო.

შესავალს ნიშნავს, სხვას რას, მაგრამ სწორედ პროპედევტიკურს ამჯობინებდა იმ წუთას, თანაც ჩვეული არტისტიზმით წარმოთქვამდა და სულ სხვა მადლს წაცხებდა, სხვა სინათლით გააბრწყინებდა.

ფილოსოფოსებს უყვართ ამ ტერმინის გამოყენება. შესავალიო, კი არ იტყვიან, არამედ: პროპედევტიკურიო. შალვა ნუცუბიძე მშობლიურივით იყენებს წერისას და, ეტყობა, ლექციების დროსაც მის მოხმობას ამჯობინებდა. თამაზ ჩხენკელსაც იქიდან თუ ჩარჩა მეხსიერებაში, არტისტულად წარმოთქმული და სხვა შთამბეჭდაობით აღვსილი, თორემ ასე ცალკე ეს სიტყვაც თითქოს მაინცდამაინც ვერ გამოირჩევა კეთილხმოვანებით.

არ გამოირჩევა და ნუ გამოირჩევა, მე კი წარუშლელად ჩამებეჭდებოდა ხსოვნაში და, როდესაც ოთარ ჩხეიძის ოცდაოთხწიგნიან „მატიანე ქართლისას“ ირგვლივ გავშლიდი მსჯელობას ჩემს ბიოგრაფიულ რომანში „აგვისტოს შვილები“, ამ ციკლის შესავლად ჩაფიქრებულ ორ თხზულებას — „რომანი და ისტორია (ვასილ ბარნოვი)“ და „იტალიური დღიურები ბაირონისა“ — მოვიხსენიებდი პროპედევტიკურ ნაწილად.

არაერთ მკითხველს ეხამუშა ეს სიტყვა, თან ჩემგან გაუკვირდათ მაინცდამაინც ასე დასათაურება შესავალი მონაკვეთისა, და რამდენჯერმე გამაგონეს: აი, ის ორი რომანი, შენ რომ რაღაცას ეძახიო!..

პროპედევტიკური მათთვის რაღაცაა... ამ შემთხვევაში, თორემ ფილოსოფიურ წიგნებზე ჩვეულებრივ მოვლენად მიაჩნიათ მისი წაწერა და სულაც არ აგონებთ ენის გასატეხს...

თითქოს ახლა მაინც უნდა ავერიდო მის განმეორებას, მაგრამ რა ვუყო, რომ მისი ხსენება სითბოთი მავსებს, რაღაც ძვირფას წამს უკავშირდება... და ამიტომაც ვერ მოვეშვები „პროპედევტიკურის“ ხსენებას, ისევე, როგორც „ექსცერპტისას“.

შენ რომ რაღაცას ეძახიო...

იყოს „რაღაც“... რა მოხდა მერე... ხან ვერც ვაცნობიერებთ, თუ რატომ ავიჩემებთ ამა თუ იმ სიტყვას, მერე შეიძლება თავიც კი მოგვაბეზროს, მაგრამ გავა ხანი და კვლავ ვუბრუნდებით... აკვიატებულ მელოდიასავითაა... თუმც რომელი მელოდია შეედრება სიტყვის მუსიკას, მის იდუმალ ფერსა და შრიალს, თუნდაც შეუჩვეველ ყურს ერთბაშად ენის გასატეხიც ეგონოს!..

* * *

ბესიკ ხარანაული გაიხსენებს, თუ რარიგ გავრცელდებოდა ერთიხანობა პოეტთა თვითდამშვიდების ეს ხერხი, თავისებური ფსიქოთერაპია:

— ხუთეულში ხომ მაინც შევდივარ!..

ამბიციურიც და თავმდაბლურიც ერთსა და იმავე დროს.

თან ხუთეულში უკვე განაღდებული გაქვს ადგილი, თან მთლად პირველობასაც ხომ არ ეპოტინები.

ნეტა დანარჩენ ოთხს ვის გულისხმობდნენ?

ეგებ არც გადაეთვალათ მაინცდამაინც — ზოგადი აღნიშვნა გუნებაშიც კმაროდა... და აღარ დაგიდევდნენ, რომ ეს „ხუთეულები“ ამასობაში შესაძლოა ას წევრსაც გადასცდენოდა, ხუთასსაც და ათასსაც...



თუმც თვითონ რატომ ენაღვლათ — პირადად ისინი ხომ მყარად დამკვიდრებულიყვნენ ხუთეულის სივრცეში და დაიმედებულნი გაჰყურებდნენ მომავალს.

ისე ნეტა სად გაჰქრა 70-80-იანი წლების ის ენთუზიაზმი?

ხუთეულში მოსახვედრად „ამაყი თრთოლა“?

და მტკიცე რწმენა, რომ თუნდაც პირველობის პალმა ვიღაცამ გამოგაცალოს ხელიდან (მარიფათიანობით, თორემ, აბა!..), ამას მაინც ვეღარავინ მოგიხერხებს, რომ ხუთეულიდანაც დაგძრას?

არ გაინტერესებთ, თქვენც თუ შედიხართ ხუთეულში?

ნებისმიერში, აბა, პოეტური ხუთეული რა აუცილებელია...

* * *

კახი კავსაძე „ვანოს შოუში“ იმყოფება სტუმრად და საუბრისას აღფრთოვანებული იტყვის: ნანა ჯანელიძემ მიმიწვია ფილმში მთავარი როლის შემსრულებლადო.

— ჰონორარი რამდენი გერგოთ? — დაინტერესდება წამყვანი.

მსახიობი ერთხანს დაჟინებით მისჩერებია და ხმას არ იღებს, როდის-როდის კი ჩაეკითხება:

— რაო, რა ჰონორარიო?

— დიახ, ჰონორარი რამდენი გერგოთ?

— რას მელაპარაკები, — ჩვეული მანერით აიწურავს მხრებს და ხელებსაც გადმოშლის კახი კავსაძე, — მთავარ როლში მიგიწვიონ და... ჰონორარიც აქეთ გაძლიონ? იმისიც მადლობელი ვარ, რომ იქით არ მიმატანინეს ფული.



*მეგობრული შარჟები კარლო ფაჩულიასი*

რა კარგია, იუმორი რომ გშველის.

არადა, ამ წვრილმანში თვალნათლივ აირეკლება ჩვენი საზოგადოებრივი რეალობა საერთოდ და ხელოვანთა ბედი კერძოდ.

უჰონორაროდაც მზად ხარ მონაწილეობა მიიღო ფილმში, აბა, პროფესიაზე უარს ხომ არ იტყვი. და ეს მაშინ, როდესაც შენი რანგისა და პოპულარობის მსახიობი დასავლეთში მილიონერია.

მთავარ როლშიც მიგიწვიონ და... ჰონორარიც აქეთ გაძლიონო?..

ნამეტანი არ უნდა მოინდომო ადამიანმა და... რაკიღა სიცილის უნარი მაინც შეგრჩენია, იცინო წუთისოფელზეც და შენს ხვედრზეც, მაინც რომ არ გაგეცვლება არავიზე და არაფერზე.

# ზაჰესი და მცხეთის ჯვარი

ფოტოკამერა ხელში შეაშრა პირზე მომდგარი ღიმილივით. გულღიად ულიმოდა საქართველოს და საქართველოც თავშეკავებული ღიმილით პასუხობდა ერთობ ეგზოტიკურ სტუმარს. ჩვენში, იმხანად, ფოტოკამერით აღჭურვილ უცხოელს ისე უყურებდნენ, როგორც მარსიდან ჩამოფრენილ შპიონს. და აი, დაუღალავი რობერტ კაპას მახვილმა მზერამ უეცრად ერთ კადრში ჩაატია წარსული და აწმყო: მცხეთის ჯვარი, ზაჰესი და... ლენინის ძეგლი. მაგრამ სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილმა ხელოვნებათმცოდნემ ამერიკელ სტუმარს, ფოტოხელოვნების სახელგანთქმულ ოსტატს, თავაზიანად შეახსენა, სტრატეგიული ობიექტების აღბეჭდვა ფირზე მიზანშეწონილი არ არისო.

იდგა 1947 წლის მცხუნვარე ზაფხული, „ცივი ომი“ უკვე გაჩაღებული იყო და გაცხელებას ლამობდა. რუსები ატომურ ბომბს აკონინებდნენ, ამერიკელებს კი ატომური თავდასხმის სამიზნეთა სიაში ჩვენი ჭალარა და ათასჭირგამოვლილი თბილისიც მოეთავსებინათ.

საბჭოთა კავშირში „პროგრესულ მწერლად“ შერაცხული ჯონ სტაინბეკი იმის იმედით დაპატიჟეს, შეგვაქებს და ომის გამჩაღებლებს პირში ბურთს ჩასჩრისო. კაპა არავის დაუპატიჟებია, მაგრამ როცა ნიუ-იორკში, საბჭოთა საკონსულოში, სტაინბეკს განუცხადეს, ფოტოგრაფი რაში გჭირდებათ, ფოტოგრაფების მეტი რა გვყავსო, ამერიკელმა მწერალმა მოკლედ მოუჭრა, კაპასნაირი არ გეყოლებათო.

მართლაცდა, კაპასთვის როდი შეურქმევიათ „ამერიკელი ხალდეი“, არამედ ხალდეის შეარქვეს „საბჭოთა რობერტ კაპა“ (ევგენი ხალდეი „საკდესის“ ფოტოკორესპონდენტი იყო, მეორე მსოფლიო ომის წლებში მოიხვეჭა სახელი. სხვათა შორის, კაპამ და ხალდეიმ ნიურნბერგის პროცესზე გაიცნეს ერთმანეთი და თავისი გულუხვობით ცნობილმა კაპამ ძვირფასი ფოტოკამერა აჩუქა უპოვარ საბჭოთა კოლეგას).

ერთი სიტყვით, კაპა, სტაინბეკის პროტექციით მოხვდა საბჭოთა კავშირში. სტაინბეკი რომ არა, არც აღირსებდნენ ამ სიამოვნებას. მანამდე სამჯერ უთხრეს უარი ვიზაზე. საქმე ისაა, რომ გასული საუკუნის ოცდაათიანი წლების დამდეგს ჭაბუკმა კაპამ ფოტოსურათები გადაუღო ლევ ტროცკის. სწორედ ამიტომაც, კაპას დოსიე გაუხსნეს როგორც საბჭოთა „კაგებეში“, ასევე აშშ ფედერალური გამოძიების ბიუროში. ამგვარ პატივს თავად ტროცკი თუ გაიზიარებდა. ამერიკაში შიშობდნენ, ოქტომბრის რევოლუციას მოგვინყობსო, ხოლო საბჭოეთში ტროცკისტულ კონტრრევოლუციას უფრთხოდნენ.

რობერტ კაპა, ჩანს, უიღბლო ვარსკვლავზე იყო გაჩენილი. მაგნიტივით იზიდავდა ათასგვარი ჯურის ფათერაკს. ისინი ფეხდაფეხ დასდევდნენ, ძილში თუ ღვიძილში არ ასვენებდნენ.

„პერესტროიკის“ ჟამს ერთ რუსულ ჟურნალში გამოქვეყნდა ივან ხმარსკის მოგონება სტაინბეკისა და კაპას მოგზაურობაზე საბჭოეთში. სამოქალაქო სამოსელში გამოწყობილი ხმარსკი თარჯიმნობას უწევდა მათ. კაპამ მოფერებით „ხმარქსისტი“ შეარქვა.

დღევანდელი ხმარსკის სიტყვით, ამერიკული პრესის თავისუფლებას მიჩვეულ კაპას არაფრით არ სურდა გაეგო, რომ საბჭოეთში „დახურული“ ობიექტების (ქარხნები, აეროპორტები, რკინიგზის ვაგზლები და მრავალი სხვა რამ) გადაღება სასტიკად იყო აკრძალული. როგორც ხმარსკი ბრძანებს, იმ წლებში გამეფებული სისტემა აკრძალვებისა ეხებოდა არა მარტო თავდაცვითი მნიშვნელობის ობიექტებს, არამედ „ხანდახან ისეთ ანეკდოტურ ფორმას იღებდა, რომ ამის მოყოლა დღეს უხერხულიც კი არის“.

12 აგვისტოს მოსკოვში „დინამოს“ სტადიონზე გამართულ ფიზკულტურელთა პარადს ამერიკელი სტუმრებიც ესწრებოდნენ. ჯანღონიანი ახალგაზრდების საზეიმო მსვლელობამ მოხიბლა კაპა და სტადიონის ტრიბუნიდან სარბენი ბილიკისაკენ გაეშურა, მსხვილი პლანით რომ გადაეღო. მაგრამ მკაცრად განუმარტეს, კოლონასთან მიახლოება აკრძალულიაო.

რატომ, რატომ? — უკვირდა კაპას.

სტაინბეკმა ირონიულად იკითხა: „ეს ძალიან სახიფათოა სპორტსმენებისათვის, როდესაც სურათს უღებენ?“

ხმარსკი, ახსნა-განმარტებასავით, რაღაცას ლუღლუღებდა.

კაპას ბუზღუნი კი ზეცას სწვდებოდა: „მაშ რისთვის ჩამოვედი აქ? ნუთუ სტადიონიც სამხედრო ობიექტია?“



რობერტ კაპა

ფოტოკამერასთან ერთად კალამიც ემარჯვებოდა და მოსკოვის სასტუმროს პირქუშ ნომერში გამოკეტილს თავისი გოდება ქაღალდზე აღუბეჭდავს. ეს სამგვერდიანი ეტიუდი, კოლორიტული საკმაზივით, ამშვენებს სტაინბეკის „რუსულ დღიურს“:

„...ჩემს წინააღმდეგ ამხედრებულია ასოთხმოცდაათი მილიონი რუსი. ისინი არ მართავენ სტიქიურ მიტინგებს ქუჩაში, ისინი არ ელტვიან თავბრუდამხვევ თავისუფალ სიყვარულს, არაფერი ეჭაშნიკებათ ახალი. ისინი ძალზე მართლმორწმუნენი, მაღალზნეობრივნი და შრომისმოყვარენი არიან. ხოლო ფოტოგრაფისათვის ეს ისევე მოსაწყენია, როგორც ვაშლის ღვეზელს რომ გადაუღო სურათი. ამასთან, მათ მოსწონთ ცხოვრების რუსული წესი და არ მოსწონთ, როცა სურათებს უღებ. ჩემი ოთხივე კამერა, რომელთაც ომები და რევოლუციები გამოუვლიათ, ეზიზღებათ და როცა ვაჩხაკუნებ, ასე მგონია, რაღაცას ვაშავებ-მეთქი“.

სადაც მიხვალ, იქაური ქუდი დაიხურეო და კაპაც თანდათანობით სწავლობდა ჭკუას. მოსკოვიდან კიევში რომ ჩავიდნენ, უკვე საკმაოდ ჰქონდა ნასწავლი. უკრაინული „კაგებეს“ ფხიზელმა თანამშრომელმა მხოლოდ ორჯერ აღნუსხა კაპას შეცოდება. ერთხელ, უკრაინული ხელოვნების მუზეუმში გადაუღია დაჩაჩანაკებული ქალბატონი და მეორეჯერ — ძველმანებში ჩაცმულ კოლმეურნეთა ოჯახი. სამაგიეროდ, ვერ შეუმჩნევია ვერც მათხოვრები ქუჩაში, ვერც რიგები მაღაზიაში და ვერც გერმანელი სამხედრო ტყვეები, რომლებიც გულმოდგინედ აშენებდნენ იმას, რაც ომის დროს დაანგრიეს.

საქართველოში კი გადაავიწყდა გაფრთხილებანი. წარსულისა და აწმყოს ერთ კადრში ჩატევამ აცდუნა, მაგრამ დროზე გამოაფხიზლეს.

ზაჰესი და მცხეთის ჯვარი, ლენინის ძეგლითურთ, რაც საბჭოთა პროპაგანდას დიდად წაადგებოდა, გადაუღებელი დარჩა.

ח 113/2



## ლეგენდა ამარცხებს ისტორიას

„ხეკორძულას წყალი მისვამს, მცხეთა ისე ამიგია, დამიჭირეს, ხელი მომჭრეს, რატომ კარგი აგიგია“, — გვაუწყებს ძველისძველი ხალხური ლექსი. როგორც ფიქრობენ, მისი დაბადება უნდა უმადლოდეს სვეტიცხოვლის ტაძრის ჩრდილოეთ კედელზე გამოქანდაკებულ ხელს, რომელსაც უჭირავს გონიო — სამუშაო იარალი ხუროთმოძღვრისა, სამშენებლო ხელოვნების სიმბოლოდ რომ ქცეულა. იქვეა წარწერა: „ხელი მონისა არსაკიძისაი, რათა შეუნდოთ“ (დაზუსტებული წაკითხვით, უნდა იყოს: „არსუკისძე“).

ლეგენდა გადმოგვცემს, რომ სვეტიცხოვლის ტაძარი და სამთავროს მონასტერი მცხეთაში აგებულია ერთი და იმავე გეგმით, პირველი — შეგირდის, მეორე — ოსტატის მიერ. თურმე ტაძარი უკეთეს შთაბეჭდილებას ახდენდა მნახველზე და შურით აღვსილი ოსტატის თაოსნობით შეგირდისათვის მარჯვენა მოუკვეთიათ. ამ ლეგენდის ერთგვარ დადასტურებად მიაჩნიათ როგორც ზემოხსენებული გამოსახულება ხელისა, ასევე — ტაძრის დასავლეთ კედელზე ამოკვეთილი ბარელიეფი, სადაც ვხედავთ მომლიმარ ახალგაზრდას ხელში გონიოთი, რომელსაც ქართული ჩოხა აცვია, და სპარსულ სამოსელში გამოწყობილ კაცს ხელში ჩაქუჩითა და პირქუში გამომეტყველებით.

ერთი შექსპიროლოგის სიტყვით, ინგლისის მეფის რიჩარდ III-ის შესახებ ისტორიულმა მეცნიერებამ გაცილებით ნაკლები იცის, ვიდრე ჩვეულებრივმა მკითხველმა და მაყურებელმა, რომელსაც წაუკითხავს ან სცენაზე უნახავს შექსპირის უკვდავი ტრაგედია.

იგივე ბედი ეწია სვეტიცხოვლის შემოქმედს.

აკად. ვახტანგ ბერიძე თავის წიგნში „ძველი ქართველი ოსტატები“ სინანულით შენიშნავს, რომ ამა თუ იმ ოსტატისადმი მიძღვნილი ნარკვევის მოცულობა ყოველთვის როდი შეესაბამება მის წონასა და მნიშვნელობას. ხანდახან რომელიმე რიგით კალიგრაფს უფრო დიდი ადგილი უჭირავს, ვიდრე „გენიალურ ხუროთმოძღვარს არსუკისძეს“, ვინაიდან ტექსტის მოცულობას განსაზღვრავს ჩვენამდე მოღწეული ცნობების სიუხვე თუ სიმწირე.

მეცნიერება იცნობს სვეტიცხოვლის ტაძრის კედელზე აღბეჭდილ წარწერას, სადაც მოხსენიებულია მისი ხუროთმოძღვარი. იცნობს აგრეთვე ხალხურ თქმულებას უდანაშაულოდ დასჯილ ოსტატზე, მაგრამ ქართველმა მკითხველმა გაცილებით მეტი იცის, ვიდრე ქართულმა მეცნიერებამ. მან იცის, საქართველოს რომელი კუთხიდან იყო წარმოშობით სვეტიცხოვლის ხუროთმოძღვარი, სად დაეუფლა თავის ხელობას, საიდან მოხვდა მცხეთაში, როგორ მუშაობდა და როგორ ისვენებდა, რას ფიქრობდა, რა აწუხებდა, რაზე ოცნებობდა და ისიც კი იცის, რომ მის სატრფოს სახელად ერქვა შორენა.

ერთი სიტყვით, მკითხველი დაწვრილებით იცნობს სვეტიცხოვლის შემოქმედის ცხოვრების მნიშვნელოვან თუ უმნიშვნელო ეპიზოდებს კონსტანტინე გამსახურდიას რომანის წყალობით. მწერლის კალამმა შეავსო ჩვენი ისტორიის ერთ-ერთი ხარვეზი და სვეტიცხოვლის დიდებულ ტაძარს მხარში ამოუყენა „დიდოსტატის მარჯვენა“.

კონსტანტინე გამსახურდიამ ზედმიწევნით გაითვალისწინა როგორც სამეცნიერო ლიტერატურაში დამოწმებული ინფორმაცია, ასევე — ხალხური თქმულების შინაარსი. მან ხორცი შეასხა და ახალი სული შთაბერა ტრაგიკულ ლეგენდას მაღალ კვარცხლბეკზე ასატყორცნად. ხოლო მადლიერმა მკითხველმა თავის გულში მიუჩინა ბინა მწერლის ქმნილებას, ისტორიული სინამდვილის ტოლფას სურათად რომ შერაცხა.

რაც შეეხება ლეგენდისა და ისტორიის დაპირისპირებას, სრულიადაც არ არის აუცილებელი, რომ ხელის გამოსახულება სვეტიცხოვლის ჩრდილოეთ კედელზე გულისხმობდეს ხუროთმოძღვრის მოკვეთილ მარჯვენას. როგორც აღნიშნავენ, ტაძრის კედელზე ხელის გამოსახვის ჩვეულება დამკვიდრებული იყო ჩვენს წარსულში და ამგვარი სურათი, სვეტიცხოვლის გარდა, სხვა ქართულ ტაძართა კედლებზეც გვხვდება.

მაგრამ ლეგენდა, რომელიც გაამდიდრა და ღონივრად აამეტყველა კონსტანტინე გამსახურდიამ, ამარცხებს ისტორიას და მტკიცედ იჭერს ძლეულის ადგილს მკითხველის მეხსიერებაში. როგორც ცნობილია, საკმაოდ ხშირად და არა მარტო ჩვენში, მკითხველი ისტორიული რომანის მიხედვით ეცნობა ხოლმე თავისი სამშობლოს ისტორიას.

## ქრონიკა

— მადლობელი ვარ თქვენი, საყვარელო თანამშრომლებო, ასეთი დღე რომ მაჩუქეთ, — ასე დაიწყო 24 დეკემბერს გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში ამავე დაწესებულების თანამშრომლის, პოეტ **ნაილი ნეკერიშვილის** მეხუთე წიგნის — **„სამოთხის ჩიტის სიმღერა“** — წარდგინება.

ქალბატონმა ნაილიმ მოიგონა პირველი ლექსის დაწერის ისტორია, ჟურნალ „ცისკარში“ დაბეჭდილი პუბლიკაციით გამოწვეული სიხარული. წაიკითხა ლექსები ახალი კრებულიდან.

**ჯანსულ ჩარკვიანმა** გაიხსენა შეხვედრა ჯერ კიდევ დამწყებ პოეტთან ჟურნალ „ცისკრის“ რედაქციაში: „მორიდებით მოვიდა, გაგვაცნო თავისი ლექსები. მე ყოველთვის მიხაროდა ნიჭიერი ახალგაზრდა პოეტების წარმოჩენა. მუზა ღვთით მოვლენილია. პოეტმა უნდა მიიღოს რითმიანი, თეთრი ლექსი თუ ვერლიბრი, ფილოსოფიურადაც უნდა აზროვნებდეს. ეს ყველაფერი არის ნაილი ნეკერიშვილის პოეზიაში. ის არის ქართული სიმღერის და ტირილის პოეტი, რომელიც არავის არ ჰგავს და არავის არ ბაძავს“.

მუზეუმის თანამშრომელმა **ნინო ვადაჭკორიამ** წაიკითხა ამონარიდები პოეტ **იზა ორჯონიკიძის** არქივში აღმოჩენილი წერილიდან: „სხივი და სხივი მისი გულისა“, აღიარებული პოეტი და მკაცრი ექსპერტი ნაილი ნეკერიშვილის პირველი წიგნის „ფერადი ველის“ გამოცემას ეხმიანებოდა.

„...მინდა ოცი წლის „ცისკარს“ ვუთხრა დიდი მადლობა პოეტის პირველი ლექსების დაბეჭდვისათვის და ამ პატარა კრებულის გამოსაცემად გაწეული შრომისათვის. როცა კარგი საქმე კეთდება, მერე ძალზე იოლია ლაპარაკი, მაგრამ მკითხველთა ფართო აუდიტორიამ როდი იცის რამდენი შრომა, დრო და ნერვიული ენერგია სჭირდება ყველა კეთილი საქმის ბოლომდე მიყვანას... „ფერადი ველი“ ნამდვილი პოეტის დაწერილი გახლავთ...

საღამოს ესწრებოდნენ ნაილი ნეკერიშვილის ოჯახის წევრები, მეგობრები, მუზეუმის თანამშრომლები, პოეზიის მოყვარულები, რომლებსაც პოეტმა საკუთარი წიგნები უსახსოვრა.

# გალობა ლამაზხმიანი



პირველად იყო სიმღერა გალობა ლამაზხმიანი და სიმღერისთვის შეიქმნა ა-და-მი-ა-ნი, – ვინ არ აუღელვებია ამ გულშიჩამწვდომ სიმღერას. სიმღერის, ისევე როგორც ხელოვნების სხვა დარგების, დანიშნულებაც ისაა, რომ ადამიანი გახადოს უკეთესი, ვიდრე არის. კაცობრიობის მარადიული სურვილია მუდმივი სწრაფვა ზნეობრივი სრულყოფისკენ, ამაღლებისა და სულიერი სიწმინდისკენ. რამ უნდა შეინახოს, გადაარჩინოს სისუფთავე, უბიწოება ამ „ცოდვის სადგურში", ამ ბიწიერ ცხოვრებაში, თუ არა ხელოვნებამ? ხელოვნების ყველა დარგი თუ ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება, მაშ რამ გაყო ერთმანეთისგან სიტყვა და ბგერა. ალბათ, ერთდროულად გაჩნდა, ერთად დაიბადა... უმანკო, წმინდა, შეურყვნელი ბუნების შვილმა ღვთისგან მინიჭებული მადლით ჯერ გაიგონა და მერე თვითონაც მიბაძა ბუნების მღერას, ისეთ ხმას, რომლის შესახებაც მწერალი წერდა: „რაღაც ხმა ისმის, წმინდა, წმინდა, ძლივს გასარჩევი, – ხმაი თუ ხმები გამოცალკევებული ერთმანეთისგანა, სუფთა, ჩაკმედილი, უსათუთესი, მთრთოლავი თვითონა, შენც რო აგათრთოლებს, ალგავსებს განცდითა, სიკეთის განცდითა, სიავეს რო გადაგავიწყებს..." მთავარიც ესაა, რომ სიმღერამ სიკეთის განცდით უნდა აღავსოს მსმენელი. კარგი სიმღერის მოსმენის შემდეგ ადამიანი ისევე შეუმჩნევლად უნდა შეიცვალოს, როგორც კარგი წიგნის წაკითხვის შემდეგ.

**„ივერიანელთა გალობა, სიმღერა, ღიღინი"**, – საგანგებოდ შეისწავლა **ალექსანდრე ორბელიანმა** ქართული სიმღერები, მათი თავისებური კლასიფიკაცია მოგვცა, ცალ-ცალკე დაახასიათა თითოეული, ერთი სიტყვით, საგანგებო გამოკვლევა უძღვნა. არ იყო ალექსანდრე ორბელიანი მუსიკათმცოდნე ან პროფესიონალი მუსიკოსი, ეროვნული მოღვაწე იყო, რომელსაც განსაკუთრებული განცდით უყვარდა საქართველო და ყველაფერი ქართული. და ამ თვალსაზრისით ერთმანეთისგან არც განერჩეოდა ქართული სიტყვა და ქართული სიმღერა.

საყოველთაოდაა ცნობილი, როგორ მოარჩინა ავადმყოფი **აკაკი წერეთელი ვარინკა მაჭავარიანის** ღვთაებრივმა სიმღერამ. ამ შემთხვევის გამო დაწერილ მშვენიერ ლექსში „რამ მომარჩინა" პოეტი წერდა: „თან ჩამოჰყვა როგორც კიბეს, სამკურნალო იმ ხმას ძალი, ვისუნთქე და შევფართხალდი, გავახილე სუსტად თვალი".

საიდან ჩამოვიდა ხმა და ის სასწაულთმოქმედი ძალაც საიდან ჩამოჰყვა, თუ არა ციდან. სატრფოს ღვთაებრივი სიმღერა ესხივმფინარებოდა ბარათაშვილის დაჩაგრულ გულსაც.

არ არის სიმღერა მარტო ხმა, მითუმეტეს არ არის მაღალი ხმა, ყვირილი, ჩხავილი, ბღავილი. იქნებ როგორც ნაკლებ კომპეტენტური ამ სფეროში, მეტისმეტად ვაჭარბებ, მაგრამ თანამედროვე გახშირებული სანახაობები, შოუები ხშირ შემთხვევაში სწორედ ასეთ (ზემოთ ნახსენები სიტყვების) ასოციაციას აღძრავს. ისევ მწერალს დავესესხები: „შოუ. შოუ. აქეთ შოუ, იქით შოუ. მაღლა შოუ. დაბლა შოუ. წინ შოუ და უკან შოუ. შოუ. შოუ. ისევ შოუ. ყველგან შოუ. მარად შოუ. შოუ. შოუ." გაბეზრებულა მწერალიც, მკითხველიც, მთელი საზოგადოებაც. დიახ, ხალხი, საზოგადოება და არა ბრბო. ცხადია, არავის არაფერი აქვს საწინააღმდეგო სანახაობისა, მაგრამ დამდაბლებული, უზნეო, ტლანქი, უხამსი ხელოვნება (სიმღერა) გამოდგება კი ხალხის სულის მკურნალად? რა თქმა უნდა, ხელოვნების ვერცერთი დარგი ვერ განვითარდება ძიებათა და სიახლეთა დამკვიდრების გარეშე. მაგრამ არაპროფესიონალიზმი არ უნდა ცხადდებოდეს სიახლედ, მოდერნად. გლობალიზაცია, სტანდარტიზაცია , უსახურობისა და უმსგავსობის მიბაძვა, ბრმად გადმოღება ყველგან, ცხოვრების ყველა სფეროში ეროვნულსა და ტრადიციულს ემუქრება გადაშენებით, სულიერებას უქადის გაქრობასა და ამოძირკვას.

მწერლებისათვის სულერთი არ უნდა იყოს, ვინ მღერის, რას და როგორ მღერის, რა ისმის სცენიდან, ტელეეკრანიდან...სალიტერატურო გამოცემათა მესვეურნი ვალდებულადაც კი უნდა მიიჩნევდნენ თავს, ხშირად გამოეხმაურნონ ავსაც და კარგსაც, საზოგადოების გემოვნების სწორად ჩამოყალიბებას შეუწყონ ხელი, იქნებ ამ პროცესების სისტემურ შეფასებასაც მოებას თავი. ჟურნალი **„ჩვენი მწერლობა"** ამ მხრივაც გამორჩეულია ჩვენს ყოფაში. რედაქცია ყოველთვის უყოყმანოდ უჭერს მხარს ჭეშმარიტ, წარუვალ ღირებულებებს. ამის კიდევ ერთი დასტურია **ეკა ბუჯიაშვილის** მეტად საყურადღებო წერილი **„რისთვის ღირს ცხოვრება"**, რომელიც გასული წლის 24 დეკემბერს გამოქვეყნდა და ერთი მშვენიერი ახალგაზრდა ქალის–მომღერლისა და ტელეწამყვანის, **სოფიო კუჭავას** პორტრეტს გვაცნობს მართლად, მიუკერძოებლად, საინტერესოდ.

ჟურნალის გარეკანიდან შემოგვცინებს თვალებში მზეჩამდგარი ლამაზი გოგონა. სურათი **საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემის** სტუდიაშია გადაღებული და თუმცა მზის სხივი ხელშესახებად არსად ჩანს, მას მაინც ვხედავთ. შინაგანი და ფიზიკური მშვენიერების თანაბარი შერწყმა თვით ანათებს ირგვლივ ყველაფერს.

ჟურნალისტმა ვრცლად მოგვითხრო სოფიოს სასიმღერო კარიერის შესახებ. მომღერალი მიიჩნევს, რომ მაყურებლის წინაშე მართალი და გულწრფელი უნდა იყოს, იგი შუამავალია ტექსტის ავტორს, კომპოზიტორსა და მსმენელს შორის. **ეკა ბუჯიაშვილის** სტატიის პათოსი და განწყობილება ჩემთვის სავსებით მისაღებია, რადგან მისი გმირი არ არის ძალად გაპოპულარულებული ადამიანი; თავისი ცხოვრებით, საქმიანობით, ღირებულებათა სისტემით კი საზოგადოების მეტ ყურადღებასა და პატივისცემას იმსახურებს.

არ არის შემთხვევითი, რომ სოფიო კუჭავა **საპატრიარქოს ტელევიზიის დილის გადაცემის** წამყვანია. ვისაც თუნდაც ერთხელ მაინც მოუსმენია მისთვის, დამეთანხმება, რომ მსმენელს ხიბლავს წამყვანის მშვიდი, გაწონასწორებული მეტყველება, კარგი ქართული, განათლება, ფართო თვალსაწიერი, დიდი სულიერება.

ვუყურებ და ვუსმენ ქალბატონ სოფიოს სცენასა და ეკრანზე და კვლავ ის სტრიქონები მახსენდება: და სიკეთისთვის შეიქმნა, და ღიმილისთვის შეიქმნა, და სიმღერისთვის შეიქმნა ადამიანი.

ნინო ვახანია

ეროვნული
ბიბლიოთეკა



რომანტიული საღამო

ავთანდილ მახარობლიძე

ISSN 1987-7730